ისტორია 7
მასწავლებლის წიგნი

ლაშა კერესელიძე
თამარ უზუნაშვილი
მზია სურგულაძე
ზურაბ კიკნაძე

ლოგოს
ჰიესი

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს:

ა) ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება;

ბ) ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა;

გ) ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება; ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი;

დ) დამოუკიდებლად ცხოვრება, გადაწყვეტილების მიღება;

ე) იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე;

ვ) საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში და მათი მაქსიმალური რეალიზება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთაც;

ზ) კომუნიკაცია ინდივიდებთან და ჯგუფებთან;

თ) იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე.

ისტორია 7

მასწავლებლის წიგნი

ლაშა კერესელიძე
თამარ უზუნაშვილი
თამარ შალვაშვილი
მზია სურგულაძე
ზურაბ კიკნაძე

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ 2019 წელს.

ლოგოს
ჰიესი

ისტორია, მე-7 კლასი, მასწავლებლის წიგნი

ავტორები:
ლაშა კერესელიძე
თამარ უზუნაშვილი
თამარ შალვაშვილი
მზია სურგულაძე
ზურაბ კიკნაძე
ეკატერინე სუმბათაშვილის მონაწილეობით

მთავარი რედაქტორი და გამომცემელი
ლაშა ბერაია

შპს ლოგოს პრესი
72, აკაკი წერეთლის გამზ.,
0119, თბილისი
ტელ. 555720820
info@logospress.ge
www.logospress.ge

© შპს ლოგოს პრესი, 2019
პირველი გამოცემა

ISBN 978-9941-418-99-0

შინაარსი

სახელმძღვანელოს კომპონენტების შესახებ 5
- მოსწავლის წიგნი 6
- მოსწავლის რვეული 6
- მასწავლებლის წიგნი 7

საბაზო საფეხურის სტანდარტი 9
- ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები 10
- ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი 10
- წლიური პროგრამისა და სასწავლო თემის აგების პრინციპები 15
- სასწავლო თემის აგების ბიჯები 16
- შემაჯამებელი (განმავითარებელი და განმსაზღვრელი) შეფასება 17
- ტიპობრივი დავალებები შემაჯამებელი შეფასებისათვის 17

საბაზო საფეხურის ისტორიის პროგრამა 19

სამიზნე ცნებები 21

სასწავლო თემების დაგეგმვა 23

სწავლა-სწავლების ინტერაქტიური მეთოდები 61

შეფასების სქემებისა და რუბრიკების ნიმუშები 67
- არგუმენტირებული მსჯელობის შეფასების რუბრიკა 68
- დისკუსიის შეფასების სქემა 68
- დისკუსიის შეფასების რუბრიკა 69
- განმავითარებელი შეფასების სქემატური აღწერილობა 69
- როლური თამაშის შეფასების რუბრიკა 60
- თხზულების შეფასების რუბრიკა 70
- პროექტის შეფასების რუბრიკა 70
- დღიურის შეფასების რუბრიკა 70
- ბუკლეტის/ფლაერის შეფასების რუბრიკა 70
- დისკუსიის შეფასების რუბრიკა 71
- ზეპირი შემაჯამებელი დავალების შეფასების სქემა 71
- ურთიერთშეფასების რუბრიკა 73
- თვითშეფასების რუბრიკა 73
- ინფორმაციის მოძიება და ორგანიზება – შეფასების სქემა 74
- ისტორიული თხზულება – შეფასების სქემა 74
- საკლასო მსჯელობაში მონაწილეობა – შეფასების სქემა 76
- ტექსტზე მუშაობა – დაკვირვების რუბრიკა 77
- ტექსტზე მუშაობა – შეფასების სქემა 77
- ჯგუფური მუშაობა – შეფასების რუბრიკა 78

მოსწავლის რვეულის სავარჯიშოების პასუხები 79

ინტერნეტ-რესურსები 89

მასალები მინი-ლექციებისა და დამატებითი აქტივობებისთვის 93
შუმერი: კულტურა და რელიგია 94
დამწერლობა და სკოლა შუმერში 97
გილგამეშის ეპოსი 98
ბაბილონი 99
ასურეთი 101
ძველი ეგვიპტე – „ნილოსის საჩუქარი“ 107
სახელმწიფო, რომელსაც ფარაონი მართავდა 111
ეგვიპტელთა ომები ძვ. წ. III-II ათასწლეულებში 114
ღმერთები, ტაძრები და პირამიდები 116
ხუანხესა და იანძის აუზების ცივილიზაცია 119
ჩინეთის ბრწყინვალე და დახვეწილი ცივილიზაცია 121
ინდოეთის ცივილიზაციის საწყისები და ისტორია 123
ძველი ინდოეთის რელიგია 127
იმპერიის დადებითი და უარყოფითი მხარეები 129
ხეთების სამეფო და ურარტუ 131
ქანაანის ხალხები 134
ბიბლიის ხალხი: ებრაელები 138
ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორი და ებრაელთა სამეფო 141
ბიბლია – ძველი აღთქმა 143
იუდაიზმი 145
ქრისტიანობის წარმოშობა 148
რისთვის მოავლინა ღმერთმა იესო ქრისტე და რისთვის ეცვა ქრისტე ჯვარს? 151
რელიგიები საქართველოში 153
ეგეოსური ცივილიზაცია 157
ელინური მითები და ჰომეროსის პოემები 161
გავგამელას ბრძოლა (331 წ.) 164
ძველი ბერძნული დამწერლობა, მეცნიერება და ხელოვნება 168
ეტრუსკები 171
რომის დაარსება: ლეგენდები და სინამდვილე 175
რომის არმია 178
რომისა და კართაგენის დაპირისპირება 180
რომის იმპერატორები: ტრაიანე და მარკუს ავრელიუსი 185
რომის იმპერატორები: კალიგულა და ნერონი 188
ბიბლია – ახალი აღთქმა 193
ბიზანტიის იმპერატორის კურთხევა 194
იერუსალიმი – სამი რელიგიის წმინდა ქალაქი 196
სწავლა-განათლება 199
რა არის ვაჭრობა და რითი ვაჭრობდნენ ძველად? 204
ფული 207
დამწერლობის წარმოშობა და მისი უძველესი სახეები 210
ფონეტიკური დამწერლობა. ანბანის წარმოშობა 213
რისთვის იყენებდნენ დამწერლობას უძველეს ქვეყნებში? 216
რეკომენდებული ლიტერატურა 219

სახელმძღვანელოს კომპონენტების შესახებ

მოსწავლის წიგნი

მოსწავლის წიგნი გათვალისწინებულია საბაზო საფეხურის VII კლასის მოსწავლეებისათვის. მასში მასალა დაყოფილია 3 თავად (თემატურ ერთეულად):

1. წლიური პროგრამით გათვალისწინებული თემა „პრეისტორია / ქვის ხანა“ – მოსწავლის წიგნში შეესაბამება I თავი „ქვის ხანა და უძველესი ადამიანი“.

2. წლიური პროგრამით გათვალისწინებული თემა „ბრინჯაოს ხანა / ძველი აღმოსავლეთი“ – მოსწავლის წიგნში შეესაბამება II თავი „ბრინჯაოს ხანა და ძველი აღმოსავლეთი“.

3. წლიური პროგრამით გათვალისწინებული თემა „ანტიკური და გვიანანტიკური ხანა“ – მოსწავლის წიგნში შეესაბამება III თავი „ანტიკური ხანა“.

გაკვეთილების საერთო რაოდენობა – 50.

შემაჯამებელი დავალებებისთვის გათვალისწინებულია 16 საათი შემდეგი გათვლით:

„პრეისტორია / ქვის ხანა“ – 4 საათი;

„ბრინჯაოს ხანა და ძველი აღმოსავლეთი“ – 4 საათი;

„ანტიკური და გვიანანტიკური ხანა“ – 8 საათი.

ისტორიის წლიური პროგრამის მიხედვით, აღნიშნულ საგანს ეთმობა კვირაში 2, ხოლო წელიწადში 72 აკადემიური საათი, სარეზერვო დროის ჩათვლით, რომლის გამოყენებაც მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეთა კლასგარეშე აქტივობებისთვის და სასწავლო წლის განმავლობაში სხვადასხვა ფორმით მათი შეფასებისათვის.

მოსწავლის წიგნში საქართველოს ისტორიის საკითხები მსოფლიო ისტორიის კონტექსტშია წარმოდგენილი. ისტორიული მასალა გადმოიცემა ქრონოლოგიური პრინციპით, მოიცავს პრეისტორიისა და ძველი ისტორიის პერიოდებს. მოსწავლის წიგნის თითოეულ თავს წამძღვარებული აქვს საკვანძო შეკითხვები, რომლებიც გამიზნულია მთელი თავისათვის. საგაკვეთილო პროცესი ისე უნდა დაიგეგმოს და წარიმართოს, რომ მოსწავლეებს თითოეული თავის გავლის შემდეგ ეპოქასთან მიმართებით ჩამოუყალიბდეთ მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც მოცემულია ისტორიის წლიურ პროგრამასა და წინამდებარე მასწავლებლის წიგნში.

სახელმძღვანელო აგებულია აქტიური სწავლა-სწავლების პრინციპით. მასში მოცემული ძირითადი ტექსტი, წყაროები, ცნობები და დავალებები, მოსწავლის რვეულის სავარჯიშოებთან ერთად, ქმნის გაკვეთილის შინაარსს. მოსწავლის წიგნის დამხმარე რესურსების ფუნქცია აქვს მასწავლებლის წიგნის ბოლო თავის მასალას („მასალები მინი-ლექციებისა და დამატებითი აქტივობებისთვის“), ასევე ინტერნეტ-რესურსებს (იხ. შესაბამისი თავი მასწავლებლის წიგნში). სახელმძღვანელო ეხმარება მოსწავლეს კრიტიკული აზროვნების, ლოგიკური და არგუმენტირებული მსჯელობის, პრეზენტაციის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში; დროსა და სივრცეში ორიენტირებაში, ინფორმაციის მოძიება-დახარისხებაში, პრობლემების გამოვლენასა და მათი გადაჭრის გზების ძიებაში, დისკუსიის წარმართვაში, წერითი და დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარება-ჩამოყალიბებაში. ინტერნეტ-რესურსების გამოყენება და შემეცნებითი ექსკურსიები ხელს შეუწყობს მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესებში ჩართულობას, მოტივაციის ზრდასა და ისტორიის საგნით დაინტერესებას.

სახელმძღვანელო სტრუქტურული თვალსაზრისით მოსწავლეთათვის ადვილად აღსაქმელია. დავალებები გათვლილია სხვადასხვა დონის მიხედვით, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

მოსწავლის რვეული

მოსწავლის რვეულის შინაარსი წარმოდგენილია 2 ერთეულით:

1. კონტურული რუკები;

2. სავარჯიშოები.

კონტურული რუკების საერთო რაოდენობაა 12, ყოველ კონტურულ რუკას თან ახლავს დავალების შესრულების დეტალური ინსტრუქცია.

მოსწავლის სამუშაო რვეულში ასევე შეტანილია მოსწავლის წიგნის შესაბამისი თემატიკის შესაბამისი 12 სავარჯიშო, სქემებისა და ცხრილების სახით. ორივე ერთეულის – კონტურული რუკებისა და სავარჯიშოების

– დახმარებით მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა დაეუფლოს ცოდნის სამივე კატეგორიას (დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული). მოსწავლე შეძლებს საგანთა და მოვლენათა, სიტუაციათა არსებითი ასპექტების გააზრებას, გამოუმუშავდება კატეგორიზაციის უნარი, რომელიც ცოდნის სხვადასხვა კონტექსტში გადატანის (ტრანსფერის) შესაძლებლობას იძლევა.

მოსწავლის რვეულში თავმოყრილი დავალებები საშაულებას იძლევა ვაქციოთ მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესის წამყვან სუბიექტად, გავუღვიძოთ ინტერესი საგნის მიმართ, განვუვითაროთ ისეთი უნარები, როგორიცაა: დროსა და სივრცეში ორიენტირება, კვლევა, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, არგუმენტირებული მსჯელობა და სხვა.

მასწავლებლის წიგნი

მასწავლებლის წიგნი მოწოდებულია, დაეხმაროს პედაგოგს ეროვნული სასწავლო გეგმისა და წლიური პროგრამის მიხედვით სწავლა-სწავლების წარმატებით განხორციელებაში, იმ შედეგების მიღწევაში, რომ მოსწავლეებს სასწავლო წლის განმავლობაში ჩამოუყალიბდეთ წლიური პროგრამით განსაზღვრული „მკვიდრი წარმოდგენები“ საქართველოს ისტორიის პროცესებთან დაკავშირებით მსოფლიო ისტორიის კონტექსტში.

მასწავლებლის წიგნი მასში მოცემული სწავლა-სწავლების მეთოდებით, რეკომენდაციებით, შეფასების სქემებითა და რუბრიკებით დაეხმარება მასწავლებელს სასწავლო თემების ეფექტურად დაგეგმვასა და საგაკვეთილო პროცესში მოსწავლის წიგნისა და მოსწავლის რვეულის მასალის ეფექტურად გამოყენებაში.

პედაგოგისთვის საქმის გასაადვილებლად, მასწავლებლის წიგნში ცალკე თავებად მოვათავსეთ ოფიციალური დოკუმენტები: ისტორიის სწავლების სტანდარტი და საბაზო საფეხურის ისტორიის პროგრამის ნაწილი, რომლებშიც მასწავლებელი ნახავს მითითებებსა და რეკომენდაციებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განახორციელოს სწავლა-სწავლების პროცესი და როგორია სტანდარტის რეალიზების შესაძლო გზები.

ცალკე თავად ვთავაზობთ მასწავლებლებს „სასწავლო თემების დაგეგმვას“, იმ პრინიციპების დაცვით, როგორც ამას სტანდარტი მოითხოვს. ამ თავში პირველი თემა „პრეისტორია / ქვის ხანა“ გაწერილია სრულად: პედაგოგებს ვთავაზობთ როგორც თემების აგების სრულ სქემას, შეთავაზებული კონკრეტული „იდეებით კომპლექსური/პროექტული დავალებებისთვის“, საგაკვეთილო და დამოუკიდებელი აქტივობებითა და რესურსებით; ხოლო მე-2 და მე-3 თემატური ერთეულებისთვის – „ბრინჯაოს ხანა და ძველი აღმოსავლეთი“ და „ანტიკური და გვიანანტიკური ხანა“ – პედაგოგს ვთავაზობთ თემების აგების სქემებს აქტივობებისა და შემაჯამებელი საგაკვეთილო საათების განაწილების გარეშე. მეორე და მესამე თემატური ერთეულებისთვის შეთავაზებულ ინტერნეტ-რესურსებს იხილავთ მასწავლებლის წიგნის თავში „ინტერნეტ-რესურები“.

სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნით პედაგოგს ვურჩევთ გამოიყენოს ინტერაქტიური სწავლების სხვადასხვა ფორმა (იხ. მასწავლებლის წიგნის თავი „სწავლა-სწავლების ინტერაქტიური მეთოდები“).

საბაზო საფეხურის სტანდარტი

ავტორთა კომენტარი: საბაზო საფეხურის სტანდარტი
გათვლილია 4 სასწავლო წელზე, VII-X კლასებისათვის.
VII კლასისთვის სტანდარტი მოიცავს პრეისტორიისა და ძველი
ისტორიის პერიოდებს. აქ წარმოდგენილია სტანდარტის
ნაწილი VII კლასის სასწავლო თემების ჩამონათვლით.

შესავალი

საბაზო საფეხურის „ისტორიის“ სტანდარტი შედგება შემდეგი ნაწილებისგან:

ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები;

ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი;

გ) მეთოდიკური ორიენტირები;

დ) შეფასება.

საბაზო საფეხურზე საგანი „ისტორია“ საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის ინტეგრირებულ სწავლა-სწავლებას გულისხმობს. სასწავლო კურსის განმავლობაში მოსწავლე გაეცნობა საქართველოს ისტორიის უმთავრეს ეპიზოდებს უძველესი დროიდან დღემდე და დაუკავშირებს მათ მსოფლიო ისტორიის საკვანძო მოვლენებს; შეისწავლის სხვადასხვა ეპოქის სოციალურ ისტორიას (რელიგია, კულტურა, ეკონომიკა); დაინახავს, რომ თანამედროვეობა და წარსული ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული.

საგნის სწავლა-სწავლებისას მოსწავლე ჩართული იქნება აქტივობებში, რომლებიც მას შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას მისცემს.

ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები

ისტორიის სწავლა-სწავლება მიზნად ისახავს:

- ხელი შეუწყოს მოსწავლის ჰუმანურ, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, პატრიოტ მოქალაქედ ჩამოყალიბებას;
- მოსწავლეს გაუღვივოს ინტერესი საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის შესწავლის მიმართ;
- მოსწავლეს განუვითაროს ისტორიული (პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, რელიგიური) პროცესების ანალიზისა და მათი თანამედროვეობასთან შედარების უნარი; ისტორიული პიროვნებებისა და მოვლენების მრავალმხრივად შეფასების უნარი;
- დაეხმაროს მოსწავლეს ისტორიული ეპოქების აღქმასა და მათი მახასიათებლების ერთმანეთთან / თანამედროვეობასთან შედარებაში;
- მოსწავლეს განუვითაროს ისტორიის კვლევისთვის საჭირო უნარები;
- მოსწავლეს შესძინოს ისტორიის დარგობრივი ენით ოპერირების უნარი.

ამ მიზნებზე მუშაობით ისტორია თავის წვლილს შეიტანს ეროვნული სასწავლო გეგმის მისიისა და მიზნებით გათვალისწინებული უნარებისა და ღირებულებების განვითარებასა და ჩამოყალიბებაში.

ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი

სტანდარტის შედეგები საგნის ცნებებზე დაფუძნებით განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს და პასუხობს შეკითხვას: რა უნდა შეეძლოს მოსწავლეს ისტორიაში საბაზო საფეხურის ბოლოს.

შედეგები ჯგუფდება სამ მიმართულებად:

- **ისტორიული ინტერპრეტაცია და კვლევა –** გულისხმობს ისტორიული მოვლენებისა და პროცესების, ასევე ისტორიული პიროვნებების მრავალმხრივად შეფასებას; ისტორიული შინაარსის ტექსტების წაკითხვა-გააზრებასა და გაანალიზებას.
- **ისტორიული ეპოქის აღქმა/ანალიზი –** გულისხმობს სხვადასხვა ისტორიული ეპოქის არსებითი მახასიათებლების გამოკვეთას, თანამედროვეობასთან პარალელების გავლებას.
- **ღირებულებები და დამოკიდებულებები –** გულისხმობს ისტორიის სწავლა-სწავლების პროცესის ღირებულებების (პატრიოტიზმი, სახელმწიფოებრივი აზროვნება და კულტურული მრავალფეროვნება) განვითარებაზე ორიენტირებულად წარმართვას.

სტანდარტის შინაარსი განსაზღვრავს, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ. შინაარსი აღიწერება სავალდებულო ცნებებისა და თემების სახით.

ცნებების სახით განსაზღვრულია ის ცოდნა, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. ცნებები შედეგებთან ერთად უნდა დამუშავდეს მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტებში. ეს კონტექსტები **სავალდებულო თემების** სახითაა წარმოდგენილი.

თითოეულ თემას ახლავს **შეფასების ინდიკატორები.** ისინი განსაზღვრავს, თუ რა უნდა შეფასდეს სწავლა-სწავლების პროცესში (თითოეულ ინდიკატორს ახლავს შესაბამისი შედეგის ინდექსის ნომერი, რომელიც განსაზღვრავს, თუ რომელი შედეგიდან/შედეგებიდან გამომდინარეობს იგი).

სტანდარტის შედეგების ინდექსების განმარტება

საბაზო საფეხურზე სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., **ისტ. საბ. 1.:**

„ისტ.“ – მიუთითებს საგანს „ისტორია“;

„საბ.“ – მიუთითებს საბაზო საფეხურს;

„1“ – მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

ისტორიის სტანდარტის შედეგები (VII-IX კლასები)		
მიმართულება: ისტორიული ინტერპრეტაცია და კვლევა		
შედეგების ინდექსი	**მოსწავლემ უნდა შეძლოს:**	**ცნებები**
ისტ. საბ. 1.	საკუთარი მოსაზრების/პოზიციის წყაროს/მტკიცებულების საფუძველზე დასაბუთება; იმის გაცნობიერება, რომ ახალი წყაროების აღმოჩენის შემთხვევაში შესაძლებელია ნებისმიერი მოვლენის ახლებურად გააზრება/გადაფასება;	დრო სივრცე საზოგადოება ისტორიული მოვლენა/ პროცესი ძალაუფლება წყარო, ისტორიული ინტერპრეტაცია და კვლევა
ისტ. საბ. 2.	სხვადასხვა ტიპის (პირველადი და მეორადი) წყაროსა და თვალსაჩინოებების (მაგ, ისტორიული რუკა, გენეალოგიური ტაბულა) მიზნის შესაბამისად გამოყენება; წყაროების კრიტიკული ანალიზი;	
ისტ. საბ. 3.	ისტორიული მოვლენების გადმოცემისას ქრონოლოგიური ერთეულებისა და ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების ადეკვატური გამოყენება;	
ისტ. საბ. 4.	ისტორიული მოვლენის/ფაქტების ტიპოლოგიური დაჯგუფება (პოლიტიკური, სოციალური ნიშნით);	
ისტ. საბ. 5.	ფაქტების, ინტერპრეტაცია/მოსაზრებების და სტერეოტიპების ერთმანეთისგან გარჩევა;	
ისტ. საბ. 6.	ერთი და იმავე ისტორიული მოვლენის განსხვავებულად ინტერპრეტირება, გაანალიზება და შეფასება: ისტორიულ მოვლენასა და პიროვნებაზე განსხვავებული ინტერპრეტაციების არსებობის მიზეზების ახსნა, განსხვავებული ინტერპრეტაციების შედარება და შეფასება.	
	მიმართულება: ისტორიული ეპოქის აღქმა/ანალიზი	
ისტ. საბ. 7.	ისტორიული ეპოქის მახასიათებლების (სოციალურ-კულტურული განვითარება, რელიგია და მსოფლმხედველობა, სახელმწიფოებრივი განვითარება და პოლიტიკა) გამოყოფა, ეპოქის უნიკალურობის ჩვენება;	
ისტ. საბ. 8.	ისტორიული მოვლენების და პროცესების დანახვა/შეფასება კონკრეტულ ეპოქაში მცხოვრები ადამიანების თვალით;	
ისტ. საბ. 9.	კონკრეტული მაგალითების მოშველიებით ისტორიული მოვლენებისა და პროცესების მსგავსება-განსხვავებებზე მსჯელობა.	
	მიმართულება: ღირებულებები და დამოკიდებულებები	
ისტ. საბ. 10.	ქვეყნის წარსულის, აწმყოსა და მომავლის ერთიან კონტექსტში გააზრება;	
ისტ. საბ. 11.	პოზიტიური დამოკიდებულების გამოვლენა კულტურული, ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნების მიმართ;	
ისტ. საბ. 12.	ისტორიული მაგალითების მოშველიებით სახელმწიფოებრივი აზროვნებისა (პატრიოტიზმი) და დემოკრატიის პრინციპების (თანასწორობა, მონაწილეობა) საჭიროების დასაბუთება.	

სასწავლო თემები	ცნებები, რომლებიც თითოეული თემის ფარგლებში უნდა დამუშავდეს:
VII კლასი 1. პრეისტორია/ქვის ხანა; 2. ბრინჯაოს ხანა / ძველი აღმოსავლეთი; 3. ანტიკური და გვიანანტიკური ხანა.	**დრო** ცვალებადობა, ქრონოლოგია, წელთაღრიცხვის სისტემა, საუკუნე, ათასწლეული, ისტორიული პერიოდი, ეპოქა; **სივრცე** კონტინენტი (ევროპა, აზია); რეგიონი (კავკასია, მცირე აზია, ხმელთაშუაზღვისპირეთი, მახლობელი აღმოსავლეთი, შუა და ცენტრალური აზია); საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე; **საზოგადოება** სოციალური ფენა, ეკონომიკა, კულტურა; რელიგია; მსოფლმხედველობა; ეთნოსი/ერი; „კულტურული სხვა“; **ისტორიული მოვლენა/პროცესი** პოლიტიკური ისტორია; სოციალური ისტორია; **ძალაუფლება** სახელმწიფო, დემოკრატია. **წყარო, ისტორიული ინტერპრეტაცია და კვლევა** წყარო (პირველადი, მეორადი), ფაქტი/ინტერპრეტაცია/ სტერეოტიპი, ისტორიოგრაფია, ისტორიის დამხმარე დისციპლინები.

საკითხები

ეროვნული სასწავლო გეგმა თემების გასაშლელად საჭირო საკითხებს <u>სავალდებულო სახით არ განსაზღვრავს</u>. პედაგოგებსა და სახელმძღვანელოს ავტორებს უფლება აქვთ, თითოეული თემისთვის საკითხები თავად შეარჩიონ. თუმცა, სავალდებულოა შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინება:

- თითოეულ თემაში წარმოდგენილი უნდა იყოს საკითხები როგორც მსოფლიო, ისე საქართველოს ისტორიიდან;
- საკითხების შერჩევისას აქცენტი უნდა გაკეთდეს საქართველოს ისტორიისთვის საკვანძო მოვლენებისა და პიროვნებების წარმოჩენაზე.

თემა: პრეისტორია / ქვის ხანა
შეფასების ინდიკატორები – მოსწავლემ უნდა შეძლოს: • ქვის ხანისთვის / პრეისტორიისთვის დამახასიათებელი არსებითი ნიშნების (გვაროვნული თემი, მაგია, მეურნეობა (შემგროვებლობა-მონადირეობა, მიწათმოქმედება-მესაქონლეობა)) გამოკვეთა **(ისტ. საბ.1,2,3,4,5,7,9,10,11,12)**; • არქეოლოგიური და ეთნოლოგიური მონაცემების საფუძველზე ქვის ხანის მოვლენების შესწავლა-ინტერპრეტირება **(ისტ.საბ.1,2,3,5,7,8,9,10,11,12)**; • პირველყოფილი საზოგადოების (სოციალური ფენები, მეურნეობის ფორმები, მსოფლმხედველობა) თანამედროვე და/ან სხვა ისტორიული ეპოქის საზოგადოებასთან შედარება **(ისტ.საბ.1,2,3,7,9,10,11,12)**; • „ნეოლითური რევოლუციის“ მისთვის ცნობილ სხვა ისტორიულ მოვლენებთან შედარება **(ისტ. საბ.1,2,3,6,7,8,9,10,11,12)**.
თემა: ბრინჯაოს ხანა / ძველი აღმოსავლეთი
შეფასების ინდიკატორები – მოსწავლემ უნდა შეძლოს: • საქართველოს ტერიტორიაზე ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურებისა და ლურსმული ფირფიტების მონაცემების საფუძველზე ძველაღმოსავლური პერიოდის/ბრინჯაოს ხანის საზოგადოების დახასიათება **(ისტ.საბ. 1,2,3,4,5,7,9,10,11,12)**; • ძველაღმოსავლური პერიოდისთვის/ბრინჯაოს ხანისთვის დამახასიათებელი არსებითი ნიშნების (დამწერლობა, სახელმწიფოებრიობა, რელიგიური სისტემები, „კომპლექსური საზოგადოება“) გამოკვეთა **(ისტ. საბ.1,2,3,5,7,8,9,10,11,12);** • ძველაღმოსავლური საზოგადოების (სოციალური ფენები, სახელმწიფო მოწყობა, სამართლებრივი აზროვნება (კანონები), მეურნეობის ფორმები, რელიგია და მსოფლმხედველობა) თანამედროვე და/ან სხვა ისტორიული ეპოქის საზოგადოებასთან შედარება **(ისტ.საბ.1,2,3,7,9,10,11,12)**; • დამწერლობისა და სახელმწიფო ინსტიტუტების წარმოქმნის მიზეზებზე მსჯელობა; სახელმწიფოს წარმოქმნით გამოწვეული კომპლექსური ცვლილებების დახასიათება და სხვა ისტორიულ მოვლენებთან მათი შედარება **(ისტ.საბ.1,2,3,6,7,8,9,10,11,12)**.

თემა: ანტიკური და გვიანანტიკური ხანა
შეფასების ინდიკატორები – მოსწავლემ უნდა შეძლოს: • არქეოლოგიური, ნუმიზმატიკური, მითოლოგიური, ბერძენი და რომაელი ისტორიკოსების ცნობების საფუძველზე ანტიკური და გვიანანტიკური საზოგადოების დახასიათება **(ისტ.საბ.1,2,3,4,5,7,9,10,11,12);** • ანტიკური და გვიანანტიკური ხანისთვის დამახასიათებელი არსებითი ნიშნების (მმართველობის ფორმები, ქალაქები, სავაჭრო ურთიერთობები, რელიგიები, მიგრაციული პროცესები) გამოკვეთა **(ისტ. საბ.1,2,3,5,7,8,9,10,11,12);** • ანტიკური და გვიანანტიკური საზოგადოების (სოციალური ფენები, სახელმწიფო მოწყობა, სამართლებრივი აზროვნება, მეურნეობის ფორმები, რელიგია და მსოფლმხედველობა) თანამედროვე და/ან სხვა ისტორიული ეპოქის საზოგადოებასთან შედარება **(ისტ.საბ.1,2,3,7,9,10,11,12)**; • ბერძნული კოლონიზაციის, ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობების, რომის მსოფლიო იმპერიად ჩამოყალიბების, ,,ხალხთა დიდი გადასახლების“ შედეგად გამოწვეული ცვლილებების დახასიათება; საქართველოზე მათი ზეგავლენის გაანალიზება; მათი სხვა ისტორიულ მოვლენებთან შედარება **(ისტ. საბ.1,2,3,6,7,8,9,10,11,12)**.

საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვები

საფეხურებრივი საკვანძო კითხვები სტანდარტის ცნებებს აკავშირებს შედეგებთან.

- საიდან ვიცით, რომ წარსულში ყველაფერი მართლაც ისე ხდებოდა, როგორც ამას ისტორიკოსები გადმოგვცემენ?
- როგორ უნდა გავარკვიოთ, რა მოხდა სინამდვილეში, როდესაც სხვადასხვა წყარო ერთმანეთისგან განსხვავებულ ინფორმაციას გვაწვდის? რომელი ისტორიული წყარო იმსახურებს ნდობას?
- რატომ იცვლება ყველაფერი (ყოფა-ცხოვრება, ტექნოლოგიები, ტრადიციები, ღირებულება/დამოკიდებულებები) ჩვენ გარშემო? რატომ არის ცვალებადობა ისტორიის განუყოფელი ნაწილი? რატომ განსხვავდება ისტორიული ეპოქები ერთმანეთისგან?
- რატომ უნდა გავითვალისწინო ფაქტების, მოვლენებისა და პროცესების შეფასებისას ისტორიული გარემო (კონტექსტი), რომელსაც ისინი უკავშირდება?
- როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები საქართველოში სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში (როგორი იყო მათი ყოფა, ყოველდღიური ცხოვრება, მსოფლმხედველობა)?
- რატომ უნდა ვსწავლობდე საკუთარი ქვეყნისა და მსოფლიოს ისტორიას?
- როგორ ვისწავლო ისტორია?

გ) მეთოდიკური ორიენტირები

საგნის სწავლა-სწავლება უნდა წარიმართოს შემდეგი პრინციპების დაცვით:

ა) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა მოტივირებასა და შინაგანი ძალების გააქტიურებას.

ბ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

გ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებას.

დ) სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლას).

ე) სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს.

დისციპლინის წვდომისათვის, სასწავლო პროცესში აქცენტი, პირველ რიგში, უნდა კეთდებოდეს ისტორიული მოვლენის ანალიზზე, წარსულში მომხდარი ფაქტის დღევანდელობასთან დაკავშირებაზე, ასევე თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკური პროცესების განვითარების პერსპექტივათა განსაზღვრაზე.

საგნობრივი შედეგების გარდა, ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებიდან სწავლა-სწავლებისა და შეფასების სამიზნედ ასევე უნდა იქცეს შემდეგი გამჭოლი უნარები და ღირებულებები:

პრობლემების გადაჭრა	• პრობლემის ამოცნობა, აღწერა და გაანალიზება; • პრობლემის გადაჭრის გზების ძიება, მათგან ყველაზე ეფექტურის შერჩევა.
შემოქმედებითი აზროვნება	• ჩანაფიქრის შემოქმედებითად განხორციელება; • ორიგინალური იდეების გამოვლენა და ხორცშესხმა; ახლის შექმნა; • დასმული პრობლემების გადასაჭრელად არასტანდარტული გზების მოძიება; • სწრაფვა გარემოს გარდაქმნა-გაუმჯობესებისკენ; • გამოწვევების მიღება, სასკოლო საქმიანობაში გაბედული ნაბიჯების გადადგმა.
თანამშრომლობა	• სამუშაოს თანასწორად განაწილება და შესრულება ჯგუფური/გუნდური მუშაობის დროს; • მზაობა ჯგუფში/გუნდში სხვადასხვა ფუნქციის შესასრულებლად (მაგ., ლიდერის); • განსხვავებული იდეების, შეხედულებების კონსტრუქციულად განხილვა; • რესურსების, მოსაზრებების, ცოდნის გაზიარება პრობლემათა ერთობლივად გადაჭრის, გადაწყვეტილებათა ერთობლივად მიღების მიზნით.
კომუნიკაცია	• განცდილის, ნააზრევის მიტანა მსმენელამდე/მკითხველამდე, მათზე შთაბეჭდილების მოხდენა; • ინფორმაციის გაზიარება საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი ვერბალური და არა-ვერბალური საშუალებების გამოყენებით; • სხვისი მოსმენისა და გაგების უნარი; • პიროვნული ღირსების გააზრებისა და დაფასების უნარი.
ეთიკა	• ეთიკური და ქცევითი ნორმების დაცვა; • სოლიდარობის განცდა; • სხვებისადმი ემპათია; • პიროვნული ღირსების გააზრებისა და დაფასების უნარი; • განსხვავებულობის მიმღებლობა; • საკუთარ სოციალურ აქტივობაზე პასუხისმგებლობის გააზრება.
მეწარმეობა, ინიციატივების გამოვლენა და საქმედ ქცევა	• სწავლა-სწავლების პროცესში ინტერესისა და ცნობისმოყვარეობის გამოვლენა; • ახალი იდეების, მიდგომების, შესაძლებლობების ძიება და მათი განხორციელება სწავ-ლის გაუმჯობესების მიზნით; • მზაობა გამოწვევების მისაღებად, გაბედული ნაბიჯების გადასადგმელად.
სწავლის სწავლა **დამოუკიდებლად საქმიანობა**	• აქტივობის/დავალების ღირებულების განსაზღვრა – მოსწავლემ უნდა დაინახოს, რას შესძენს აქტივობის შესრულება, რა პიროვნულ თუ სოციალურ სარგებელს მოუტანს მას; • აქტივობის/დავალების დაგეგმვა – (მოთხოვნათა გააზრება და მის შესასრულებლად საჭირო ცოდნის განსაზღვრა; დავალების/აქტივობის მთავარი მიზნის განსაზღვრა; სამუშაოს წარმა-ტებით შესრულების კრიტერიუმების დადგენა; განსახორციელებელი სამუშაოს ეტაპების გამოკვეთა; იმის განჭვრეტა, თუ რა გაუადვილდება, რა გაუძნელდება, რაში დასჭირდება დახმარება; სტრატეგიების მიზანშეწონილად შერჩევა სამუშაოს თითოეული ეტაპისათვის; • სწავლის პროცესის მონიტორინგი – დაფიქრება სწავლის პროცესზე, იმ პირობებისა და ფაქტორების ამოცნობა, რომლებიც ხელს უწყობს ან აფერხებს წინსვლას, სათანადო ზომების მიღება წინსვლის ხელშესაწყობად; თვითშეფასება ძლიერი და სუსტი მხარების დასადგენად, სუსტი მხარეების გასაძლიერებლად გზების დასახვა; • სოციოემოციური მართვა – ნერვიულობის მინიმუმამდე დაყვანა, საჭიროებისამებრ, დახ-მარების თხოვნა, საკუთარ თავში სიძნელეთა გადალახვის რესურსების პოვნა; შეცდომების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება და წინსვლის წყაროდ გამოყენება; • ცალკეული საქმიანობისთვის გამოყოფილი დროის ეფექტურად გამოყენება.
პასუხისმგებლობა	• სასკოლო საქმიანობებში (სასკოლო ცხოვრებაში) ნაკისრი ვალდებულების შესრულება; • სამუშაოს დადგენილ ვადებში დასრულება და ჩაბარება; • საკუთარი ქცევის მართვა, საკუთარ ქცევებზე, სოციალურ აქტივობებზე პასუხის-მგებლობის აღება.
ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება	• საძიებო სისტემაში (მაგ.: ებსკო, ელსევიარი) პერიოდიკის მოძიება; • Google Maps-ში ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირებული, ონლაინ რუკების შექნა და მათი ინტერნეტის საშუალებით გავრცელება. • საძიებო სისტემაში (მაგ.: გუგლი) სხვადასხვა ტიპის (მაგ.: ინტერაქტიული და ა.შ.) თე-მატური ელექტრონული რუკების მოძიება; • ისტორიული შინაარსის ელექტრონული ტექსტების (მაგ. ვიკიტექსტების) შექმნა და ატვირთვა; • სპეციფიკური შინაარსის დიაგრამებთან და გრაფიკებთან მუშაობა (მაგ.: ტერიტორიული, დემოგრაფიული, საზოგადოებრივი განწყობების ზრდა-კლების და ა.შ.) ექსელის საშუალებით. • ვებგვერდის/ბლოგის შექმნა და სასწავლო პროცესის განმავლობაში განხორციელებული სხვადასხვა პროექტის, ვებგვერდზე/ ბლოგზე განთავსება; • ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება (მაგ., Word, PowerPoint) სასწავლო მასალისა და სხვადასხვა ტიპის ელექტრონული ტექსტების დასამუშავებლად.
წიგნიერება	• ზეპირი და წერითი მეტყველების გზით ინფორმაციის მიღების, დამუშავების, გააზ-რების, სისტემაში მოყვანისა და წარდგენა-გაზიარების უნარი.

სწავლის უნარების გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია ზრუნვა მეტაკოგნიციის უნარების განვითარებაზე, რისთვისაც მასწავლებელმა პერიოდულად სამი ტიპის აქტივობა უნდა ჩაატაროს. ეს აქტივობებია:

სტრატეგიების მოდელირება: მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ასრულებს დავალებას და მისი შესრულებისას „ხმამაღლა ფიქრობს" იმაზე, თუ როგორ შეასრულოს ეს აქტივობა (მაგ., კარგად გავეცნოთ პირობას და დავაკვირდეთ, რას მოითხოვს იგი; აქვს თუ არა პირობას თანხმლები მასალა და მისთ).

წინმსწრები მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულებამდე დაფიქრება და მსჯელობა გადასადგმელ ნაბიჯებზე – მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაეცნობიან დავალების პირობას, შევასრულებინებთ მეტაკოგნიტური ხასიათის ამგვარ აქტივობას: მათ ჯგუფურად უნდა განსაზღვრონ ის გზა, რომლითაც დავალებას შეასრულებენ, სახელდობრ: დეტალურად აღწერონ დავალების შესრულების ეტაპები (რას შეასრულებენ რის შემდეგ და სხვ.), ასევე სტრატეგიები, რომლებსაც გამოიყენებენ თითოეულ ეტაპზე. ჯგუფებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები და იმსჯელონ შერჩეული გზებისა თუ სტრატეგიების მიზანშეწონილობაზე.

შემდგომი მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულების შემდეგ დაფიქრება და მსჯელობა გადადგმულ ნაბიჯებზე – მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შეასრულებენ კონკრეტულ დავალებას, მათ უნდა გაიხსენონ და აღწერონ განვლილი გზა: რა გააკეთეს რის შემდეგ? რა ხერხები გამოიყენეს მუშაობისას? რა გაუჭირდათ ან რა გაუადვილდათ? შესრულებული მოქმედებების აღწერის შედეგად მოსწავლეები გააცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ მიზნის მისაღწევად არსებობს სხვადასხვა გზა და ხერხი, რომლებზეც დავალების შესრულებამდე უნდა დაფიქრდნენ (ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად). მეტაკოგნიტური პაუზა მოსწავლეებს განუვითარებს სწავლის უნარებს და აუმაღლებს სწავლის ქმედუნარიანობას.

წლიური პროგრამისა და სასწავლო თემის აგების პრინციპები

ეროვნული სასწავლო გეგმის საფეხურებრივი საგნობრივი სტანდარტები განსაზღვრავს სავალდებულო საგნობრივ მოთხოვნებს (რა უნდა შეეძლოს და რა უნდა იცოდეს მოსწავლემ). მათზე დაყრდნობით იგეგმება წლიური პროგრამები, რომლებიც გვიჩვენებს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებს.

წლიური პროგრამები უნდა დაიგეგმოს სავალდებულო სასწავლო თემების საშუალებით. სასწავლო თემა წამოადგენს ფუნქციურ კონტექსტს, რომელიც სტანდარტის ნაწილების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. რამდენადაც შედეგები საგნის სწავლების გრძელვადიან მიზნებს წარმოადგენს, **თითოეული თემის ფარგლებში სტანდარტის ყველა შედეგი უნდა დამუშავდეს**. მაშასადამე, სასწავლო თემების ცვლით შეიცვლება კონტექსტები, მაგრამ არ შეიცვლება სწავლის მიზნები, რომლებიც სტანდარტის შედეგების სახითაა ფორმულირებული (შედეგი თავისთავად არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სასწავლო ერთეულს – თემას).

სასწავლო თემის დასაგეგმად გამოიყენება შემდეგი კომპონენტები:

სასწავლო თემა სასწავლო თემა წარმოადგენს ფუნქციურ კონტექსტს, რომელიც სტანდარტის შედეგების, ცნებებისა თუ კონკრეტული საკითხების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში, შეძლებისდაგვარად, უნდა დამუშავდეს სტანდარტის ყველა შედეგი.
საგნობრივი საკითხები წლიური თემების ფარგლებში გამოიყოფა საგნობრივი საკითხები. საგნობრივი საკითხების სწავლება თვითმიზანს არ წარმოადგენს. საგნობრივი საკითხების მეშვეობით მოსწავლე გაიაზრებს ცნების შინაარსს, ამუშავებს საკვანძო შეკითხვებს, ასრულებს კომპლექსურ დავალებებს.
თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები ცნებები განსაზღვრავს იმ არსებით ცოდნას, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს.
საკვანძო შეკითხვები თემატური საკვანძო შეკითხვები გამომდინარეობს საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვებიდან და დაისმის თემის კონკრეტულ კონტექსტში. მათი ფუნქციაა: • მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, პროვოცირება ახალი ცოდნის შესაძენად; • სასწავლო თემის შედეგზე ორიენტირებულად სწავლა-სწავლების უზრუნველყოფა; • თემის სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური ბიჯების/ეტაპების განსაზღვრა. საკვანძო შეკითხვა წარმოადგენს მაორგანიზებელ ელემენტს, რომელიც სასწავლო თემის ფარგლებში ასრულებს გაკვეთილ(ებ)ის მიზნის როლს.

აქტივობები მიმდინარე დავალებების ტიპების/ნიმუშების ჩამონათვალი, რომლებიც შეიძლება იყოს გამოყენებული გაგება-გააზრების პროცესების ხელშესაწყობად, ასევე ცოდნის ათვისების, განმტკიცებისა თუ შეჯამების მიზნით. **კომპლექსურ/პროექტულ დავალებათა იდეების ჩამონათვალი** კომპლექსური/პროექტული დავალებები წარმოადგენს იმგვარ აქტივობებს, რომელთა შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში.
შეფასების ინდიკატორები შეფასების ინდიკატორები სტანდარტის შედეგებიდან გამომდინარეობს და აჩვენებს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. სხვა სიტყვებით, ინდიკატორები წარმოადგენს კონკრეტულ თემაში რეალიზებულ შედეგებს. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის ის სავალდებულო მინიმუმი, რომელსაც მოსწავლე თემის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. შეფასების ინდიკატორებზე დაყრდნობით ყალიბდება კრიტერიუმები შეფასების რუბრიკებისთვის.
მკვიდრი წარმოდგენები მკვიდრი წარმოდგენები განისაზღვრება სტანდარტის შედეგებზე დაყრდნობით. ეს არის ზოგადი წარმოდგენები, რომლებიც თემის შესწავლისას უნდა ჩამოყალიბდეს მოსწავლის ხანგრძლივ მეხსიერებაში მის (მოსწავლის) წინარე წარმოდგენებზე დაყრდნობით, რათა მას თემის ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევა გაუადვილდეს. მკვიდრი წარმოდგენები აზროვნების საყრდენია გაგების აქტების განსახორციელებლად.

როგორ აიგება სასწავლო თემა?

სასწავლო თემის ასაგებად უმთავრესი ორიენტირებია სტანდარტის შედეგები. ისინი სტანდარტში სავალდებულო სახითაა განსაზღვრული. ცნებებსა და შედეგებზე დაყრდნობით განისაზღვრება **მკვიდრი წარმოდგენები**, **საკვანძო კითხვები** და **შეფასების ინდიკატორები**.

სასწავლო თემის სწავლა-სწავლების მიზნით შემდეგ ეტაპზე უნდა განისაზღვროს საგნობრივი საკითხები, რესურსები, დავალებების ტიპები/ნიმუშები გაგების, გააზრების, განმტკიცებისა და შეჯამების მიზნით. ასევე მნიშვნელოვანია განისაზღვროს **იდეები შემაჯამებელი კომპლექსური დავალებებისთვის**, რადგან მხოლოდ კომპლექსური დავალებების საშუალებით შეიძლება გამოვლინდეს, რამდენად დაეუფლა მოსწავლე თემის ფარგლებში ასათვისებელ ცოდნა-უნართა ერთობლიობას და რამდენად ახერხებს მათ ფუნქციურად გამოყენებას.

სასწავლო თემის აგების ბიჯები

ნაბიჯი 1. **მკვიდრი წარმოდგენების დადგენა**	
ნაბიჯი 2. **თემატური საკვანძო კითხვების დასმა**	
ნაბიჯი 3. **შეფასების ინდიკატორების განსაზღვრა**	
ნაბიჯი 4. **საგნობრივი საკითხების განსაზღვრა**	
ნაბიჯი 5. **აქტივობებისა და მიმდინარე დავალებების დაგეგმვა და რესურსების შერჩევა**	
ნაბიჯი 6. **შემაჯამებელი კომპლექსური დავალებების შემუშავება**	

დ) შეფასება

სტანდარტის ამ ნაწილში წარმოდგენილია შეფასების პრინციპები. საკლასო შეფასება უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის პირველი კარის მე-7 თავში განსაზღვრულ შეფასების პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ხელშესაწყობად უპირატესი ადგილი უნდა მიენიჭოს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც მოსწავლეს თავისსავე წინარე შედეგებთან მიმართებით აფასებს, ზომავს მის ინდივიდუალურ წინსვლას, რითაც მას ცოდნის ეტაპობრივი კონსტრუირების საშუალებას აძლევს.

მნიშვნელოვანია, მოსწავლე თავად იყოს ჩართული განმავითარებელ შეფასებაში. სწავლის პროცესის შეფასება მოსწავლეს გამოუმუშავებს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს, დაეხმარება სწავლის სტრატეგიების ათვისებაში, საშუალებას მისცემს, გაცნობიერებულად შეუწყოს ხელი საკუთარ წინსვლასა და წარმატებას. შეფასებაში ჩართვის ძირითად მიზანს წარმოადგენს მოსწავლის გათვითცნობიერება სწავლის პროცესებში, რაც მას ამ პროცესების გააზრებულად და დამოუკიდებლად მართვას შეასწავლის. მაგალითად, თუ მოსწავლე კარგად გაიაზრებს აქტივობის მიზანსა და ამ მიზნის წარმატებით მიღწევის კრიტერიუმებს (მოსწავლისათვის განკუთვნილი კრიტერიუმები ნათლად ფორმულირებული და შეზღუდული რაოდენობის უნდა იყოს), იგი უკეთ დაინახავს იმ ნაბიჯებს, რომლებიც უნდა გადადგას სასურველი შედეგის მისაღწევად და უფრო გააზრებულად წარმართავს მიზნისაკენ მიმავალ პროცესებს. თუ აქტივობის დასრულებისას მას ვთხოვთ, გააანალიზოს განვლილი გზა – რა ნაბიჯები გადადგა, რა შედეგს მიაღწია, რა მიდგომა გამოიყენა, კიდევ რომელი მიდგომის გამოყენება შეიძლებოდა ან აჯობებდა, რამ შეუქმნა პრობლემა, რა გაუჭირდა ან ვერ გადაჭრა და რატომ, რა გაუადვილდა, რამ შეუწყო ხელი წარმატებაში და სხვ., ეს ხელს შეუწყობს მისი სწავლის ქმედუნარიანობის გაზრდას.

შემაჯამებელი (განმავითარებელი და განმსაზღვრელი) შეფასება

შემაჯამებელი შეფასებისათვის გამოიყენება კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებები, რომელთა შესრულება მოითხოვს სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ინტეგრირებულად და ფუნქციურად გამოყენებას. ამ დავალებათა შესაფასებლად გამოიყენება შეფასების რუბრიკები, ანუ კრიტერიუმების ბადე.

მოსწავლეს თითოეული სასწავლო თემის დამუშავების შემდეგ ევალება შემაჯამებელი დავალების წარმოდგენა. მაშასადამე, შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა წლის განმავლობაში სავალდებულო სასწავლო თემების რაოდენობას ემთხვევა.

ტიპობრივი დავალებები შემაჯამებელი შეფასებისათვის

სტანდარტში შემოთავაზებულია ტიპობრივ დავალებათა ფართო არჩევანი. შემაჯამებელი შეფასებისათვის მასწავლებელი და/ან მოსწავლე შეარჩევს დავალების სასურველ ტიპს/ტიპებს:

ქვემოთ გთავაზობთ სტანდარტით გათვალისწინებულ ტიპობრივ შემაჯამებელ დავალებათა ნუსხას. მოსწავლეზე და/ან მასწავლებელზეა დამოკიდებული, თუ რომელ დავალებას/დავალებებს შეარჩევს.

- წყაროს გარჩევა;
- ვიდეომასალისა და ფილმების გარჩევა;
- მუზეუმში სტუმრობა;
- ექსკურსია;
- გამოკითხვა/კვლევის ჩატარება;
- როლური თამაში – პიესის დადგმა, რაიმეს ინსცენირება;
- ლიტერატურული შინაარსის შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა (პირველ პირში დღიურის, ჩანახატის დაწერა);
- რეფერატი/თემის მომზადება;
- საინფორმაციო ტიპის პროექტი – გაზეთი პლაკატი, პოსტერი, ბუკლეტი, ფლაერი;
- ნახატის/ნაძერწის/მაკეტის შექმნა.

მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შემაჯამებელი განმსაზღვრელი შეფასებისათვის განკუთვნილი დავალება:

- დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს თავისი შეფასების ზოგადი რუბრიკა;
- ზოგადი რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
- 10 ქულა უნდა გადანაწილდეს რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე.

შეფასების რუბრიკის შესაძლო ფორმა

კლასი **მოსწავლის სახელი, გვარი**		
თემა		
დავალების პირობა		
შეფასების კრიტერიუმები	**ქულები**	**კომენტარი**

საბაზო საფეხურის ისტორიის პროგრამა

საბაზო საფეხურის ისტორიის პროგრამა სარეკომენდაციო ხასიათისაა
და აჩვენებს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების შესაძლო გზებს.

საბაზო საფეხურის ისტორიის პროგრამა შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

სასწავლო თემა

სასწავლო თემა წარმოადგენს ფუნქციურ კონტექსტს, რომელიც სტანდარტის შედეგების, ცნებებისა თუ კონკრეტული საკითხების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში, შეძლებისდაგვარად, უნდა დამუშავდეს სტანდარტის ყველა შედეგი.

საგნობრივი საკითხები

წლიური თემების ფარგლებში გამოიყოფა საგნობრივი საკითხები. საგნობრივი საკითხების სწავლება თვითმიზანს არ წარმოადგენს.

საგნობრივი საკითხების მეშვეობით მოსწავლე გაიაზრებს ცნების შინაარსს, ამუშავებს საკვანძო შეკითხვებს, ასრულებს კომპლექსურ დავალებებს.

თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები

ცნებები განსაზღვრავს იმ არსებით ცოდნას, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს.

საკვანძო შეკითხვები

თემატური საკვანძო შეკითხვები გამომდინარეობს საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვებიდან და დაისმის თემის კონკრეტულ კონტექსტში. მათი ფუნქციაა:

- მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, პროვოცირება ახალი ცოდნის შესაძენად;
- სასწავლო თემის შედეგზე ორიენტირებულად სწავლა-სწავლების უზრუნველყოფა;
- თემის სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური ბიჯების/ეტაპების განსაზღვრა. საკვანძო შეკითხვა წარმოადგენს მაორგანიზებელ ელემენტს, რომელიც სასწავლო თემის ფარგლებში ასრულებს გაკვეთილ(ებ)ის მიზნის როლს.

აქტივობები

მიმდინარე დავალებების ტიპების/ნიმუშების ჩამონათვალი, რომლებიც შეიძლება იყოს გამოყენებული გაგება-გააზრების პროცესების ხელშესაწყობად, ასევე ცოდნის ათვისების, განმტკიცებისა თუ შეჯამების მიზნით.

კომპლექსურ/პროექტულ დავალებათა იდეების ჩამონათვალი

კომპლექსური/პროექტული დავალებები წარმოადგენს იმგვარ აქტივობებს, რომელთა შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში.

შეფასების ინდიკატორები

შეფასების ინდიკატორები სტანდარტის შედეგებიდან გამომდინარეობს და აჩვენებს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. სხვა სიტყვებით, ინდიკატორები წარმოადგენს კონკრეტულ თემაში რეალიზებულ შედეგებს. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის ის სავალდებულო მინიმუმი, რომელსაც მოსწავლე თემის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. შეფასების ინდიკატორებზე დაყრდნობით ყალიბდება კრიტერიუმები შეფასების რუბრიკებისთვის.

მკვიდრი წარმოდგენები

მკვიდრი წარმოდგენები განისაზღვრება სტანდარტის შედეგებზე დაყრდნობით. ეს არის ზოგადი წარმოდგენები, რომლებიც თემის შესწავლისას უნდა ჩამოყალიბდეს მოსწავლის ხანგრძლივ მეხსიერებაში მის (მოსწავლის) წინარე წარმოდგენებზე დაყრდნობით, რათა მას თემის ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევა გაუადვილდეს. მკვიდრი წარმოდგენები აზროვნების საყრდენია გაგების აქტების განსახორციელებლად.

სამიზნე ცნებები

სამიზნე ცნება / ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	მაგალითები – ტრანსფერის არეალი
დრო • ისტორია დროში მიმდინარე ცვალებადობის შემსწავლელი დარგია; • ცვალებადობა, ერთი მხრივ, წარსულის, აწმყოსა და მომავლის ორგანულ კავშირს გულისხმობს, ოღონდ იმ პირობით, რომ არაფერია უცვლელი და დროში გაყინული. • დროში მიმდინარე კაცობრიობის მიერ განვლილი გზა სხვადასხვა ისტორიულ ეპოქებად და პერიოდებად იყოფა.	**ზოგადი არეალი – ისტორიული ეპოქა:** ცვალებადობა, ქრონოლოგია, წელთაღრიცხვის სისტემა, საუკუნე, ათასწლეული, ისტორიული პერიოდი, ეპოქა;
სივრცე • ისტორია დროსა და სივრცეში მიმდინარე კაცობრიობის განვლილ გზას სწავლობს; • ადამიანები უძველესი დროიდან დღემდე სახლობენ დედამიწის სხვადასხვა ნაწილებში – განსხვავებული გეოგრაფიული არეალი საკუთარ კვალს აჩნევს ადამიანთა განვითარებას; • ადამიანთა განსახლების დიდი ან მცირე არეალები გარკვეული კულტურული ან ცივილიზაციური ერთობით შეიძლება ხასიათდებოდეს.	**ზოგადი არეალი – ისტორიული ეპოქა:** კონტინენტი (ევროპა, აზია); რეგიონი (კავკასია, მცირე აზია, ხმელთაშუაზღვისპირეთი, ახლო აღმოსავლეთი, ცენტრალური აზია); საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე;
საზოგადოება • ყველა დროს, ყველა ისტორიულ ეპოქაში ადამიანთა დიდი ჯგუფები საკუთარი ინტერესების, წარმომავლობის, განათლების, ქონების, საქმიანობის და ა.შ. ნიშნებით ერთიანდებოდნენ ხოლმე, შესაბამისად, საერთო ქცევითი წესები და ღირებულებები გააჩნდათ; • როდესაც ადამიანებს აქვთ მსგავსი შეხედულებები სამყაროსა და კაცობრიობის განვითარების კანონზომიერებაზე, რელიგიური სისტემები, ყოფა-ცხოვრების გამომხატველი მატერიალური და არამატერიალური კულტურა და ღირებულებათა სისტემა, რაც მათ აახლოებს ისე, რომ ამ ნიადაგზე ენობრივი განსხვავებულობის მიუხედავადაც ესმით, შეგვიძლია საერთო კულტურულ მოცემულობაზე ვისაუბროთ. • საზოგადოების წევრებს გარკვეული ფაქტორების მიმღებლობის შედეგად გააჩნიათ საერთო იდენტობის განცდა და ზოგი ადამიანი, რომელიც მათთვის მიუღებელია ქცევით ან ღირებულებებით, მისთვის მიუღებლად და საშიშად აღიქმება. შიშის საფუძველი კი ხშირად იმ „სხვის“ არცოდნაა.	**ზოგადი არეალი – ისტორიული ეპოქა:** სოციალური ფენა, ეკონომიკა, კულტურა; რელიგია; მსოფლმხედველობა; ეთნოსი/ერი; „კულტურული სხვა“;
ისტორიული მოვლენა/პროცესი • დროის კონკრეტულ მონაკვეთშიც შეიძლება მოხდეს რაიმე იმდენად მნიშვნელოვანი, რასაც ადამიანთა ცხოვრებაზე, მათ მომავალზე არსებითი გავლენა შეიძლება ჰქონდეს; • ხანგძლივ მონაკვეთში მიმდინარე, ტიპურად მსგავს მოვლენათა ერთობლიობას, სხვადასხვა ტიპის ძირეული ცვლილებების გამოწვევა შეუძლია ადამიანების, ხალხებისა თუ სახელმწიფოების განვითარებაში. • მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში განვითარებული ფაქტები, მოვლენები და პროცესები შეიძლება ერთმანეთს ჰგავდეს, ისინი არ შეიძლება იდენტური იყოს თვისობრივად.	**ზოგადი არეალი – ისტორიული ეპოქა:** პოლიტიკური ისტორია; სოციალური ისტორია;
ძალაუფლება • ძალაუფლება საკუთარი მსოფლმხედველობის სხვისთვის თავსმოხვევის, საზოგადოებრივ პროცესებზე ზემოქმედების უნარი და შესაძლებლობაა, რომელსაც კაცობრიობის არსებობის მანძილზე ჰქონდა როგორც დადებითი, ისე უარყოფილი გამოვლინებები. • ძალაუფლების გარკვეული ჯგუფის ხელში კონცენტრირებამ, სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად, განაპირობა სახელმწიფოს შექმნა. ამა თუ იმ ქვეყანაში სადაც ერთი ან რამდენიმე მონათესავე ეთნოსი ცხოვრობდა, ადამიანები შეეგუებოდნენ საკუთარი უფლებების ნაწილობრივ შეზღუდვას, თუ იარსებებდა საზოგადოებრივი და პოლიტიკურ ფორმები (ინსტიტუციები), რომლებიც დაიცავდა მათ კანონის საფუძველზე. • მმართველობის ფორმები განსხვავებულია. ერთ-ერთი ფორმაა, როდესაც ძალაუფლება არ არის ვერტიკალური და ერთპიროვნული, არამედ საზოგადოების ფართო ჩართულობა და თანამონაწილეობაა უზრუნველყოფილი. დემოკრატია ისტორიულად სახელმწიფოსა და ხელისუფლების, პოლიტიკური რეჟიმის პროგრესული ფორმაა, ხალხის მმართველობის სინონიმია.	**ზოგადი არეალი – ისტორიული ეპოქა:** სახელმწიფო, დემოკრატია.
წყარო, ისტორიული ინტერპრეტაცია და კვლევა • ისტორიული კვლევა პირველადი ისტორიული წყაროების გამოყენების გარეშე შეუძლებელია, რადგან მსჯელობა სანდოობას მოკლებულია; • ინფორმაცია შეიძლება იყოს საკუთარი თვალთახედვიდან (მიკერძოებით) ან ნეიტრალურად გადმოცემული, ამიტომ ისტორიული მოვლენის/პროცესის შეფასებისას ინფორმაცია გადამოწმდეს ხელთ არსებული სხვადასხვა რესურსებით. • ვინაიდან ეპოქების კვალდაკვალ ისტორიული პროცესების შეფასებებიც იცვლებოდა, თავად საგან ისტორიასაც აქვს თავისი ისტორია – რასაც ისტორიოგრაფიას ვუწოდებთ.	**ზოგადი არეალი – ისტორიული ეპოქა:** წყარო (პირველადი, მეორადი), ფაქტი/ინტერპრეტაცია/სტერეოტიპი, ისტორიოგრაფია, ისტორიის დამხმარე დისციპლინები.

სასწავლო თემების დაგეგმვა

ყოველი გაკვეთილისათვის მასწავლებელი საგულდაგულოდ უნდა ემზადებოდეს. იმისათვის, რომ მასწავლებელმა მიაღწიოს შედეგს, პირველ რიგში უნდა დაისახოს მიზანი. სწორედ ამიტომ, საჭიროა გაკვეთილის დაგეგმვისას მასწავლებელმა საკუთარ თავს დაუსვას რამდენიმე კითხვა, რომელიც დაეხმარება შედეგის მიღწევაში. ეს კითხვებია: რას უნდა მიაღწიოს მასწავლებელმა ანუ რა შედეგზე უნდა გავიდეს? რა უნარ-ჩვევებს შეიძენს მოსწავლე, როგორ, რა საშუალებებით? რა მეთოდებისა და რა რესურსების გამოყენებით? ორგანიზების რომელი ფორმით (წყვილებში, ჯგუფებში თუ ინდივიდუალურად), ასევე მნიშვნელოვანია – რა დროში.

მასწავლებელმა წინდაწინ უნდა განსაზღვროს, რას, ვის და როგორ, რა ფორმით აფასებს: მაგალითად, თუ მასწავლებლის მიზანს წარმოადგენს მოსწავლეთა შეფასება არგუმენტირებული მსჯელობის მიხედვით, მას წინდაწინ უნდა ჰქონდეს მომზადებული არგუმენტირებული მსჯელობის შეფასების სქემა ან რუბრიკა, რომელიც ცნობილი იქნება მოსწავლეებისათვის. ასევე, მასწავლებლის გადასაწყვეტია, ვინ და რა შეფასდება გაკვეთილზე, ჯგუფური, ინდივიდუალური მუშაობა თუ რამდენიმე მოსწავლის ნაშრომი, და შეფასების რომელ ფორმას გამოიყენებს – განმსაზღვრელს თუ განმავითარებელს. მნიშვნელოვანია მასწავლებელს მომზადებული ჰქონდეს შესაბამისი შეფასების ნიმუშები.

თემა I: ქვის ხანა და უძველესი ადამიანი

(შეესაბამება მოსწავლის წიგნის I თავის მასალა)

საგაკვეთილო საათების რაოდენობა: 8

შემაჯამებელი კომპლექსური დავალებების შესასრულებლად გამოყოფილი საათების რაოდენობა: 4

საკითხები:

1. პირველი ადამიანები და მათი განსახლება
2/3. როგორ ცხოვრობდნენ პალეოლითის ხანაში?
4. პალეოლითის პერიოდის რწმენა-წარმოდგენები
5. „ნეოლითური რევოლუცია“
6. ნეოლითური დასახლებები
7. „ნეოლითური რევოლუცია“ და გვაროვნული საზოგადოება
8. ნეოლითის ხანის ადამიანის რწმენა-წარმოდგენები

თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები

დრო – ცვალებადობა, ქრონოლოგია, წელთაღრიცხვის სისტემა, საუკუნე, ათასწლეული, ისტორიული პერიოდი, ეპოქა;
სივრცე – კონტინენტი (ევროპა, აზია); რეგიონი (კავკასია, მცირე აზია, ხმელთაშუაზღვისპირეთი, მახლობელი აღმოსავლეთი, შუა და ცენტრალური აზია); საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე;
საზოგადოება – სოციალური ფენა, ეკონომიკა, კულტურა; რელიგია; მსოფლმხედველობა; ეთნოსი/ერი; “კულტურული სხვა”:
ისტორიული მოვლენა/პროცესი – პოლიტიკური ისტორია; სოციალური ისტორია;
ძალაუფლება – სახელმწიფო, დემოკრატია;
წყარო, ისტორიული კვლევა – წყარო (პირველადი, მეორადი), ფაქტი/ინტერპრეტაცია/სტერეოტიპი, ისტორიოგრაფია, ისტორიის დამხმარე დისციპლინები.

საკვანძო შეკითხვები:

- რაც ვიცით, საიდან ვიცით ქვის ხანის შესახებ?
- როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები ქვის ხანაში? როგორი იყო მათი საზოგადოება?
- როგორ აღიქვამდა პირველყოფილი ადამიანი სამყაროს? რატომ მისდევდა იგი მაგიას?
- რით განსხვავდებოდა ქვის ხანა თანამედროვეობისგან?
- რატომ იხსენიებენ მეცნიერები მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის გაჩენას „რევოლუციის“ სახელით?

იდეები შემაჯამებელი კომპლექსური დავალებებისთვის:

- ექსკურსია დმანისში, პირველყოფილი ადამიანის ყოფის შესასწავლად;
- საქართველოს ეროვნულ მუზეუმში სტუმრობა ნეოლითური ხანის ექსპოზიციის შესწავლის მიზნით;
- ლუის მორგანის ჩანაწერების საფუძველზე იროკეზების ყოფის რეკონსტრუქცია;
- პირველ პირში პირველყოფილი ადამიანის დღიურის დაწერა;
- ქვის ხანის არქეოლოგიური პერიოდების ესკიზების დახატვა / გამოძერწვა / მაკეტის გაკეთება არქეოლოგიური პერიოდების (პალეოლითი, ნეოლითი) ცვალებადობის ჩვენების მიზნით;
- მოსწავლეები შემაჯამებლის ფარგლებში მოამზადებენ საპრეზენტაციო მასალებს დმანისის არქეოლოგიური აღმოჩენების შესახებ, სკაიპ-გაკვეთილის საშუალებით დაუკავშირდებიან

სასკოლო-საგანმანათლებლო დაწესებულებებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში და წარმოაჩენენ საკუთარ ქვეყანას სამეცნიერო-კულტურული კუთხით.

- მოსწავლეები მოიძიებენ ინფორმაციას მიწათმოქმედების უმნიშვნელოვანესი კულტურის – ხორბლის ქართული ჯიშების გამოყვანის ისტორიის შესახებ. გამოიკვლევენ, დღესაც გამოიყენება თუ არა ეს ჯიშები და რა სასარგებლო თვისებები აქვთ მათ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს დახმარებით შეუძლიათ გადაიღონ ვიდეორგოლი, რომლითაც პოპულარიზაცია გაეწევა ქართული ხორბლის ჯიშებს.
- მოსწავლეები მოიძიებენ ინფორმაციას საქართველოში აღმოჩენილი უძველესი ყურძნის წიპწების, ქართული ყურძნის ჯიშებისა და ღვინის ქართული დაყენების წესების შესახებ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს დახმარებით მომზადდება ვიდეორგოლი, რომლითაც გაეწევა პოპულარიზაცია ქართულ ღვინოს.
- მოსწავლეები მოიძიებენ ინფორმაციას საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი უძველესი ცხოველების შესახებ. გამოიკვლევენ, თუ რომელი ცხოველები მოშინაურდა და რომელია ფერმერულ მეურნეობაში გამოყენებული. ჩაატარებენ მცირე კვლევას, თუ რომელი ცხოველების ჯიშების გამრავლება და ჩამოყვანა იქნება საქართველოს ეკონომიკისათვის მომგებიანი.
- ბუკლეტის / კედლის გაზეთის / ვებსაიტის მომზადება გამყინვარების ეპოქისა და „ნეოლითური რევოლუციის“ შემდგომი პერიოდის პირველყოფილი ადამიანის ყოფის შესახებ.

შეფასების ინდიკატორები – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ქვის ხანისთვის / პრეისტორიისთვის დამახასიათებელი არსებითი ნიშნების (მეურნეობა შემგროვებლობა-მონადირეობა) გამოკვეთა (ისტ.საბ.1,2,3,4,5,7,9,10,11,12);
- არქეოლოგიური და ეთნოლოგიური მონაცემების საფუძველზე ქვის ხანის მოვლენების შესწავლა-ინტერპრეტირება (ისტ.საბ.1,2,3,5,7,8,9,10,11,12);
- პირველყოფილი საზოგადოების (სოციალური ფენები, მეურნეობის ფორმები, მსოფლმხედველობა) თანამედროვე და/ან სხვა ისტორიული ეპოქის საზოგადოებასთან შედარება (ისტ.საბ.1,2,3,7,9,10,11,12);
- „ნეოლითური რევოლუციის“ მისთვის ცნობილ სხვა ისტორიულ მოვლენებთან შედარება (ისტ. საბ.1,2,3,6,7,8,9,10,11,12).

მკვიდრი წარმოდგენები:

- პრეისტორია ადამიანის გაჩენიდან – პირველი სახელმწიფოებისა და დამწერლობის ჩამოყალიბებამდე პერიოდია;
- ქვის ხანის შესახებ არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მონაცემები მოგვითხრობს;
- ქვის ხანაში ძირითადად ქვის იარაღებს იყენებდნენ;
- ქვის ხანაში ადამიანები გვაროვნული თემის პირობებში ცხოვრობდნენ;
- მაგია პირველყოფილი ადამიანის აზროვნებისა და მსოფლმხედველობის უმთავრესი ფორმაა. იგი საგნებს/ადამიანებს შორის უხილავი კავშირების არსებობას გულისხმობს;
- ქვის ხანაში ადამიანები მონადირეობასა და შემგროვებლობას მისდევდნენ, მოგვიანებით კი მათ მიწათმოქმედება და მესაქონლეობა ისწავლეს;
- საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია ევრაზიაში უძველესი ადამიანის ნაშთები; საქართველო ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა, რომლის ტერიტორიაზეც მიწათმოქმედება და მესაქონლეობა განვითარდა.

თემის მიზნებისა და შინაარსის რუკა

ბიჯი 1

<u>გაკვეთილის მიზანი:</u>

მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ როგორც სხვაგან, ისე საქართველოში, პრეისტორიის ეპოქის შესახებ ინფორმაცია არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალით მოიპოვება.

საგაკვეთილო საათი:

საათი 1: გაკვეთილი 1. ვინ იყვნენ პირველი ადამიანები და როგორ განსახლდნენ ისინი დედამიწაზე?

საკვანძო შეკითხვის პროვოცირება:

რაც ვიცით, საიდან ვიცით ქვის ხანის შესახებ?"

ცნებების დამუშავება:

- "პრეისტორია", "ქვის ხანა" (<u>სამიზნე ცნება – დრო</u>)
- არქეოლოგიური გათხრები, ეთნოგრაფიული მონაცემები (სამიზნე ცნება – წყარო, ინტერპრეტაცია და კვლევა)
- ევროპა, აზია, აფრიკა (<u>სამიზნე ცნება – სივრცე</u>)

შეფასების ინდიკატორები:

- ქვის ხანისთვის / პრეისტორიისთვის დამახასიათებელი არსებითი ნიშნების გამოკვეთა (1, 2, 3, 7, 9);
- არქეოლოგიური და ეთნოლოგიური მონაცმების ინტეპრეტირების საფუძველზე ქვის ხანასთან დაკავშირებული ცალკეული ფაქტებისა და მოვლენების შესწავლა (1, 4, 6, 8, 9)

საკლასო აქტივობები:

- გონებრივი იერიში სიტყვათშეთანხმებაზე "პირველყოფილი ადამიანი" ინტერნეტ-რესურსის – ანიმაციური რგოლის – გამოყენება "Human Evolution Animation": https://www.youtube.com/watch?v=HwnB8aCn8yE
- ანიმაციის გარჩევა-ანალიზი, რომელშიც ასახულია ჰომინინების ევოლუციის ამსახველი ეტაპები და დამახასიათებელი ნიშან-თვისებები.
- მოსწავლის წიგნის წყარო ა-ს გაცნობა, სადაც მოცემულია ინფორმაცია ჰომინინთა ნაშთების არქეოლოგიური აღმოჩენების შესახებ. შემდგომ მოსწავლეებს მოსწავლის რვეულში 1-ლ კონტურულ რუკაზე გადააქვთ ჰომინინთა არქეოლოგიური აღმოჩენების ადგილები.
- ,,აკვარიუმიდან''(რომელიც ქვიშითაა სავსე და რომელშიც არქეოლოგიურ არტეფაქტებს მიმსგავსებული ნივთებია მოთავსებული) მოსწავლეები თანმიმდევრობით იღებენ ნივთებს არქეოლოგიური მონაცემების დათარიღების პრინციპების არსის წარმოსაჩენად (არქეოლოგიური მასალის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული სირთულეების წარმოჩენის მიზნით).

დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის:*

1. სახელმძღვანელოში მოცემული მასალებისა და ინტერნეტ-რესურსების გაცნობა დმანისის არქეოლოგიური აღმოჩენების მნიშვნელობაში გასარკვევად:

---

* თემის აგების ნიმუშში სამივე თავისთვის პედაგოგს ვთავაზობთ სარეკომენდაციო დავალებებს დამოუკიდებელი მუშაობისთვის. 1- ლი თავისთვის (თემატური ერთეულისთვის) მოცემული დავალებების ნაწილი უნიკალურია და ისინი არ არის წარმოდგენილი მოსწავლის წიგნსა და მოსწავლის რვეულში. მათთან ერთად, რეკომენდაციის სახით, ვუთითებთ ერთ ან რამდენიმე დავალებას მოსწავლის წიგნიდან ან/და მოსწავლის რვეულიდან. მე-2 და მე-3 თავებისთვის (თემატური ერთეულებისთვის) პედაგოგს ვთავაზობთ დავალებებს დამოუკიდებელი მუშაობისთვის მხოლოდ ჩვენი მოსწავლის წიგნიდან ან მოსწავლის რვეულიდან. პედაგოგს შეუძლია თვითონაც მოიფიქროს და შესთავაზოს მოსწავლეებს საკუთარი დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისთვის.

Homo Erectus 100+25 დმანისი და მის მიღმა https://www.youtube.com/watch?v=o30L_OZw8Bg&list=PLKlMoO75sR3yUeiL4SMXroAGMMENVMSv0

PS – დმანისელი ჰომინიდი 20.10.2013 https://www.youtube.com/watch?v=iV0bkpUm5jA

2. ქვის ხანის ამსახველი სამი ნახატის დახატვა, რომელიც ანაქრონიზმებს შეიცავს (პრეისტორიული ეპოქის მახასიათებლების გამოსაკვეთად).
3. გაკვ. 1: მე-4 შემაჯამებელი დავალება.

რეკომენდებული რესურსები:

Homo Erectus 100+25 დმანისი და მის მიღმა https://www.youtube.com/watch?v=o30L_OZw8Bg&list=PLKlMoO75sR3yUeiL4SMXroAGMMENVMSv0

სენსაციური აღმოჩენა დმანისიდან https://www.youtube.com/watch?v=4q-wPJ22CmM

დამხმარე მასალა მასწავლებლისათვის http://museum.ge/files/publications/damxmare%20masala%20pedagogebistvis/qvis_xana..pdf

PS – დმანისელი ჰომინიდი 20.10.2013 https://www.youtube.com/watch?v=iV0bkpUm5jA

საქართველოს ფაუნა ჩვენს ერამდე https://www.youtube.com/watch?v=xj8DtnKLSns

შემაჯამებელ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის საათი (1*)*

თითოეული მოსწავლისთვის, ან 2-3 მოსწავლისგან დაკომპლექტებული ჯგუფისთვის შემაჯამებელი კომპლექსური დავალების შერჩევა (მოსწავლეებმა უნდა აირჩიონ შემაჯამებელი დავალებებისთვის განკუთვნილ სვეტში შემოთავაზებულთაგან ერთ-ერთი დავალება). მოსწავლეებისთვის შერჩეული, კომპლექსური დავალებების არსისა და მიზნების განსაზღვრა, დავალების პირობისა და შეფასების რუბრიკების გაცნობა. განსაზღვრა იმისა, თუ რამდენ ხანში და რა ფორმით უნდა წარმოადგინონ.

ბიჯი 2

<u>გაკვეთილების მიზანი:</u>

მოსწავლემ უნდა გაიაზროს, როგორი იყო პირველყოფილი/უძველესი ადამიანის ყოფა-ცხოვრება.

საგაკვეთილო საათი:

საათი 2: გაკვეთილი 2/3. როგორი იყო ცხოვრება პალეოლითის ხანაში?

---

* თემის აგების ნიმუშში პედაგოგს ვაწვდით შემაჯამებელ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის ნაბიჯებს, თუმცა, თუ პედაგოგს მოსწავლეთა დიდი ჯგუფი ჰყავს, შესაძლოა უმჯობესი იყოს თემაზე მუშაობის საწყის ეტაპზევე დაუნაწილოს მოსწავლეებს / მოსწავლეების ჯგუფებს შემაჯამებელი კომპლექსური დავალებები; მეორე შემაჯამებელ გაკვეთილზე მოსწავლეებთან ერთად განიხილონ დავალებების შესრულების მსვლელობა, სირთულეები, მისცენ სათანადო შენიშვნები. მესამე შემაჯამებელ გაკვეთილზე მოხდეს მოსწავლეების მიერ მოპოვებულ-დახარისხებული მასალის კორექცია, ასევე, მესამე შემაჯამებელ გაკვეთილზე შეფასდეს შესრულებული დავალებების ერთი ნაწილი, შესრულებული დავალებების დარჩენილი ნაწილი კი შეფასდეს მეოთხე შემაჯამებელ გაკვეთილზე.

მე-2 და მე-3 თემებისთვის პედაგოგს აღარ გუვეგმავთ შემაჯამებელი კომპლექსური დავალებების საათებს. პედაგოგს ნიმუშად შეუძლია გამოიყენოს შემაჯამებლის საათების განაწილებისის ის სქემა, რომელიც ზემოთაა მოცემული 1-ლი თემის დაგეგმვაში, და ვთავაზობთ თვითონ დაგეგმოს შემაჯამებლის საათების განაწილება მე-2 და მე-3 თემებისთვის.

საკვანძო შეკითხვის პროვოცირება:

როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები ქვის ხანაში? როგორი იყო მათი საზოგადოება?

ცნებების დამუშავება:

- პალეოლითი (სამიზნე ცნება – დრო)
- პირველყოფილი ადამიანი, ქვის იარაღები (სამიზნე ცნება – საზოგადოება)

შეფასების ინდიკატორები:

- ქვის ხანისთვის/პრეისტორიისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა დანიშნულების იარაღის სახეობების გამოკვეთა (ისტ.საბ.1, 2, 3, 4, 5, 7, 9);
- პირველყოფილი საზოგადოების (პალეოლითის) მეურნეობის ფორმების (მონადირეობა, შემგროვებლობა) თანამედროვე ეპოქის საზოგადოებასთან შედარება (ისტ.საბ.1, 2, 3, 7, 9, 10)

საკლასო აქტივობები:

- დმანისის არქეოლოგიურ აღმოჩენებთან დაკავშირებით მოძიებული ინფორმაციის განხილვა.
- ქვის ხანის ამსახველი ნახატების, რომელიც ანაქრონიზმებს შეიცავს (პრეისტორიული ეპოქის მახასიათებლების გამოსაკვეთად) განხილვა-პრეზენტაცია.
- ანიმაციური ფილმის – „ველურების“ განხილვა (ქვის ხანისა და თანამედროვე ადამიანის ყოფის ერთმანეთთან შედარების მიზნით)

https://www.youtube.com/watch?v=uYA9YfCP4uk

ჯგუფური მუშაობა:

- მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად და მოსწავლის წიგნში მოთავსებული გაკვეთილის ტექსტისა და წყაროების გამოყენებით ასრულებენ დავალებას:
- I ჯგუფი იკვლევს, თუ როგორი ტიპის საცხოვრებელს იყენებდა პირველყოფილი ადამიანი, როგორი ტიპის მეურნეობას ეწეოდა ის.
- II ჯგუფი იკვლევს, თუ რისგან შედგებოდა პირველყ ოფილი ადამიანის კვებითი რაციონი.
- III ჯგუფი იკვლევს სხვადასხვა დანიშნულების რა და რა ტიპის იარაღს ამზადებდა პირველყოფილი ადამიანი და რა მასალისგან.
- IV ჯგუფის მიზანია გაარკვიოს, რა მნიშვნელობა ჰქონდა ადამიანის განვითარებისათვის ენის ჩამოყალიბებასა და ცეცხლის მოპოვებას.

დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის:

1. მოსწავლის წიგნში მოცემული ან/და პედაგოგის მიერ ძველი ქვის ხანის ეპოქის ადამიანის ყოფის შესახებ შერჩეული მასალების გაცნობა:

უძველესი “ძაფი” მსოფლიოში – ძუძუანას მღვიმე (ჭიათურა) https://www.youtube.com/watch?v=EhzDXAAVL1I

დევის ხვრელი – https://www.youtube.com/watch?v=wG7UuXOWmrw

- PowerPoint-ის გამოყენებით პრეზენტაციის მომზადება მათი ჯგუფისათვის მიცემულ საკითხზე, ასევე ხელნაკეთი თვალსაჩინოებების დამზადება მოცემული სასწავლო თემის უკეთ აღსაქმელად.

რეკომენდებული რესურსები:

უძველესი “ძაფი” მსოფლიოში – ძუძუანას მღვიმე (ჭიათურა) https://www.youtube.com/watch?v=EhzDXAAVL1I

დევის ხვრელი – https://www.youtube.com/watch?v=wG7UuXOWmrw

საგაკვეთილო საათი:

საათი 3: გაკვეთილი 2/3. როგორი იყო ცხოვრება პალეოლითის ხანაში?

საკლასო აქტივობები:

- ძველი ქვის ხანის ეპოქის ადამიანის ყოფის შესახებ მოსწავლის წიგნში მოცეული ან/და პედაგოგის მიერ შერჩეული მასალის გარჩევა.
- მოსწავლეები კლასის წინაშე წარმოადგენენ პრეზენტაციას იმ საკითხზე, რომელზეც მუშაობდნენ ჯგუფებში წინა გაკვეთილზე. მოსწავლეები საკითხის ასახსნელად იყენებენ თვალსაჩინოებებს (power point, ფორმატები, ხელნაკეთი ნივთები).
- I ჯგუფი – პრეზენტაცია პირველყოფილი ადამიანის საცხოვრისის და მეურნეობის შესახებ და კითხვა-პასუხის ფორმატში თემასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა თანაკლასელებთან და მასწავლებელთან ერთად.
- II ჯგუფი – პირველყოფილი ადამიანის კვებითი რაციონის შესახებ პრეზენტაცია და კითხვა პასუხის ფორმატში თემასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა თანაკლასელებთან და მასწავლებელთან ერთად..
- III ჯგუფი – პირველყოფილი ადამიანის მიერ შექმნილ იარაღებთან დაკავშირებით პრეზენტაცია და კითხვა პასუხის რეჟიმში თემასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა თანაკლასელებთან და მასწავლებელთან ერთად.
- IV ჯგუფი – პრეზენტაცია ენის ჩამოყალიბებასა და ცეცხლის მოპოვებაზე და თემასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა თანაკლასელებთან და მასწავლებელთან ერთად.
- როლური თამაში-დიალოგი პირველყოფილ და თანამედროვე ადამიანს შორის, რომელშიც ისინი ისეთ სოციალურ-კულტურულ ელემენტებს დაასახელებენ, რაც მათთვის გაუგებარი იქნება(პრეისტორიული ეპოქის მახასიათებლების გამოკვეთის მიზნით).

დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:

- მოსწავლის წიგნში მოცემული ან/და პედაგოგის მიერ შერჩეული მასალების გაცნობა პირველყოფილი ადამიანის ყოფა-ცხოვრების შესახებ.
- პირველყოფილი ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების წერილობითი აღწერის შესრულება პირველ პირში.

ბიჯი 3

<u>გაკვეთილის მიზანი:</u>

მოსწავლემ უნდა გაიგოს, თუ როგორ აღიქვამდა პირველყოფილი ადამიანი სამყაროს.

საგაკვეთილო საათი:

საათი 4: გაკვეთილი 4. როგორი რწმენა-წარმოდგენები ჰქონდათ ადამიანებს პალეოლითის პერიოდში?

საკვანძო შეკითხვის პროვოცირება:

როგორ აღიქვამდა პირველყოფილი ადამიანი სამყაროს? რატომ მისდევდა იგი მაგიას?

ცნებების დამუშავება:

კულტურა, რელიგია (<u>სამიზნე ცნება – საზოგადოება</u>)

შეფასების ინდიკატორები:

- პირველყოფილი საზოგადოების მსოფლმხედველობის თანამედროვე ეპოქის საზოგადოებასთან შედარება (ისტ.საბ.1, 2, 3, 7)

ავტორთა კომენტარი:

არსებობს მოსაზრება, თითქოს ქართული მითოლოგიის პერსონაჟმა ამირანმა ცეცხლი მოსტაცა ღმერთს და ადამიანებს მიუტანა. სინამდვილეში ცეცხლის მოტაცების მოტივი არ არსებობს „ამირანიანის“ ხალხურ ჩანაწერებში. პირველად ამირანთან დაკავშირებით ცეცხლის მოტაცებაზე ითქვა აკაკი წერეთლის ლექსში „თორნიკე ერისთავიდან“: „ქვეყნად ცეცხლის მოტანისთვის...“. ხალხური ჩანაწერების თანახმად, ამირანი იმისთვის კი არ მიაჯაჭვეს, რომ ცეცხლი მოსტაცა ღმერებს (რაც არ ჩაუდენია), არამედ – ორთაბრძოლაში ღმერთის გამოწვევისთვის. ღმერთთან შებრძოლებული მიჯაჭვული პერსონაჟები მრავლად არიან კავკასიაში და შუა აზიაშიც. ამდენად, ამირანის პრომეთესთან გაიგივება ცეცხლის მოტაცების მოტივით გვიანდელი, სავარაუდოდ XIX საუკუნის გააზრებაა. პედაგოგს რეკომენდაციას ვაძლევთ, ესაუბროს მოსწავლეებს მხოლოდ პრომეთეს ძველი ბერძნული მითის შესახებ, როგორც ეს მოსწავლის წიგნის შესაბამის წყაროშია. პედაგოგს ასევე შეუძლია საკუთარი ინიციატივით ან, თუ მოსწავლეები ჰკითხავენ, განუმარტოს მათ, რომ, მეცნიერული კვლევების თანახმად, ამირანს ცეცხლის მოტაცების მოტივი მიაწერეს XIX საუკუნეში.

საკლასო აქტივობები:

- პირველყოფილი ადამიანის ყოფა-ცხოვრების შესახებ მოსწავლის წიგნში მოცემული და/ან მასწავლებლის მიერ მითითებული მასალების განხილვა.
- პირველყოფილი ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების წერილობითი აღწერის განხილვა-პრეზენტაცია.
- გამოქვაბულებში აღმოჩენილი პირველყოფილი ადამიანის ნახატების გაცნობა და დისკუსია თემაზე: რატომ ხატავდა ამ ნახატებს პირველყოფილი ადამიანი?(მაგიის არსის გამოკვეთის მიზნით).

Cave Art 101 | National Geographic https://www.youtube.com/watch?v=ZjejoT1gFOc

წყვილებში მუშაობა: მოსწავლეები ეცნობიან წყაროებს ა, დ, ე, ვ-ს, მსჯელობენ წყაროებში მოცემულ საკითხებზე და ცდილობენ აღიქვან სამყარო პირველყოფილი ადამიანის თვალით, ასრულებენ პირველყოფილი ადამიანის მიერ შექმნილი მხატვრული ნიმუშების მსგავს მხატვრობას.

დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის:

მოსწავლის წიგნში მოცემული ან/და პედაგოგის მიერ შერჩეული მასალების გაცნობა პირველყოფილი ადამიანის რელიგიისა და კულტურის შესახებ:

1. ალტამირას კედლის მხატვრობა https://www.youtube.com/watch?v=XoEW4Z72x08
2. Chauvet cave: Preserving prehistoric art – BBC News https://www.youtube.com/watch?v=3OLaNtKoJFk

- მოსწავლეები წერენ დღიურს, სადაც ასახულია პირველყოფილი ადამიანის ერთი დღე. აქცენტი კეთდება საკვების მოპოვების მეთოდებსა და ამ კუთხით წარმოქმნილ პრობლემებზე, გამოსავლის ძიებაზე.

რეკომენდებული რესურსები

Chauvet cave: Preserving prehistoric art – BBC News https://www.youtube.com/watch?v=3OLaNtKoJFk

Cave Art 101 | National Geographic https://www.youtube.com/watch?v=ZjejoT1gFOc

ალტამირას კედლის მხატვრობა https://www.youtube.com/watch?v=XoEW4Z72x08

შემაჯამებელ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის საათი 2:

გაკვეთილზე განიხილება, თუ როგორ უნდა შეძლონ მოსწავლეებმა მათთვის (წინა გაკვეთილზე) შეთავაზებული დავალების შესრულება (როგორ მოიპოვონ მასალები, რა მეთოდების გამოყენებით დაახარისხონ ისინი, როგორ მოარგონ თავიანთი ნაშრომი დავალების პირობით განსაზღვრულ კრიტერიუმებს).

ბიჯი 4

<u>გაკვეთილების მიზანი:</u>

მოსწავლემ უნდა შეძლოს “ნეოლითური რევოლუციისა” და გვაროვნული თემის რაობის გაგება.

საგაკვეთილო საათი:

საათი 5: გაკვეთილი 5. რა არის „ნეოლითური რევოლუცია“?

საკვანძო შეკითხვების პროვოცირება:

- რატომ იხსენიებენ მეცნიერები მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის გაჩენას „რევოლუციის“ სახელით?
- როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები ქვის ხანაში? როგორი იყო მათი საზოგადოება?

ცნებების დამუშავება:

- “ნეოლითური რევოლუცია” (<u>სამიზნე ცნება – ისტორიული მოვლენა/პროცესი</u>)
- გვაროვნული თემი (<u>სამიზნე ცნება – საზოგადოება</u>)
- ბელადი (<u>სამიზნე ცნება – ძალაუფლება</u>)

შეფასების ინდიკატორები:

- პირველყოფილი საზოგადოების (გვაროვნული თემი) სოციალური წყობილების თანამედროვე ეპოქის საზოგადოებასთან შედარება (ისტ.საბ.1, 2, 3, 7, 9, 10, 11, 12);
- „ნეოლითური რევოლუციის“ მისთვის ცნობილ სხვა ისტორიულ მოვლენებთან შედარება (ისტ. საბ. 1, 2, 3, 6, 7, 8, 9)

საკლასო აქტივობები:

- პირველყოფილი ადამიანის რელიგიისა და კულტურის შესახებ მოსწავლის წიგნში მოცემული და/ან პედაგოგის მიერ შერჩეული მასალების განხილვა.
- მოსწავლეების მიერ შესრულებული პირველყოფილი ადამიანის ერთი დღის წერილობითი აღწერის განხილვა, სადაც აქცენტი კეთდება საკვების მოპოვების მეთოდებსა და ამ კუთხით წარმოქმნილ პრობლემებზე, გამოსავლის ძიებაზე.
- ანიმაციური ვიდეოს განხილვა სადაც ასახულია ნეოლითური რევოლუციის არსი: Neolithic Revolution: An Animation

https://www.youtube.com/watch?v=gaOelka7SfU
Paleolithic | Educational Video for Kids
https://www.youtube.com/watch?v=UFE3t7qNJSs

მოსწავლეები ეცნობიან წყაროებს ა, ბ-ს და არკვევენ, როგორ ტარდებოდა სამიწათმოქმედო სამუშაოები და რა ადგილი ეკავა მესაქონლეობას ადამიანის ყოფა-ცხოვრებაში.

დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის:

- მოსწავლის წიგნში მოცემული ან/და პედაგოგის მიერ შერჩეული მასალების გაცნობა „ნეოლითური რევოლუციის“ არსში გასარკვევად:

1. პირველყოფილი საზოგადოება – ნეოლითი, ენეოლითი, ბრინჯაოს ხანა https://www.youtube.com/watch?v=VeQW-52ETfw

2. ნეოლითი – ცვლილებები ნეოლითში http://mastsavlebeli.ge/?p=3967

- ქართული ხორბლის ჯიშების შესახებ პრეზენტაციის მომზადება (ფორმატი, PowerPoint…),

- მოსწავლის რვეულში "ნეოლითურ რევოლუციასთან" დაკავშირებული ცხრილის შევსება 22-ე გვერდზე.

რეკომენდებული რესურსები:

#გაიგემეტი, ქართული ხორბლის ისტორია და აღდგენილი ენდემური ჯიშები – პურის ფესტივალი თბილისში https://1tv.ge/video/gaigemeti-qartuli-khorblis-istoria-da-aghdgenili-endemuri-jishebi-puris-festivali-tbilisshi/

ნეოლითი – ცვლილებები ნეოლითში http://mastsavlebeli.ge/?p=3967

Neolithic Revolution: An Animation https://www.youtube.com/watch?v=gaOelka7SfU

Paleolithic | Educational Video for Kids

საგაკვეთილო საათი:

საათი 6: გაკვეთილი 6. როგორი იყო ნეოლითური დასახლებები?

საკლასო აქტივობები:

- "ნეოლითური რევოლუციის" მნიშვნელობის შესახებ მოსწავლის წიგნში მოცემული და/ან პედაგოგის მიერ შეჩეული მასალების განხილვა.
- მოსწავლის რვეულიდან გვ. 22 "ნეოლითურ რევოლუციასთან" დაკავშირებული შევსებული ცხრილის განხილვა.
- მოსწავლეების მიერ ქართული ხორბლის ჯიშების შესახებ მომზადებული ნამუშევრის პრეზენტაცია და განხილვა.
- როლური თამაში: პირველყოფილ ადამიანებს შორის დისკუსიის სიმულაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რა სარგებელი ექნებათ ადამიანებს, თუ მონადირეობიდან და შემგროვებლობიდან მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობაზე გადავლენ (იმის საილუსტრაციოდ, თუ რა ცვლილებები გამოიწვია "ნეოლითურმა რევოლუციამ" პირველყოფილი ადამიანების ყოფაში, პარალელების გავლება დღევანდელობასთან).
- მოსწავლეები ეცნობიან წყაროებს ა, ბ, გ, დ ნეოლითის ხანის ადამიანის დასახლებების დაგეგმარებაში და ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში გასარკვევად, ასრულებენ თანდართულ დავალებებს.

დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:

- დამატებითი მასალების გაცნობა შულავერ-შომუთეფეს არქეოლოგიური ობიექტის შესახებ, ხუთი ჩანახატის დახატვა ამ არქეოლოგიური კულტურის შემქმნელი მოსახლეობის ყოფიდან (კონტრასტების გამოსაკვეთად მონადირე-შემგროვებლებსა და მიწათმოქმედ-მესაქონლეებს შორის).
- მოსწავლის რვეულში ცხრილის შევსება 22-ე გვერდზე (გაკვეთილი 6. "როგორი იყო ნეოლითური დასახლებები?").

რეკომენდებული რესურსები:

- საქართველო – ღვინის სამშობლო – უნიკალური არქეოლოგიური აღმოჩენა https://www.youtube.com/watch?v=hem7h11Zd9U&t=99s

ღვინის სამშობლო – https://www.youtube.com/watch?v=EuoKdzjo6aU

პირველყოფილი საზოგადოება – ნეოლითი, ენეოლითი, ბრინჯაოს ხანა

https://www.youtube.com/watch?v=VeQW-52ETfw

Georgian archaeological wine sites I, drone 4K https://www.youtube.com/watch?v=6HheiXZcm74

საგაკვეთილო საათი:

საათი 7: გაკვეთილი 7. როგორ წარმოშვა „ნეოლითურმა რევოლუციამ“ გვაროვნული საზოგადოება?

საკლასო აქტივობები:

- მოსწავლის რვეულში გვ. 22 გაკვეთილი 6. ნეოლითური დასახლებების შევსებული ცხრილის განხილვა.
- შულავერ-შომუთეფეს არქეოლოგიური კულტურის შემქმნელი მოსახლეობის ყოფის ამსახველი ნახატების განხილვა (კონტრასტების გამოსაკვეთად მონადირე-შემგროვებლებისა და მიწათმოქმედ-მესაქონლეთა შორის).
- ვიდეო-სიუჟეტის ნახვის შემდგომ მოსწავლეები იმსჯელებენ გვაროვნული წყობილებით მცხოვრები ხალხების ყოველდღიურ ცხოვრებაზე, მმართველობის ფორმებზე, ბელადის ფუნქცია-მოვალეობაზე.

დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:

- მოსწავლის წიგნში მოცემული ან/და პედაგოგის მიერ შერჩეული მასალების მაგიის, როგორც პირველყოფილი ადამიანის რელიგიის, შესახებ გაცნობა.
- გაკვ. 7: მე-3 შემაჯამებელი დავალება.

სარეკომენდაციო რესურსები:

3 ძველი ინდიელი ტომების საცხოვრისები https://www.youtube.com/watch?v=k0qzN2SOi30

ამაზონის ჯუნგლების ტომები https://www.youtube.com/watch?v=QrBbYv8XT6c

შემაჯამებელ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის საათი:

გაკვეთილზე მოსწავლეები წარმოადგნენ მათ მიერ დამუშავებული შემაჯამებელი (კომპლექსური) დავალებების პირველად ვერსიებს, იღებენ მასწალებლისა და თანაკლასელებისგან შენიშვნებს.

ბიჯი 5

<u>გაკვეთილის მიზანი:</u>

მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ მაგია პირველყოფილი ადამიანის აზროვნებისა და მსოფლმხედ-ველობის უმთავრესი ფორმაა. იგი საგნებს/ადამიანებს შორის უხილავი კავშირების არსებობას გულისხმობს.

საგაკვეთილო საათი:

საათი 8: გაკვეთილი 8. როგორი რწმენა-წარმოდგენები ჰქონდათ ადამიანებს ნეოლითის ხანაში?

საკვანძო შეკითხვის პროვოცირება:
როგორ აღიქვამდა ნეოლითის ხანის ადამიანი სამყაროს?

ცნებების დამუშავება:

- კულტურა, რელიგია (<u>სამიზნე ცნება – საზოგადოება</u>)
- არქეოლოგიური გათხრები, ეთნოლოგიური მონაცემები (<u>სამიზნე ცნება – წყარო, ინტერპრეტაცია და კვლევა</u>)

შეფასების ინდიკატორები:

- არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე ქვის ხანის მოვლენების შესწავლა-ინტერპრეტირება (ისტ.საბ.1,2,3,5,7,8,9)

- პირველყოფილი საზოგადოების (ნეოლითის) მსოფლმხედველობის თანამედროვე ეპოქის საზოგადოებასთან შედარება (ისტ.საბ.1,2,3,7,9)

საკლასო აქტივობები:

- მაგიის, როგორც პირველყოფილი ადამიანის რელიგიის შესახებ მოსწავლის წიგნში მოცემული და/ ან პედაგოგის მიერ შერჩეული მასალების გარჩევა.
- ინტერნეტ-რესურსების და სახელმძღვანელოში მოცემული წყაროების ა, ბ-ს გაცნობა, რომელზედაც მოცემულია ნეოლითის ხანის ადამიანის რწმენა-წარმოდგენების გამომხატველი ნაგებობები და არტეფაქტები:

A 360° View of Stonehenge https://www.youtube.com/watch?v=_RyqU1r1Fmk

ნეოლითის ხანის ადამიანის წარმოდგენების შედარება პალეოლითის ხანის რწმენა-წარმოდგენებთან. მოსწავლეები იმსჯელებენ, არის თუ არა დღესაც ქვის ხანის მსგავსი რწმენა-წარმოდგენები შემორჩენილი.

დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:

- დამატებითი მასალები პრეისტორიის / ქვის ხანის შესახებ (იმ შემთხვევისთვის, თუკი მოსწავლე ამ პერიოდის შესახებ ცოდნის გაღრმავებას მოინდომებს).
- გამოკითხვის ჩატარება თემაზე: "სჯერათ თუ არა თანამედროვე ადამიანებს მაგიის?"

სარეკომენდაციო რესურსები:

A 360° View of Stonehenge https://www.youtube.com/watch?v=_RyqU1r1Fmk

გაქვავებული ქალაქები https://www.youtube.com/watch?v=dt8Ex3iRKC4

შემაჯამებელ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის საათი 4:

გაკვეთილზე მოსწავლეები წარმოადგენენ მათ მიერ დამუშავებული შემაჯამებელი, კომპლექსური დავალების საბოლოო ვერსიას. მასწავლებლისგან იღებენ განმსაზღვრელ შეფასებას.

<u>შეფასების რუბრიკების ნიმუშები თემის "პრეისტორია / ქვის ხანა" შემაჯამებელი კომპლექსური დავალებებისთვის</u>

შემაჯამებელი კომპლექსური დავალება (პროექტი) ქართული ხორბლის ჯიშების შესახებ

მოსწავლეები მოიძიებენ ინფორმაციას მიწათმოქმედების უმნიშვნელოვანესი კულტურის – ხორბლის ქართული ჯიშების გამოყვანის ისტორიის შესახებ. გამოიკვლევენ, დღესაც გამოიყენება თუ არა ეს ჯიშები და რა სასარგებლო თვისებები აქვთ მათ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს დახმარებით შეუძლიათ გადაიღონ ვიდეორგოლი, რომლითაც პოპულარიზაცია გაეწევა ქართული ხორბლის ჯიშებს.

პროექტის შეფასების რუბრიკა	
შეფასების კრიტერიუმები	კრიტერიუმის წონა
სათანადოდაა გამოკვეთილი და ჩამოყალიბებული პროექტის მიზანი.	1
მოსწავლეთა მიერ მოძიებული ინფორმაცია ქართული ხორბლის ჯიშების შესახებ ამომწურავია.	1
მოსწავლეთა მიერ ჩატარებული კვლევითი საქმიანობა ქართული ხორბლის ჯიშების შესახებ სანდოა, კვლევა ჩატარდა მეცნიერული პრინციპებით.	1
დასკვნის სახით მიღებული ინფორმაცია გადმოცემულია მოწესრიგებულად, სტრუქტურულად გამართულად, ქართული სალიტერატურო ენის დაცვით.	1
მოსწავლეები იყენებენ თვალსაჩინოებებს ქართული ხორბლის ჯიშების ისტორიის, უნიკალური თვისებების ნათელსაყოფად (სურათები, ფოტოები, სქემები...).	1
მოსწავლე პროექტის მიმდინარეობისას სწავლობს საავტორო უფლებების დაცვით მუშაობას.	1
მოსწავლე აკავშირებს მის მიერ მოპოვებულ ცოდნას ყოველდღიურობასთან (რეკომენდაცია: სოფლის მეურნეობის სამინისტროს დახმარებით შეუძლიათ გადაიღონ ვიდეორგოლი, რომლითაც პოპულარიზაცია გაეწევა ქართული ხორბლის ჯიშებს).	2
მოსწავლე წარადგენს ნაშრომს კლასის წინაშე თავისუფლად, მოსწავლეთათვის გასაგებად, დროის ლიმიტის დაცვით.	2

თვალსაჩინოების შექმნა შემაჯამებელი კომპლექსური დავალებისთვის არქეოლოგიური პერიოდების (პალეოლითი, ნეოლითი) ცვალებადობის ჩვენების მიზნით

ქვის ხანის არქეოლოგიური პერიოდების ესკიზების დახატვა / გამოძერწვა / მაკეტის გაკეთება არქეოლოგიური პერიოდების (პალეოლითი, ნეოლითი) ცვალებადობის ჩვენების მიზნით.

თვალსაჩინოების შექმნის შეფასების რუბრიკა	
შეფასების კრიტერიუმები	კრიტერიუმის წონა
მოსწავლეს გააზრებული აქვს თვალსაჩინოების (ნახატი, მაკეტი, ნაძერწი ფიგურა) შექმნის მიზანი.	2
მოსწავლე თვალსაჩინოების შექმნისას იყენებს სასწავლო პროცესში მიღებულ ცოდნას ქვის ხანის ეპოქის (პალეოლითი, ნეოლითი) შესახებ.	2
თვალსაჩინოების დეტალები პარალელებს პოულობს ქვის ხანის ეპოქასთან.	2
თვალსაჩინოებებში სათანადოდაა ასახულია ქვის ხანაში (პალეოლითი, ნეოლითი) მიმდინარე ცვლილებები.	2
შექმნილი თვალსაჩინოება წარმოადგენს სასწავლო რესურსს ქვის ხანის შესახებ.	2

თემა: ბრინჯაოს ხანა და ძველი აღმოსავლეთი

(შეესაბამება მოსწავლის წიგნის II თავის მასალა)

საგაკვეთილო საათების რაოდენობა: 11

შემაჯამებელი კომპლექსური/პროექტული დავალებების შესასრულებლად გამოყოფილი საათების რაოდენობა: 4

საკითხები:

- დიდი ცვლილებები
- შუამდინარეთი და ეგვიპტე – აღმოსავლეთის უძველესი მიწათმოქმედების კერები
- სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგია და მტკვარ-არაქსის კულტურა
- ბორბლიანი ტრანსპორტის გამოგონება
- თრიალეთის არქეოლოგიური კულტურა
- რკინის დამუშავებაზე გადასვლა
- დიაოხი – წინარესახელმწიფოებრივი გაერთიანება
- შავი ზღვა და არგონავტების მითი
- კოლხეთის სახელმწიფოებრიობა
- უძველესი სახელმწიფოები. შუმერი
- ქალაქ-სახელმწიფოებიდან იმპერიამდე

თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები:

- დრო – ცვალებადობა, ქრონოლოგია, წელთაღრიცხვის სისტემა, საუკუნე, ათასწლეული, ისტორიული პერიოდი, ეპოქა;
- სივრცე – კონტინენტი (ევროპა, აზია); რეგიონი (კავკასია, მცირე აზია, ხმელთაშუაზღვისპირეთი, მახლობელი აღმოსავლეთი, შუა და ცენტრალური აზია); საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე;
- საზოგადოება – სოციალური ფენა, ეკონომიკა, კულტურა; რელიგია; მსოფლმხედველობა; ეთნოსი/ერი; "კულტურული სხვა";
- ისტორიული მოვლენა/პროცესი – პოლიტიკური ისტორია; სოციალური ისტორია;
- ძალაუფლება – სახელმწიფო, დემოკრატია;
- წყარო, ისტორიული კვლევა – წყარო (პირველადი, მეორადი), ფაქტი/ინტერპრეტაცია/სტერეოტიპი, ისტორიოგრაფია, ისტორიის დამხმარე დისციპლინები.

საკვანძო შეკითხვები:

- რაც ვიცით, საიდან ვიცით ძველი აღმოსავლეთის/ბრინჯაოს ხანის შესახებ?
- როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები ძველაღმოსავლურ ხანაში? როგორი იყო მათი საზოგადოება?
- რით განსხვავდებოდა ძველაღმოსავლური ხანა თანამედროვეობისგან და სხვა ისტორიული ეპოქებისგან?
- როგორ აღიქვამდა ძველაღმოსავლურ პერიოდში მცხოვრები ადამიანი სამყაროს?
- რატომ შეიქმნა დამწერლობა, კანონები; დროის აღრიცხვის სისტემა?
- რატომ წარმოიქმნა პირველი ცივილიზაციები დიდი მდინარეების გასწვრივ?
- როგორი ურთიერთობა ჰქონდათ მომთაბარეებს ძველი აღმოსავლეთის მოწინავე სახელმწიფოებთან?
- რატომ იყო დამახასიათებელი ძველაღმოსავლური ეპოქისათვის მონუმენტური არქიტექტურა?
- რატომ მარხავდნენ მმართველებს ყორღანებში?
- რატომ იხსენიება ძველაღმოსავლურ წყაროებში ბევრი ქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანება?

იდეები შემაჯამებელი კომპლექსური დავალებებისთვის:

- წყაროს დამუშავება – დიაოხისა და კოლხას ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება მენუას და არგიშთი I-ის წარწერების მიხედვით; ხამურაბის კანონების გარჩევა (სოციალური, გენდერული, სამართლებრივი კუთხით);
- პრეზენტაციის მომზადება ერთ რომელიმე მეცნიერზე, რომლის აღმოჩენებმაც არსებითი როლი შეასრულა ძველაღმოსავლური ეპოქის შესწავლაში (მაგ. როულინსონი, შამპოლიონი);
- ექსკურსია მცხეთაში "საბავშვო არქეოლოგიის" პროგრამის ფარგლებში ბრინჯაოს ხანის სამაროვნების „გასათხრელად"/შესასწავლად;
- ვიზიტი ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში რომელიმე ამ ეპოქის არქეოლოგიური კულტურის ძეგლის შესწავლისა და სხვებთან შედარების მიზნით და ექსპოზიციის წარმოდგენა;
- დოკუმენტური ისტორიული ფილმების ნახვა და გარჩევა/დისკუსია, როგორ განვითარდა შუამდინარული ცივილიზაცია, ძველაღმოსავლური ქალაქ-სახელმწიფოები (ლინკები: https://www.youtube.com/watch?v=Ki8S5I83Ccc https://www.youtube.com/watch?v=H1jHdnZ2U3o
- პლაკატის/ბუკლეტის/კედლის გაზეთის/ვებსაიტის შექმნა მომთაბარე და მიწათმოქმედი ხალხების ცხოვრების წესის შესახებ და მათი ერთმანეთთან შედარების მიზნით;
- ყორღანის (ჭრილში) მაკეტის (ნახატის, ნაძერწის და სხვა სახით) გაკეთება;
- კვლევის ჩატარება იმის შესახებ, ძველაღმოსავლური პერიოდის ხალხებიდან რომელთა ლექსიკური ერთეულებია შემოსული ქართულ ენაში;
- კრამერის წიგნიდან პიესის დადგმა ფირფიტის „მოსწავლის ერთი დღე" მიხედვით; სამშვიდობო პროცესის გათამაშება დიაოხურ-ასურული კონფრონტაციის მოგვარების მიზნით;
- პირველ პირში დიაოხისა და კოლხას მცხოვრების დღიურის დაწერა იმ პერიოდის ისტორიული მოვლენის წარმოსაჩენად (მაგ.: კიმერიელების შემოსევა, უტუფურსის აჯანყებები, სარგონ II-სთან კაშირი);
- ესეს დაწერა: ა) "რატომ სჭირდება სახელმწიფოს დროის აღრიცხვა და კანონები"? ბ) "რატომ იყო დამახასათებელი მონუმენტური არქიტექტურა ძველაღმოსავლური ეპოქისათვის".

შეფასების ინდიკატორები:

- საქართველოს ტერიტორიაზე ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურებისა და ლურსმული ფირფიტების მონაცემების საფუძველზე ძელაღმოსავლური პერიოდის / ბრინჯაოს ხანის საზოგადოების დახასიათება (ისტ.საბ.1,2,3,4,5,7,9,10,11,12);
- ძველაღმოსავლური პერიოდისათვის / ბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი არსებითი ნიშნების (დამწერლობა, სახელმწიფოებრიობა, რელიგიური სისტემები, „კომპლექსური საზოგადოება") გამოკვეთა (ისტ.საბ.1,2,3,5,7,8,9,10,11,12);
- ძველაღმოსავლური საზოგადოების (სოციალური ფენები, სახელმწიფო მოწყობა, სამართლებრივი აზროვნება (კანონები), მეურნეობის ფორმები, რელიგია და მსოფლმხედველობა) თანამედროვე და/ან სხვა ისტორიული ეპოქის საზოგადოებასთან შედარება (ისტ.საბ.1,2,3,7,9,10,11,12);
- დამწერლობისა და სახელმწიფო ინსტიტუტების წარმოქმნის მიზეზებზე მსჯელობა; სახელმწიფოს წარმოქმნით გამოწვეული კომპლექსური ცვლილებების დახასიათება და სხვა ისტორიულ მოვლენებთან შედარება (ისტ.საბ.1,2,3,6,7,8,9,10,11,12)

მკვიდრი წარმოდგენები:

- პირველი სახელმწიფოები და დამწერლობის სისტემები ერთდროულად წარმოიქმნა;
- პირველი სახელმწიფოები დიდი მდინარეების გასწვრივ ჩამოყალიბდა;
- უძველესი ცივილიზაციების ჩამოყალიბება ძველი აღმოსავლეთის ხალხებს (შუმერები, ხეთები, ასურელები, ბაბილონელები) უკავშირდება. ისინი ძირითადად ლურსმულ დამწერლობას იყენებდნენ;

- ძველაღმოსავლურ ცივილიზაციებს მომთაბარე ტომების შემოსევები დიდ საფრთხეს უქმნიდნენ;
- საქართველოს ტერიტორია, როგორც ბრინჯაოს, ისე რკინის წარმოების თვალსაზრისით; იმდროინდელი მსოფლიოს მოწინავე რეგიონი იყო;
- ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის დამახასიათებელია მონუმენტური არქიტექტურა;
- ბრინჯაოს ხანაში საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხი თავიანთ მმართველებს ყორღანებში მარხავდა;
- ძველაღმოსავლურ პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სახელმწიფოებრივ გაერთიანებებს (დიაოხი, კოლხა და სხვა) ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდათ ძველი მსოფლიოს მოწინავე ხალხებთან.

თემის მიზნებისა და შინაარსის რუკა

ბიჯი 1

გაკვეთილების მიზანი:

მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ საქართველოს ტერიტორია, როგორც ბრინჯაოს, ისე რკინის წარმოების თვალსაზრისით, იმდროინდელი მსოფლიოს მოწინავე რეგიონი იყო.

საგაკვეთილო საათები:

საათი 1: გაკვეთილი 9. რა ცვლილებები მოიტანა მეტალურგიამ?
საათი 2: გაკვეთილი 12. რა მოიტანა ბორბლიანი ტრანსპორტის გამოგონებამ?

საკვანძო შეკითხვის პროვოცირება:

რით განსხვავდებოდა ძველაღმოსავლური ხანა თანამედროვეობისგან და ან სხვა ისტორიული ეპოქებისგან?

ცნებების დამუშავება:

- ბრინჯაოს ხანა (სამიზნე ცნება – დრო)
- არქეოლოგიური და ეთნგრაფიული მონაცემები (სამიზნე ცნება – წყარო, ინტერპრეტაცია და კვლევა)
- სოციალური ფენა, ეკონომიკა/მეურნეობა (სამიზნე ცნება – საზოგადოება)

შეფასების ინდიკატორები:

- ძველაღმოსავლური პერიოდისათვის / ბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი არსებითი ნიშნების გამოკვეთა (ისტ. საბ. 1, 4, 6, 7)

დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:

- 1-ლი შემაჯამებელი დავალება.
- მე-3 შემაჯამებელი დავალება.

ბიჯი 2

გაკვეთილების მიზანი:

მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:

- პირველი სახელმწიფოები დიდი მდინარეების გასწვრივ ჩამოყალიბდა;
- საქართველოს ტერიტორია, როგორც ბრინჯაოს, ისე რკინის წარმოების თვალსაზრისით, იმდროინდელი მსოფლიოს მოწინავე რეგიონი იყო.

საგაკვეთილო საათები:

საათი 3: გაკვეთილი 10. რომელია მიწათმოქმედების უძველესი კერები?
საათი 4: გაკვეთილი 11. რით გამოირჩეოდა მტკვარ-არაქსის კულტურა?
საათი 5: გაკვეთილი 13. რატომ ვეცნობით თრიალეთის კულტურას ყორღანებით?

საკვანძო შეკითხვების პროვოცირება:

- როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები ძველაღმოსავლურ ხანაში? როგორი იყო მათი საზოგადოება?
- რატომ წარმოიქმნა პირველი ცივილიზაციები დიდი მდინარეების გასწვრივ?
- რატომ მარხავდნენ მმართველებს ყორღანებში?
- რატომ შეიქმნა დამწერლობა, კანონები; დროის აღრიცხვის სისტემა?
- რატომ იყო დამახასიათებელი ძველაღმოსავლური ეპოქისათვის მონუმენტური არქიტექტურა?
- რატომ მარხავდნენ მმართველებს ყორღანებში?

ცნებების დამუშავება

- სოციალური ფენა (<u>სამიზნე ცნება – საზოგადოება</u>)
- რეგიონი – ხმელთაშუაზღვისპირეთი, კავკასია, ახლო აღმოსავლეთი (<u>სამიზნე ცნება – სივრცე</u>)
- ბელადი/მეფე (<u>სამიზნე ცნება- ძალაუფლება</u>)
- მიწათმოქმედი ხალხები (<u>სამიზნე ცნება - საზოგადოება</u>)

შეფასების ინდიკატორები:

- საქართველოს ტერიტორიაზე ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურებისა და ლურსმული ფირფიტების მონაცემების საფუძველზე ძელაღმოსავლური პერიოდის / ბრინჯაოს ხანის საზოგადოების დახასიათება (ისტ.საბ.1,2,3,4,5,7,9,10,11,12);
- ძველაღმოსავლური პერიოდისათვის / ბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი არსებითი ნიშნების (დამწერლობა, სახელმწიფოებრიობა, რელიგიური სისტემები, „კომპლექსური საზოგადოება“) გამოკვეთა (ისტ.საბ.1,2,3,5,7,8,9,10,11,12);
- ძველაღმოსავლური საზოგადოების (სოციალური ფენები, სახელმწიფო მოწყობა, სამართლებრივი აზროვნება (კანონები), მეურნეობის ფორმები, რელიგია და მსოფლმხედველობა) თანამედროვე და/ან სხვა ისტორიული ეპოქის საზოგადოებასთან შედარება (ისტ.საბ.1,2,3,7,9,10,11,12);

დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:

- გაკვ. 10: მე-2 და მე-3 შემაჯამებელი დავალებები.
- გაკვ. 11: მე-2 და მე-3 შემაჯამებელი დავალებები.
- გაკვ. 13: 1-ლი და მე-2 შემაჯამებელი დავალებები.

ბიჯი 3

<u>გაკვეთილების მიზანი:</u>

მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:

- საქართველოს ტერიტორია როგორც ბრინჯაოს, ისე რკინის წარმოების თვალსაზრისით იმდროინდელი მსოფლიოს მოწინავე რეგიონი იყო;
- ძველაღმოსავლურ პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სახელმწიფოებრივ გაერთიანებებს (დიაოხი, კოლხა) ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდათ ძველი მსოფლიოს მოწინავე ხალხებთან.

საგაკვეთილო საათები:

საათი 6: გაკვეთილი 14. **რა მოიტანა რკინის დამუშავებაზე გადასვლამ?**

საათი 7: გაკვეთილი 15. რას გვამცნობენ წერილობითი წყაროები დიაოხის შესახებ?

საკვანძო შეკითხვების პროვოცირება

- რატომ იხსენიება ძველაღმოსავლურ წყაროებში ბევრი ქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანება?

ცნების დამუშავება

- სახელმწიფო (<u>სამიზნე ცნება – ძალაუფლება</u>)
- რეგიონი: კავკასია – საქართველო (<u>სამიზნე ცნება – სივრცე</u>)

შეფასების ინდიკატორები:

- საქართველოს ტერიტორიაზე ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურებისა და ლურსმული ფირფიტების მონაცემების საფუძველზე ძელაღმოსავლური პერიოდის / ბრინჯაოს ხანის საზოგადოების დახასიათება (ისტ.საბ. 1,2,3,4,5,7,9,10,11,12);

დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:

- გაკვ. 14: მე-2 და მე-3 შემაჯამებელი დავალებები.
- გაკვ. 15: ბულიტიანი დავალება წყარო ა-ს შემდეგ.

ბიჯი 4

<u>გაკვეთილების მიზანი:</u>

მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:

- ძველაღმოსავლურ პერიოდში შავი ზღვის სანაპიროზე არსებულ სახელმწიფოებრივ გაერთიანებებს (დიაოხი, კოლხა) ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა ძველი მსოფლიოს მოწინავე ხალხებთან.

საგაკვეთილო საათები:

საათი 8: გაკვეთილი 16. რატომ მოგზაურობდნენ ბერძნები შავ ზღვაში?
საათი 9: გაკვეთილი 17. რას ნიშნავს "წინარესახელმწიფოებრივი კოლხეთი"?

საკვანძო შეკითხვის პროვოცირება:

როგორ აღიქვამდა ძველაღმოსავლურ პერიოდში მცხოვრები ადამიანი სამყაროს?

ცნებების დამუშავება:

- კულტურა, რელიგია, მსოფლმხედველობა – მითები, ეპოსები (<u>სამიზნე ცნება – საზოგადოება</u>)
- დიდი ბერძნული კოლონიზაცია" (<u>სამიზნე ცნება – ისტორიული მოვლენა/პროცესი</u>)

ავტორთა კომენტარი:

პედაგოგმა უნდა მოახდინოს მედეას მითოლოგიური პერსონაჟის მიმართ გენდერული სტერეო-ტიპების გაძლიერების პრევენცია. ზოგადად, მედეა რთული მითოლოგიურ-ლიტერატურული პერსონაჟია, განსაკუთრებით მას მერე, რაც ძველმა ბერძენმა ტრაგიკოსმა მწერალმა ევრიპიდემ, საკუთარი დრამატურგიული მიზნებიდან გამომდინარე, მას იასონზე შურისძიების მიზნით შვილების მოკვლის მოტივი მიაწერა. სასურველია, მოსწავლეთა ასაკის გათვალისწინებით, თავი ავარიდოთ მედეას პერსონაჟის სიღრმისეულ განხილვას, პატრიოტული თუ გენდერული კუთხით მისი პიროვნებისა და ქმედებების შეფასებას. ჩვენი აზრით, პედაგოგმა თავი უნდა შეიკავოს მედეას შესახებ მითის ევრიპიდესეული ლიტერატურული ვერსიის განხილვისგან, მედეას პერსონაჟის პრიმიტივიზაციისა და სქემატიზაციისგან, პატრიოტული თუ გენდერული ნიშნით; ისეთი ტიპის საკუთარი ან სხვათა, თუნდაც მკვლევრების, მწერლების ან სხვა ინტელექტუალ

მოაზროვნეთა ავტორიტეტზე დაყრდნობით გაკეთებული შეფასებებისგან, როგორიცაა, მაგალითად: “მედეა ქალია და ამიტომ, სიყვარულის გამო თუ პრაგმატული მოსაზრებით, ადვილად უღალატა საკუთარ მამასა და თავის სამშობლოს – დაეხმარა იასონს კოლხების კუთვნილი ოქროს საწმისის მოტაცებაში”, “მედეა მეტისმეტად ფიცხი და ამაყი ქალია, ამიტომ ვერ აიტანა ქმრისგან შეურაცხყოფა (იასონმა მედეას ორი შვილით მიტოვება და ბერძენი მეფის ასულის ცოლად მოყვანა განიზრახა), და გრძნობებს აყოლილმა შურისძიების მიზნით მოკლა თავისი შვილები” და მისთ. უმჯობესია მედეას მითოლოგიურ პერსონაჟთან დაკავშირებულ ამ თემატიკას და სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ შეხედულებებს მოსწავლე უფრო მაღალ კლასებში გაეცნოს.

შეფასების ინდიკატორები:

- ძველაღმოსავლური პერიოდისათვის ბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი არსებითი ნიშნების (სახელმწიფოებრიობა, რელიგიური სისტემები) გამოკვეთა (ისტ. საბ. 5,7,9,10);
- ძველაღმოსავლური საზოგადოების (რელიგია და მსოფლმხედველობა) თანამედროვე და/ან სხვა ისტორიული ეპოქის საზოგადოებასთან შედარება (ისტ. საბ. 6, 7, 9,10, 11)

დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:

- გაკვ. 16: შემაჯამებელი დავალება.
- გაკვ. 17: მე-2 შემაჯამებელი დავალება.

ბიჯი 5

<u>გაკვეთილების მიზანი:</u>

მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:

- პირველი სახელმწიფოები და დამწერლობის სისტემები ერთდროულად წარმოიქმნა;
- ძველაღმოსავლურ ცივილიზაციებს მომთაბარე ტომების შემოსევები დიდ საფრთხეს უქმნიდნენ.

საგაკვეთილო საათები:

საათი 10: გაკვეთილი 18. რომელია მსოფლიოს უძველესი სახელმწიფო?
საათი 11: გაკვეთილი 19. როგორ წარმოიშვა უძველესი იმპერია?

დამატებითი რესურსი:

- მასწავლებლის წიგნის თავში “მასალა მინი-ლექციებისა და დამატებითი აქტივობებისთვის” გაკვეთილი: ასურეთი.

ავტორთა კომენტარი:

პედაგოგს ვაძლევთ რეკომენდაციას ჩაუტაროს მოსწავლეებს მინი-ლექცია მასწავლებლის წიგნის თავში “მასალები მინი-ლექციებისა და დამატებითი აქტივობებისთვის” მოთავსებული გაკვეთილების “ასურეთი” და “ასურეთის ომები” მიხედვით. პედაგოგს ასევე შეუძლია გამოიყენოს შესაბამისი წყაროებისა და დავალებების ნაწილი. ამ გაკვეთილების გამოყენების მიზანი არის მათი მასალის დაკავშირება მოსწავლის წიგნის წინა გაკვეთილებში განვლილ ცნობებთან დიაოხის, კოლხასა და ურარტუს შესახებ. პედაგოგმა ზოგადად უნდა აღნიშნოს, რომ ძალმომრეობა, რომელიც ასურეთის გაკვეთილის მაგალითზეა ნაჩვენები (კერძოდ, ის, რომ ასურეთი მეომარი ქვეყანა იყო და გამუდმებით საკუთარი ტერიტორიების გაფართოებისთვის იღვწოდა, რაც თითქოს მათი საღვთო ვალი იყო, განსაკუთრებით კი ის ფაქტი, რომ ასურელები სასტიკად ეპყრობოდნენ დაპყრობილ მოსახლეობას), არ არის იმპერიის ერთადერთი მახასიათებელი, და რომ იმპერიის სხვა მახასიათებლების შესახებ მოსწავლე მოგვიანებით მეტს შეიტყობს.

საკვანძო შეკითხვების პროვოცირება:

- რატომ შეიქმნა დამწერლობა, კანონები, დროის აღრიცხვის სისტემა?
- რაც ვიცით, საიდან ვიცით ძველი აღმოსავლეთის/ბრინჯაოს ხანის შესახებ?
- რით განსხვავდებოდა ძველაღმოსავლური ხანა თანამედროვეობისგან და ან სხვა ისტორიული ეპოქებისგან?
- როგორი ურთიერთობა ჰქონდათ მომთაბარეებს ძველი აღმოსავლეთის მოწინავე სახელმწიფოებთან?

ცნებების დამუშავება:

- ბელადი/მეფე, სახელმწიფო (<u>სამიზნე ცნება – ძალაუფლება</u>);
- პოლიტიკური ისტორია; სოციალური ისტორია (<u>სამიზნე ცნება – ისტორიული მოვლენა/პროცესი</u>)
- ლურსმული დამწერლობა (<u>სამიზნე ცნება – საზოგადოება</u>)

შეფასების ინდიკატორები:

- ძველაღმოსავლური პერიოდისათვის / ბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი არსებითი ნიშნების (დამწერლობა, სახელმწიფოებრიობა, რელიგიური სისტემები, „კომპლექსური საზოგადოება“) გამოკვეთა (ისტ.საბ. 1,2,3,5,7,8,9,10,11,12);
- ძველაღმოსავლური საზოგადოების (სოციალური ფენები, სახელმწიფო მოწყობა, სამართლებრივი აზროვნება (კანონები), მეურნეობის ფორმები, რელიგია და მსოფლმხედველობა) თანამედროვე და/ან სხვა ისტორიული ეპოქის საზოგადოებასთან შედარება (ისტ.საბ. 1,2,3,7,9,10,11,12);
- დამწერლობისა და სახელმწიფო ინსტიტუტების წარმოქმნის მიზეზებზე მსჯელობა; სახელმწიფოს წარმოქმნით გამოწვეული კომპლექსური ცვლილებების დახასიათება და სხვა ისტორიულ მოვლენებთან შედარება (ისტ.საბ. 1,2,3,6,7,8,9,10,11,12).

დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:

- გაკვ. 18: მე-4 შემაჯამებელი დავალება.
- გაკვ. 19: მე-2 შემაჯამებელი დავალება.

<u>შეფასების რუბრიკების ნიმუშები თემის “ბრინჯაოს ხანა და ძველი აღმოსავლეთი” შემაჯამებელი კომპლექსური დავალებებისთვის</u>

<u>დისკუსიის შეფასების რუბრიკა</u>		
კლასი: VII		
მოსწავლის გვარი, სახელი:		
დავალების პირობა: დოკუმენტური ფილმების ნახვის შემდეგ გარჩევა/დისკუსია თემაზე “როგორ განვითარდა შუამდინარული ცივილიზაცია / ძველაღმოსავლური ქალაქ-სახელმწიფოები” ლინკები: https://www.youtube.com/watch?=Ki8s5l83Ccc; https://www.youtube.com/watch?v= H1jHdnZ2u3o		
	შეფასების კრიტერიუმები	კრიტერიუმების წონა
1.	მოსწავლე დისკუსიაში აქტიურად არის ჩართული.	1
2	ყურადღებით უსმენს სხვებს, აცდის აზრის ბოლომდე გამოთქმას.	1
2	მოსწავლე არგუმენტებზე დაყრდნობით მსჯელობს ძველი შუამდინარული ცივილიზაციის ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპებზე.	2

3.	მოსწავლე დეტალურად აანალიზებს შუამდინარული ქალაქ-სახელმწიფოების სტრუქტურას.	2
4.	მოსწავლე ადარებს ერთმანეთს ძველაღმოსავლური ქალაქ-სახელმწიფოებისა და თანამედროვე ცივილიზებული ქვეყნების სახელმწიფო მოწყობის ტიპებს.	2
5.	მოსაზრებებს მკაფიოდ და გასაგებად აყალიბებს.	1
6.	მოსწავლე მეტყველებს გამართული სალიტერატურო ქართული ენით.	1

<u>დღიურის შეფასების რუბრიკა</u>		
კლასი: VII		
მოსწავლის გვარი, სახელი:		
დავალების პირობა: პირველ პირში დიაოხის ან კოლხას მცხოვრების დღიურის დაწერა იმ პერიოდის ისტორიული მოვლენის წარმოსაჩენად		
	შეფასების კრიტერიუმები	კრიტერიუმების წონა
1.	ნამუშევარი შეესაბამება შესაჯამებელ თემას	2
2	დაცულია დღიურის სტრუქტურა, მითითებულია დღეები/თარიღები	2
3.	დღიურში ასახულია შესაბამისი პერიოდის დიაოხის/კოლხას პოლიტიკური, სოციალური, კულტურული, რელიგიური ნიუანსები.	2
4.	დღიურში მოსწავლე ცდილობს აღიქვას ყოველდღიურობა დიაოხის/ კოლხას მცხოვრების თვალით.	2
5.	მოსწავლე დღიურის შექმნისას ეყრდნობა ისტორიულ წყაროებსა და მათ ანალიზს.	2

თემა: ანტიკური ხანა

(შეესაბამება მოსწავლის წიგნის II თავის მასალა)

საგაკვეთილო საათების რაოდენობა: 30

შემაჯამებელი კომპლექსური დავალებების შესასრულებლად გამოყოფილი საათების რაოდენობა: 8

საკითხები:

20. კოლხეთის სამეფო ძვ. წ. VI-IV საუკუნეებში
21. ნაოსნობა ძველი დროის საქართველოს ზღვისპირეთში
22. ბერძნული პოლისი. სპარტა
23. ბეძნული პოლისი. ათენი
24. აქემენიდური სპარსეთი (ირანი) და საქართველო
25. ბერძენ-სპარსელთა ომები
26/27. ალექსანდრე მაკედონელი
28. ქართლის (იბერიის) სამეფო და მეფე ფარნავაზი
29. საქართველო მეფე ფარნავაზის მემკვიდრეების დროს
30. ნავთობის ტრანსპორტირება ფასის/ფოთში
31. რიონ-მტკვრის სავაჭრო გზა
32-33. ქალაქები ანტიკური პერიოდის საქართველოში
34. რომი მეფეებისა და რესპუბლიკის ხანაში
35. რესპუბლიკიდან იმპერიამდე
36. რომის შეძლებული მოქალაქეები და უუფლებო მონები
37. მითრიდატეს ომები და საქართველო
38. პომპეუსის ლაშქრობა ქართლის (იბერიის) სამეფოში
39. ქართლის სამეფო და რომის იმპერია
40. რომანიზაციის პროცესი და იბერია-კოლხეთი
41. მზისა და ცეცხლის თაყვანისმცემლები
42. ქრისტიანობის წარმოშობა
43. რომის იმპერატორი კონსტანტინე დიდი
44. ქართლის გაქრისტიანება
45. ქართული დამწერლობა და გვიანანტიკური ეპოქის განათლება
46. დასავლეთ რომის იმპერიის დაცემა
47. მეფე ვახტანგ გორგასლის ეპოქა (V ს.)
48/49. საქართველო ბიზანტიისა და სასანური ირანის იმპერიებს შორის
50. რით გამოირჩევა ანტიკური ხანა?

თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები:

- დრო – ცვალებადობა, ქრონოლოგია, წელთაღრიცხვის სისტემა, საუკუნე, ათასწლეული, ისტორიული პერიოდი, ეპოქა;
- სივრცე – კონტინენტი (ევროპა, აზია); რეგიონი (კავკასია, მცირე აზია, ხმელთაშუაზღვისპირეთი, მახლობელი აღმოსავლეთი, შუა და ცენტრალური აზია); საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე;
- საზოგადოება – სოციალური ფენა, ეკონომიკა, კულტურა; რელიგია; მსოფლმხედველობა; ეთნოსი/ერი; "კულტურული სხვა";
- ისტორიული მოვლენა/პროცესი – პოლიტიკური ისტორია; სოციალური ისტორია;
- ძალაუფლება – სახელმწიფო, დემოკრატია;
- წყარო, ისტორიული კვლევა – წყარო (პირველადი, მეორადი), ფაქტი/ინტერპრეტაცია/

სტერეოტიპი, ისტორიოგრაფია, ისტორიის დამხმარე დისციპლინები.

საკვანძო შეკითხვები:

- რაც ვიცით, საიდან ვიცით ანტიკური ხანის შესახებ?
- როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები ანტიკურ ხანაში? როგორი იყო მათი საზოგადოება?
- როგორ აღიქვამდა ანტიკური ხანის ადამიანი სამყაროს?
- რით განსხვავდებოდა ანტიკური ხანა თანამედროვეობისგან და სხვა ისტორიული ეპოქებისგან?
- რატომ და როგორ იქმნება მითები?
- რატომ დააარსეს ბერძნებმა ახალშენები დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე?
- რატომ იჭრებოდა საქართველოს ტერიტორიაზე ბერძნულწარწერიანი კოლხური თეთრი ?
- რატომ დაამარცხდა სპარსეთის იმპერია პატარა, დაქსაქსულ საბერძნეთთან ბრძოლაში?
- რატომ ადარებენ ელინიზმს თანამედროვე გლობალიზაციას?
- რატომ ცდილობდნენ სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში ანტიკური ხანის კულტურის მიბაძვას?
- რა გავლენა ჰქონდა ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებს ქართლის სამეფოს ჩამოყალიბებაზე?
- რატომ უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს პატრიციები და პლებეები?
- რატომ იყო პრივილეგია რომის მოქალაქეობა?
- რატომ ჰქონდა რომაულ ლეგიონებს მოწინააღმდეგის ჯარებზე უპირატესობა?
- რატომ იყვნენ რომაელები დაინტერესებულნი ქართლთან "მეგობრობითა და მოკავშირეობით"?
- რატომ არის საქართველოში მრავლად აღმოჩენილი რომაული პერიოდის არქეოლოგიური არტეფაქტები?
- რატომ ახდენს რომაული მემკვიდრეობა (კანონები, პოლიტიკური სისტემა) გავლენას თანამედროვეობაზე?
- რატომ მიიღო იმპერატორმა კონსტანტინემ ქრისტიანობა?
- რატომ მიიღო მირიან მეფემ ქრისტიანობა?
- რატომ ჰქონდა გვიანანტიკურ ხანაში საეკლესიო დავებს შეურიგებელი ხასიათი?
- რატომ დაეცა რომის იმპერია?
- რატომ ცდილობდნენ საქართველოს მეფეები ჩრდილოეთ კავკასიის უღელტეხილების გაკონტროლებას? რატომ უწყობდნენ მათ ამაში ხელს ბიზანტია და სასანიანთა ირანი?

იდეები შემაჯამებელი კომპლექსური დავალებებისთვის:

- წყაროს გარჩევა /გაანალიზება – ჰეროდოტესა და ქსენოფონტეს ცნობების გარჩევა ქართველური ხალხების შესახებ (გეოგრაფიული, ეთნიკური, ეთნოგრაფიული კუთხით)
  / ქართლის ცხოვრებიდან: ლეონტი მროველის "მეფეთა ცხოვრების" ქართლის სამეფოს შექმნის შესახებ ინფორმაციის შედარება ალექსანდრე მაკედონელის ბიოგრაფიების ავტორების (მაგ., პლუტარქე) ცნობებთან მაკედონელის აღმოსავლური ლაშქრობების შესახებ;
- პრეზენტაცია ოლიმპიური თამაშების შესახებ (მისი მნიშვნელოვნებისა და დროის ათვლის ფენომენის წარმოსაჩენად);
- ექსკურსია ამ პერიოდის არქეოლოგიურ ძეგლზე (მაგ., ვანის ნაქალაქარსა და ვანის მუზეუმში, უფლისციხეში, არმაზისხევში), ანტიკური კულტურული თუ საფორტიფიკაციო ტრადიციებისა და მახასიათებლების კვლევის მიზნით. შედეგების პრეზენტირება ამა თუ იმ ფორმით;
- ნებისმიერ მუზეუმში სტუმრობა, სადაც ამ პერიოდის არტეფაქტებია დაცული – ქართველი და არაქართველი ანტიკური ეპოქის ხელოვანთა არტეფაქტების ამოცნობა/შედარების მიზნით; შედეგების წარმოდგენა;
- თომა ჩაგელიშვილის "საიდუმლო ქალაქის" ნახვა და წერილობითი გარჩევა – როგორ განვითარდა სატაძრო ქალაქი / მხატვრული ფილმის "ალექსანდრე მაკედონელი" გარჩევა ბრძოლის ტაქტიკის შესასწავლად;
- პლაკატის/ბუკლეტის/კედლის გაზეთის/ვებსაიტის შექმნა ბერძნული პოლისის სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური იერსახის წარმოსაჩენად;

- “ძველი მსოფლიოს შვიდი საოცრების” მაკეტის (ნახატის, ნაძერწის და სხვა სახით) გაკეთება;
- პიესის დადგმა: რომელიმე ბერძნული მითოლოგიური სიუჟეტის დადგმა ბერძნული თეატრის სტილის დაცვით / ფარნავაზის ეპოქიდან რომელიმე ეპიზოდთან დაკავშირებით პიესის დადგმა;
- პირველ პირში ბერძენი კოლონიზატორის დღიურის დაწერა კოლხეთში ახალშენების დაარსებასთან დაკავშირებით;
- თემის დაწერა: ამ პერიოდის რომელიმე ორი პოლიტიკური მოღვაწის რეფორმების მნიშვნელობაზე და მათი ერთმანეთთან შედარება, ან ესეს დაწერა პოლითეიზმის ფენომენზე.
- წყაროს გარჩევა: დიონ კასიოსის ცნობების გარჩევა პომპეუსის კავკასიაში ლაშქრობის შესახებ / პოლიბიოსი, კეისარი / ტაციტუსი რომის საზოგადოების შესახებ;
- პრეზენტაცია PowerPoint-ში გლადიატორების ბრძოლების შესახებ;
- ექსკურსია რომაული პერიოდის არქეოლოგირ ძეგლზე (მაგ. მცხეთაში, გონიოში) რომაული პერიოდის არტეფაქტების ადგილზე დაკვირვებისა და ქართულ კულტურაზე რომაული გავლენების “აღმოსაჩენად”;
- მუზეუმში სტუმრობა: რომაული პერიოდის არტეფაქტების შედარება ბერძნულ-ელინურთან;
- BBC ფილმების გარჩევა: რომის იმპერია: აღზევება და დაცემა (11 ნაწილი) ხმელთაშუაზღვისპირეთის ცივილიზაციის გასაგებად;
- ლინკი: https://www.myvideo.ge/v/1907903;
- გაზეთის/პლაკატის/პოსტერის/ბუკლეტის/ფლაერის/ვებსაიტის შექმნა რომის მმართველობის სისტემის წარმოსაჩენად;
- რომაული მოსასვენებელი და გასართობი ადგილებისა და საკულტო ნაგებობების ნახატი/ ნაძერწი/მაკეტის გაკეთება;
- კვლევის ჩატარება იმპერიის რელიგიური შემწყნარებლობის ფენომენის ასახსნელად;
- პიესის დადგმა: ენეოსის შესახებ პიესის დადგმა/ ტარკვინიუს ამაყის შესახებ სცენარის მოფიქრება და დადგმა / ფარსმან ქველის ეპოქიდან რომელიმე ეპიზოდის ინსცენირება;
- რომაული პერიოდის რომელიმე პოლიტიკური მოღვაწის რეფორმების მნიშვნელობაზე იმპერიასა და კლიენტი სახელმწიფოებისთვის; რეფერატის/თემის დაწერა;
- პირველ პირში რომაელი კოლონიზატორის დღიურის დაწერა, სადაც ჩამოყალიბებული იქნება პრორომაული კლიენტი სახელმწიფოების მიმართ წარმოებული პოლიტიკის “რეცეპტი” და ახსნილი იქნება მიზეზები.

შეფასების ინდიკატორები:

- არქეოლოგიური, ნუმიზმატიკური, მითოლოგიური, ბერძენი და რომაელი ისტორიკოსების ცნობების საფუძველზე ანტიკური და გვიანანტიკური საზოგადოების დახასიათება (ისტ. საბ.1,2,3,4,5,7,9,10,11,12);
- ანტიკური და გვიანანტიკური ხანისთვის დამახასიათებელი არსებითი ნიშნების (მმართველობის ფორმები, ქალაქები, სავაჭრო ურთიერთობები, რელიგიები, მიგრაციული პროცესები) გამოკვეთა (ისტ.საბ.1,2,3,5,7,8,9,10,11,12);
- ანტიკური და გვიანანტიკური საზოგადოების (სოციალური ფენები, სახელმწიფო მოწყობა, სამართლებრივი აზროვნება, მეურნეობის ფორმები, რელიგია და მსოფლმხედველობა) თანამედროვე და/ან სხვა ისტორიული ეპოქის საზოგადოებასთან შედარება (ისტ. საბ.1,2,3,7,9,10,11,12);
- ბერძნული კოლონიზაციის, ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობების, რომის მსოფლიო იმპერიად ჩამოყალიბების, “ხალხთა დიდი გადასახლების” შედეგად გამოწვეული ცვლილებების დახასიათება; საქართველოზე მათი ზეგავლენის გაანალიზება; მათი სხვა ისტორიულ მოვლენებთან შედარება (ისტ.საბ.1,2,3,6,7,8,9,10,11,12).

მკვიდრი წარმოდგენები:

- ანტიკურ ხანაში პოლიტიკური და კულტურული თვალსაზრისით წამყვანი პოზიციები ბერძნებსა და რომაელებს ეკავათ; მათი ცივილიზაცია თანამედროვეობაზეც ახდენს გავლენას;
- ანტიკურ ხანაში საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა იმდროინდელი მსოფლიოს მოწინავე ხალხებთან – ბერძნებთან, რომელებთან და სპარსელებთან;
- პირველი ქალაქები სახმელეთო და საზღვაო გზების გადაკვეთის ადგილას ჩნდებოდა, ზოგი მათგანი საკულტო და ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენდა, ზოგი კი სავაჭრო-სატრანზიტო ფუნქციას ასრულებდა.
- კოლხეთი ფართოდაა ასახული ბერძნულ მითოლოგიაში, ბერძენი და რომაელი ავტორების თხზულებებში;
- კოლხეთში მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი მონეტა – კოლხური თეთრი იჭრებოდა;
- ძველი საბერძნეთი არ იყო ერთიანი სახელმწიფო. იგი დამოუკიდებელი ქალაქ-სახელმწიფოებისგან – პოლისებისგან შედგებოდა;
- ანტიკურ ხანაში ფართოდ იყენებდნენ მონების შრომას;
- ანტიკურ ხანაში აღმოსავლური და დასავლური / ხმელთაშუაზღვისპირული სახელმწიფოები უპირისპირდებოდა ერთმანეთს; ალექსანდრე მაკედონელის მოღვაწეობამ მათი კულტურების შერწყმას (ელინიზმს) ჩაუყარა საფუძველი;
- აღმოსავლეთ საქართველოში პირველი სახელმწიფო (ქართლი) ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის შემდგომ წარმოიქმნა;
- რომის იმპერია მთელ ხმელთაშუაზღვისპირეთს მოიცავდა;
- ლეგიონი რომის სახელმწიფოს სამხედრო ძლიერების საფუძველს წარმოადგენდა;
- რომაული საზოგადოება ორი ძირითადი ფენისგან – პატრიციებისა და პლებეებისგან შედგებოდა;
- ქართლის სამეფო რომის "მეგობარი და მოკავშირე" სახელმწიფო იყო;
- რომაული სამართალი და მმართველობის სისტემა საფუძვლად უდევს თანამედროვე ევროპულ/დასავლურ სამართალსა და მმართველობის სისტემას;
- იმპერატორ კონსტანტინეს დროიდან რომში ქრისტიანობა მთავარ რელიგიად იქცა;
- გვიანანტიკურ ხანაში ხშირი იყო საეკლესიო განხეთქილებები (მაგალითად, მონოფიზიტებსა და დიოფიზიტებს შორის); სადავო საკითხები მსოფლიო საეკლესიო კრებებზე წყდებოდა;
- რომის იმპერია გერმანული ტომების შემოსევების შედეგად დაეცა. შუა საუკუნეებს რომის იმპერიის დაცემის შემდგომ პერიოდს უწოდებენ;
- მომთაბარეების შესაჩერებლად კავკასიის უღელტეხილების გამაგრებას ბიზანტიისა და სპარსეთისთვის სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა; ეს საერთაშორისო პოლიტიკაში ქართული სახელწიფოების (ქართლი, ეგრისი) როლის ზრდას განაპირობებდა.

<u>თემის მიზნებისა და შინაარსის რუკა</u>

ბიჯი 1

<u>გაკვეთილების მიზანი:</u>

მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:

- ანტიკურ ხანაში საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა იმდროინდელი მსოფლიოს მოწინავე ხალხთან – ბერძნებთან;
- კოლხეთში მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი მონეტა – კოლხური თეთრი იჭრებოდა.

საგაკვეთილო საათები:

საათი 1: გაკვეთილი 20. რას წარმოადგენდა კოლხეთის სამეფო ძვ. წ. VI-IV საუკუნეებში?
საათი 2: გაკვეთილი 21. როგორ იყო განვითარებული ნაოსნობა ძველი დროის საქართველოს ზღვისპირეთში?

საკვანძო შეკითხვების პროვოცირება:

- რატომ დააარსეს ბერძნებმა ახალშენები დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე?
- რატომ იჭრებოდა საქართველოს ტერიტორიაზე ბერძნულწარწერიანი კოლხური თეთრი ?

ცნებების დამუშავება:

დიდი ბერძნული კოლონიზაცია (<u>სამიზნე ცნება – ისტორიული მოვლენა/პროცესი</u>), "კოლხური თეთრი" (<u>სამიზნე ცნება- წყარო, ინტერპრეტაცია და კვლევა</u>)

შეფასების ინდიკატორები:

- არქეოლოგიური, ნუმიზმატიკური, მითოლოგიური, ბერძენი ისტორიკოსების ცნობების საფუძველზე ანტიკური საზოგადოების დახასიათება (ისტ.საბ.1,2,3,4,5,7,9,10,11,12);
- ბერძნული კოლონიზაციის შედეგად გამოწვეული ცვლილებების დახასიათება; საქართველოზე მისი ზეგავლენის გაანალიზება, მისი სხვა ისტორიულ მოვლენებთან შედარება (ისტ. საბ.1,2,3,6,7,8,9,10,11,12).

დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:

- გაკვ. 20: მე-2 შემაჯამებელი დავალება.
- გაკვ. 21: მე-3 შემაჯამებელი დავალება.

ბიჯი 2

<u>გაკვეთილების მიზანი:</u>

მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ ძველი საბერძნეთი არ იყო ერთიანი სახელმწიფო. იგი დამოუკიდებელი ქალაქ-სახელმწიფოებისგან – პოლისებისგან შედგებოდა.

საგაკვეთილო საათები:

საათი 3: გაკვეთილი 22. როგორი იყო ბერძნული პოლისი სპარტა?
საათი 4: გაკვეთილი 23. როგორი იყო ბერძნული პოლისი ათენი?

საკვანძო შეკითხვის პროვოცირება:

- რატომ დამარცხდა სპარსეთის იმპერია პატარა, დაქსაქსულ საბერძნეთთან ბრძოლაში?
- როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები ანტიკურ ხანაში? როგორი იყო მათი საზოგადოება?

ცნებების დამუშავება:

- დემოკრატია/ოლიგარქია/მონარქია (<u>სამიზნე ცნება- ძალაუფლება</u>)
- პოლისი (<u>სამიზნე ცნება – საზოგადოება</u>)
- ათენელები, სპარტელები (<u>სამიზნე ცნება- საზოგადოება</u>)
- სპარტელები/ჰილოტები (<u>სამიზნე ცნება - ძალაუფლება</u>)

შეფასების ინდიკატორები:

- არქეოლოგიური, ნუმიზმატიკური, მითოლოგიური, ბერძენი და რომაელი ისტორიკოსების ცნობების საფუძველზე ანტიკური და გვიანანტიკური საზოგადოების დახასიათება (ისტ. საბ.1,2,3,4,5,7,9,10,11,12);

- ანტიკური და გვიანანტიკური ხანისთვის დამახასიათებელი არსებითი ნიშნების (მმართველობის ფორმები, ქალაქები, სავაჭრო ურთიერთობები, რელიგიები, მიგრაციული პროცესები) გამოკვეთა (ისტ.საბ.1,2,3,5,7,8,9,10,11,12);
- ანტიკური და გვიანანტიკური საზოგადოების (სოციალური ფენები, სახელმწიფო მოწყობა, სამართლებრივი აზროვნება, მეურნეობის ფორმები, რელიგია და მსოფლმხედველობა) თანამედროვე და/ან სხვა ისტორიული ეპოქის საზოგადოებასთან შედარება (ისტ. საბ.1,2,3,7,9,10,11,12)

დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:

- გაკვ. 22: 1-ლი შემაჯამებელი დავალება.
- გაკვ. 23: მე-2 შემაჯამებელი დავალება.

ბიჯი 3

<u>გაკვეთილების მიზანი:</u>

მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ ანტიკურ ხანაში აღმოსავლური და დასავლური/ ხმელთაშუაზღვისპირული სახელმწიფოები უპირისპირდებოდა ერთმანეთს.

საგაკვეთილო საათები:

საათი 5: გაკვეთილი 24. რა გავლენა მოახდინა აქემენიდურმა სპარსეთმა (ირანმა) საქართველოზე?
საათი 6: გაკვეთილი 25. როგორ დაამარცხა პატარა საბერძნეთმა აქემენიანთა უზარმაზარი იმპერია?

საკვანძო შეკითხვის პროვოცირება:

რატომ დაამარცხდა სპარსეთის იმპერია პატარა, დაქსაქსულ საბერძნეთთან ბრძოლაში?

ცნებების დამუშავება:

- ევროპა, აზია (<u>სამიზნე ცნება – სივრცე</u>)
- ბერძენ-სპარსელთა ომები (<u>სამიზნე ცნება – ისტორიული მოვლენა/პროცესი)</u>

შეფასების ინდიკატორები:

- არქეოლოგიური, ნუმიზმატიკური, მითოლოგიური, ბერძენი და რომაელი ისტორიკოსების ცნობების საფუძველზე ანტიკური და გვიანანტიკური საზოგადოების დახასიათება (ისტ. საბ.1,2,3,4,5,7,9,10,11,12);
- ანტიკური და გვიანანტიკური ხანისთვის დამახასიათებელი არსებითი ნიშნების (მმართველობის ფორმები, ქალაქები, სავაჭრო ურთიერთობები,რელიგიები, მიგრაციული პროცესები) გამოკვეთა (ისტ.საბ.1,2,3,5,7,8,9,10,11,12);
- ანტიკური და გვიანანტიკური საზოგადოების (სოციალური ფენები, სახელმწიფო მოწყობა, სამართლებრივი აზროვნება, მეურნეობის ფორმები, რელიგია და მსოფლმხედველობა) თანამედროვე და/ან სხვა ისტორიული ეპოქის საზოგადოებასთან შედარება (ისტ. საბ.1,2,3,7,9,10,11,12);

დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:

- გაკვ. 24: მე-2 შემაჯამებელი დავალება.
- გაკვ. 25: მე-3 შემაჯამებელი დავალება (წერილობით).

ბიჯი 4

<u>გაკვეთილების მიზანი:</u>

მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ: ანტიკურ ხანაში აღმოსავლური და დასავლური/ ხმელთაშუაზღვისპირული სახელმწიფოები უპირისპირდებოდა ერთმანეთს; ალექსანდრე მაკედონელის მოღვაწეობამ მათი კულტურების შერწყმას (ელინიზმს) დაუდო საფუძველი.

საგაკვეთილო საათები:

საათები7-8: გაკვეთილები 26/27. ვინ იყო ალექსანდრე მაკედონელი?

საკვანძო შეკითხვის პროვოცირება:

რატომ ადარებენ ელინიზმს თანამედროვე გლობალიზაციას?

ცნებების დამუშავება:

ელინისტური ხანა (<u>სამიზნე ცნება – დრო</u>)

შეფასების ინდიკატორები:

- არქეოლოგიური, ნუმიზმატიკური, მითოლოგიური, ბერძენი და რომაელი ისტორიკოსების ცნობების საფუძველზე ანტიკური და გვიანანტიკური საზოგადოების დახასიათება (ისტ. საბ.1,2,3,4,5,7,9,10,11,12);
- ანტიკური და გვიანანტიკური საზოგადოების (სოციალური ფენები, სახელმწიფო მოწყობა, სამართლებრივი აზროვნება, მეურნეობის ფორმები, რელიგია და მსოფლმხედველობა) თანამედროვე და/ან სხვა ისტორიული ეპოქის საზოგადოებასთან შედარება (ისტ.საბ.1,2,3,7,9,10,11,12);
- ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობების შედეგად გამოწვეული ცვლილებების დახასიათება, მისი სხვა ისტორიულ მოვლენებთან შედარება (ისტ.საბ.1,2,3,6,7,8,9,10,11,12).

დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:

- გაკვ. 26/27: მე-3 ან/და მე-4 შემაჯამებელი დავალებები.

ბიჯი 5

<u>გაკვეთილების მიზანი:</u>

მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ აღმოსავლეთ საქართველოში პირველი სახელმწიფო (ქართლი) ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის შემდგომ წარმოიქმნა.

საგაკვეთილო საათები:

საათი 9: გაკვეთილი 28. როგორ შეიქმნა ქართლის (იბერიის) სამეფო და ვინ იყო მეფე ფარნავაზი?
საათი 10: გაკვეთილი 29. რა სირთულეების წინაშე აღმოჩნდნენ მეფე ფარნავაზის მემკვიდრეები?

საკვანძო შეკითხვის პროვოცირება:

რა გავლენა ჰქონდა ალექსანდე მაკედონელის ლაშქრობებს ქართლის სამეფოს ჩამოყალიბებაზე?

ცნებების დამუშავება:

- მეფე (სამიზნე ცნება – ძალაუფლება)
- სახელმწიფო (სამიზნე ცნება – ისტორიული მოვლენა/პროცესი)
- ელინიზმი (სამიზნე ცნება – ისტორიული მოვლენა/პროცესი)
- კულტურა, რელიგია და მსოფლმხედველობა (სამიზნე ცნება – საზოგადოება)

შეფასების ინდიკატორები:

- ანტიკური და გვიანანტიკური საზოგადოების (სოციალური ფენები, სახელმწიფო მოწყობა, სამართლებრივი აზროვნება, მეურნეობის ფორმები, რელიგია და მსოფლმხედველობა) თანამედროვე და/ან სხვა ისტორიული ეპოქის საზოგადოებასთან შედარება (ისტ. საბ.1,2,3,7,9,10,11,12);
- ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობების შედეგად გამოწვეული ცვლილებების დახასიათება, საქართველოზე მისი ზეგავლენის გაანალიზება (ისტ.საბ.1,2,3,6,7,8,9,10,11,12).

დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:

- გაკვ. 28: მე-2 შემაჯამებელი დავალება (წერილობით).
- გაკვ. 29: სქემა 1-ის მომდევნო ბულიტიანი დავალება.

ბიჯი 6

<u>გაკვეთილების მიზანი:</u>

მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:

- ანტიკურ ხანაში საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა იმდროინდელი მსოფლიოს მოწინავე ხალხებთან – ბერძნებთან, რომაელებთან და სპარსელებთან;

საგაკვეთილო საათები:

საათი 11: გაკვეთილი 30. სად მოიპოვებოდა ნავთობი ძველ საქართველოში და როგორ იყენებდნენ მას?
საათი 12: გაკვეთილი 31. როგორ ჩამოყალიბდა რიონისა და მტკვრის ხეობებში სავაჭრო გზა?

საკვანძო შეკითხვის პროვოცირება:
როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები ანტიკურ ხანაში?

ცნებების დამუშავება:

“აბრეშუმის გზა” (<u>სამიზნე ცნება – ისტორიული მოვლენა/პროცესი</u>)

შეფასების კრიტერიუმები:

- არქეოლოგიური, ნუმიზმატიკური, მითოლოგიური, ბერძენი და რომაელი ისტორიკოსების ცნობების საფუძველზე ანტიკური და გვიანანტიკური საზოგადოების დახასიათება (ისტ. საბ.1,2,3,4,5,7,9,10);
- ანტიკური და გვიანანტიკური ხანისთვის დამახასიათებელი არსებითი სავაჭრო ურთიერთობების გამოკვეთა (ისტ.საბ.1,2,3,5,7,8,9,10);

დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:

- გაკვ. 30: 1-ლი და/ან მე-2 შემაჯამებელი დავალებები.
- გაკვ. 31: მე-2 შემაჯამებელი დავალება.

ბიჯი 7

<u>გაკვეთილების მიზანი:</u>

მოსწავლემ უნდა გაიაზროს, რომ პირველი ქალაქები სახმელეთო და საზღვაო გზების გადაკვეთის ადგილას ჩნდებოდა, ზოგი მათგანი საკულტო და ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენდა, ზოგი კი სავაჭრო-სატრანზიტო ფუნქციას ასრულებდა.

საგაკვეთილო საათები:

საათები 13-14: გაკვეთილები 32/33. როგორ გაჩნდა და ვითარდებოდა ქალაქები ანტიკური პერიოდის საქართველოში?

საკვანძო შეკითხვის პროვოცირება:

- როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები ანტიკურ ხანაში? როგორი იყო მათი საზოგადოება?
- რაც ვიცით, საიდან ვიცით ანტიკური ხანის შესახებ?

ცნებების დამუშავება:

არქეოლოგიური გათხრები, წერილობითი წყაროები, ეპიგრაფიკული მონაცემები (<u>სამიზნე ცნება – წყარო, ინტერპრეტაცია და კვლევა</u>)

შეფასების ინდიკატორები:

არქეოლოგიური, ნუმიზმატიკური, მითოლოგიური, ბერძენი და რომაელი ისტორიკოსების ცნობების საფუძველზე ანტიკური და გვიანანტიკური საზოგადოების დახასიათება (ისტ.საბ.1,2,3,4,5,7,9); ანტიკური და გვიანანტიკური ხანისთვის დამახასიათებელი არსებითი ნიშნების (მმართველობის ფორმები, ქალაქები, სავაჭრო ურთიერთობები, რელიგიები, მიგრაციული პროცესები) გამოკვეთა (ისტ. საბ.1,2,3,5,7,9,10,11).

დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:

- გაკვ. 32/33: 1-ლი და/ან მე-2 შემაჯამებელი დავალებები.

ბიჯი 8

<u>გაკვეთილების მიზანი:</u>

მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ რომის იმპერია მთელ ხმელთაშუაზღვისპირეთს მოიცავდა, რომაული საზოგადოება ორი ძირითადი ფენისგან – პატრიციებისა და პლებეებისგან შედგებოდა, ლეგიონი რომის სახელმწიფოს სამხედრო ძლიერების საფუძველს წარმოადგენდა.

საგაკვეთილო საათები:

საათი 15: გაკვეთილი 34. როგორი იყო რომი მეფეებისა და რესპუბლიკის ხანაში?
საათი 16: გაკვეთილი 35. როგორ გარდაიქმნა რომის რესპუბლიკა რომის იმპერიად?

საკვანძო შეკითხვის პროვოცირება:

რატომ უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს პატრიციები და პლებეები? რატომ იყო პრივილეგია რომის მოქალაქეობა?

ცნებების დამუშავება:

იმპერატორი, სენატი / სახალხო კრება (<u>სამიზნე ცნება – ძალაუფლება</u>), პატრიციები, პლებეები (<u>სამიზნე ცნება – საზოგადოება</u>)

შეფასების ინდიკატორები:

- ანტიკური და გვიანანტიკური ხანისთვის დამახასიათებელი არსებითი ნიშნების (მმართველობის ფორმები, ქალაქები, სავაჭრო ურთიერთობები ,რელიგიები, მიგრაციული პროცესები) გამოკვეთა (ისტ.საბ.1,2,3,5,7,8,9,10, 12);
- ანტიკური და გვიანანტიკური საზოგადოების (სოციალური ფენები, სახელმწიფო მოწყობა, სამართლებრივი აზროვნება, მეურნეობის ფორმები, რელიგია და მსოფლმხედველობა)

თანამედროვე და/ან სხვა ისტორიული ეპოქის საზოგადოებასთან შედარება (ისტ. საბ.1,2,3,7,9,10,11,12);

- რომის მსოფლიო იმპერიად ჩამოყალიბების შედეგად გამოწვეული ცვლილებების დახასიათება; საქართველოზე მათი ზეგავლენის გაანალიზება; მათი სხვა ისტორიულ მოვლენებთან შედარება (ისტ.საბ.1,2,3,6,7,8,9,10, 12).

დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:

- გაკვ. 34: შემაჯამებელი დავალება.
- გაკვ. 35: მე-2 შემაჯამებელი დავალება.

ბიჯი 9

<u>გაკვეთილის მიზანი:</u>

მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ ანტიკურ ხანაში ფართოდ იყენებდნენ მონების შრომას.

საგაკვეთილო საათი:

საათი 17: გაკვეთილი 36. ვინ იყვნენ რომის შეძლებული მოქალაქეები და უუფლებო მონები?

საკვანძო შეკითხვის პროვოცირება:

რატომ იყო პრივილეგია რომის მოქალაქეობა?

ცნების დამუშავება:

მონობა (<u>სამიზნე ცნება – საზოგადოება</u>), რომის მოქალაქე (<u>სამიზნე ცნება – საზოგადოება</u>)

შეფასების ინდიკატორები:

ანტიკური და გვიანანტიკური საზოგადოების (სოციალური ფენები, სახელმწიფო მოწყობა, სამართლებრივი აზროვნება, მეურნეობის ფორმები, რელიგია და მსოფლმხედველობა) თანამედროვე და/ან სხვა ისტორიული ეპოქის საზოგადოებასთან შედარება (ისტ.საბ.1,2,3,7,9,10,11,12);

დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:

- გაკვ. 36: შემაჯამებელი დავალება.

ბიჯი 10

<u>გაკვეთილების მიზანი:</u>

მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ ქართლის სამეფო რომის "მოკავშირე და მეგობარი" ქვეყანა იყო; ლეგიონი რომის სახელმწიფოს სამხედრო ძლიერების საფუძველს წარმოადგენდა.

საგაკვეთილო საათები:

საათი 18: გაკვეთილი 37. რა ზეგავლენა მოახდინეს მითრიდატეს ომებმა საქართველოზე?
საათი 19: გაკვეთილი 38. როგორ ილაშქრა პომპეუსმა ქართლის (იბერიის) სამეფოში?
საათი 20: გაკვეთილი 39. როგორ შეახსენა თავისი მნიშვნელობა ქართლის სამეფომ რომის იმპერიას?

საკვანძო შეკითხვის პროვოცირება:

- რატომ იყვნენ რომაელები დაინტერესებულნი ქართლთან „მეგობრობითა და მოკავშირეობით"?
- რატომ ჰქონდა რომაულ ლეგიონებს მოწინააღმდეგის ჯარებზე უპირატესობა?

ცნების დამუშავება:

რეგიონი კავკასია (<u>სამიზნე ცნება – სივრცე</u>), “კლიენტი სახელმწიფოები” (<u>სამიზნე ცნება – ისტორიული მოვლენა/პროცესი</u>)

შეფასების ინდიკატორები:

- არქეოლოგიური, ნუმიზმატიკური, ბერძენი და რომაელი ისტორიკოსების ცნობების საფუძველზე ანტიკური და გვიანანტიკური საზოგადოების დახასიათება (5, 7, 8, 9)
- ანტიკური და გვიანანტიკური ხანისათვის დამახასიათებელი არსებითი ნიშნების (მმართველობის ფორმები, ქალაქები, სავაჭრო ურთიერთობები) გამოკვეთა (ისტ. საბ. 1, 2, 4, 5, 6, 10)

დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:

- გაკვ. 37: შემაჯამებელი დავალება.
- გაკვ. 38: შემაჯამებელი დავალება.
- გაკვ. 39: 1-ლი და/ან მე-2 შემაჯამებელი დავალებები.

ბიჯი 11

<u>გაკვეთილების მიზანი:</u>

მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ: ანტიკურ ხანაში აღმოსავლური და დასავლური/ ხმელთაშუაზღვისპირული სახელმწიფოები უპირისპირდებოდა ერთმანეთს.

საგაკვეთილო საათები:

საათი 21: გაკვეთილი 40. რა გავლენა მოახდინა რომანიზაციამ იბერია-კოლხეთზე?
საათი 22: გაკვეთილი 41. როგორ გამძაფრდა დაპირისპირება სასანურ ირანსა და რომს შორის?

საკვანძო შეკითხვის პროვოცირება:

- რატომ არის საქართველოში მრავლად აღმოჩენილი რომაული პერიოდის არქეოლოგიური არტეფაქტები?

ცნებების დამუშავება:

- ისტორიული პერიოდი – რომაული ეპოქა (<u>სამიზნე ცნება – დრო</u>)
- სამხრეთი კავკასია – საქართველო, სომხეთი, ალბანეთი (<u>სამიზნე ცნება – სივრცე</u>)
- რომანიზაცია (<u>სამიზნე ცნება - ისტორიული მოვლენა/პროცესი</u>)

შეფასების ინდიკატორები:

ანტიკური და გვიანანტიკური საზოგადოების (სოციალური ფენები, სახელმწიფო მოწყობა, სამართლებრივი აზროვნება, მეურნეობის ფორმები, რელიგია და მსოფლმხედველობა) თანამედროვე და/ან სხვა ისტორიული ეპოქის საზოგადოებასთან შედარება (1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 11)

დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:

- გაკვ. 40: 1-ლი შემაჯამებელი დავალება.
- გაკვ. 41: 1-ლი და/ან მე-2 შემაჯამებელი დავალებები.

ბიჯი 12

<u>გაკვეთილების მიზანი:</u>

მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ იმპერატორ კონსტანტინეს დროიდან რომში ქრისტიანობა მთავარ რელიგიად იქცა. გვიანანტიკურ ხანაში ხშირი იყო საეკლესიო განხეთქილებები (მაგალითად, მონოფიზიტებსა და დიოფიზიტებს შორის); სადავო საკითხები მსოფლიო საეკლესიო კრებებზე წყდებოდა.

საგაკვეთილო საათები:

საათი 23: გაკვეთილი 42. როგორ გაჩნდა ერთი ღმერთის იდეა და როგორ წარმოიშვა ქრისტიანობა?
საათი 24: გაკვეთილი 43. რით დაიმსახურა რომის იმპერატორმა კონსტანტინემ ეპითეტი "დიდი"?
საათი 25: გაკვეთილი 44. რა ვითარებაში გაქრისტიანდა ქართლი?

საკვანძო შეკითხვის პროვოცირება:

- რატომ მიიღო იმპერატორმა კონსტანტინემ ქრისტიანობა?
- რატომ მიიღო მირიან მეფემ ქრისტიანობა?
- რატომ ჰქონდა გვიანანტიკურ ხანაში საეკლესიო დავებს შეურიგებელი ხასიათი?

ცნების დამუშავება:

კულტურა, რელიგია, მსოფლმხედველობა (<u>სამიზნე ცნება – საზოგადოება</u>)

შეფასების ინდიკატორები: მოსწავლემ უნდა შეძლოს:

ანტიკური და გვიანანტიკური საზოგადოების (სოციალური ფენები, რელიგია და მსოფლმხედველობა) თანამედროვე და /ან სხვა ისტორიული ეპოქის საზოგადოებასთან შედარება (1, 2, 4, 5, 6, 7, 8, 9);

დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:
- გაკვ. 42: მე-2 შემაჯამებელი დავალება.
- გაკვ. 43: შემაჯამებელი დავალება.
- გაკვ. 44: შემაჯამებელი დავალება.

ბიჯი 13

<u>გაკვეთილის მიზნები:</u>

- კოლხეთი ფართოდაა ასახული ბერძნულ მითოლოგიაში, ბერძენი და რომაელი ავტორების თხზულებებში;
- ანტიკურ ხანაში პოლიტიკური და კულტურული თვალსაზრისით წამყვანი პოზიციები ბერძნებსა და რომაელებს ეკავათ; მათი ცივილიზაცია თანამედროვეობაზეც ახდენს გავლენას.

საგაკვეთილო საათი:

საათი 26: გაკვეთილი 45. როდის გაჩნდა ქართული დამწერლობა?

საკვანძო შეკითხვის პროვოცირება:

რაც ვიცით, საიდან ვიცით ანტიკური ხანის შესახებ?

ცნების დამუშავება:

დამწერლობა (<u>სამიზნე ცნება – საზოგადოება</u>)

შეფასების ინდიკატორები:

დამწერლობისა და სახელმწიფო ინსტიტუტების წარმოქმნის მიზეზებზე მსჯელობა; სახელმწიფოს წარმოქმნით გამოწვეული კომპლექსური ცვლილებების დახასიათება და სხვა ისტორიულ მოვლენებთან შედარება (ისტ. საბ. 3, 4, 6, 7, 8, 11, 12)

დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:

- გაკვ. 45: მე-2 შემაჯამებელი დავალება.

ბიჯი 14

<u>გაკვეთილის მიზნები:</u>

მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:

- რომის იმპერია გერმანული ტომების შემოსევების შედეგად დაეცა; შუა საუკუნეებს რომის იმპერიის დააცემის შემდგომ პერიოდს უწოდებენ..
- რომაული სამართალი და მმართველობის სისტემა საფუძვლად უდევს თანამედროვე ევროპულ/დასავლურ სამართალსა და მმართველობის სისტემას.

საგაკვეთილი საათი:

საათი 27: გაკვეთილი 46. როგორ დაეცა დასავლეთ რომის იმპერია?

საკვანძო შეკითხვის პროვოცირება:

- რატომ დაეცა რომის იმპერია?
- რატომ ახდენს რომაული მემკვიდრეობა (კანონები, პოლიტიკური სისტემა) გავლენას თანამედროვეობაზე?

ცნების დამუშავება:

ხალხთა დიდი გადასახლება (<u>სამიზნე ცნება – ისტორიული მოვლენა/პროცესი</u>)

შეფასების ინდიკატორები:

- ანტიკური და გვიან ანტიკური ხანისათვის დამახასიათებელი არსებითი ნიშნების გამოკვეთა (ისტ. საბ. 1, 5, 10)
- „ხალხთა დიდი გადასახლების შედეგად გგამოწვეული ცვლილებების დახასიათება. მათი სხვა ისტორიულ მოვლენებთან შედარება (ისტ. საბ. 3, 4, 7, 8, 10, 11, 12)

ავტორთა კომენტარი:

გუთები III საუკუნეში დამკვიდრდნენ დნეპრის ქვემო წელზე, შავი და აზოვის ზღვების მიმდებარე სტეპებში. IV ს-ის მეორე ნახევარში გუთებმა შექმნეს ტომობრივი გაერთიანება, რომელშიც სკვითურ-სარმატული ტომებიც შედიოდნენ. 375 წელს, როცა ამ ადგილებში ჰუნები გამოჩნდნენ, მათ გუთები დაიმორჩილეს, მაგრამ მათი ერთი შტო, რომელიც დნესტრის აღმოსავლეთ ნაპირას ცხოვრობდა, ჰუნებს გაექცა და რომის საზღვრებისკენ გადაადგილდა. მათ რომის ფედერატების უფლებით მეზიაში (თანამედროვე ბულგარეთი) მიწები გადაეცათ. სწორედ ამიტომ უწოდეს ამ უკანასკნელთ ვესტგუთები (დასავლელი გუთები), განსასხვავებლად ადგილზე დარჩენილი გერმანელებისაგან, რომელთაც ოსტგუთებად (აღმოსავლელ გუთებად) მოიხსენიებენ. თითქმის საუკუნის შემდგომ, ატილას ლაშქობების დროს ოსტგუთები, როგორც ჰუნთა მოკავშირეები, მის ბანაკში აღმოჩნდნენ ალანებთან (სარმატები) ერთად. ვესტგუთები, რომლებსაც ამ დროს აკვიტანიაში (საფრანგეთი) სამეფო ჰქონდათ დაარსებული, მართალია, რომაელების დაუძინებელი მტრები იყვნენ, მაგრამ ჰუნებისგან მომდინარე საფრთხის თავიდან ასაცილებლად რომაელებთან შეკავშირება არჩიეს.

დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:

- გაკვ. 46: შემაჯამებელი დავალება.

ბიჯი 15

<u>გაკვეთილების მიზნები:</u>

მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:

- ანტიკურ ხანაში საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებთ მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ იმდროინდელი მსოფლიოს მოწინავე ხალხებთან – ბერძნებთან, რომაელებთან, სპარსელებთან;
- მომთაბარეების შესაჩერებლად კავკასიის უღელტეხილების გამაგრებას ბიზანტიისა და სპარსეთისთვის სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა; ეს საერთაშორისო პოლიტიკაში ქართული სახელწიფოების (ქართლი, ეგრისი) როლის ზრდას განაპირობებდა.
- გვიანანტიკურ ხანაში ხშირი იყო საეკლესიო განხეთქილებები (მაგალითად, მონოფიზიტებსა და დიოფიზიტებს შორის); სადავო საკითხები მსოფლიო საეკლესიო კრებებზე წყდებოდა.

საგაკვეთილო საათები:

საათი 28: გაკვეთილი 47. რას მიაღწია მეფე ვახტანგ გორგასლმა საქართველოს სასარგებლოდ?
საათები 29/30: გაკვეთილები 48/49. რა სირთულეებს გადააწყდა ბიზანტიისა და სასანური ირანის იმპერიებს შორის მოქცეული საქართველო?

საკვანძო შეკითხვების პროვოცირება:

- რატომ ცდილობდნენ საქართველოს მეფეები ჩრდილოეთ კავკასიის უღელტეხილების გაკონტროლებას? რატომ უწყობდნენ მათ ამაში ხელს ბიზანტია და სასანიანთა ირანი?
- რატომ ჰქონდა გვიანანტიკურ ხანაში საეკლესიო დავებს შეურიგებელი ხასიათი?

ცნებების დამუშავება:

კულტურა, რელიგია, მსოფლმხედველობა (<u>სამიზნე ცნება – საზოგადოება</u>)
მეფე (<u>სამიზნე ცნება – ძალაუფლება</u>)

შეფასების ინდიკატორები:

- ანტიკური და გვიანანტიკური ხანისათვის დამახასიათებელი არსებითი ნიშნების (მმართველობის ფორმები, რელიგიები, მიგრაციული პროცესები) გამოკვეთა (ისტ. საბ. 1, 5, 10);
- ანტიკური და გვიანანტიკური საზოგადოების (სოციალური ფენები, სახელმწიფო მოწყობა, სამართლებრივი აზროვნება, მეურნეობის ფორმები, რელიგია და მსოფლმხედველობა) თანამედროვე და/ან სხვა ისტორიული ეპოქის საზოგადოებასთან შედარება(ისტ. საბ. 3, 6, 7, 10, 11)

დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:

- გაკვ. 47: 1-ლი შემაჯამებელი დავალება.
- გაკვ. 48/49: შემაჯამებელი დავალება.

ბიჯი 16

<u>გაკვეთილის მიზნები:</u>

მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:

- ანტიკურ ხანაში პოლიტიკური და კულტურული თვალსაზრისით წამყვანი პოზიციები ბერძნებსა და რომაელებს ეკავათ; მათი ცივილიზაცია თანამედროვეობაზეც ახდენს გავლენას.

- ანტიკურ ხანაში ფართოდ იყენებდნენ მონების შრომას.
- რომაული სამართალი და მმართველობის სისტემა საფუძვლად უდევს თანამედროვე ევროპულ/დასავლურ სამართალსა და მმართველობის სისტემას;
- ანტიკურ ხანაში აღმოსავლური და დასავლური / ხმელთაშუაზღვისპირული სახელმწიფოები უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს; ალექსანდრე მაკედონელის მოღვაწეობამ მათი კულტურების შერწყმას (ელინიზმს) ჩაუყარა საფუძველი.
- რომის იმპერია გერმანული ტომების შემოსევების შედეგად დაეცა. შუა საუკუნეებს რომის იმპერიის დაცემის შემდგომ პერიოდს უწოდებენ.

საგაკვეთილო საათი:

საათი 31: გაკვეთილი 50. რით გამოირჩევა ანტიკური ხანა?

საკვანძო შეკითხვების პროვოცირება:

- რით განსხვავდებოდა ანტიკური ხანა თანამედროვეობისა და სხვა ისტორიული ეპოქებისგან?
- რატომ ადარებენ ელინიზმს თანამედროვე გლობალიზაციას?
- რატომ ცდილობდნენ სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში ანტიკური ხანის კულტურის მიბაძვას?
- რატომ ახდენს რომაული მემკვიდრეობა (კანონები, პოლიტიკური სისტემა) გავლენას თანამედროვეობაზე?

ცნებების დამუშავება:

- ანტიკური ხანა, ელინისტური ხანა, რომაული ეპოქა (<u>სამიზნე ცნება – დრო</u>)
- ევროპა, აზია (<u>სამიზნე ცნება – სივრცე</u>)
- ელინური კულტურა, ელინი/ბარბაროსი, მონათმფლობელობა (<u>სამიზნე ცნება – საზოგადოება</u>)
- ელინიზმი (<u>სამიზნე ცნება – ისტორიული მოვლენა/პროცესი</u>)

შეფასების ინდიკატორები

- ანტიკური და გვიანანტიკური საზოგადოების (სოციალური ფენები, სახელმწიფო მოწყობა, სამართლებრივი აზროვნება, მეურნეობის ფორმები, რელიგია და მსოფლმხედველობა) თანამედროვე და/ან სხვა ისტორიული ეპოქის საზოგადოებასთან შედარება (ისტ.საბ. 1,2,3,7,9,10,11,12)
- ბერძნული კოლონიზაციის, ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობების, რომის მსოფლიო იმპერიად ჩამოყალიბების, "ხალხთა დიდი გადასახლების" შედეგად გამოწვეული ცვლილებების დახასიათება; საქართველოზე მათი ზეგავლენის გაანალიზება; მათი სხვა ისტორიულ მოვლენებთან შედარება (ისტ.საბ.1,2,3,6,7,8,9,10,11,12).

ავტორთა კომენტარი:

საქართველოს ისტორიის ე. წ. გვიანანტიკური პერიოდი პირობითად შეგვიძლია ძვ. წ. I – ახ. წ. VI საუკუნეებით დავათარიღოთ. თუმცა, მისი ზედა ქრონოლოგიური ზღვარი სადავოა, რადგან ამ დროისათვის იკვეთება ფეოდალიზმის კონტურები (ერისთავების საკითხი). მაგრამ ეს პროცესი საზოგადოების მხოლოდ მცირე ნაწილს მოიცავს, ამავე დროს კი მკაფიოდაა შენარჩუნებული ანტიკური ტრადიციები, განსაკუთრებით აღმოსავლეთ რომის იმპერიის პოლიტიკურ ორბიტაში დარჩენილ რეგიონებში (ანტიკური განათლება, სახალხო კრება). ამიტომ გვიანანტიკური და ადრეფეოდალური ეპოქების მკაფიოდ გამიჯვნა შეუძლებელია. იმდროინდელი ბიზანტიაც ორიენტირებულია წარსულზე, რომის ძველი დიდების აღდგენა-შენარჩუნებაზე (იუსტინიანეს კანონმდებლობა).

დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:

- გაკვ. 50-ის შემაჯამებელი დავალება.

შეფასების რუბრიკების ნიმუშები თემის "ანტიკური ხანა" შემაჯამებელი კომპლექსური დავალებებისთვის

შემაჯამებელი კომპლექსური დავალება (როლური თამაში) "ფარსმან ქველის სტუმრობა რომში"

როლური თამაშის შეფასების რუბრიკა		
კლასი: VII		
მოსწავლის გვარი, სახელი:		
დავალების პირობა: პიესის დადგმა "ფარსმან ქველის რომში სტუმრობა"		
	შეფასების კრიტერიუმები	კრიტერიუმების წონა
1.	შეესაბამება შესაჯამებელ თემას	1
2	პროცესი ეყრდნობა წინასწარ შემუშავებულ სცენარს	1
3.	აქტივობის მსვლელობა წარმოადგენს ფარსმანის ანტონინუს პიუსთან სტუმრობის იმიტაციას.	2
4.	მონაწილეთა როლები აღებულია შესაბამისი პერიოდის რომაული და ქართული საზოგადოებიდან.	1
5.	მონაწილენი არგუმენტებსა და მოსაზრებების მკაფიოდ და გასაგებად აყალიბებენ.	2
6.	არგუმენტებად იყენებენ რეალურ ფაქტებსა და წყაროებს.	2
7.	პიესაში მოსწავლეები წარმოაჩენენ რომის იმპერიასა და ქართლის სამეფოს შორის არსებულ პოლიტიკურ მდგომარეობას.	1

შემაჯამებელი კომპლექსური დავალება (პრეზენტაცია) ოლიმპიური თამაშების შესახებ (მისი მნიშვნელოვნებისა და დროის ათვლის ფენომენის წარმოსაჩენად)

პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა	
შეფასების კრიტერიუმები	კრიტერიუმის წონა
საპრეზენტაციო თემის განსაზღვრა	1
ოლიმპიური თამაშების შესახებ ინფორმაციის ამომწურავად მოძიება	2
ტექსტის ენობრივი გამართულობა, აკადემიური კულტურის დაცვა	1
ოლიმპიური თამაშების როგორც წელთაღრიცხვის სისტემის წარმოჩენა	1
ოლიმპიური თამაშების ისტორიისა და მიმდინარეობის ამსახველი ვიზუალური მასალის მოძიება	2
არგუმენტირებული, ჩამოყალიბებული მსჯელობა	2
აუდიტორიასთან კონტაქტის დამყარების უნარი	1

შემაჯამებელი კომპლექსური დავალება (თემა): "სოლონის და პერიკლეს მოღვაწეობის შედარება"

<u>თემის შეფასების რუბრიკა</u>	
შეფასების კრიტერიუმები	კრიტერიუმის წონა
შეესაბამება შესაჯამებელ თემას	2
ნაშრომის სტრუქტურა, სტილი აკადემიურია, ენობრივად გამართულია	1
ნაშრომში მოსწავლე მსჯელობს სოლონისა და პერიკლეს მოღვაწეობაზე ისტორიულ წყაროებსა და ფაქტებზე დაყრდნობით.	2
მოსწავლის მსჯელობა არგუმენტირებულია.	2
მოსწავლე აფასებს ამ ორი კანონმდებლის მოღვაწეობის დადებით და/ან უარყოფით მხარეებს.	1
მოსწავლე პარალელებს ავლენს დღევანდელობასთან და საუბრობს ქვეყნისთვის კანონებისა და კანონმდებლის მნიშვნელობის შესახებ.	2

შემაჯამებელი კომპლექსური დავალება (ბუკლეტის/ფლაერის/პლაკატის/პოსტერის/ვებსაიტის შექმნა) რომის მმართველობის სისტემის წარმოსაჩენად

<u>ბუკლეტის/ფლაერის/პლაკატის/პოსტერის/ვებსაიტის შეფასების რუბრიკა</u>	
შეფასების კრიტერიუმები	კრიტერიუმის წონა
შეესაბამება შესაჯამებელ თემას	1
მოსწავლის მიერ რომის მმართველობის სისტემის შესახებ მოძიებული ინფორმაცია ამომწურავია	2
მოსწავლის მიერ გამოყენებული წყაროები სანდოა.	1
ტექსტი სტრუქტურულად გამართულია, დაწერილია ქართული სალიტერატურო ენის დაცვით.	1
მოსწავლე დეტალურად ასახავს ნაშრომში რომის მმართველობის სისტემაში მიმდინარე ცვლილებებს.	1
მოსწავლე უკავშირებს რომის მმართველობის სისტემის შესახებ მიღებულ ცოდნას დღევანდელობას, ავლებს პარალელებს თანამედროვეობასთან.	1
ნაშრომი გაფორმებულია რომის მმართველობის სისტემის ამსახველი სასწავლო დანიშნულების თვალსაჩინოებებით.	1
ნაშრომი წარმოადგენს სასწავლო რესურსს რომის მმართველობის სისტემით დაინტერესებულ პირთათვის.	2

სწავლა-სწავლების ინტერაქტიური მეთოდები

1. გ.ი. – გონებრივი იერიში. ამ მეთოდით მასწავლებელი სასწავლო მიზნის შესაბამისად წინასწარ შეარჩევს და და შეკითხვის სახით აყალიბებს თემას.

2. ვ.დ. – ვენის დიაგრამა. მეთოდის სახელწოდება უკავშირდება ინგლისელი მათემატიკოსის, ჯონ ვენის სახელს. ვენის დიაგრამა შედგება ორი ან მეტი რგოლისაგან და იძლევა შედარებითი ანალიზის საშუალებას.



3. დ.დ. – დროის დიაგრამა. მეთოდი გამოიყენება ფაქტებისა და მოვლენების დროსთან დასაკავშირებლად. იგი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს თვალსაჩინოდ დაამუშაონ ისტორიული ფაქტების, მოვლენების შემცველი დიდი ტექსტები და საკითხები.

4. 3-2-1 სტრატეგია. მეთოდი გამოიყენება ტექსტის წაკითხვის, თვალსაჩინოების დათვალიერების, ფილმის ნახვის, პროექტების დასრულების შემდეგ. მეთოდის გამოყენება შემდეგი სახით ხდება: ტექსტის ან/და წყაროების გაცნობის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს 2-3 წინადადებით ჩამოწერონ:

- 3 რამ, რამაც დამაინტერესა;
- 2 რამ, რის შესახებაც მინდა გავიგო;
- 1 რამ, რის შესახებაც სიამოვნებით ვიმსჯელებდი.

ეს მეთოდი ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას გაკვეთილის პროცესში. მისი მიზანია მოსწავლის განწყობა საგაკვეთილო პროცესისადმი და თემის მიმართ ინტერესის გაღვიძება. იგი ხელს უწყობს აზრის მობილიზებასა და სხარტად გამოთქმის უნარის გამომუშავებას.

5. კ.ნ.ს. – კითხვა ნიშანთა სისტემით. მეთოდი გამოიყენება ახალი გაკვეთილის ტექსტზე მუშაობისას, ხელს უწყობს მასალის ათვისებას, ააქტიურებს საკითხის შესახებ არსებულ ცოდნას, ავითარებს კრიტიკული აზროვნებისა და ინფორმაციის დახარისხების უნარს. მეთოდის აღწერა:

მოსწავლეები ტექსტის კითხვისას კიდეებზე აკეთებენ აღნიშვნებს (სასურველია – უბრალო ფანქრით): „✓“ – თუ ინფორმაცია ნაცნობია, „+“ – თუ ინფორმაცია ახალია, „–“ თუ ინფორმაცია მათი აზრის საპირისპიროა, „?“ – თუ არ ეთანხმებიან ან გაუგებარია, შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს შეავსონ სქემა:

✓	+	–	?

შემდეგ კი მართავენ დისკუსიას და პასუხობენ მასწავლებლის მიერ დასმულ შეკითხვებს:

- რა იყო ისეთი, რაც ტექსტის წაკითხვამდე იცოდით?
- რა აღმოჩნდა ისეთი, რაც ტექსტის წაკითხვამ გასწავლათ?
- რა იყო ისეთი, რისი საპირისპიროც იცოდით (ან; რასაც არ ეთანხმებით)?
- რა შეკითხვები დაგებადათ?

6. T-სქემა – გამოიყენება საპირისპირო მოსაზრებათა გამოსათქმელად, მოვლენებისა თუ ფაქტების შესაპირისპირებლად და შესადარებლად, მოქმედ გმირთა დასახასიათებლად, ინფორმაციის დასახარისხებლად.



7. ვ.მ.ვ. – ვიცი, მინდა ვიცოდე, ვისწავლე. მეთოდი გამოიყენება საგაკვეთილო ტექსტზე მუშობისას. გვიჩვენებს, რა ისწავლა მოსწავლემ ამ ტექსტით, აძლიერებს ტექსტის კითხვისა და მასზე მუშაობის მოტივაციას, ავითარებს კითხვის დასმისა და წერითი მეტყველების უნარ-ჩვევებს. სქემა „ვიცი, მინდა ვიცოდე, ვისწავლე (KWL)" გამოიყენება მოსწავლის წინარე ცოდნისა და ახლად შესწავლილი მასალის ორგანიზებისთვის. ცხრილი მოათავსეთ ოთახის თვალსაჩინო მხარეს: გაკვეთილის დასაწყისში შეავსეთ პირველი ორი სვეტი, გაკვეთილის მიწურულს კი – ბოლო. გამოიყენეთ ფრაზა „მინდა ვიცოდე" რომელიმე თქვენი კონტენტის სახელმძღვანელოდ, რადგანაც უკვე იცით, რომ ამან უკვე გამოიწვია მოსწავლეთა დაინტერესება!

ვიცი	მინდა ვიცოდე	ვისწავლე

8. ა.კ.რ. – ასოციაციური კავშირების რუკა. დაფის ან ფურცლის ცენტრში, სასწავლო მიზნიდან გამომდინარე, იწერება სიტყვა ან ფრაზა, რომელსაც ლოგიკურად უკავშირებენ იმას, რის ასოციაციასაც გამოიწვევს იგი აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით. ხელს უწყობს ინფორმაციის შეკრებისა და დაჯგუფების, თემის გააზრების, დასკვნების გაკეთების, შემოქმედებითი და ლოგიკური აზროვნების უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

9. შეკითხვები – ღია ან დახურული ტიპის. დახურული კითხვა მოითხოვს მხოლოდ „დიახ" და „არა" პასუხს. იგი გამოიყენება, ძირითადად, ცოდნის შესამოწმებლად და ფაქტის კონსტატაციისათვის. ღია შეკითხვა მოწოდებულია სხვადასხვა აზრთა გამოსავლენად, საკამათოდ. იგი შეიძლება დავყოთ ჯგუფებად: ჰიპოთეტური, განსჯითი, წამახალისებელი, მასტიმულირებელი, შემაჯამებელი, კვლევითი, შემათანხმებელი.

ჰიპოთეტური – „რას იფიქრებ ან მოიმოქმედებ შენ, თუ...?" ასეთი მეთოდი მოსწავლეს ეხმარება წარმოსახვის უნარის განვითარებაში, მიმართავს მის გონებას ფიქრისა და განსჯისაკენ.

განსჯითი – „როგორ შეგვიძლია ხელი შევუწყოთ ამ პრობლემის გადაჭრას?"

წამახალისებელი – „საინტერესოა, რა მოხდა შემდეგ?" მოსწავლე უზიარებს შთაბეჭდილებებსა და გამოცდილებას.

მასტიმულირებელი – „რა აზრის ხარ?" მასწავლებელი აგრძნობინებს მოსწავლეს, რომ მისი აზრი მნიშვნელოვანია.

კვლევითი – „რატომ ფიქრობ ასე?" ხელს უწყობს მოსწავლეს დაუფიქრდეს საკითხს, შეძლოს საკუთარი აზრის დასაბუთება.

შემაჯამებელი – მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა გააანალიზონ მეგობრის მოსაზრება, განსაზღვრონ, ეთანხმებიან თუ არა მას. კითხვა: „რატომ ფიქრობთ ასე?"

შემათანხმებელი – „ეთანხმებით თუ არა გამოთქმულ მოსაზრებას?" ამ შეკითხვით შეიძლება კამათის პროვოცირება ან კამათის დასრულება. მასწავლებელი უნდა ეცადოს კონსენსუსის მიღწევას ან, თუ ეს შეუძლებელია, აფიქსირებს განსხვავებულ აზრს და საკითხს ღიად ტოვებს. მეორე შემთხვევაში ამას ახდენს შეკითხვით – „შეიძლება თუ არა ეს საკითხი გარკვეულად ჩაითვალოს?"

10. დისკუსია – იწყება მოტივაციით, რომელიც გულისხმობს პრობლემის ან კონკრეტული შემთხვევის აღწერას, გათვალსაჩინოებას. მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს კითხვებს: რა? როგორ? რატომ? რა მოხდებოდა, რომ? რამ იქონია გავლენა? არის თუ არა ალტერნატივა? ტრადიციული მეთოდით სწავლებისაგან განსხვავებით, შესაძლებლობას იძლევა დავინახოთ, რომ ყოველი მტკიცება მრავალ სათუო მხარეს შეიცავს.

11. როლში ჩაყენება. მეთოდი გულისხმობს მოსწავლის ჩაყენებას გარკვეული პერსონაჟის ან მკვლევრის როლში, საკითხის უკეთ გათავისების, გაგების მიზნით.

12. დებატები – აგებულია მონაწილეთა წინასწარ დაგეგმილ გამოსვლებზე. წარმომადგენლებს ირჩევენ თითოეული ჯგუფიდან. კამათში მონაწილეობს ჯგუფის თითო წარმომადგენელი რიგრიგობით.

13. ინტერვიუ – მის ჩასატარებლად საჭიროა წინდაწინ მომზადება: მიზნის დასახვა და კითხვების შედგენა. იგეგმება ტექნიკური მხარეც. ინტერვიუს აღება შესაძლებელია ოჯახის წევრებისგან, მეზობლისგან, უბრალოდ ნაცნობისგან ან უცნობისაგან. მისი ჩატარება შეუძლია ერთ ან რამდენიმე მოსწავლეს. აუცილებელია შედეგების განხილვა და შეჯამება.

14. თაიმლაინი (Timeline) გამოიყენება ფაქტებისა და ნაბიჯების თანმიმდევრულად დალაგებისთვის.



15. კარუსელის მეთოდი „კარუსელი“ (მონაცვლეობითი გავლა) ააქტიურებს მოსწავლის ცოდნას, მას შემდეგ, რაც მასწავლებლის თხოვნით მოსწავლეები განიხილავენ უკვე დასწავლილ კონკრეტულ თემას, მიმოიხილავენ თანაკლასელების ნათქვამს იმის თაობაზე, თუ რა იციან და ავსებენ მას დამატებითი ინფორმაციით. როგორ უნდა გავაკეთოთ ეს:

1. კლასი დაყავით (3-4 მოსწავლისგან) შემდგარ მცირე ჯგუფებად;
2. ოთახის ირგვლივ (ან ჰოლში) განათავსეთ ფურცლები ან ფლიფჩარტები, სადაც მითითებული იქნება თემა, რომლითაც გეგმავთ მოსწავლის ცოდნის გააქტიურებას.
3. თითოეული ჯგუფი დააყენეთ ფლიფჩარტთან და მიეცით მცირე დრო (1-2 წუთი) იმისათვის, რომ გააკეთონ ჩამონათვალი იმ ყველაფრისა, რაც იციან თემის ირგვლივ.
4. დროის ამოწურვის შემდეგ არსებული ჩაანაცვლეთ მომდევნო ფლიპჩარტით.
5. აღნიშნულ ფლიპჩარტზე ჯგუფებმა უნდა მიმოიხილონ, თუ რა დაწერეს მათმა თანაკლასელებმა და უნდა დაამატონ ნებისმიერი ახალი ინფორმაცია.
6. განაგრძეთ მანამ, სანამ ყველა ჯგუფი არ გაიმორებს იმავეს ფლიპჩარტთან.

16. ლექსიკური BINGO

მოსწავლეებთან BINGO-ს გამოყენება კარგი საშუალებაა გაავარჯიშონ ტერმინები და იმხიარულონ!

1. დაურიგეთ მოსწავლეებს BINGO-ს ბარათები (ან თავად გააკეთებინეთ ცარიელ ქაღალდზე).
2. დაწერეთ თქვენთვის საჭირო ტერმინების რაოდენობა დაფაზე. სთხოვეთ მოსწავლეებს ტერმინები თავიანთ ბარათებზე გადაიწერონ. რაიმე თანმიმდევრობის დაცვა არაა საჭირო.
3. მასწავლებელი ამბობს: „მე წავიკითხავ გასაღებს. მოძებნეთ სიტყვა, რომელიც ამ გასაღებს შეესაბამება თქვენს დაფაზე და X-ით მონიშნეთ ის. როცა გექნებათ 5X რიგში, წამოიძახეთ BINGO.
4. როცა მოსწავლე დაიძახებს BINGO, შეხედეთ მის ბარათს, რათა დარწმუნდეთ, რომ მას აქვს საჭირო X-ები.
5. ითამაშეთ, სანამ 5-10 მოსწავლე დაიძახებს BINGO-ს.
6. შემდეგ მიმოიხილეთ ყველა გასაღები და სწორი ტერმინები.

17. წრე (Cycle) გამოიყენება ნაბიჯებისა და პროცესების საჩვენებლად, რომლებიც წრიულად/ციკლურად მოძრაობენ.



18. აქტივობა „სამიზნე“, როგორც განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთ ხერხი.

სამიზნე დაყოფილია ოთხ სექტორად. თითოეულ სექტორში იწერება პარამეტრები. მაგ., 1-ლ სექტორში – შინაარის შეფასება; მე-2-ში – გამოყენებული მეთოდების შეფასება; მე-3-ში – ჯგუფის წევრის საქმიანობის შეფასება, ხოლო მე-4-ში – საკუთარი საქმიანობის შეფასება. თითოეული მოსწავლე ფლომასტერს, ფანქარს ან კალამს 4-ჯერ (თითოჯერ თითო სექტორში) „ესვრის“ სამიზნეს და სროლის ადგილას აღნიშნავს წერტილს ან „+“ ნიშანს და ა. შ. ეს აღნიშვნა შეესაბამება მისი შედეგების შეფასებას. თუ მოსწავლე დაბალ დონეზე აფასებს თავის შედეგებს, მაშინ სამიზნეზე წერტილი ახლოს უნდა იყოს 0-თან, ხოლო თუ ცოტა მეტად – მაშინ 5-თან, იმ შემთხვევაში, თუ უფრო მაღალ დონეზე აფსებს – ციფრ 10-იანთან ახლოს.



19. სეგმენტური აქტივობა (მუშაობა ჯგუფებში). მასწავლებელი მოსწავლეებს ყოფს ოთხ ან ხუთკაციან ჯგუფებად. ჯგუფებს აძლევს დავალებას: ყურადღებით წაიკითხონ ტექსტი. ტექსტზე დაყრდნობით მოიფიქრონ კითხვები და მატრიცის მათთვის განკუთვნილ სეგმენტში ჩაწერონ. მოსწავლეები ჯერ ინდივიდუალურად მუშაობენ ტექსტზე, აყალიბებენ კითხვებს, გადააქვთ ფლიფჩარტზე/ფურცელზე მათთვის განკუთვნილ სეგმენტში. შემდეგ ჯგუფში განიხილავენ ინდივიდუალურ ნამუშევრებს, შეარჩევენ საუკეთესოს და შეთანხმებული ვარიანტი გადააქვთ მატრიცის ცენტრალურ სეგმენტში.



შეფასების სქემებისა და რუბრიკების ნიმუშები

არგუმენტირებული მსჯელობის შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმები	დიახ	არა	ნაწილობრივ	რეკომენდაცია
ზუსტად საზღვრავს მსჯელობის თემასა და მიზანს.				
მსჯელობს პრობლემაზე, მოჰყავს არგუმენტები, ამყარებს მაგალითებით.				
მასალა კარგად აქვს მომზადებული, სრულყოფილად ფლობს ფაქტობრივ ცოდნას.				
შეუძლია საუბარი მაგალითებისა და ისტორიული პარალელების შესახებ და სათანადო დასკვნების გამოტანა.				
შეუძლია საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა, მსჯელობა მისთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი კუთხით.				
აქტიურად მონაწილეობს მსჯელობაში.				

დისკუსიის შეფასების სქემა

კრიტერიუმები	1-2-3-4	5-6	7-8	9-10	9-10
საკუთარი აზრის არგუმენტირებულად დასაბუთება	აზრი ბუნდოვანია, ვერ ასახელებს არგუმენტებს.	აზრი გაუმართავია, მოყვანილი არგუმენტები არაზუსტია.	უჭირს აზრის ორგანიზებულად ჩამოყალიბება, არგუმენტაცია ბუნდოვანია.	ცდილობს ორგანიზებულად ჩამოაყალიბოს საკუთარი აზრი, მაგრამ ზოგიერთი არგუმენტი ზედაპირულია.	ორგანიზებულად აყალიბებს საკუთარ აზრს, მოჰყავს დამაჯერებელი არგუმენტები.
დასკვნების გამოტანა	უჭირს დასკვნის გამოტანა, ძირითადად ნათქვამის პერიფრაზია.	უჭირს საკითხის შეჯამება, ორიოდე სიტყვით აყალიბებს დასკვნას.	აჯამებს, ცდილობს გააანალიზოს, მაგრამ უჭირს დასკვნის გამოტანა.	დისკუსიის პროცესში ცდილობს დასკვნების გამოტანას, აჯამებს, აანალიზებს, მაგრამ ძირითადად ეყრდნობა მხოლოდ საკუთარ არგუმენტებს.	დისკუსიის პროცესში გამოაქვს შესაბამისი დასკვნები, აჯამებს, აანალიზებს არგუმენტებსა და კონტრარგუმენტებს.
სხვისი აზრის მოსმენა – გათვალისწინება	ფაქტობრივად არ ისმენს სხვის მოსაზრებებს.	ხშირად აწყვეტინებს მოსაუბრეს, სხვისი მოსაზრება მისთვის უმნიშვნელოა.	რიგ შემთხვევაში აწყვეტინებს მოსაუბრეს, საკუთარი აზრის ჩამოყალიბებისას არ ახდენს რეაგირებას სხვის მოსაზრებაზე.	ყურადღებით ისმენს სხვის მოსაზრებას, ცდილობს განავითაროს ან გააბათილოს სხვისი აზრი, თუმცა განიხილავს ზედაპირულად.	ყურადღებით ისმენს სხვის მოსაზრებას, საკუთარი აზრის ჩამოყალიბებისას ითვალისწინებს სხვათა მოსაზრებას, ავითარებს ან აბათილებს სხვის არგუმენტებს.
საწინააღმდეგო მოსაზრების პატივისცემა	საწინააღმდეგო აზრი მისთვის მიუღებელია, არ აცლის მოსაუბრეს.	საწინააღმდეგო აზრის მოსმენა უჭირს, ავლენს ცინიკურ დამოკიდებულებას, არც კი განიხილავს სხვის პოზიციას.	საწინააღმდეგო აზრების მოსმენისას ემოციურია, ცდილობს დასაბუთებას, თუმცა ბუნდოვნად.	ცდილობს კორექტული იყოს ოპონენტის მიმართ, თუმცა ზოგჯერ ერთვება საუბარში, ყოველთვის ვერ პოულობს მყარ გამაბათილებელ არგუმენტებს.	კორექტულად გამოხატავს თავის პოზიციას ოპონენტის მიმართ, ასაბუთებს, აბათილებს არგუმენტირებულად.

რეგლამენტის დაცვა	ხშირად არღვევს რეგლამენტს.	ნაკლებად ითვალისწინებს რეგლამენტს, ცდილობს ხანგრძლივი საუბრით „მონუსხოს“ კლასი.	უჭირს რეგლამენტის დაცვა და სათქმელის დადგენილ დროში ჩამოყალიბება.	ცდილობს რეგლამენტის დაცვას, მაგრამ ზოგჯერ ამეტებს დადგენილ დროს.	ზუსტად იცავს რეგლამენტს.

დისკუსიის შეფასების რუბრიკა (თემის შეჯამება დისკუსიის ან დებატების ფორმატშიც არის შესაძლებელი)

შეფასების კრიტერიუმები	**კრიტერიუმის წონა**
მოსწავლე დისკუსიაში აქტიურად არის ჩართული.	
მოყვანილი არგუმენტები შეესაბამება სადისკუსიო საკითხს.	
ყურადღებით უსმენს სხვებს.	
აცდის აზრის ბოლომდე გამოთქმას.	
საწინააღმდეგო მოსაზრებებზე არ გამოხატავს აგრესიას.	
არ იმეორებს სხვის აზრებსა და არგუმენტებს.	
მოსაზრებებს მკაფიოდ და გასაგებად აყალიბებს.	

განმავითარებელი შეფასების სქემატური აღწერილობა

მიზანი	**სწავლის ხარისხის გაუმჯობესება; მოსწავლის განვითარების ხელშეწყობა.**
შეფასების საგანი	სწავლის პროცესი
შეფასების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება	წინსვლის ხელშესაწყობად განსხვავებული აქტივობის შერჩევა, სწავლების სტრატეგიის შეცვლა, რჩევა-დარიგების მიცემა და სხვ.
წარმარტების კრიტერიუმების განსაზღვრა	კონკრეტული მოსწავლის წინსვლის საფუძველზე (საკუთარ მიღწევებთან მიმართებით – რა დონეს ფლობდა, რა დონეს ფლობს)
შეფასების საშუალებები	თვით/ურთიერთშეფასების რუბრიკა; კითხვარი; სიტყვიერი (ზეპირი/წერილობითი) კომენტარი; უნარის განვითარების დონის აღწერა.

როლური თამაშის შეფასების რუბრიკა

შეფასების კრიტერიუმები	**კრიტერიუმის წონა**
შეესაბამება შესაჯამებელ თემას.	
პროცესი ეყრდნობა წინასწარ შემუშავებულ სცენარს.	
აქტივობის მსვლელობა წარმოადგენს მეფის მრჩევლებისა და უახლოესი წრის შეკრების იმიტაციას.	
„შეკრების“ მონაწილეებს შორის წინასწარ არის განაწილებული როლები.	
მონაწილეები არგუმენტებსა და მოსაზრებებს მკაფიოდ და გასაგებად აყალიბებენ.	
არგუმენტებად იყენებენ რეალურ ფაქტებსა და წყაროებს.	
მონაწილეები თავიათ როლს პასუხისმგებლობითა და შემოქმედებითად უდგებიან.	

თხზულების შეფასების რუბრიკა

შეფასების კრიტერიუმები	კრიტერიუმის წონა
შეესაბამება შესაჯამებელ თემას.	
თხზულება სათანადოდაა აგებული – შესავალი, კვლევითი ნაწილი და დასკვნა.	
შესრულებული დავალება შინაარსობრივად კორექტულია / დავალებაში მოტანილი ინფორმაცია სანდოა.	
თხზულება ენობრივად გამართულია.	
ნამუშევარი სტრუქტურულად გამართულია – მისი კომპონენტები ლოგიკურად შეესაბამებიან ერთმანეთს.	
ნაშრომი ავლენს ავტორის შემოქმედებით მიდგომას.	
მოტანილი დასკვნები ადეკვატური და რელევანტურია.	

პროექტის შეფასების რუბრიკა

შეფასების კრიტერიუმები	კრიტერიუმის წონა
სათანადოდაა გამოკვეთილი და ჩამოყალიბებული პროექტის მიზანი.	
დავალება შინაარსობრივად კორექტულია / დავალებაში მოყვანილი ინფორმაცია სანდოა.	
ტექსტები ენობრივად გამართულია.	
შეესაბამება შესაჯამებელ თემას.	
გაფორმებულია თემატიკის შესაბამისი თვალსაჩინოებებით (სურათები, ფოტოები, სქემები...).	
ნამუშევარი სტრუქტურულად გამართულია – მისი კომპონენტები ლოგიკურად შეესაბამება ერთმანეთს.	
არ აღვევს საავტორო უფლებებს / თან ახლავს სამეცნიერო აპარატი.	
ნაშრომი ავლენს ავტორის შემოქმედებით მიდგომას.	
მოტანილი დასკვნები ადეკვატური და რელევანტურია.	

დღიურის შეფასების რუბრიკა

შეფასების კრიტერიუმები	კრიტერიუმის წონა
ნამუშევარი შეესაბამება შესაჯამებელ თემას.	
დაცულია დღიურის სტრუქტურა – მითითებულია დღეები / თარიღები.	
დაწერილია პირველ პირში.	
ნაშრომში ვლინდება მოსწავლის შემოქმედებითობა.	
ეყრდნობა ისტორიულ რეალობას, ჯდება ისტორიულ კონტექსტში.	
„დღიურის ავტორი“ აქცენტს აკეთებს კონფლიქტის გამომწვევ მიზეზებზე და ფიქრობს მისი მოგვარების გზებზე.	

ბუკლეტის/ფლაერის შეფასების რუბრიკა

შეფასების კრიტერიუმები	კრიტერიუმის წონა
სათანადოდაა გამოკვეთილი და ჩამოყალიბებული პროექტის მიზანი.	
დავალება შინაარსობრივად კორექტულია/დავალებაში მოყვანილი ინფორმაცია სანდოა.	
ტექსტები ენობრივად გამართულია.	
შეესაბამება შესაჯამებელ თემას.	
გაფორმებულია თემატიკის შესაბამისი თვალსაჩინოებებით (სურათები, ფოტოები, სქემები...).	
ნამუშევარი სტრუქტურულად გამართულია – მისი კომპონენტები ლოგიკურად შეესაბამებიან ერთმანეთს.	
არ აღვევს საავტორო უფლებებს/თან ახლავს სამეცნიერო აპარატი.	
ნაშრომი ავლენს ავტორის შემოქმედებით მიდგომას.	
მოტანილი დასკვნები ადეკვატური და რელევანტურია.	

დისკუსიის შეფასების რუბრიკა

შეფასების კრიტერიუმები	კრიტერიუმის წონა
სტუდენტი დისკუსიაში აქტიურად არის ჩართული.	
მოყვანილი არგუმენტები შეესაბამება სადისკუსიო საკითხს.	
ყურადღებით უსმენს სხვებს.	
აცდის აზრის ბოლომდე გამოთქმას.	
საწინააღმდეგო მოსაზრებებზე არ გამოხატავს აგრესიას.	
არ იმეორებს სხვის აზრებსა და არგუმენტებს.	
მოსაზრებებს მკაფიოდ და გასაგებად აყალიბებს.	

ზეპირი შემაჯამებელი დავალების შეფასების სქემა

დონე	1-2	3-4	5-6	7-8	9-10
ცოდნა	მოსწავლე ასახელებს 1-2 ისტორიულ ინფორმაციას, ვერ გადმოსცემს თანამიმდევ-რულად, უშვებს უხეშ შეცდომებს.	მოსწავლე ფლობს ერთ ან ორ ისტორიულ ინფორმაციას, შეუიძლია რამდენიმეს გადმოცემა, უშვებს შეცდომებს.	მოსწავლე დამაკ-მაყოფილებლად ფლობს ისტო-რიულ ინფორ-მაციას, გადმოს-ცემს არათანამიმ-დევრულად, დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომები.	მოსწავლე კარგად, თანამიმდევრულად გადმოსცემს ისტორიულ ინფორმაციას, დაშვებული აქვს რამდენიმე უმნიშვნელო შეცდომა.	მოსწავლე სრულყოფილად ფლობს და თანამიმდევრულად გადმოსცემს ისტორიულ ინფორმაციას, არ უშვებს ფაქტობრივ შეცდომებს.
გაგება	მოსწავლეს უჭირს ქვეტექსტის ამოცნობა.	მოსწავლეს უჭირს ნასწავლი მასალის წვდომა მიმანიშნებელი კითხვებით, ვერ გადმოსცემს საკუთარი სიტყვებით.	მოსწავლე მიმანიშ-ნებელი კითხვების მეშვეობით ამოიცნობს ტექსტის, ძირითად ინფორმაციას, მაგრამ უჭირს მასალის ინტერპრეტაცია.	მოსწავლე მიმანიშ-ნებელი კითხვების მეშვეობით ამოიცნობს ტექსტის ძირითად ინფორმაციას, შეუძლია მასალის საკუთარი სიტყვებით გადმოცემა და ახსნა.	მოსწავლეს დამოუკიდებლად შეუძლია ნასწავლი მასალის წვდომა, ძირითადი ინფორმაციის ამოცნობა, საკუთარი სიტყვებით გადმოცემა.
გამოყენება	მოსწავლეს უჭირს ნასწავლი მასალის გამოყენება, ვერ ახერხებს დროში ორიენ-ტირებას.	მოსწავლეს უჭირს ნასწავლი მასალის გამოყენება და დროში ორიენტირება.	მოსწავლეს მასწავლებლის მიმანიშნებელი კითხვებით შეუძლია ნასწავლი მასალის გამოყენება, ახერხებს დროში ორიენტირებას, მაგრამ უშვებს შეცდომებს.	მოსწავლეს დამოუკიდებლად შეუძლია ნასწავლი ინფორმაციის გამოყენება, მასწავლებლის მიმანიშნებელი კითხვებით ახერხებს საგნების, მოვლენებისა და პროცესების სხვადასხვა კრიტერიუმებით დახარისხებას/ დაჯგუფებას, შეუძლია დროში ორიენტირება უმნიშვნელო უზუსტობით.	მოსწავლეს დამოუკიდებლად შეუძლია ნასწავლი ინფორმაციის გამოყენება, საგნების, მოვლენებისა და პროცესების სხვადასხვა კრიტერიუმებით დახარისხება დაჯგუფება; დროში ზუსტი ორიენტირება.

ანალიზი	მოსწავლე ვერ აანალიზებს მასალას, მასწავლებლის მიერ მითითებულ მაგალითებზე დაყრდნობით ცდილობს შედეგის ამოცნობას.	მოსწავლეს უჭირს ნასწავლი მასალის გაანალიზება და ისტორიული მოვლენებისა და პროცესების ახსნა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენისას უშვებს შეცდომებს.	მოსწავლეს მასწავლებლის მიმანიშნებელი კითხვებით შეუძლია ნასწავლი მასალის გაანალიზება, უჭირს ისტორიული მოვლენებისა და პროცესების ახსნა და მათ შორის კავშირების დადგენა-შედარება.	მოსწავლეს შეუძლია ნასწავლი მასალის გაანალიზება, ცდილობს ახსნას ისტორიული მოვლენებისა და პროცესების მიზეზ-შედეგობრივი კავშირები, უშვებს რამდენიმე შეცდომას.	მოსწავლეს დამოუკიდებლად, სრულყოფილად შეუძლია ნასწავლი მასალის გაანალიზება, ისტორიული მოვლენებისა და პროცესების ახსნა და მათ შორის კავშირების დადგენა-შედარება.
სინთეზი	მოსწავლე ცდილობს მასწავლებლის მიერ მითითებული პრობლემის გადაჭრის გზებიდან ამოიცნოს მისთვის საჭირო.	მოსწავლე მასწავლებლის დახმარებით ცდილობს პრობლემის გადაჭრის გზის მოძიებას, ასახელებს 1-2 მოქმედებას.	მოსწავლეს უჭირს პრობლემის დამოუკიდებლად განსაზღვრა, მასწავლებლის დახმარებით ასახელებს პრობლემასა და მისი გადაჭრის გზას, მაგრამ ვერ საზღვრავს საჭირო მოქმედებების თანმიმდევრობას.	მოსწავლეს დამოუკიდებლად შეუძლია პრობლემის განსაზღვრა, მაგრამ უჭირს მისი გადაჭრისთვის საჭირო მოქმედებების დაგეგმვა, უჭირს ჰიპოთეზის წამოყენება და ისტორიულ მოვლენათა პროგნოზირება.	მოსწავლეს დამოუკიდებლად შეუძლია პრობლემის განსაზღვრა და მისი გადაჭრისთვის საჭირო მოქმედებების დაგეგმვა, ჰიპოთეზების წამოყენება და ისტორიული პროგნოზის გაკეთება.
შეფასება	მოსწავლე ცდილობს გამოთქვას მოსაზრება მასწავლებლის მიმანიშნებელი კითხვების დახმარებით.	მოსწავლე მასწავლებლის დახმარებით ცდილობს ჩამოაყალიბოს მოსაზრება, მაგრამ ვერ ახერხებს მის არგუმენტირებას.	მოსწავლე ვერ აყალიბებს დამოუკიდებლად საკუთარ მოსაზრებას. მასწავლებლის დახმარებით აყალიბებს პოზიციას, მაგრამ უჭირს მისი არგუმენტირება და დასაბუთება.	მოსწავლეს შეუძლია საკუთარი მოსაზრებების გამოთქმა, მაგრამ უჭირს მათი საფუძვლიანი არგუმენტირება და დასაბუთება, განზოგადებული დასკვნების გაკეთება, ვერ ახერხებს ისტორიული მოვლენების კრიტიკულ შეფასებას.	მოსწავლეს შეუძლია საკუთარი მოსაზრებების გამოთქმა, მათი არგუმენტირება და დასაბუთება, განზოგადებული დასკვნების გაკეთება, ისტორიული მოვლენების კრიტიკული შეფასება.

ურთიერთშეფასების რუბრიკა

	კრიტერიუმები	**შეფასება**				**კომენტარი**
ორგანიზებულობა	იცავს საგაკვეთილო დისციპლინას					
	გაკვეთილისთვის აქვს ყველა საჭირო ნივთი (სახელმძღვანელო და ა.შ.)					
	შეუძლია ეფექტური კომუნიკაციის დამყარება					
	ასრულებს საშინაო დავალებას					
	დამოუკიდებლად მუშაობს					
	ეფექტურად იყენებს სასწავლო რესურსებს					
სასწავლო პროცესი	ჩართულია საკლასო აქტივობებში					
	ადეკვატურად იყენებს შესაბამის ტერმინებსა და ცნებებს					
	აანალიზებს დასმულ პრობლემას, აკეთებს დასკვნებს					
	ნათლად და მკაფიოდ აყალიბებს აზრს					
	ადეკვატურად ავლებს ისტორიულ პარალელებს					
	შეუძლია მსჯელობა სხვადასხვა ეპოქაში მიმდინარე მოვლენებზე					
სხვა კრიტერიუმები						

ყოველთვის +, ხშირად +/–, არასდროს –, ვერ შევაფასებ ?

თვითშეფასების რუბრიკა

	კრიტერიუმები	**შეფასება**				**კომენტარი**
ორგანიზებულობა	ვიცავ საგაკვეთილო დისციპლინას					
	გაკვეთილისთვის მაქვს ყველა საჭირო ნივთი (სახელმძღვანელო და ა.შ.)					
	შემიძლია ეფექტური კომუნიკაციის დამყარება					
	ვასრულებ საშინაო დავალებას					
	დამოუკიდებლად ვმუშაობ					
	ეფექტურად ვიყენებ სასწავლო რესურსებს					
სასწავლო პროცესი	ჩართული ვარ საკლასო აქტივობებში					
	ადეკვატურად ვიყენებ შესაბამის ტერმინებსა და ცნებებს					
	ვაანალიზებ დასმულ პრობლემას, აკეთებს დასკვნებს					
	ნათლად და მკაფიოდ ვაყალიბებ აზრს					
	ადეკვატურად ვავლებ ისტორიულ პარალელებს					
	შემიძლია მსჯელობა სხვადასხვა ეპოქაში მიმდინარე მოვლენებზე					

ინფორმაციის მოძიება და ორგანიზება – შეფასების სქემა

	1-2 ქულა	3-4 ქულა	5-6 ქულა	7-8 ქულა	9-10 ქულა
ინფორმაციის მოძიების წყარო	იყენებს მხოლოდ საკუთარ ინფორმაციას	იყენებს მხოლოდ სახელმძღვანელოს ინფორმაციას	იყენებს მხოლოდ ერთ საინფორმაციო წყაროს	იყენებს რამდენიმე საიფორმაციო წყაროს	იყენებს მრავალფეროვან საინფორმაციო საშუალებებს
მოძიებული ინფორმაციის შესაბამისობა	მასალა არ შეესაბამება საკითხს	მასალის მხოლოდ მცირე ნაწილი შეესაბამება საკითხს	მასალა ნაწილობრივ შეესაბამება საკითხს	მასალა ძირითადად შეესაბამება საკითხს	მასალა სრულად შეესაბამება საკითხს
მოპოვებული ინფორმაციის ორგანიზება	მასალა არ არის რგანიზებული და ქაოტურია	მასალა ცუდად არის ორგანიზებული	მასალა ნაწილობრივ ორგანიზებულია, გამოყენებულია ორგანიზების მხოლოდ ერთი სახე (მაგ, ცხრილი)	მასალა ორგანიზებულია, მაგრამ ძნელად აღსაქმელი, გამოყენებულია ორგანიზების რამდენიმე ხერხი	მასალა კარგადაა ორგანიზებული, გამოყენებულია რამდენიმე ხერხი, აღიქმება კარგად
მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი	მოძიებულ მასალას ვერ იყენებს მიზნობრივად	მოძიებულ მასალას იშვიათად იყენებს მიზნობრივად	მოძიებულ მასალას ნაწილობრივ იყენებს მიზნობრივად	მოძიებულ მასალას ძირითადად მიზნობრივად იყენებს	მოძიებულ მასალას იყენებს მიზნობრივად

ისტორიული თხზულება – შეფასების სქემა

პირობის გააზრება

შინაარსობრივი გამართულობა	**ქულობრივი შეფასება**
დავალების პირობა ადეკვატურადაა გაგებული	2
დავალების პირობა ნაწილობრივ ადეკვატურადაა გაგებული	1
დავალების პირობა არაადეკვატურადაა გაგებული	0

ნაშრომის ორგანიზება

ნაწერის აგება	**ქულობრივი შეფასება**
ნაშრომი შეკრულია, დაცულია ბალანსი სტრუქტურულ ნაწილებს შორის, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი, წერს სუფთად და გარკვევით.	2
ნაშრომი შეკრულია, თუმცა ბალანსი სტრუქტურულ ნაწილებს შორის დაცული არ არის, აბზაცები ზოგ შემთხვევაში არასწორადაა გამოყოფილი, ნაწერის გარეგნული სახე გასაუმჯობესებელია.	1
ნაშრომი არ არის შეკრული, აბზაცები არასწორადაა/საერთოდ არ არის გამოყოფილი, ნაწერის ამოკითხვა ჭირს.	0

მსჯელობა

მსჯელობის დასაბუთება	**ქულობრივი შეფასება**
მსჯელობა დამაჯერებლადაა დასაბუთებული და არგუმენტები გამყარებულია შესაბამისი მაგალითებით	2
მსჯელობა მთლიანად დასაბუთებულია, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში არგუმენტები არადამაჯერებელია და/ან მოხმობილი მაგალითები არაადეკვატურია.	1
მსჯელობა ზოგადია, სქემატური. არგუმენტების მოხმობისას დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომები	0

შემოქმედებითობა

დამოუკიდებელი აზროვნება და ზოგადი განათლება	**ქულობრივი შეფასება**
ნაშრომში მკაფიოდ გამოვლინდა მოსწავლის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა და ზოგადი განათლება	**2**
ნაშრომში ნაწილობრივ გამოვლინდა მოსწავლის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და ზოგადი განათლება, შეხედულებები და შეფასებები რიგ შემთხვევაში შაბლონურია	**1**
ნაშრომში არ გამოვლინდა მოსწავლის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და ზოგადი განათლება	**0**

სტილი

ლექსიკა და სტილი	**ქულობრივი შეფასება**
ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდ არის გამოხატული, შერჩეულია ადეკვატური სტილი, გვხვდება ორიოდე სტილური ხარვეზი	2
ნაშრომში აზრი გასაგებია, მაგრამ ლექსიკა მწირია, არის რამდენიმე სტილური ხარვეზი.	1
ლექსიკა მწირია, სტილი – გაუმართავი, აზრი – ბუნდოვანი.	0

ინფორმაციის ორგანიზება – პრეზენტაციის შეფასების სქემა

შინაარსობრივი ჩარჩო	**ქულობრივი შეფასება**
საკითხი ზუსტად და ამომწურავადაა გადმოცემული; რეფერენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს საპრეზენტაციო მასალას, რომელიც შეიცავს ორიგინალურ დაკვირვებასა და თვითმყოფად შეფასებებს, გამდიდრებულია საინტერესო მაგალითებითა და დასაბუთებული არგუმენტებით; ინფორმაცია კარგადაა სტრუქტურირებული (შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა), პრეზენტაციის სტრუქტურა გამჭვირვალეა, მსჯელობის ნაწილებს შორის დაცულია ბალანსი	**4**
საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული; შეცდომები უმნიშვნელოა; რეფერენტი დამაკმაყოფილებლად ფლობს საპრეზენტაციო მასალას; კრიტიკულად აფასებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებულ მოსაზრებებს, თუმცა რიგ შემთხვევაში მსჯელობა არაა გამყარებული მაგალითებით; ინფორმაცია საკმაოდ სტრუქტურირებულია, რიგ შემთხვევაში დარღვეულია ბალანსი მსჯელობის ნაწილებს შორის	**3**
საკითხი არასრულად არის გადმოცემული; რეფერენტი ფლობს საპრეზენტაციო მასალას, მაგრამ აქვს მცირე შეცდომები; იშვიათად ამჟღავნებს კრიტიკული აზროვნების უნარს; პრეზენტაციის სტრუქტურა დაცულია, მაგრამ დარღვეულია ბალანსი მსჯელობის ნაწილებს შორის	**2**
საკითხი არასრულადაა დამუშვებული; მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ; არის რამდენიმე არსებითი შეცდომა; პრეზენტაციის სტრუქტურა დაცული არაა	**1**
პრეზენტაცია არ შეესაბამება საკითხს; გადმოცემული საკითხები არსებითად მცდარია; პრეზენტაცია ძალზე ბუნდოვანი და არაინფორმაციულია	**0**

პრეზენტაციის ფორმალური მხარე

რესურსების გამოყენება	**ქულობრივი შეფასება**
რეფერენტი გონივრულად იყენებს რესურსებს; ეფექტიანად იყენებს ვიზუალიზაციის ხერხების ფართო სპექტრს (სლაიდშოუ, პლაკატი, დაფა, ჰენდაუტი და ა. შ.). თვალსაჩინოება ადვილად აღსაქმელია, წარმოდგენილია მხოლოდ ძირითადი პოსტულატების სახით	**2**
იშვიათად ან არაადეკვატურად იყენებს ვიზუალიზაციის ხერხებს, თვალსაჩინოება წარმოადგენს ძირითადი ტექსტის პერიფრაზს	**1**
არ იყენებს ვიზუალიზაციის ხერხებს	**0**

პრეზენტაბელურობა

აუდიტორიასთან კონტაქტი	**ქულობრივი შეფასება**
რეფერენტი ფლობს აუდიტორიას, ყოველთვის ადეკვატურად რეაგირებს მის რეაქციებზე; ეფექტურად იყენებს ვერბალურ და არავერბალურ კომუნიკაციას; მეტყველება გამართულია და მშვიდი, წინადადებები მარტივი, შესაბამისად იყენებს ტერმინოლოგიას; პრეზენტაციის დროს ზეპირად მიმართავს აუდიტორიას და სარგებლობს გეგმით ან თეზისებით.	**3**
რეფერენტი გრძნობს აუდიტორიას და ძირითად კონტაქტს ამყარებს მასთან; ტერმინოლოგია გამართულია; ძირითადად მართებულად მიმართავს ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის ხერხებს; მეტყველება ძირითადად გამართულია, დაშვებულია რამდენიმე უმნიშვნელო შეცდომა.	**2**
ცდილობს აუდიტორიის ყურადღების მიპყრობას, მაგრამ ზოგჯერ უშედეგოდ; ტერმინოლოგია ნაკლოვანია; პასუხი მოიცავს წაკითხული ინფორმაციის გაუაზრებელ გამეორებას.	**1**
რეფერენტი ვერ ამყარებს კონტაქტს აუდიტორიასთან, ლაპარაკობს გაურკვევლად, ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული ან არ შეესაბამება საკითხს; მსმენელებს უჭირთ აზრის გამოტანა.	**0**

მენეჯმენტი

დროის განაწილება	**ქულობრივი შეფასება**
რეფერენტი ზედმიწევნით ზუსტად იყენებს რეგლამენტით გათვალისწინებულ დროს და ეფექტურად ანაწილებს პრეზენტაციის სტრუქტურულ ნაწილებზე.	**1**
რეფერენტი ვერ იყენებს რეგლამენტით გათვალისწინებულ დროს, პრეზენტაციის ზოგიერთ სტრუქტურულ ნაწილს წარმოადგენს ზედაპირულად.	**0**

საკლასო მსჯელობაში მონაწილეობა – შეფასების სქემა

კრიტერიუმები	**9 — 10**	**7 — 8**	**6 — 5**	**4 — 3**	**1-2**
მსჯელობის პროცესში მონაწილეობა	აქტიურად მონაწილეობს და რიგ შემთხვევაში წარმართავს კიდეც საკლასო მსჯელობას.	ძირითადად ჩართულია საკლასო მსჯელობაში.	ზოგჯერ ერთვება საკლასო მსჯელობაში, ძირითადად პასიურია.	მსჯელობის პროცესში ერთვება მხოლოდ მასწავლებლის მიმართვის შემთხვევაში.	იშვიათად იჩენს ინიციატივას საკლასო მსჯელობის დროს.
თემისა და პრობლემის განსაზღვრა	ზუსტად საზღვრავს მიზანს, მსჯელობს პრობლემაზე, მოჰყავს არგუმენტები ამყარებს მაგალითებით.	ზოგადად აყალიბებს თემატიკას და პრობლემას, არგუმენტები სუსტია და არაა გამყარებული მაგალითებით.	ნაწილობრივ აალიბებს თემატიკას და პრობლემას, მაგრამ ვერ მოჰყავს არგუმენტები.	მიმანიშნებელი კითხვების საშუალებით შეუძლია რამდენადმე მიუახლოვდეს სამიზნე თემას, პრობლემას ვერ გამოკვეთს.	ზოგადი წარმოდგენა აქვს თემაზე, ვერ აყალიბებს მიზანს.
საკითხისადმი საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა	მსჯელობს განსახილველ საკითხთან მიმართებით მისთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი კუთხით.	ზოგადად მსჯელობს საკითხთან მიმართებით, მკაფიოდ ვერ გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას.	რამდენიმე სიტყვით საუბრობს საკითხის ირგვლივ, ცდილობს ჩამოაყალიბოს საკუთარი დამოკიდებულება.	ზოგადი წარმოდგენა აქვს საკითხის შესახებ, უჭირს საკუთარი პოზიციიდან განხილვა.	ორიოდე სიტყვით ეხება განსახილველ საკითხს, საკუთარი დამოკიდებულება არ გააჩნია.

საკუთარი აზრის დასაბუ-თებულად წარმოდგენა.	საკითხი კარგად აქვს გააზრე-ბული, შეუძლია მაგალითებისა და ისტო-რიული პარა-ლელების შესა-ხებ მსჯელობა და სათანადო დასკვნების გამოტანა.	საკითხი საკმაოდ კარგად იცის, შეუძლია დამოუ-კიდებლად განსაზღვროს ისტორიული პა-რალელები, მოჰ-ყავს მაგალითები, მაგრამ უჭირს სათანადო დას-კვნების გამოტანა.	ზოგადი წარმოდგენა აქვს საკითხზე, ასახელებს ისტორიულ პარალელებს, მაგრამ უჭირს კონკრეტული მაგალითების დასახელება.	ზედაპირულად მსჯელობს სა-კითხზე, მიმანიშ-ნებელი კითხ-ვების მეშვეობით ამოიცნობს ისტორიულ პა-რალელებს, ვერ ასახელებს კონ-კრეტულ მაგა-ლითებს.	საკითხის შესახებ მწირი ინფორმაცია აქვს, დასახე-ლებული მაგა-ლითებიდან ცდილობს ამოიცნოს საკითხის შესაბამისი ვარიანტი.

ტექსტზე მუშაობა – დაკვირვების რუბრიკა

კრიტერიუმები	**დიახ**	**არა**	**ნაწილობრივ**	**რეკომენდაცია**
დამოუკიდებლად მუშაობს ტექსტზე.				
იყენებს ტექსტზე მუშაობის ეფექტურ სტრატეგიებს.				
ასხვავებს ფაქტსა და ავტორისეულ მოსაზრებას.				
ტექსტში მოცემულ ინფორმაციას განიხილავს შესაბამის ისტორიულ კონტექსტში.				
განსაზღვრავს მთავარ საკითხებსა და ავტორის მიზნებს.				
გამოხატავს საკუთარ აზრს, გამოთქვამს ვარაუდებს და ასაბუთებს.				
აკეთებს დასკვნებს.				

ტექსტზე მუშაობა – შეფასების სქემა

კრიტერიუმები	**1-2**	**3-4**	**5-6**	**7-8**	**9-10**
ტექსტის გააზრება	უჭირს ტექსტიდან ინფორ-მაციის ამოღება, მხოლოდ ერთი ან ორი ფაქტის მოძიებას ახერხებს.	ტექსტიდან შეუძლია მწირი ფაქტობრივი ინფორმაციის მოპოვება, მოპოვებული ინფორმაცია მხოლოდ ერთი ან ორი ელემენტი-საგან შედგება.	ესმის ტექსტის ზოგადი შინაარსი, მოპოვებული ინფორმაცია არასრული და უზუსტოა, აკეთებს ტექსტის მინიმალურ ანალიზს.	შეუძლია ტექსტიდან ზუსტი ინფორმაციის მოპოვება, ასხვავებს ფაქტსა და ავტორისეულ მოსაზრებას ერთმანეთისაგან, უჭირს ღრმა ანალიზის გაკეთება.	დამოუკიდებლად შეუძლია მოიპოვოს სრული ინფორმაცია. იძლევა ტექსტის ღრმა ანალიზსა და ინტერპრეტაციას, ასხვავებს ფაქტს და ავტორისეულ მოსაზრებას ერთმანეთისაგან, ადგენს ავტორის სანდოობას, მსჯელობს წყაროს ტენდენციურობაზე.
ისტორიული კონტექსტის ცოდნა	შეუძლია მხოლოდ რამდენიმე ფაქტის დასახელება, უშვებს ფაქტობრივ შეცდომებს.	ეპოქაზე გარკვეულ წარმოდგენა აქვს, თუმცა უშვებს ზოგიერთ უზუსტობას.	ეპოქაზე მწირი ინფორმაცია აქვს, უჭირს ტექსტში განხილული საკითხების განხილვა ისტორიულ კონტექსტში.	ამჟღავნებს ეპოქის ღრმა ცოდნას, მაგრამ უჭირს ტექსტის, ინფორმაციის შესაბამის ისტორიულ კონტექსტთან დაკავშირება, სრულად ვერ მოიპოვებს საჭირო ინფორმაციას.	ამჟღავნებს ეპოქის ღრმა ცოდნას, უკავშირებს ტექსტს იმ სპეციფიკურ ისტორიულ კონტექსტს, რომელშიც შეიქმნა იგი; შეუძლია საჭირო ინფორმაციის მოპოვება, შედარება, დახარისხება და ინტერპრეტირება.

ტექსტის მთავარი საკითხების ავტორის მიზნების განსაზღვრა	უჭირს ტექსტის მთავარი საკითხების განსაზღვრა, უშვებს შეცდომებს.	ზოგადად აღწერს ერთ-ერთ საკითხს, რომელსაც ეხება ტექსტი, ვერ განსაზღვრავს ავტორის მიზნებს.	მასწავლებლის დახმარებით განსაზღვრავს ტექსტის მთავარ საკითხებს, უჭირს ავტორის მიზნებზე მსჯელობა.	მოიპოვებს საჭირო ინფორ-მაციას და განსაზღვრავს მთავარ საკი-თხებს, ავტორის მიზნების გამოკვე-თისას უშვებს უზუსტობებს.	განსაზღვრავს მთავარ საკითხებს, ესმის ავტორის მიზნები, გამოაქვს ტექსტიდან მნიშვნელოვანი ინფორმაცია, აკეთებს დასკვნებს.

ჯგუფური მუშაობა – შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმები	ცუდად	საშუალოდ	კარგად	ძალიან კარგად	რეკომენდაციები
ჯგუფის წევრები ისმენენ მასწავლებლის ინსტრუქციას და თავს ართმევენ მიცემულ დავალებას.					
იცავენ ჯგუფური მუშაობის წესებს.					
ჯგუფის წევრები ერთად მუშაობენ დასახული მიზნის მისაღწევად.					
ჯგუფის წევრები თანაბრად ინაწილებენ ფუნქციებს.					
უსმენენ ერთმანეთის მოსაზრებებს.					
ჯგუფი ამზადებს პრეზენტაციას, სწორად წარმოაჩენს მთავარ საკითხს.					
პრეზენტაციისას იცავს დროის ლიმიტს.					

მოსწავლის რვეულის
სავარჯიშოების პასუხები

გაკვეთილი 5. რა არის „ნეოლითური რევოლუცია“?

ქვემოთ ჩამოთვლილი წინადადებები გაანაწილე ცხრილის სათანადო სვეტებში: ა) იარაღის დახვეწა, ბ) ხის ნაყოფის, ბალახეულისა და ფესვების შეგროვება, გ) მცირე ჯგუფებად ნადირობა, დ) მღვიმეებსა და გამოქვაბულებში ცხოვრება, ე) მცენარეთა და ცხოველთა ადგილობრივი ჯიშების გამოყვანა, ვ) თემებად ცხოვრება, ზ) მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის ჩასახვა, თ) თიხის ხელნაკეთი ჭურჭლის დამზადება.

პალეოლითი	ნეოლითი
ბ) ხის ნაყოფის, ბალახეულისა და ფესვების შეგროვება; გ) მცირე ჯგუფებად ნადირობა; დ) მღვიმეებსა და გამოქვაბულებში ცხოვრება; ვ) თემებად ცხოვრება.	ა) იარაღის დახვეწა; ე) მცენარეთა და ცხოველთა ადგილობრივი ჯიშების გამოყვანა; ზ) მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის ჩასახვა; თ) თიხის ხელნაკეთი ჭურჭლის დამზადება.

გაკვეთილი 6. როგორი იყო ნეოლითური დასახლებები?

გაიაზრე, რა ცვლილებები გამოიწვია და რა შედეგები მოჰყვა მიწათმოქმედებაზე გადასვლას და შეავსე ცხრილი.

მიწათმოქმედებაზე გადასვლა

ცვლილებები	შედეგები
ცხოვრების წესი	შეიქმნა მცირე დასახლებები, სოფლები.
კვება	მარცვლეული, ვაზი, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლი
დემოგრაფიული ვითარება	სასოფლო დასახლებები შემჭიდროებულ ჯგუფებადაა განლაგებული. საცხოვრისები განთავსებულია მოედნის ირგვლივ.
წარმოების ახალი საშუალებები	ირმის რქისაგან გაკეთებული პრიმიტიული სახნისი და ნამგალი; ქვის, ხისა და ძვლის სამეურნეო იარაღები.

გაკვეთილი 9. რა ცვლილებები მოიტანა მეტალურგიამ?

გაკვეთილიდან გამოყავი რესურსები, მათგან წარმოებული საგნები და დანიშნულება. შეავსე ცხრილი ნიმუშის მიხედვით.

რესურსები და მათი გამოყენება

რესურსი	შექმნილი საგანი	დანიშნულება
თიხა	დოქი კრამიტი	წყლის ჭურჭელი სახლის გადახურვა
ხე	ბორბალი	ტვირთის გადაზიდვა, გადაადგილება
სელი	ტანსცმელი	შესამოსად
ალიზი	მზეზე გამომშრალი აგური	საშენი მასალა
ლითონი	შრომის და საბრძოლო იარაღი	ხვნა-თესვა, ნადირობა

გაკვეთილი 11. რით გამოირჩეოდა მტკვარ-არაქსის კულტურა?

გაკვეთილზე შესწავლილი მასალის გამოყენებით შეავსე ცხრილი:

მტკვარ-არაქსის კულტურა

გავრცელების არეალი	ჩრდილოაღმოსავლეთ კავკასიამდე, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთი, ირანის ჩრდილოეთი ნაწილი.
მეურნეობის დარგები	სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის განვითარება, მიწათმოქმედება და მესაქონლეობა, კერამიკისა და ორნამენტებით შემკული თიხის ჭურჭლის წარმოება.
სამოსახლეობის სახეობა	ბუნებრივად დაცულ ადგილებში აღმოცენებული სახლები ძირითადად სწორ რიგებადაა ჩამწკრივებული. ისინი ოდნავ მომრგვალებული სწორკუთხედის ფორმისაა. კედლები გამოუმწვარი თიხითაა ამოყვანილი; გამოყენებულია ხის მორებიც. საცხოვრებელი ოთახის ცენტრში გამართული იყო კერა.
ადამიანთა საქმიანობის სფეროები	ლითონის გამოდნობა – მეტალურგია, სამოსახლოების მშენებლობა, სამაროვნების და სამლოცველოების შექმნა, კერამიკის წარმოება, მიწათმოქმედება და მესაქონლეობა.
გათხრების შედეგად აღმოჩენილი ნივთები	1.კერამიკის ძირითადი სახეობები ქვაცხელების ნამოსახლარის მიხედვით, 2. თიხის ჭურჭელი დიდუბიდან, 3. ორნამენტით შემკული თიხის ჭურჭელი, ქვაცხელების ნასოფლარი. შუბისპირების, სატევრების, ნამგლებისა და ცულების გარდა, ნამოსახლარზე აღმოჩენილია აგრეთვე ბრინჯაოს მძივები, სამაჯურები, ვერძის დაგრეხილ რქებს მიმსგავსებული საკინძები, სამკაულები. ქვაცხელებზე აღმოაჩინეს ასევე სპილენძის დიადემა, რომელზეც გამოსახულია ირმის, წეროსა და ციური სხეულის – მზის გამოსახულება.
ბრინჯაოს ტექნოლოგია	სპილენძის ბუნებრივი მადნები არსებობდა კავკასიონის ქედზე, ქვემო ქართლსა და სხვა ადგილებში. პირველი ლითონი, რომელიც ადამიანმა გამოიყენა, იყო ოქროს მადნიდან მოპოვებული სპილენძი. რაკი რბილია, მისი გამოჭედვით სამკაულისა და იარაღის დამზადება შეძლეს. ეს დაახლოებით 10 000 წლის წინ, შუამდინარეთში მოხდა. მოგვიანებით ადამიანებმა ლითონის გაცხელება ისწავლეს. გაცხელებული სპილენძისგან გამოჭედილი ნივთი აღარ იყო მყიფე.

მე-2/3, მე-6 და მე-11 გაკვეთილების დახმარებით შეავსე ცხრილი:

ადამიანის სამოსახლოები სხვადასხვა ეპოქაში

	პირველყოფილი ადამიანის სადგომი	არუხლო	იმირის გორა	ქვაცხელები
დასახლე-ბისთვის შერჩეული ადგილი	წყლით და მცენარეებით მდიდარი ადგილები, მღვიმეები	მდებარეობს მდინარეების ხრამისა და მაშავერას შესართავთან (ბოლნისის მუნიც.).	მდ. ხრამის მარჯვენა ნაპირი. (მარნეულის მუნიც.) ეს ინფორმაცია ტექსტში არ აქვთ.	მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირი, სოფ. ურბნისის მახლობლად, შემაღლებულ ტერასაზე.
უსაფრთხოება და დაცულობა	ხეზე აცოცება, ცეცხლი	დასახლებას გარშემოვლებუ-ლი ჰქონდა თავდაცვითი თხრილი		სამი მხრიდან სოფელი კედლე-ბით იყო გარშემორ-ტყმული და მიუდგომელი იყო.
წყალთან სიახლოვე	ყოველთვის	მდ. ხრამისა და მაშავერას ხეობა.	მარტივი სარწყავი არხები	მდ. მტკვარი
საშენი მასალა	ფოთლები, ტოტები, ცხოველის ძვლები, ტყავი	გამოუმწვარი თიხა / ალიზი	გამოუმწვარი თიხა / ალიზი	
ნაგებობის დამახასია-თებელი ნიშანი	ქოხების შემთხვევაში შუა ცეცხლი იყო მონყობილი.		ძირითადი სახლი, სამეურნეო სათავსო და ეზო	ქვაცხელების სახლებს წინ მცირე ზომის დერეფანი ჰქონდა. ბრტყელ ბანურ გადახურვას დედაბოძი იმაგრებდა. დედაბოძთან ახლოსაა კერია.

გაკვეთილი 14. რა მოიტანა რკინის დამუშავებაზე გადასვლამ?

გაკვეთილის მასალისა და შენი ცოდნის საფუძველზე გაიაზრე, რა ცვლილებები მოჰყვა რკინის მეტალურგიაზე გადასვლას ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროში და შეავსე ცხრილი:

რკინის მეტალურგიაზე გადასვლით გამოწვეული ცვლილებები

სამეურნეო იარაღები	საზოგადოებრივი ცხოვრება	სამხედრო საქმე	ხელოსნობა
ცული, თოხი, რკინის დანა, სახნისი	ცხენის აღკაზმულობა, რკინის ბეჭედი	მახვილი, ცული, ისრისა და შუბის პირები, მშვილდ-ისარი, ფარი, სატევარი	სწრაფმბრუნავი სამეთუნეო მორგვი

გაკვეთილი 17. რას ნიშნავს „წინარესახელმწიფოებრივი კოლხეთი“?

კოლხური ბრინჯაოს კულტურის შესახებ შესწავლილი მასალა წარმოადგინე ცხრილის სახით:

კოლხური ბრინჯაოს კულტურა

კულტურის გავრცელების არეალი	სამოსახლოს სახეობა	ადამიანთა საქმიანობის სფეროები	გათხრების შედეგად აღმოჩენილი ნივთები
დასავლეთ საქართველოს ტერიტორია, მდ. რიონის, ჭოროხისა და ენგურის აუზებში შემდგომში – აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთი და ცენტრალური ნაწილები	ჯარგვალური ნაგებობები	შრომისა და საბრძოლო იარაღების დამზადება, მშენებლობა, ხელოვნური მიწაზვინულების შექმნა; სადრენაჟე, თავდაცვითი და საკომუნიკაციო არხების გაჭრა.	ბრინჯაოს იარაღები: წალდი, თოხი, შუბისპირი, სატევარი, თიხის სასმისი, ბრინჯაოს ქოთანი.

გაკვეთილი 18. რომელია მსოფლიოს უძველესი სახელმწიფო?

შეავსე ცხრილი და შეადარე ქალებისა და მამაკაცების უფლებები შუმერის ქალაქში. რომელს ჰქონდა უპირატესობა და რომელ სფეროში?

შუმერის მოქალაქეთა უფლებები

ქალების უფლებები	მამაკაცების უფლებები
არ ითვლებოდნენ შუმერის ქალაქის სრულუფლებიან მოქალაქეებად. არ ჰქონდათ სახალხო კრებაზე დასწრების უფლება. არ შედიოდნენ ქალაქის საბჭოში. ჰქონდათ ქალაქის მოედანზე ვაჭრობის უფლება. ჰქონდათ ფულის სესხების ან საკუთარი ქონების იჯარით გაცემის უფლება. ჰქონდათ წერა-კითხვის სწავლის უფლება. მაღალი წოდების ქალს შეეძლო გამხდარიყო ქალაქის მმართველი და ქურუმი.	ითვლებოდნენ შუმერის ქალაქის სრულუფლებიან მოქალაქეებად. ჰქონდათ ხმის უფლება სახალხო კრებაზე, რომელიც მოედანზე იმართებოდა ქალაქისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხების გადასაწყვეტად, ჰქონდათ ვალდებულებები ქალაქის წინაშე: • გადასახდების გადახდა, • სარწყავ არხებზე სამუშაოდ გასვლა, • ლაშქრობებში მონაწილეობა. თუ ლაშქრობისას ტყვედ ჩავარდნილ მამაკაცს ვაჭარი გამოისყიდიდა, და ეს კაცი შეძლებული აღმოჩნდებოდა, ის ვალდებული იყო ვაჭრისთვის თავად გადაეხადა გამოსასყიდი თანხა. უსახსრო მამაკაცს ტაძარი ან მეფე გამოისყიდიდა.

გაკვეთილი 32/33 როგორ გაჩნდა და ვითარდებოდა ქალაქები ანტიკური პერიოდის საქართველოში?

გაკვეთილის წყარო ა-სა და დანართი 2-ის (საქართველოს ზოგადგეოგრაფიული რუკა) დახმარებით შეავსე ცხრილი თანამედროვე სახელებით. მინიშნება: დანართის რუკაზე სოფლები არ არის დატანილი, ამიტომ, თუ მასზე დასახლებას ვერ აღმოაჩენ, მაშინ ის სოფელია.

ძველი ქალაქის სახელწოდება	დღეს ქალაქი/დაბა	დღეს სოფელი	დღეს ნასახლარი
პიტიუნტი	**ბიჭვინთა**		
ეშერა		**ეშერა**	
დიოსკურია	**სოხუმი**		
გიენოსი	**ოჩამჩირე**		
ფასისი	**ფოთი**		
ფიჭვნარი	**ქობულეთი**		
პეტრა		**ციხისძირი**	
აფსაროსი		**გონიო**	
ციხეგოჯი		**ნოქალაქევი**	
ქუთაია	**ქუთაისი**		
სური	**ვანი**		
საირხე		**საირხე**	
სარაპანისი	**შორაპანი**		
ოძრხე			*
წუნდა		**წუნდა**	
ურბნისი		**ურბნისი**	
უფლისციხე		**უფლისციხე**	
ნასტაკისი			*
კასპი	**კასპი**		
სარკინე			*
მცხეთა	**მცხეთა**		
არმაზციხე			*
ჟინვალი	**ჟინვალი**		
ნეკრესი			*

გაკვეთილი 35. როგორ გარდაიქმნა რომის რესპუბლიკა რომის იმპერიად?

შეადარე ერთმანეთს რომის რესპუბლიკური და იმპერიული მმართველობა.

რომის მმართველობა

რესპუბლიკური	**იმპერიული**
რომის რესპიბლიკური მმართველობა 3 საფეხურს მოიცავდა: **სახალხო კრება** ყველაზე დაბალი საფეხური იყო. რომის მოქალაქეები თავიანთ პოლიტიკური უფლებებს გამოხატავდნენ სახალახო კრებაზე. მასში მონაწილეობდნენ რომის სრულწლოვანი მოქალაქეები, გარდა ქალებისა. კრებების გამართვა და მათზე საჯარო პოზიციის გამოხატვა შეეძლოთ რომის მოსახლეობის ცალკეულ ფენებს. ყველაზე მნიშნელოვნად ითვლებოდა პლებეების კრება. ისინი ირჩევდნენ მაგისტრატებს, მმართველობის აღმასრულებელ რგოლს. **მაგისტრატებს** ყოველ წელს რომაელი ხალხის სახალხო კრება ირჩევდა. არჩეულთაგან უკვე სენატი ირჩევდა თანამდებობის პირებს, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ორი კონსულის თანამდებობა. კონსულებს თანამდებობაზე ყოფნა მხოლოდ ერთი წლით შეეძლოთ. ისინი იყვნენ სახელმწიფოს უმაღლესი სამხედრო და სამოქალაქო პირები. მაგისტრატები შეძლებული ფენიდან ინიშნებოდნენ, ამიტომ ხელფასი არ ენიშნებოდათ. ისინი ხშირად სენატის წევრები ხდებოდნენ. **სენატი** ანუ უხუცესთა კრებული, რომში მეფობის დროიდან არსებობდა. რესპუბლიკის ხანაში მისი ძალაუფლება სახალხო კრებებმა შეზღუდა. სენატის ხელმძღვანელი ითვლებოდა პირველ პირად თანაბართა შორის. სენატის წევრებს (სენატორებს) ეკრძალებოდათ: ფინანსურ საქმიანობაში მონაწილეობა, დიდი ხომალდების ქონა, თანამდებობრივი გასამრჯელოს მიღება, სენატის ნებართვის გარეშე ქვეყნის დატოვება. ხალხის თანხმობის გარეშე კონსულს არ შეეძლო სასიკვდილო განაჩენის გამოტანა.	გამუდმებულმა ომებმა და ტერიტორების გაფართოებამ მხედართმთავრების ავტორიტეტი აამაღლა, რითაც დასუსტდა დემოკრატიული მართვა. საბოლოოდ, სამხედრო დიატატურამ გაიმარჯვა და იმპერია ჩამოყალიბდა. **„იმპერატორი“** „მბრძანებელს“ ნიშნავდა, ის რესპუბლიკურ რომში მხედართმთავრის საპატიო ტიტული იყო. სარდალს იმპერატორის ტიტულს ბრძოლაში გამარჯვებისათვის სენატი ან რომაელი ჯარისკაცები ანიჭებდნენ. იმპერატორს ფორმალურად არავითარი ძალაუფლება არ ჰქონდა. მხოლოდ პიროვნებაზე იყო დამოკიდებული, როგორ გამოიყენებდა იგი ამ ტიტულს. მთელმა ძალაუფლებამ ერთი კაცის, იმპერატორის ხელში მოიყარა თავი. **სამხედრო დიქტატურა** – მმართველობის ფორმა, როცა სამხედროები აკონტროლებენ პოლიტიკურ ძალაუფლებას. იმპერატორის სიცოცხლე მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფოსთვის. სახელმწიფო კი, თუ იმპერატორს რაიმე დაემართებოდა, სამოქალაქო ომში ეხვეოდა.

გაკვეთილი 40. რა გავლენა მოახდინა რომანიზაციამ იბერია-კოლხეთზე?

ცხრილში ჩამოაყალიბე აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში მიმდინარე რომანიზაციის პროცესების განსხვავებები და შედეგები.

რომანიზაციის პროცესები საქართველოში

	დასავლეთ საქართველო	**აღმოსავლეთ საქართველო**
განსხვავება	კოლხეთის ზღვისპირა ციხექალაქებში რომაელთა გარნიზონები იყო ჩაყენებეული. მათთან კონტაქტით ადგილობრივი მოსახლეობა ეცნობოდა საბრძოლო ხელოვნების რომაულ წესებს, სამეურნეო და კულტურულ სიახლეებს. ციხე-ქალაქებში მდგარ რომაელებს კოლხები ამარაგებდნენ მუშახელით და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით, რაშიც გასამრჯელოდ რომაულ ფულს იღებდნენ. მთიან ადგილებში მცხოვრებ კოლხებს ნაკლები შეხება ჰქონდათ რომაელებთან, ამასთან, მათი ადათ-წესები გაცილებით მყარი იყო, ვიდრე სანაპირო ზოლზე მცხოვრები კოლხებისა. ამიტომ რომაული კულტურული ტრადიციები იქ ნაკლებად აღწევდა.	ახ. წ. I-II საუკუნეებში რომსა და იბერიას ძირითადად კეთილმეზობლური ურთიერთობა ჰქონდათ, რასაც ორმხრივი ინტერესები განაპირობებდა. იბერიის სამეფო, როგორც რომის იმპერიის „მეგობარი“, საგარეო პოლიტიკაში მის მოკავშირედ გამოდიოდა.
შედეგი	ზღვისპირეთში რომაული სამხედრო შენაერთების განთავსების შედეგად ეს მხარე აქტიურად ჩაერთო რომაული სამყაროს სისტემაში. ეს პროცესი, უწინარეს ყოვლისა, რომაული ნაწარმის გავრცელებაში აისახა.	დიდი ყურადღება ექცეოდა ჰიგიენას. ამას მოწმობს აბანოების, წყალმომარაგების, წყალგაყვანილობისა და საკანალიზაციო სისტემების აღმოჩენა. აქ რომაული თერმების მსგავსი აბანოები იგებოდა. არსებობდა ადგილობრივი ხუროთმოძღვრული სკოლა. გავრცელდა სამკაულებში ჩასმული ძვირფასი ქვების გემები.

ინტერნეტ-რესურსები

I თავი – ქვის ხანა და უძველესი ადამიანი

1. **Homo Erectus 100+25 დმანისი და მის მიღმა** https://www.youtube.com/watch?v=o30L_OZw8Bg&list=PLKlMoO75sR3yUeiL4SMXroAGMMENVMSv0 საერთაშორისოკონფერენცია: `Homo erectus-ის 100+25 წელი: დმანისიდამისმიღმა~/ International Senckenberg Conference 100+25 years of Homo erectus. https://www.youtube.com/watch?v=030L_OZw8Bg&list=PLKlMoO75sR3yUeiL4SMXroAGMMENVMSv0
2. **პირველი გენეტიკური ინფორმაცია საქართველოს ქვის ხანის ძეგლებიდან** https://www.youtube.com/watch?v=DHne1FoO7nM
3. **ქვის ხანა საქართველოში – ჰომინინები** https://www.radiotavisupleba.ge/a/qvis-xana-saqartvelosi/28008800.htm
4. **ქვის ხანა საქართველოში – ჰომინინები (რადიოჩანაწერი)** https://www.radiotavisupleba.ge/a/28009524.html
5. **საქართველოს ფაუნა ჩვენს ერამდე** https://www.youtube.com/watch?v=xj8DtnKLSns
6. **ქვის ხანა – დამხმარე რესურსი მასწავლებლისათვის** http://museum.ge/files/publications/damxmare%20masala%20pedagogebistvis/qvis_xana..pdf
7. **დღე მუზეუმში, სალომე დადუნაშვილთან – ქვის ხანის ექსპოზიცია და უნიკალური აღმოჩენები საქართველოში** https://www.youtube.com/watch?v=odnpLrGPAyk&t=206s
8. **უძველესი „ძაფი“ მსოფლიოში – ძუძუანას მღვიმე (ჭიათურა)** https://www.youtube.com/watch?v=EhzDXAAVL1I
9. **დევის ხვრელი** https://www.youtube.com/watch?v=wG7UuXOWmrw
10. **ალტამირას კედლის მხატვრობა** https://www.youtube.com/watch?v=XoEW4Z72xo8
11. **Cave of Altamira and Paleolithic Cave Art of Northern ... (UNESCO/NHK)** https://www.youtube.com/watch?v=qyIfPbnoRDs
12. **პირველყოფილი საზოგადოება – ნეოლითი, ენეოლითი, ბრინჯაოს ხანა** https://www.youtube.com/watch?v=VeQW-52ETfw
13. **ნეოლითი – ცვლილებები ნეოლითში** http://mastsavlebeli.ge/?p=3967
14. **3 ძველი ინდიელი ტომის საცხოვრისები** https://www.youtube.com/watch?v=koqzN2SOi30
15. **Chauvet cave: Preserving prehistoric art - BBC News** https://www.youtube.com/watch?v=3OLaNtKoJFk
16. **Cave Art 101 | National Geographic** https://www.youtube.com/watch?v=ZjejoT1gFOc
17. **#გაიგემეტი. ქართული ხორბლის ისტორია და აღდგენილი ენდემური ჯიშები — პურის ფესტივალი თბილისში** https://1tv.ge/video/gaigemeti-qartuli-khorblis-istoria-da-aghdgenili-endemuri-jishebi-puris-festivali-tbilisshi/
18. **საქართველო ღვინის სამშობლო — უნიკალური არქეოლოგიური აღმოჩენა** https://www.youtube.com/watch?v=hem7h11Zd9U&t=99s
19. **ღვინის სამშობლო** https://www.youtube.com/watch?v=EuoKdzjo6aU
20. **A 360° View of Stonehenge** https://www.youtube.com/watch?v=_RyqU1r1Fmk
21. **გაქვავებული ქალაქები** https://www.youtube.com/watch?v=dt8Ex3iRKC4
22. **სენსაციური არქეოლოგიური აღმოჩენა – ცეცხლის გამოყენების უძველესი კვალი სოფელ ზიარში** https://www.youtube.com/watch?v=83OH9Ow2ByI

II თავი – ბრინჯაოს ხანა და ძველი აღმოსავლეთი

1. **კერამიკა – გზა მიწის წიაღისკენ – ანა აბაკელიას სიუჟეტი** https://www.youtube.com/watch?v=0j6kvbOSjMQ
2. **კერამიკის გალერეა „თეთრი სტუდია“** https://www.youtube.com/watch?v=8VWBwPD8sAw
3. **თრიალეთის დიდი ყორღანები** https://www.youtube.com/watch?v=eRaVYF7Iho4
4. **#დღემუზეუმში ოქროს საგანძური (პირველი ნაწილი)** https://www.youtube.com/watch?v=WuMeMTMktiI&t=1135s
5. **მარჩელა ფრანჯიპანე – არსლან-თეფე და მტკვარ-არაქსის ქვეყანა.** https://www.youtube.com/watch?v=nhyhHOEN8O0&t=1553s
6. **#დღემუზეუმში ოქროს საგანძური (მეორე ნაწილი)** https://www.youtube.com/watch?v=y6AVD5ScfHw
7. **№დღემუზეუმში - ოქროს საგანძური (მესამე ნაწილი)** https://www.youtube.com/watch?v=jRG_V_X5IMU
8. **„დღე მუზეუმში“, სალომე დადუნაშვილთან – ოქრომრავალი კოლხეთი – ლეგენდა თუ სინამდვილე?** https://www.youtube.com/watch?v=J_FkU5OhRY8&t=416s
9. **კალენდარი** https://www.slideshare.net/fiqriasidamonize/ss-25395110
10. **Ancient Egyptian Calendar** https://www.youtube.com/watch?v=hpUhO8LXG9Y
11. **Ancient Egypt for Kids | History Video Lesson!** https://www.youtube.com/watch?v=lBYmOuajdC8
12. **Ancient Egyptian shaduf** https://www.youtube.com/watch?v=qTsHexCuBrQ
13. **Development of the Sumerian City State** https://www.youtube.com/watch?v=PgHg1JtNF4Q
14. **ქართული წელთაღრიცხვა** https://www.youtube.com/watch?v=eF9AWOfIqAI
15. **დრო, წელთაღრიცხვა, კალენდარი - ერთსულოვნების სალონი** https://www.youtube.com/watch?v=PpIbO-sVYLk
16. **მარიკა მახარაშვილი. ცივილიზაციების კვალდაკვალ №1 – ეგვიპტური კალენდარი Radio Meloman** https://www.youtube.com/watch?v=03a3Q003p9

1. **The Constitution of the Spartans** https://www.youtube.com/watch?v=ppGCbh8ggUs
2. **სპარტას შესახებ ლიკა დიასამიძისგან** https://www.youtube.com/watch?v=KyK2r5nBLyQ
3. **Ancient Greece History Channel Documentary (Engineering an Empire)** https://www.youtube.com/watch?v=-g2z3RXyt0u0
4. **The Persians & Greeks: Crash Course World History #5** https://www.youtube.com/watch?v=Q-mkVSasZIM
5. **Empires of Ancient Persia explained in 10 minutes (History of Iran)** https://www.youtube.com/watch?v=BJvxW0xJKxo
6. **ბერძენსპარსელთაომები–ნანულიბუზიაშვილი** https://www.youtube.com/watch?v=vi7BlpBRzZ0&t=28s
7. **ვანი – ძველი საქართველოს პომპეი** https://www.youtube.com/watch?v=on-mNkUB0vU&t=595s
8. **#დღემუზეუმში ოქროს საგანძური (მეორე ნაწილი)** https://www.youtube.com/watch?v=y6AVD5ScfHw
9. **ალექსანდრე მაკედონელი და ელინისტური ეპოქა** https://www.youtube.com/watch?v=bAp_twoz9FE
10. **ალექსანდრე მაკედონელი** https://www.youtube.com/watch?v=Wl6hjQfYprQ
11. **ალექსანდრე მაკედონელი – ნანული ბუზიაშვილი** https://www.youtube.com/watch?v=NmxifO_qtPs
12. **რომის მიერ ხმელთაშუაზღვისპირეთის დაპყრობა — რომი და ელინისტური სახელმწიფოები** https://www.youtube.com/watch?v=GaaRfTVwW9M
13. **ფარნავაზი – ქართველ მეფეთა კვალდაკვალ ! - დავით ფერაძე** #emigrantTV #EmigrantTV https://www.youtube.com/watch?v=6NTutyDM0IA
14. **მეფე ფარნავაზი** https://www.youtube.com/watch?v=pPEEvBnORNY
15. **#დღემუზეუმში სალომე დადუნაშვილთან ერთად – საქართველო – ნუმიზმატიკური ცივილიზაციის კერა** https://www.youtube.com/watch?v=p0ybFSvT3qQ
16. **#დღემუზეუმში დიდი მცხეთა** https://www.youtube.com/watch?v=o7nsJ_Z6Zas
17. **ზევახ, სიცოცხლევ ჩემო!** https://www.youtube.com/watch?v=2ZybfuJaTv8
18. **#დღემუზეუმში – ოქროს საგანძური (მესამე ნაწილი)** https://www.youtube.com/watch?v=jRG_V_X5IMU&list=PLue6znsWBAffXvQcNWPwrlpB8MnD0P6KE&index=29
19. **რომის იმპერია: ძალაუფლება და დიდება** https://www.youtube.com/watch?v=Iy_66hW_t6Q
20. **რომის იმპერატორები** https://www.youtube.com/watch?v=QPHQTpBKRkU
21. **საქართველო-რომის ურთიერთობები ანტიკურ ხანაში (პომპეუსის ლაშქრობა, ფარსმანI, ფარსმანII)** https://www.youtube.com/watch?v=NRiMMEgLpjE
22. **ქალაქიდან ქალაქამდე – ქართველ მეფეთა სასახლეები** https://www.youtube.com/watch?v=l6P-2F2mNWk
23. **მცხეთაში წყალქვეშ დამალული „პომპეუსის ხიდი“ გამოჩნდა** https://www.youtube.com/watch?v=L8dphc-1zlw
24. **რას ერჩოდა რომაელი პომპეუსი არმაზ-ბაგინეთს — ქალაქიდან ქალაქამდე 04.12.2016** https://www.youtube.com/watch?v=RwQAELHycGY
25. **რომი და საქართველო** https://www.youtube.com/watch?v=_FcKb_mfD4o
26. **სასანიანთა ირანი** https://www.youtube.com/watch?v=Wy50EA-TNGE
27. **რელიგიების კლასიფიკაცია მონოთეისტური რელიგიები ქრისტიანობა ისლამი იუდაიზმი** https://www.youtube.com/watch?v=5EOcMeSMfLU
28. **პოლითეიზმიდან მონოთეიზმამდე: რელიგიები და კონფესიები** https://www.youtube.com/watch?v=KnyD2hzgRxI
29. **რელიგიათა ისტორია** https://www.youtube.com/playlist? list=PLJOAaLhgJbNS_RDtq7YS1Sp HSb7vii6gd
30. **კონსტანტინე დიდის რეფორმები რომის იმპერიის გადასარჩენად** https://www.youtube.com/watch?v=ReSn9nMtrv4
31. **კონსტანტინე დიდი** https://www.youtube.com/watch?v=u2Upsyx4Y3Q
32. **ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება** https://www.youtube.com/watch?v=2qB3VJukuvU
33. **ქართლის მოქცევის თარიღისათვის** https://www.youtube.com/watch?v=1ITOC6Ls09g
34. **დამწერლობის ისტორია** https://www.youtube.com/watch?v=RXnARlpU6p8
35. **როგორ წარმოიშვა ქართული დამწერლობა** https://www.youtube.com/watch?v=vw6B5ydtth4
36. **ქართული დამწერლობა ქრისტეს შობამდე** https://www.youtube.com/watch?v=X4_s_IUbE0o
37. **ქართული დამწერლობა** https://www.youtube.com/watch?v=3_QPAYgZBzM
38. **ქართული ანბანის საიდუმლო** https://www.youtube.com/watch?v=VjgKOCh_SXk
39. **უნიკალური აღმოჩენა საქართველოში — არის თუ არა გრაკლიანის წარწერა დამწერლობის უძველესი ნიმუში?** https://www.youtube.com/watch?v=UGKWJ5yAO38
40. **ახალი აღმოჩენა გრაკლიანის ველზე | რა ასაკის არის ქართული დამწერლობა** https://www.youtube.com/watch?v=1FhFEI7Rc8k
41. **ხალხთა დიდი გადასახლება** https://www.youtube.com/watch?v=PQkW56-OISU
42. **ჰუნები** https://www.youtube.com/watch?v=qaX27tkdrEs; The Fall of Rome Explained In 13 Minutes; https://www.youtube.com/watch?v=KJz15Y6hKMM
43. **ვახტანგ გორგასალი** Vakhtang Gorgasali Вахтанг Горгасали https://www.youtube.com/watch?v=LdFT55KQAzQ
44. **მეფე ვახტანგ გორგასალი** https://www.youtube.com/watch?v=HVLUAiY4C2k
45. **მთავარსარდალი – ვახტანგ გორგასალი ნაწ.№1** https://www.youtube.com/watch?v=-X0JHWubNyg
46. **მთავარსარდალი – ვახტანგ გორგასალი ნაწ.№2** https://www.youtube.com/watch?v=Zo_A6qFhtS4
47. **წმინდა მეფე ვახტანგ გორგასალი ნაწილი 1** https://www.youtube.com/watch?v=56nDkDhc74Q&list=PLdQw9YH9ExicRpF6vNcLtb BW3lMQtoZmz&index=6
48. **წმინდა მეფე ვახტანგ გორგასალი ნაწილი 2** https://www.youtube.com/watch?v=ercKO CKVW go&in dex=4-&list=PLdQw9YH9Exic RpF6vNcLtbBW3lMQtoZmz
49. **ეგრისის სამეფო IV-VI სს-ში: გუბაზ I; დიდი ომიანობა; გუბაზ II** https://www.youtube.com/watch?v=Pw3Wpi7UnqU
50. **ბიზანტია-ირანის ომები და ქართული სამეფოები** https://www.youtube.com/watch?v=c1iwqqt3yWM

მასალები მინი-ლექციებისა და დამატებითი აქტივობებისთვის

ამ თავის მასალა წარმოადგენს დამატებით რესურსს პედაგოგისთვისა და მოსწავლისთვის. მასალა შესაძლებლობას იძლევა, პედაგოგმა გარკვეულ საკითხებზე გააკეთოს უფრო ჩაღრმავებული ახსნა-განმარტება, კომენტარი; ზოგჯერ გაკვეთილის ფარგლებში ჩაატაროს მინი-ლექცია, რათა დაეხმაროს მოსწავლეებს ძირითადი ისტორიული საკითხებისა და ცნებების გააზრებაში, მოსწავლის წიგნის მასალის უკეთ აღქმაში, მოსწავლეების დაინტერესების შემთხვევაში კი – უპასუხოს მათ დამატებით შეკითხვებს; ასევე, შესასრულებლად მისცეს დამატებითი სავარჯიშოები. ამ მასალის გამოყენება შესაძლებელია როგორც საგაკვეთილო, ისე დამოუკიდებელი მუშაობისთვის.

შუმერი: კულტურა და რელიგია

დამოუკიდებელ ქალაქ-სახელმწიფოებს, ენისა და დამწერლობის გარდა, ერთმანეთთან მჭიდროდ აკავშირებდა რელიგია, მითოლოგიური გადმოცემები, *მსოფლმხედველობა* და ყოფა-ცხოვრების ერთიანი სტილი. ეს გაკვეთილი სწორედ ამ ერთიანობის შემადგენელ ზოგიერთ ელემენტს გაგაცნობს.

რელიგია

შუმერის მთავარი ღმერთები უზენაეს სამებაში იყვნენ გაერთიანებული:

სქემა 1 **შუმერთა სამი უზენაესი ღმერთი**

ანი ცის ღმერთი	**ენლილი** ცასა და მიწას შორის არსებული სივრცის მბრძანებელი	**ენქი** ოკეანისა და მიწისქვეშა მტკნარი წყლების პატრონი, სიბრძნისა და ხელოვნებათა ღმერთი

შუმერთა რწმენით, ეს სამება განაგებდა არა მხოლოდ შუმერს, არამედ მთელ ქვეყნიერებას. გარდა ამისა, ისინი თაყვანს სცემდნენ მთვარის ღმერთ **ნანას**, ღვთაება **უთუს**. შუმერების წარმოდგენით, არსებობდნენ ასევე ქვესკნელის, მებრძოლი, მკურნალი, ბუნების ძალთა, სხვადასხვა იარაღ-ხელსაწყოს ღმერთები. ისინი გადაწყვეტილებებს არ იღებდნენ, მხოლოდ დიდი ღმერთების განკარგულებებს ასრულებდნენ.

- *ღმერთების ჩამონათვალის მიხედვით, როგორი რელიგია ჰქონდათ შუმერებს: მონოთეისტური თუ პოლითეისტური?*
- *შუმერები თავიანთ ქვეყანას "ქიენქის" უწოდებდნენ. რომელი ღვთაების სახელიდან უნდა მომდინარეობდეს ეს ტერმინი?*

წყარო ა **1. ქალაქ ურის დიდი ზიკურათი დღეს, 2. ზიკურათის რეკონსტრუქცია**

ჩვენთვის დღემდე ცნობილი უძველესი რელიგიური ნაგებობები (ძვ. წ. IV-III ათასწლეულები) შუმერული ზიკურათებია. ეს ოთხკუთხედი, პირამიდისმაგვარი კოშკები ტაძრებით გვირგვინდებოდა. ზიკურათის კედლებს თეთრად, წითლად ან შავად ღებავდნენ. სამშენებლო მასალად ალიზი ანუ ბზენარევი, გამოუწვავი თიხის აგური გამოიყენებოდა. ტაძრები უზარმაზარ მეურნეობებს ფლობდნენ. გლეხებს მოსავლის ნაწილი ტაძარში უნდა მიეტანათ. იქვე იყო მარცვლეულის საწყობი.



- *შენი აზრით, ხელს შეუწყობდა თუ არა ტაძარში მიტანილი მოსავლის აღრიცხვა დამწერლობის წარმოშობას? პასუხი დაასაბუთე.*

ხელოვნება და ყოფა

წყარო ბ **1. გეომეტრიული ორნამენტით შემკული თიხის ჭურჭელი (ძვ. წ. 6000 წ., ლუვრის მუზეუმი), 2. ქალის თავსამკაული (ურის მეფეთა სამარხიდან, ძვ. წ. XXVI ს.), 3. ქნარი (ურის მეფეთა სამარხიდან), 4. სათამაშო დაფა (ურის მეფეთა სამარხიდან), 5. მარის მმართველი ები II (ძვ. წ. XXIV ს., ლუვრის მუზეუმი)**

შუმერის ხელოსნები დახელოვნებული იყვნენ ჭურჭლის, სამკაულების, იარაღის დამზადებაში. ქვეყანაში არსებული რესურსებიდან ისინი თიხას, ჭილს, შალს, ტყავსა და სელს იყენებდნენ. სხვა მასალა უცხოეთიდან შემოდიოდა. ხელოსანთა ნაწარმი, აგრეთვე ვაჭრების მიერ შემოტანილი თუ გასატანად მომზადებული საქონელი ცილინდრული საბეჭდავებით იყო დაღდასმული. შემონახულია მეფეთა და დიდებულთა უამრავი ქანდაკება. ქალაქების მმართველთა ქანდაკებებს მათი ღვაწლის ამსახველი წარწერები ამშვენებდა. ისინი, როგორც წესი, ტაძრებში იდგმებოდა. ქანდაკებათა ნაწილზე ჩანს შუმერი მამაკაცების უძველესი სამოსი, რომელიც ცხვრის ბეწვისგან მზადდებოდა.



ლექსიკონი

მსოფლმხედველობა – შეხედულებათა, წარმოდგენათა სისტემა სამყაროსა და მის კანონზომიერებაზე, ბუნებისა და საზოგადოების მოვლენებზე.

შუმერის მცხოვრებლებმა შექმნეს თვლის ათეული და სამოცეული სისტემები. მათ იცოდნენ ორუცნობიანი განტოლების ამოხსნა და კვადრატული ფესვის ამოღება; მიწის ფართობისა და სხვადასხვა სახის ჭურჭლის მოცულობის გამოანგარიშება. შუმერები ბერძნებზე ადრე იყენებდნენ პითაგორას თეორემას; ჰქონდათ მთვარის, შემდეგ _ შერეული კალენდარი; ათწლეულების განმავლობაში აკვირდებოდნენ ციურ სხეულებს და ზოგიერთი მათგანის მოძრაობა აღწერეს. ჩამოთვალე მეცნიერების დარგები, რომლებიც შეესატყვისება შუმერთა აქ ჩამოთვლილ ცოდნას. დაასახელე მეურნეობის დარგები, რომლებშიც მათ პრაქტიკულად იყენებდნენ.

დამწერლობა და სკოლა შუმერში

ეს გაკვეთილი კაცობრიობის ერთ-ერთ უძველეს დამწერლობას გაგაცნობს. აქვე გაიგებ, რას და როგორ სწავლობდნენ უძველეს სკოლებში.

იყვნენ თუ არა შუმერები დამწერლობის პირველი გამომგონებლები, უცნობია, მაგრამ ის კი ცხადია, რომ დღემდე აღმოჩენილ ძველ დამწერლობებს შორის შუმერული დამწერლობა ერთ-ერთი უძველესია (ეგვიპტურთან ერთად). შუმერული დამწერლობის უძველესი ნიმუშები, ისევე, როგორც ეგვიპტური იეროგლიფები, ხატოვანია.

ლურსმული დამწერლობა

პირველი "თიხის წიგნები" შუმერებმა შექმნეს. ლერწმის ღეროთი სველ თიხაზე გამოყვანილი შუმერული ნიშნები საოცრად წააგავს ლურსმნებს, ამიტომ მეცნიერებმა ამ დამწერლობას **ლურსმული** უწოდეს.

წყარო ა შუმერული დამწერლობის განვითარების ტაბულა



• *რა გამოსახულებათა საფუძველზე განვითარდა შუმერული დამწერლობის ნიშნები?*

ლურსმული ნიშნების ერთი და იგივე კომბინაცია შუმერულ დამწერლობაში გამოხატავდა სიტყვასაც, მარცვალსაც და ხმოვანსაც.

წყარო ბ 1. თიხის ფირფიტა (ძვ. წ. IV ათასწლეულის დასასრული, ლუვრის მუზეუმი, საფრანგეთი)

დამწერლობის გაჩენას საკმაოდ პრაგმატული მიზეზი ჰქონდა: სატაძრო მეურნეობაში, სადაც ბევრი ადამიანი იყო დასაქმებული, აუცილებელი გახდა მათთვის გაცემული სარჩოს აღნუსხვა. ამიტომაც დამწერლობის ადრეული ნიმუშები მეტად მარტივია – მათში მხოლოდ ციფრებს და საგანთა (პროდუქტების) დასახელებებს ვხვდებით. ეს დაფები შრომის ანაზღაურების პირველი დოკუმენტებია. დაიწყეს ზეპირად გავრცელებული შუმერული ტექსტების (მითები, ისტორიული თხზულებები, კანონები, სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურული ნაწარმოებები) ჩაწერა; მოგვიანებით გაჩნდა სასამართლო გადაწყვეტილებათა ჩანაწერები, სამეფო და კერძო წერილები. შუმერული დამწერლობა, რა თქმა უნდა, შეცვლილი სახით, გავრცელდა ახლო აღმოსავლეთის ბევრ ქვეყანაში – ბაბილონში, ასურეთში, ელამში, სირიაში, *მცირე აზიაში* (ხეთებში), ირანსა და ურარტუში.

● *ჩვენამდე მოაღწია შუმერულმა ანდაზებმა. აი, ორი მათგანი: ა) "რა მწერალია, თუ შუმერული არ იცის?!", ბ) "ნამდვილი მწერალი ის არის, ვისი ხელიც მის ბაგეს მისდევს". შენი სიტყვებით განმარტე მათი აზრი – გაითვალისწინე, რომ შუმერული ხატულები თავდაპირველად მთელს სიტყვებს გამოხატავდნენ, მოგვიანებით კი მარცვლებს. რომელი ანდაზა რომელ ეტაპს ასახავს?*

ძველ შუამდინარეთში განათლებას სასახლეებთან და ტაძრებთან არსებულ სკოლებში იღებდნენ. შუმერულ სკოლას "დაფის სახლი" ანუ "ედუბა" ეწოდებოდა, სკოლადამთავრებულს კი, ვინც წერა-კითხვა სრულყოფილად შეისწავლა, "დაფაზე მწერალი" ანუ "დუბსარი" ერქვა. სკოლის სათავეში მასწავლებელი – "სკოლის მამა" იდგა. მისი თანაშემწეები "უფროსი ძმები" იყვნენ, ხოლო მოსწავლეები – "სკოლის შვილები". მასწავლებელი გასამრჯელოს მოსწავლეების მიერ შეტანილი ქირიდან იღებდა. სკოლებში ასწავლიდნენ *ღვთისმეტყველებას*, ბოტანიკას, *მინერალოგიას*, გეოგრაფიას, გრამატიკას, *ლინგვისტიკას*, შუმერულ და აქადურ ენებს, ლურსმულ დამწერლობას. შეძლებულ მშობლებს შვილები 5-7 წლის ასაკიდან შეჰყავდათ სკოლაში. მათ შორის გოგონებიც იყვნენ, თუმცა არც ერთი შუმერი მწერალი ქალი არ არის ცნობილი. სკოლაში, პირველ რიგში, სხვადასხვა მიზნით გამოსაყენებელი დაფების დამზადების ხელოვნებას ეუფლებოდნენ. შუმერის მცხოვრებთა უმრავლესობამ წერა-კითხვა არ იცოდა და მის მცოდნეზე იყო დამოკიდებული.

წყარო 8 თიხის ფირფიტა მოსწავლის ნაწერით (ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრული, ლუვრის მუზეუმი, საფრანგეთი)

სკოლაში მოსწავლეებს უსწორმასწორო თიხის ფირფიტებს ურიგებდნენ. ფირფიტაზე მასწავლებელს რომელიმე ნიშანი გამოჰყავდა, მოსწავლე კი მას ჰბაძავდა. ამ ფირფიტაზე მოუხერხებელმა მოსწავლემ საკუთარი ხელისგულის ანაბეჭდი დატოვა.

ლექსიკონი

მცირე აზია – იგივე ანატოლია, რეგიონი სამხრეთ-დასავლეთ აზიაში, ბოსფორის აღმოსავლეთით, ხმელთაშუა და შავ ზღვებს შორის. ამჟამად ამ სახელით თურქეთის აზიურ ნაწილს მოიხსენიებენ.

ღვთისმეტყველება – მოძღვრება ღვთისა და ძირითადი რელიგიური დებულებების შესახებ.

მინერალოგია – მეცნიერება დედამიწის ქერქის შემადგენლობაში ბუნებრივად არსებული ქიმიური ნაერთების ან ელემენტების, მინერალების შესახებ.

ლინგვისტიკა (ლათ. *ლინგვა* – ენა) – მეცნიერება ენის შესახებ.

დამწერლობის შემოღება შუმერულ მითოსში ურუქის ლეგენდარულ მეფეს, ენმერქარს მიეწერება. ურუქის მეფეს დავა ჰქონდა შორეული არათას მბრძანებელთან. ისინი ერთმანეთს მოციქულის პირით გამოცანებს უგზავნიდნენ. ბოლოს აუცილებელი გახდა სიტყვის თიხაზე აღბეჭდვა და წარწერიანი დაფის მოციქულისთვის გატანება:

იმ დროს ქულაბას (მითი ასე მოიხსენიებს ქალაქ ურუქს) ბატონმა ენმერქარმა (გული (აზრი) მისი მიუწვდომელია) სიტყვა წარმოთქვა. მოციქულმა, რომლის ბაგე მძიმე იყო, ვერ გაიმეორა. რაკი მოციქულის ბაგე მძიმე იყო და ვერ გაიმეორა, ქულაბას ბატონმა თიხა ხელით მოზილა და სიტყვა დაფად აქცია. მანამდე სიტყვა თიხად ქცეული არ იყო. ამიერიდან, უთუს ამ დღიდან, ეს ასეა. ქულაბას ბატონმა სიტყვა დაფად აქცია. ეს ასეა...

როგორ გესმის გამოთქმები "სიტყვა დაფად აქცია", "სიტყვა თიხად ქცეული არ იყო"? რატომ იყენებდნენ შუმერები სანერ მასალად თიხას? ამ მითისა და ამ გაკვეთილის წყარო 8-ს სავარჯიშოში მითითებული ანდაზების მიხედვით, რა მიაჩნდათ შუმერებს მწერლის მთავარ დანიშნულებად?

გილგამეშის ეპოსი

ძვ. წ. III ათასწლეულში შუმერში შეიქმნა კაცობრიობის დღემდე ცნობილი უძველესი ნაწარმოები.

ეპოსის გმირი, გილგამეში, შუმერის ქალაქ ურუქის I დინასტიის მეხუთე მეფე იყო. მისი სახელი "შუმერის მეფეთა სიებში" მოიხსენიება. ამ სიების თანახმად, გილგამეშმა 126 წელს იმეფა. როგორც ჩანს, რეალურად არსებული პიროვნება თუ პიროვნებები მოგვიანებით ხალხმა გააღმერთა და მისი (მათი) სახელი შთამომავლობას ზეპირი ლეგენდების სახით შემოუნახა, შემდეგ კი ეს ლეგენდები ჩაწერეს.

გილგამეშის ეპოსი ანტიკურ ეპოქაში მეტად გავრცელებული ნაწარმოები იყო. იგი არსებობდა შუმერულ და აქადურ ენებზე; მას იცნობდნენ მთელ ახლო აღმოსავლეთში, ხეთების სამეფოდან პალესტინამდე.

წყარო ა 1. თიხის ფირფიტა გილგამეშის ეპოსის ფრაგმენტით აქადურ ენაზე, ლონდონი, ბრიტანეთის მუზეუმი, 2. გმირი ახრჩობს ლომს, ძვ. წ. VIII ს., ლუვრი, საფრანგეთი

1. გილგამეშის ეპოსის რამდენიმე ვერსია არსებობს. მათგან უძველესი ძვ. წ. III ათასწლეულისაა. ეს თიხის ფირფიტა ნაწილია იმ 12 ფირფიტისა, რომლებზედაც ლურსმული დამწერლობით ნაწარმოების 300 სტროფია ჩაწერილი. ისინი ქალაქ ნინევიაში, მეფე ასურბანიფალის (ძვ. წ. 669-633) ბიბლიოთეკაში აღმოაჩინეს. აღნიშნულ ფირფიტებზეა შემონახული ეპოსის ყველაზე სრული ვერსია. **2.** 5 მ სიმაღლის ეს ქანდაკება დურ-შარუქენში (ამჟამინდელი ხორსაბადი) აღმოაჩინეს. მასზე გამოსახული გმირი, რომელსაც ხშირად გილგამეშთან აიგივებენ, მეფის ხელისუფლების ყოვლისშემძლეობას განასახიერებს.

ეპოსში მეფე გილგამეშისა და მისი ძმობილის, ენქიდუს საგმირო საქმეებია მოთხრობილი. ენქიდუს ავადმყოფობისა და გარდაცვალების შემდეგ გილგამეში გადაწყვეტს უკვდავება მოიპოვოს. ის შორეულ მოგზაურობაში მიდის, რათა დედამიწაზე წარღვნას გადარჩენილ ერთადერთ უკვდავ ადამიანს, უთანაფიშთის შეხვდეს. გილგამეში მისგან შეიტყობს, რომ სიკვდილი გარდაუვალია. უთანაფიშთი მას სიჭაბუკის დამბრუნებელ ჯადოსნურ ბალახს გადასცემს, თუმცა გილგამეშს გზად ამ ბალახს გველი მოჰპარავს. იგი ურუქში ბრუნდება. გილგამეში უკვე ბრძენი და გამოცდილი მეფეა. ის ხვდება, რომ ადამიანს უკვდავების მოპოვება მხოლოდ საკუთარი ქმედებებით შეუძლია.

> გილგამეშის ეპოსის მსგავსი ნაწარმოებები ძველი ცივილიზაციების სხვა ხალხებმაც შექმნეს. ამ სახელმძღვანელოს, ინტერნეტის, ენციკლოპედიების დახმარებით მოიძიე ინფორმაცია "ილიადას", "ოდისეას", ბიბლიის (კერძოდ, "ძველი აღთქმის"), "მაჰაბჰარატას" შესახებ. შეადარე ისინი გილგამეშის ეპოსს; მიუთითე მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნები. მომდევნო გაკვეთილზე შენი ნამუშევარი კლასს გააცანი.

ბაბილონი

ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისისთვის ადამიანებს საკმარისი ცოდნა და გამოცდილება დაუგროვდათ ქალაქების არქიტექტურული დაგეგმარების, მშენებლობისა და წყალმომარაგებისათვის. ასე გახდა შესაძლებელი შუამდინარეთის მილიონიანი ქალაქის – ბაბილონის – დაარსება.

შუამდინარეთის ძირითადი ბუნებრივი რესურსები მზე, წყალი და თიხა იყო. მშენებლები თიხაში წყალსა და ლერწამს ურევდნენ, აგურს ზელდნენ და შემდეგ მას მზეზე აშრობდნენ. ამგვარი აგურები წვიმას ცუდად უძლებდა. მათ დასაცავად შენობებს ცეცხლში გამომწვარი აგურის ფენით ან ცისფერი ჭიქურით ფარავდნენ. მშენებლებს არ ჰქონდათ დუღაბი – ქვიშის, წყლისა და კირის ნარევი, რომელიც ქვებს აერთებს. მის ნაცვლად გამოიყენებოდა ბიტუმი ანუ ნავთობისგან შემდგარი მასა, რომელიც ნიადაგიდან ჟონავდა და რომელსაც ქვიშას ურევდნენ.

წყარო ა 1. ბაბილონის ნაშთების ხედი ციდან, 2. იშთარის ჭიშკარი

1. სხვა ქალაქებს ბაბილონი სიდიდით რამდენჯერმე აღემატებოდა. ქალაქის ნაშთები მოწმობს, რომ მისი დაგეგმარების დროს არქიტექტურულთან ერთად მათემატიკური ცოდნაც გამოიყენეს. **2.** ძვ. წ. 60 წლიდან მოყოლებული, მეფე ნაბუქოდონოსორ II-ის (ძვ. წ. 605-562) მეფობისას, ქალაქს უზარმაზარი გალავანი შემოარტყეს. გალავანში დატანებული იყო მასიური ჭიშკრები, რომელთაგან ყველაზე ცნობილია 12 მ სიმაღლის იშთარის ჭიშკარი. იგი გალაქული ფილებით არის მოპირკეთებული. ჭიშკარზე 600 დრაკონი და ხარია გამოსახული.



ანტიკური ხანის ქალაქებიდან ბაბილონი ყველაზე საოცარია. მშრალ და ცხელ უდაბნოში მდებარე ქალაქში იყო ბაღები ასობით სახეობის ხითა და სხვა მცენარეულობით. ლეგენდის თანახმად, ძვ. წ. VI ს-ში ძველი მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრება – ბაბილონის დაკიდებული ბაღები – გააშენეს. ბევრს უოცნებია ბაღების აღმოჩენაზე, მაგრამ არქეოლოგიური გათხრების შედეგად დღემდე არ გამოვლენილა მათი არსებობის დამადასტურებელი თუნდაც უმცირესი ნიშანი.

წყარო Ბ 1. ბაბილონის დაკიდებული ბაღები, 2. დაკიდებული ბაღების სარწყავი სისტემა

1. იშთარის ჭიშკრიდან რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით ნაბუქოდონოსორმა 25 მ სიმაღლის ხუთსაფეხურიან ტერასაზე ბაღი გააშენებინა. ეს იყო საჩუქარი დედოფალ ამიტისთვის, რომელიც უდაბნოში მდებარე ქალაქში მოწყენილობას უჩიოდა. ბაღი მას მოაგონებდა მიდიის მშობლიურ მთებს, სადაც გაიზარდა. **2.** თითოეული ტერასა აგურისგან ააგეს. ვიდრე მათ მიწით ამოავსებდნენ, ტერასების ძირზე ფისში არეული ლერწმის ფენა მოათავსეს და ზემოდან ტყვიით დაფარული აგურის ორი წყება დააწყვეს. ამრიგად, ნიადაგში წყალი არ ატანდა და მიწა სინოტივეს დიდხანს ინარჩუნებდა. წყალს, რომელიც შადრევნებად და ჩანჩქერებად იღვრებოდა ყველაზე მაღალ ტერასებზედაც კი, ევფრატიდან იღებდნენ. ევფრატი ბაბილონს კვეთდა. იგი არხებით მიდიოდა ბაღის პირველ ტერასამდე, შემდეგ კი დანაყოფებიანი ბორბლების დახმარებით მის კენწერომდე აღწევდა.





დაახლოებით ასეთი "ბორბლით" ხდებოდა წყლის ატანა ქვედა დონიდან მომდევნო, ზედა დონეზე.

ბიბლიაში მოთხრობილია: მდინარე ევფრატის ხეობაში დასახლებულმა ადამიანებმა ქალაქის აშენება გადაწყვიტეს, რათა არასოდეს გაფანტულიყვნენ დედამიწაზე და მხოლოდ ერთ ადგილზე ეცხოვრათ. მათ მაღალი კოშკის აგება დაიწყეს, რომ ცას მისწვდომოდნენ. მათი მიზნის მიღწევისთვის ხელი რომ შეეშალა, ღმერთმა ადამიანები სხვადასხვა ენაზე აამეტყველა. ამიერიდან ისინი ერთმანეთს ველარ უგებდნენ და მშენებლობას თავი მიანებეს. მას შემდეგ კოშკს "ბაბილონის გოდოლი" ჰქვია, რაც ბაბილონურ ენაზე "ღმერთის კარიბჭეს" ნიშნავს. ბიბლიის ეს ეპიზოდი ძვ. წ. VI ს-შია დაწერილი. იმ დროს ებრაელები ბაბილონელთა ტყვეები იყვნენ. ამიტომ ისტორიკოსები ფიქრობენ, რომ ბაბილონის გოდოლის შესახებ მონათხრობი ბაბილონის ზიკურათით არის შთაგონებული.

ბაბილონის ზიკურათს პირამიდის ფორმა ჰქონდა. რამდენიმესართულიანი შიგა სივრცე ამოვსებული იყო – შიგ დარბაზები არ მოუწყვიათ. ღვთაებისადმი მიძღვნილ ზედა ნაწილში ასვლა შიგა კიბეებით შეიძლებოდა. ზიკურათი დაახლოებით ძვ. წ. 1780 წლით თარიღდება. ბაბილონელები მას "ცისა და მიწის შემქმნელთა სახლს" უწოდებდნენ. იგი 91 მეტრი სიმაღლის იყო და შვიდი სართულისგან შედგებოდა.

1. წერილობით მოკლედ აღწერე, როგორ იყენებდნენ ბაბილონელები მათ ხელთ არსებულ მწირ ბუნებრივ რესურსებს.

2. დააკვირდი წყაროებს, გაიხსენე წინა გაკვეთილი ("ბაბილონის სამეფო") და ჩამოთვალე ის სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნა, რომელსაც იყენებდნენ ბაბილონელები ქალაქის დაგეგმარებისა და აგების დროს, ასევე ყოფა-ცხოვრებაში.

ასურეთი

ეს გაკვეთილი ძველი აღმოსავლეთის ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფოს – ასურეთის სამეფოს – ისტორიას გაგაცნობს. გაიგებ, რით გამოირჩეოდა ეს ქვეყანა, როგორი იყო მისი კულტურა და რელიგია.

ძველთაგანვე შუამდინარეთში ორი სახელმწიფო უწევდა ერთმანეთს მეტოქეობას – ბაბილონი და ასურეთი. ორივე ქვეყანა ძირითადად მონათესავე ხალხებით იყო დასახლებული – მათ ჰქონდათ ერთი და იგივე სალაპარაკო და სახელმწიფო ენა, რომელსაც ასურულ-ბაბილონურს ან აქადურს უწოდებენ. ასურეთი პოლიტიკურ ასპარეზზე ბაბილონზე გვიან გამოჩნდა.

იგი შუამდინარეთის ჩრდილოეთ ნაწილში, ტიგრისა და ევფრატის აუზში წარმოიშვა პატარ-პატარა თემებისგან, რომლებიც ქალაქ ასურის გარშემო გაერთიანდნენ. ასური მათი ღმერთის სახელი იყო და ქალაქსაც ეს სახელი დაარქვეს. ეს ძვ. წ. III-II ათასწლეულების მიჯნაზე მოხდა.

წინა აზიაში ასურეთი განთქმული იყო როგორც სავაჭრო ცენტრი, რომელსაც სავაჭრო დასახლებები ჰქონდა მცირე აზიაში. ეკონომიკის განვითარებამ და სიმდიდრის ზრდამ ხელი შეუწყო ქვეყნის გაძლიერებას. ძვ. წ. XIX ს-იდან მან თავისი მცირე ტერიტორია გააფართოვა, ხოლო ძვ. წ. XV ს-იდან აღმავლობა დაიწყო, რის შედეგადაც ასურეთი უძლიერესი სახელმწიფო გახდა.

წყარო 1 ასურეთის იმპერია

ასურელები სამხრეთით ბაბილონს ებრძოდნენ, ჩრდილოეთით – ურარტუს, ხურიტებს (მითანის სამეფოს), ჩრდილო-დასავლეთით – ხეთებს, დასავლეთით – ფინიკიის ქალაქებს, სამხრეთ-დასავლეთით – ებრაელთა სამეფოებს. ასურელმა მეომრებმა შავ ზღვამდეც კი მიაღწიეს.



• *კლასში იმსჯელეთ, რომელი დღევანდელი სახელმწიფოს ტერიტორიებს მოიცავდა ასურეთის იმპერია.*

წყარო ბ 1. ასურეთის არმიის საბრძოლო სცენები: ა) ასურეთის არმიის მიერ ქალაქის აღება, ბარელიეფი ქალაქ ნინევიიდან, ბრიტანეთის მუზეუმი, ბ) ქალაქის იერიში, ბარელიეფი, 2. ასური მეომრები, ნახატი

ასურეთი, როგორც მეომარი სახელმწიფო, მუდამ საკუთარი ტერიტორიის გაფართოებისთვის იღვწოდა. ასურეთის მეფეთა რწმენით, ეს მათი საღვთო ვალი იყო, რომელიც ღმერთებმა დააკისრეს, განსაკუთრებით უზენაესმა ღვთაებამ – ასურმა. ასურეთის მეფე ტიგლათფილესერ I (ძვ. წ. 1114-1076) ამბობდა: "ასურმა მომცა მე ძალა და ძლიერება და მიბრძანა, გამეფართოებინა მისი ქვეყნის საზღვრები; ხელთ ჩამაბარა თავისი უძლეველი იარაღი – "ბრძოლის ჭარიშხალი". ასურ-ღმერთის მტრული ქვეყნები, მთები, ქალაქები დავიპყარი...".



- *წყარო ბ-ს მიხედვით ისაუბრეთ ასურეთის არმიის საბრძოლო აღჭურვილობასა და ბრძოლის დროს გამოყენებულ ხერხებზე.*
- *წყარო ბ2-ზე გამოსახული მეომრები ამოიცანი წყარო ბ1(ა, ბ)-ში.*

ასურეთს განსაკუთრებით დიდი ძალისხმევა დასჭირდა ურარტუს მეომარი სახელმწიფოს მოსაგერიებლად და დასალაშქრავად. მის მეფეთა – სალმანასარ I-ის (ძვ. წ. 1280-1260), ტიგლათფილესერ I-ისა და სარგონ II-ის (ძვ. წ. 722-705) – საბრძოლო წარწერებში ურარტუსთან დაპირისპირებას დიდი ადგილი ეთმობა.

წყარო გ სალმანასარ I-ის წარწერა ურარტუში ლაშქრობის შესახებ

მათ ძლიერ მთაგრეხილზე ავედი. სულ 8 მხარე და მათი ლაშქარი დავამარცხე, მათი 51 დაბა გავანადგურე, გადავწვი, დავატყვევე, ნადავლი ხელში ჩავიგდე. მთელი ურარტუ ასურის ფეხებთან დავაჩოქე... ქალაქი არინა, რომელიც აჯანყებული იყო და არად ჩააგდო ასური, – ეს ქალაქი დავამარცხე, გავანადგურე, ნაცარი დავთესე მის მიწაზე... ხოლო მისი მტვერი ავხვეტე და ჩემი ქალაქის, ასურის, კარიბჭეში დავყარე...

- *იმსჯელე, როგორი დამპყრობელი იქნებოდა ასურეთი, სასტიკი თუ ლმობიერი. პასუხი დაასაბუთე.*

ასურეთისთვის მთავარი მტერი და მეტოქე ბაბილონი იყო. ძვ. წ. 1224 წლიდან ხუთი საუკუნის განმავლობაში ამ ორ ქვეყანას შორის პირველობისთვის ბრძოლა არ შეწყვეტილა. ხან ერთი იმარჯვებდა, ხან მეორე, ვიდრე საბოლოოდ ისინი ერთ სახელმწიფოდ არ გაერთიანდნენ. ასურეთმა შეიერთა ბაბილონი, თუმცა მას ისევ და ისევ ბაბილონმა მოუღო ბოლო.

- *კონტურულ რუკაზე დაიტანე ასურეთის ლაშქრობათა მიმართულებები.*

რელიგია

ასურელებს თავიანთი რელიგია არ ჰქონიათ: მათი ღმერთები შუმერებისა და ბაბილონელებისგან იყო ნასესხები; მხოლოდ მთავარი ღმერთი ჰყავდათ საკუთარი – სახელმწიფოსა და სამეფო დინასტიის მფარველი ასური. ასური იყო მთელი სამყაროს ღმერთიც, რომელმაც ასურელებისთვის ბაბილონელთა მარდუქი შეცვალა: სამყაროს შექმნის მითის ტექსტში, რომელიც ბაბილონელთაგან ისესხეს, ასურელებმა მარდუქის ნაცვლად ასური ჩასვეს.

- *იმსჯელე, ასურეთის მიერ შუმერისა და ბაბილონის ღვთაებების აღიარება მიუთითებს თუ არა მათ კულტურულ/სულიერ ერთობაზე?*

კულტურა და ხელოვნება

ასურეთის მეფეთა ძირითადი საქმიანობა ომი იყო. მათი საისტორიო მწერლობაც უმთავრესად ბრძოლებს ეძღვნებოდა. ასურელმა მწერლებმა შექმნეს ბრძოლების აღწერის განსაკუთრებული სტილი, რაც ნამდვილად მათი მონაპოვარია. აღწერის ცენტრშია მეფე, რომელიც პირველ პირში გადმოსცემს ლაშქრის სვლას შორეულ ქვეყანაში და სიამაყით აღნიშნავს, რომ მიუვალ მთებში მანამდე არც ერთ მეფეს არ დაუდგამს ფეხი.

- *გამოთქვი მოსაზრება: მეფის მიერ პირველ პირში საუბარი ნიშნავს თუ არა, რომ ნაწარმოების ავტორი თავად მეფეა? პასუხი დაასაბუთე.*

წყარო დ ფრთოსანი ხარი, კალხუს სასახლის კარიბჭე, მეტროპოლიტენ მუზეუმი, აშშ

ასურეთის მეფეთა სასახლეებს მრავალი რელიეფური გამოსახულება ამკობს. კარიბჭეებზე ადამიანისთავიანი ფრთოსანი ლომი და ხარია გამოსახული. ასურელთა ხელოვნებაში ბრძოლებისა და ნადირობის ამსახველი სცენები ჭარბობს. სასახლეებს ამშვენებს ბარელიეფები, რომლებზედაც მეფე წარმოდგენილია, როგორც მეომარი და მონადირე.

მეფეები ომიდან ნადავლით ხელდამშვენებული ბრუნდებოდნენ და ტყვეები მოჰყავდათ, მათ მიჰქონდათ ასევე ხეტყე, რომლითაც ასურეთი ღარიბი იყო, და ვაზი.

- *მიუთითებს თუ არა ასურეთის მეფეთა ასეთი ღონისძიებები იმაზე, რომ ისინი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე ზრუნავდნენ? პასუხი დაასაბუთე.*

ასურეთის დაცემა

ასურბანიფალის მეფობის შემდეგ ასურეთმა დაცემა დაიწყო. იგი ვეღარ ახშობდა აჯანყებებს დაპყრობილ ქვეყნებში. ბაბილონი და მიდია ასურეთის წინააღმდეგ გაერთიანდნენ და საერთო ძალებით შეუტიეს.

ძვ. წ. 609 წელი მიჩნეულია ასურეთის დაცემის წლად. ასურეთი, როგორც სახელმწიფო, აღიგავა პირისაგან მიწისა, გაქრა ისტორიიდან. თუმცა მის შემდეგ წარმოქმნილმა დიდმა იმპერიებმა მემკვიდრეობად მიიღეს ასურეთის გამოცდილება – სახელმწიფოს მოწყობა და ხელოვნება.

ინტერნეტის, საყმაწვილო ენციკლოპედიის დახმარებით მოიძიე ინფორმაცია ასურბანიფალის ბიბლიოთეკის შესახებ და გაკვეთილზე წერილობით წარმოადგინე.

ასურეთის ომები

ამ გაკვეთილზე შეიტყობ ასურეთის სახელმწიფოსა და მისი ომების შესახებ; გაეცნობი ასურთა საბრძოლო აღჭურვილობასა და იარაღს, მათ დამოკიდებულებას დაპყრობილი ხალხებისადმი.

ჩრდილო შუამდინარეთში, მდინარე ტიგროსის ველსა და ტავროსის მთებს შუა ასურთა ქვეყანა მდებარეობდა. ასურები ძირითადად მესაქონლეობასა და ვაჭრობას მისდევდნენ, რადგან აქაური მიწა არ იყო ისეთი ნოყიერი, როგორიც შუამდინარეთის სამხრეთში. ტავროსის მთათა ფერდობები მდიდარი იყო ტყით, ვერცხლის, თუთიისა და ტყვიის მადნებით. ასურ ვაჭრებს ეს ნედლეული ბუნებრივი რესურსებით ღარიბ სამხრეთში შეჰქონდათ. სამაგიეროდ, გამოჰქონდათ მარცვლეული, ფინიკი და თევზი. ასურებმა თანდათანობით ხელთ იგდეს საშუამავლო ვაჭრობა მთელ ახლო აღმოსავლეთში. ანატოლიასა და მცირე აზიის სანაპიროსკენ მიმავალ გზებზე მათ 120-მდე სავაჭრო ახალშენი ჰქონდათ დაარსებული. ამ ახალშენთა საქმიანობა ასურეთიდან იმართებოდა, ადგილობრივ ხელისუფლებს კი გადასახადებს უხდიდნენ. ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისში შუამდინარეთის მიწა-წყალზე ხშირი ომიანობის გამო სავაჭრო გზები დაუცველი დარჩა. ამიტომ ასური ვაჭრების დაცვა ისევ ასურმა მეომრებმა იკისრეს. ამიერიდან ვაჭრობა და ომი ასურების განუყრელი საქმიანობა გახდა. თავიანთი სავაჭრო ახალშენების დაცვის მიზნით ისინი ხშირ ლაშქრობებს აწყობდნენ.

ასურეთმა აღზევებისა და დაცემის პერიოდები გაიარა. ყველაზე მეტ ძლიერებას მან ძვ. წ. IX-VII საუკუნეებში მიაღწია.

წყარო ა ასურეთი ძვ. წ. XIII საუკუნეში

წყარო ბ ასურეთი დაახლ. ძვ. წ. 700 წელს



• *შეადარე ა და ბ წყაროების რუკები. აღწერე წერილობით, რა ცვლილებები განიცადა ასურეთის სახელმწიფოს საზღვრებმა ძვ. წ. XIV-XII საუკუნეებიდან ძვ. წ. VIII ს-ის ბოლომდე?*

წყარო 8 ტიგლათფილესერ I-ის (1115-1077) წარწერა *ნაირის ქვეყნებში* ლაშქრობათა შესახებ:

ღვთაება ასურისა და ღვთაება შამაშის ერთგული წყალობით, მე, ტიგლათფილესერი, ღვთაება ასურმა, მეუფემ გამაგზავნა შორეულ მეფეთა ქვეყნებისაკენ, რომელნიც *ზემო ზღვის* ნაპირას ცხოვრობენ და რომელთაც არ იცოდნენ, რა არის მორჩილება. გავემართე გაუვალი გზებითა და მძიმე გადასასვლელებით. გადავლახე 16 მთა. კარგ ადგილას ჩემი ეტლით მივდიოდი, ძნელად გასასვლელებში კი ბრინჯაოს წერაქვებით ვიკვლევდი გზას. ნაირის ქვეყნების 28 მეფემ შეკრიბა თავიანთ ქვეყნებში ეტლები და ჯარები და ჩემთან საბრძოლველად გამოემართნენ. მე მათ თავს დავატყდი ჩემი თავზარდამცემი იარაღის სიშმაგით. მათი მეომრების გვამები მიმოვფანტე. 120 შეჭურვილი ეტლი ხელთ ვიგდე. 60 მეფეს, რომელნიც მათ დასახმარებლად მოვიდნენ, ჩემი შუბით ზემო ზღვამდე ვდიე. მათი დიდი ქალაქები დავიპყარი, მათი ქონება, სარჩო-საბადებელი წამოვიღე. მათი ქალაქები ცეცხლში გავახვიე, დავარბიე, დავანგრიე, ცხენების, ჯორების მრავალრიცხოვანი ჯოგები და მათი მინდვრების ურიცხვი პირუტყვი წამოვიყვანე. ნაირის ყველა მეფე ჩემმა ხელმა ცოცხლად დაატყვევა. მათ სიცოცხლე შევუნარჩუნე. მათ, დატყვევებულებსა და შებოჭილებს, შამაშის წინაშე მსახურების ფიცი დავადებინე. ძენი მძევლებად გამოვართვი. 1200 ცხენი, 2000 სული რქოსანი პირუტყვი ხარკად დავადე და თავიანთ ქვეყნებში გავუშვი. სიენი, დაიაენის მეფე არ ემორჩილებოდა ღვთაება ასურს, დატყვევებული ასურში წავიყვანე. იქ შევიწყალე, დიად ღვთაებათა მორჩილი გავუშვი.

შენიშვნა: ნაირის ქვეყნები *– ამ სახელით მოიხსენიებდნენ ასურები მათგან ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნებს. ამ ქვეყანათა შორის დასახელებულია დაიაენი, რომელიც, მეცნიერთა აზრით, საქართველოს ისტორიული მხარის, ტაოს სახელწოდება უნდა იყოს.*

ზემო ზღვა *– ასე უწოდებდნენ ასურები ხმელთაშუა და შავ ზღვებს. აქ: შავი ზღვა.*

შამაში *– ასურთა ღვთაება.*

- *უცხო ქვეყნების დაპყრობის რა მოტივს ასახელებს ტიგლათფილესერ I თავის წარწერაში? შენ რა მოტივს მოუძებნიდი ამ ლაშქრობას?*
- *რა შემთხვევაში და რა პირობით ათავისუფლებდა ტიგლათფილესერი დატყვევებულ მეფეებს? რატომ იტოვებდა მათ ძეებს მძევლებად?*
- *გამოიყენე წყარო 8 და ცხრილში აღნუსხე ასურებისა და მათი მოწინააღმდეგეების იარაღები და გადაადგილების საშუალებები. წერილობით გამოთქვი ვარაუდები ასურეთის ბუნებრივი რესურსებისა და ეკონომიკური განვითარების შესახებ.*

ცნობა 1 პირველი მძლავრი პოლიტიკური გაერთიანება შუამდინარეთში

შუამდინარეთის ტერიტორიაზე პირველი მძლავრი გაერთიანება შექმნა სარგონ აქადელმა (ძვ. წ. 2369-2314). ძველი წყაროების ცნობით, მის დროს აქადის პოლიტიკური საზღვრები გადაჭიმული იყო "ქვემო ზღვიდან" (სპარსეთის ყურე) "ზემო ზღვამდე" (ხმელთაშუა ზღვა).

ასურთა არმია

ასურებს მუდმივი ჯარი ჰყავდათ. იგი ივსებოდა სამხედროვალდებული მოსახლეობისგან და მთლიანად მეფის კმაყოფაზე იყო. წარჩინებული ასურები საბრძოლო ეტლებით იბრძოდნენ. ქვეითებსა და ცხენოსნებს იცავდა ცალკე არსებული ფაროსანთა შენაერთი.

სამხედრო ბანაკებს ასურები ირგვლივ ღრმა თხრილს ავლებდნენ, შიგნით გაჰყავდათ ურთიერთგადამკვეთი ქუჩები. კარგად ფლობდნენ საალყო საქმეს, ჰქონდათ ციხესიმაგრეთა ასაღები დანადგარები. დაპყრობილ ტერიტორიებზე გაჰყავდათ გზები, აწყობდნენ საფოსტო სადგურებს. მტრის შესახებ ცნობებს წინდაწინ აგროვებდნენ. თავდასხმებს აწყობდნენ ღამღამობით, მოულოდნელად.

ასურები სასტიკად ექცეოდნენ დაპყრობილ ხალხებს. მამაკაცების ორ მესამედსა და ბავშვებს ჟლეტდნენ, ქალებს მონებად ერეკებოდნენ. მხოლოდ ტიგლათფილესერ III-ის დროს (745-727) ასურებმა დაიწყეს დაპყრობილი ტერიტორიებიდან მოსახლეობის

ცნობა 2 ასურეთის არმიის შემადგენლობა

- ძლიერი ცხენოსანი ჯარი;
- მძიმედ და მსუბუქად შეიარაღებული ქვეითობა;
- მოალყეები;
- ტვირთის მზიდავები.

- *წერილობით დაახასიათე ასურელთა საომარი კულტურა: ბრძოლის წარმართვის წესი (შეადარე ეგვიპტელთა და ხეთების წესებს), დამოკიდებულება მოსახლეობის, მათ შორის ქალებისა და ბავშვების მიმართ, დამოკიდებულება დატყვევებული მეფეებისა და მათი ოჯახის წევრების მიმართ და ა. შ.*

ორგანიზებულად აყრა და მათ მიერვე გაპარტახებულ სხვა ტერიტორიებზე ჩასახლება. მონებს უკვე ოჯახის წევრებთან ერთად ასახლებდნენ და ნებას აძლევდნენ, თან წაეღოთ თავიანთი მცირე ქონება. ასურები იშვიათად ტოვებდნენ მკვიდრ მოსახლეობას ძველ ადგილას, მხოლოდ განსაკუთრებულად სანდოდ მიჩნეულ ხალხებს აძლევდნენ ნებას, მშობლიურ მიწაზე დარჩენილიყვნენ.

წყარო Დ ასური ჯარისკაცების აღჭურვილობა

1. ასური ქვეითი ჯარისკაცები. *მძიმე ქვეითებს ეცვათ რკინის ფურცლოვანი აბჯარი და ეხურათ წვეტიანი მუზარადები. ისინი აღჭურვილი იყვნენ ფარებით, შუბებითა და მოკლე მახვილებით. მსუბუქი ქვეითები იყოფოდა: მშვილდოსნებად, მეშურდულეებად და ხელშუბების მტყორცნელებად;* ***2. ასურთა საბრძოლო ეტლები; 3. ასური მხედრები; 4. ასური ჯარისკაცები,*** *რომლებიც გაბერილი ტიკების დახმარებით გადაცურავდნენ მდინარეს;* ***5. საალყო მანქანა.*** *ამ ბარელიეფზე გამოსახულია მოწყობილობა, რომლითაც კედელს აძგერებდნენ ურნალს (კედლის სანგრევ მორს);* ***6. საიერიშო კიბეები***









ლომზე ნადირობა საბრძოლო ეტლით (ძველი ასურული რელიეფის გამოსახულება)





- *წყარო Დ-ს გათვალისწინებით უპასუხე კითხვას: აიძულებდა თუ არა ასურთა სამხედრო უპირატესობა მათ მოწინააღმდეგე ქვეყნებს, თვითონაც გაეუმჯობესებინათ სამხედრო აღჭურვილობა და ორგანიზაცია?*

1. ჩამოთვალე სიახლეები, რომლებიც ასურებმა შეიტანეს საბრძოლო ხელოვნებაში.

2. შენი აზრით, რატომ ექცეოდნენ ასურები სასტიკად დაპყრობილ მოსახლეობას? რატომ მიმართავდნენ მოსახლეობის აყრასა და ადგილგადანაცვლებას? რომელი მსგავსი მაგალითები იცი საქართველოს ისტორიიდან?

ძველი ეგვიპტე – „ნილოსის საჩუქარი“

ძველმა ბერძენმა ისტორიკოსმა ჰეროდოტემ ეგვიპტეს “ნილოსის საჩუქარი” უწოდა. ამ გაკვეთილიდან შეიტყობ, რატომ დაერქვა ქვეყანას ეს სახელი და რა მნიშვნელობა ჰქონდა მდინარე ნილოსს ძველი ეგვიპტის ცივილიზაციის შექმნისთვის.

წყარო 1 ძველი ეგვიპტე





ლექსიკონი

ამონი – ქალაქ თებეს მფარველი ღვთაება, რომელიც ძვ. წ. XXI საუკუნიდან მზის ღვთაება რა-სთან გააიგივეს და ამონ-რა უწოდეს.

ოაზისი – ადგილი უდაბნოში, სადაც წყალია და მცენარეულობა იზრდება.

- *დააკვირდი რუკას და დაასახელე ზემო ეგვიპტისა და ქვემო ეგვიპტის დედაქალაქები.*
- *რუკის მიხედვით ჩამოთვალე ძველი ეგვიპტის ძირითადი ბუნებრივი სიმდიდრეები.*
- *დააკვირდი რუკას. სად არის გაშენებული ქალაქები და სად მდებარეობს უმთავრესი ძეგლები (ტაძრები, სამარხები, პირამიდები)? რა იყო ძირითადი დამაკავშირებელი გზა ქალაქებსა და სამეფოებს შორის?*

უძველესი დროიდან ეგვიპტის ორი – ქვემო და ზემო – სამეფო მდინარე ნილოსის დინების გასწვრივ არსებობდა. ქვემო ეგვიპტე ნილოსის ზღვასთან შერთვის ადგილას წარმოქმნილ დელტას მოიცავდა, ზემო ეგვიპტე კი სამხრეთით, ნილოსის სათავესთან მდებარეობდა. შუამდინარეთისგან განსხვავებით, სადაც ორი სხვადასხვა მოდგმის ხალხი სახლობდა, ნილოსის დაბლობი მხოლოდ ეგვიპტელებით იყო დასახლებული.

წყარო ბ 1. ნილოსის დაბლობის ხედი, 2. ნადირობა ნილოსის ნაპირებზე (კედლის მხატვრობა ნებამონის სამარხიდან თებეში, ახალი სამეფოს ხანა), 3. ეგვიპტური იალქნიანი ნავი (ხის მოდელი, დაახლ. ძვ. წ. 2500 წ., ბრიტანეთის მუზეუმის ეგვიპტური გალერეა)

1. ნილოსის ნაყოფიერ ნაპირებზე უხვად იზრდებოდა მცენარეულობა, მოჰყავდათ მარცვლეული. ამ ადგილებს "შავ მიწას" უწოდებდნენ. მის მიღმა უდაბნოს უნაყოფო სივრცე – "წითელი მიწა" – მდებარეობდა. **2-3.** ცივილიზაციის წარმოშობისა და განვითარებისთვის ნილოსის დაბლობი საუკეთესო პირობებს სთავაზობდა ეგვიპტელებს: ისინი ამუშავებდნენ მიწას, თევზაობდნენ, ნადირობდნენ წყლის ცხოველებსა და ფრინველებზე, ჭრიდნენ ლერწამს საწერად ვარგისი პაპირუსის, თოკებისა და კალათების დასამზადებლად, ნავების ასაგებად.

2

3

- *წყარო ბ-ს მიხედვით რვეულში სქემატურად გამოსახე ეგვიპტის პეიზაჟი. მდინარის, ნაყოფიერი მიწებისა და უდაბნოს აღსანიშნავად სამი სხვადასხვა ფერი გამოიყენე.*
- *სად და რაზე ნადირობს ეგვიპტელი? რა საშუალებებს იყენებს ის ნადირობისას?*
- *რატომ იყო ნავი აღჭურვილი იალქნითაც და დიდი ნიჩბებითაც?*

მიწათმოქმედება ძველ ეგვიპტეში

მიწათმოქმედება ეგვიპტის მეურნეობის ძირითადი დარგი იყო. ნილოსის მიერ მოტანილი შლამისგან ყოველწლიურად განოყიერებული მიწა უხვ მოსავალს იძლეოდა. ეგვიპტელი გლეხები ძირითადად მიწათმოქმედნი იყვნენ და ამაყობდნენ კიდეც საკუთარი საქმიანობით. მწყემსობა მათ ნაკლებად საპატიოდ მიაჩნდათ, თუმცა შინაურ ცხოველებს მეურნეობაში იყენებდნენ. სანამ სავარგულები ნილოსის წყლით იყო დაფარული, გლეხებს მიწაზე სამუშაო არ ჰქონდათ, მაგრამ როგორც კი მდი-

ნარე უკან დაიხევდა და მიწა გამოჩნდებოდა, ისინი დაუყოვნებლივ შეუდგებოდნენ ხვნა-თესვას. მარცვლეული – ხორბალი და ქერი – ეგვიპტის სოფლის მეურნეობის ძირითადი კულტურები იყო.

წყარო 8 ნახტის სამარხის კედლებზე გამოსახული მიწის სამუშაოები ძველ ეგვიპტეში (მე-18 დინასტია, ძვ. წ. XV ს., თებე)

ეგვიპტელთა უმრავლესობა ფარაონის, მდიდარი მიწათმფლობელის ან ტაძრის კუთვნილ მიწებს ამუშავებდა. ხორბლისა და ქერისგან პურს აცხობდნენ. სასმელებიდან უფრო მეტად ლუდს სვამდნენ, თუმცა ჰქონდათ ვენახები და ღვინოსაც აყენებდნენ. გარდა ამისა, ეგვიპტელებს მოჰყავდათ ლობიო და ოსპი. წელიწადი სამ სეზონად იყოფოდა: **ახეტი** ანუ წყალუხვობის პერიოდი (ივლისი-ოქტომბერი), **პერეტი** ანუ ზამთარი, როდესაც მოსავალს იღებდნენ (ნოემბერი-მარტი), და **შემუ** ანუ ზაფხული (აპრილი-ივნისი).



- *დააკვირდი სამარხის კედლების გამოსახულებებს და რვეულში ჩაწერე, რომელი მათგანი შეესაბამება ქვემოთ ჩამოთვლილ მიწის და სამეურნეო სამუშაოებს: ა) მოსავლის აღება, ბ) რთველი, გ) მიწის ნაკვეთის მომზადება, დ) ყურძნის დაწურვა, ე) მარცვლეულის ღეწვა, ვ) ხვნა.*
- *როდის იყენებდნენ ეგვიპტელები ა) ნამგალს, ბ) გუთანს, გ) თოხს, დ) ნაჯახს, ე) ლერწმის კალათებს?*

ძველი ეგვიპტური მწერლობა და მხატვრობა მოწმობს, რომ ეგვიპტეში ძალიან უყვარდათ ბაღების გაშენება და მოვლა. ქალაქად და სოფლად ყოველი სახლის პატრონი ცდილობდა, საკუთარი ხეხილის ბაღი ჰქონოდა. ფარაონები თავიანთ ბაღებში დარგული უცხო ჯიშის ხეებით ამაყობდნენ. თუნდაც მცირე ვენახი ყველას ბაღში იყო, დიდ ვენახებს კი ფარაონები ფლობდნენ.

- *ბაღებისა და ნათესების მოსარწყავად ძველმა ეგვიპტელებმა გამოიგონეს მარტივი ხელსაწყო – შადუფი. მეწყვილესთან ერთად მოიძიე შესაბამისი ინფორმაცია შადუფის შესახებ. დახაზე, დახატე ის ან დაამზადე მისი მოდელი და ერთი კვირის შემდეგ კლასს გააცანი ამ ხელსაწყოს მოქმედების პრინციპი.*

ეგვიპტელთა ძირითადი საკვები მარცვლეულისგან დამზადებული ფაფა და ლავაშის ან კონუსის ფორმის პური იყო. ასევე მიირთმევდნენ თევზს. მდიდართა ნადიმებზე იხვის, ბატის, ცხვრის, ძროხის ან ქურციკის ხორცისგან მრავალი სახეობის საკვები მზადდებოდა. ეგვიპტელებს უყვარდათ ხილიც: ბროწეული, ფინიკი, ლეღვი.

ხელოსნობა და ხელოვნება

შუამდინარეთელთაგან განსხვავებით, რომლებიც სამშენებლო ქვას შორი ქვეყნებიდან ეზიდებოდნენ, ეგვიპტელი ოსტატები – მოქანდაკეები და ხუროთმოძღვრები – ამ მასალას საკუთარ ქვეყანაშივე მოიპოვებდნენ. ეგვიპტეში მრავლად იყო ქვის სატეხები. იქიდან მოჰქონდათ სამი სახეობის გრანიტი – ვარდისფერი, რუხი, შავი. ეგვიპტელი მოქანდაკეები მათ ქანდაკებებად, ობელისკებად, ტაძრის სვეტებად გარდაქმნიდნენ.

ხელოვანს, რომელიც ღმერთებისა და ფარაონების ფიგურებს ხატავდა ან აქანდაკებდა, იმაზე მეტის ცოდნა მართებდა, რასაც მისგან მისი ხელოვნება მოითხოვდა. ხელოსნები ფარაონის მიერ შექმნილ სახელოსნოებში ან ტაძრებში მუშაობდნენ. რაკი ეგვიპტეში ფული მიმოქცევაში არ იყო, ისინი ანაზღაურებას ნატურით ანუ პროდუქტით იღებდნენ.

ნილოსის წყლების კონტროლი და ფართო მასშტაბის საირიგაციო სამუშაოები, რომლებსაც ძირითადად ემყარებოდა მიწათმოქმედება, ქვეყანაში ცენტრალიზებული ხელისუფლების არსებობას მოითხოვდა. ამიტომაც ეგვიპტეში, შუმერისგან განსხვავებით, იმთავითვე სამეფო ხელისუფლება დამყარდა.

ეგვიპტის ორმოცსაუკუნოვან ისტორიას ოთხ ნაწილად ყოფენ: ძველი სამეფო, შუა სამეფო, ახალი სამეფო, გვიანი სამეფო. ამ ხნის განმავლობაში ეგვიპტეში 30 დინასტია მეფობდა.

1. 1998 წელს გამოცემულ "ეგვიპტის ცივილიზაციის ლექსიკონში" ნათქვამია, რომ წარსულში ნილოსის ნაპირებზე ლერწმის ტყეები იზრდებოდა, თუმცა დღეს მათი კვალიც არ არის შემორჩენილი. ლერწამი ეგვიპტის ერთ-ერთი სიმდიდრე იყო: მისი ქერქისგან წნავდნენ კალათებსა და თოკებს, ამზადებდნენ აფრებს, მამაკაცთა წელზე შემოსაკრავ სამოსსა და სანდლებს. ერთად შეკრული ლერწმის ტოტებით დელტის ჭაობებში გადასაადგილებლად საჭირო ტივებსა და ნავებს კრავდნენ. რაც შეეხება მცენარის თეთრ, ბოჭკოვან გულს, იგი ქაღალდის მსგავსი საწერი მასალის დასამზადებლად გამოიყენებოდა. ერთმანეთზე გადაწებებული ფურცლებით დიდ გრაგნილებს იღებდნენ. ეს იყო ეგვიპტელთა წიგნი და რვეული. რვეულში ააგე სქემა, რომელიც ასახავს, რას აძლევდა ნილოსი ეგვიპტელებს (მაგალითად, წყალი _ სასმელი, მიწების მორწყვა და მიწის სამუშაოები).

2. ძვ. წ. 2100 წელს შეიქმნა ნაშრომი "ხელობათა დაცინვა". მასში აღწერილია მიწათმოქმედისა და ხელოსნის ცხოვრება. წაიკითხე ნაწყვეტები; შემდეგ რვეულში ჩამოწერე, რა იყო თითოეული საქმიანობის უარყოფითი მხარე:

ა) მოსავლის ერთი ნაწილი ჭიაღუებმა შეჭამეს, მეორე _ ჰიპოპოტამმა. მინდორში ბევრი მღრღნელია, კალიები და ჩიტებიც მტრობენ, შინაური საქონელი დაუნდობლად თელავს. რაც რჩება, იმასაც ქურდები იპარავენ. და აი, მოსავლის აღების დროს მოდის მწერალი ჯოხიან თანაშემწეებთან ერთად და ამბობს: "მოგვეცით მარცვლეული!". გლეხს არაფერი აქვს. მას სცემენ და არხში აგდებენ, მის ცოლს თოკებით ხელ-ფეხს უკრავენ, შვილებს ბორკილები ადევთ.

ბ) მე მინახავს მჭედელი თავის სამჭედლოში მუშაობისას: მისი ხელები ნიანგის ტყავივით უხეშია. ოქრომჭედელი მაკრატლით ამუშავებს მტკიცე ლითონებს, მთელი დღე მოხრილი ზის სამუშაო მაგიდასთან. დალაქი ქუჩა-ქუჩა გვიან ღამემდე დაეხეტება, რომ ვინმე გაპარსოს. მეთუნის სამოსი შლამითაა მოთხვრილი, მთელი დღე მტვრიან ჰაერს სუნთქავს. მეწაღის სახელოსნოში ისეთი სუნი დგას, გეგონება, იქაურობა გვამებითაა სავსე _ ის ხომ ტყავზე მუშაობს. მრთველი მთელ დღეს ჩაცუცქულია და ისე მუშაობს. მრეცხავი ნილოსში რეცხავს სარეცხს, ნიანგებთან ახლოს.

სახელმწიფო, რომელსაც ფარაონი მართავდა

ამ გაკვეთილის გაცნობის შემდეგ გეცოდინება, ვინ იყო და როგორ მართავდა ვრცელ სახელმწიფოს ეგვიპტის ფარაონი; შეიტყობ მის სამსახურში მყოფი მრავალი მოხელის შესახებ.

ეგვიპტელები საკუთარი ქვეყნის მმართველ მეფეს უწოდებდნენ "დიდ სასახლეს" (ეგვიპტურად "პერ-აა" ანუ "ფარაონი") და "ღერწმისა და ფუტკრის მბრძანებელს", რაც ქვეყნის ორ მხარეს, ქვემოსა და ზემოს, აღნიშნავდა.

ეგვიპტელთა რელიგიისა და მითოლოგიის თანახმად, ფარაონს ღვთაებრივი წარმოშობა ჰქონდა. მის ძარღვებში ჩქეფდა ღვთიური სისხლი, რომელიც მისი წინაპრისგან, ჰორისგან მოედინებოდა. ჰორი ღმერთ ოსირისის ძე იყო, ფარაონი კი ჰორის ძედ მიაჩნდათ. ასე რომ, ფარაონობა სისხლით გადაეცემოდა თაობიდან თაობას. ფარაონი მზის ღმერთის, რას ძედაც მოიაზრებოდა. ეგვიპტელებს ასევე სწამდათ, რომ სიკვდილის შემდეგ ფარაონი ოსირისი ხდებოდა, რადგან ფიქრობდნენ, რომ პირველი ფარაონი სწორედ ოსირისი იყო, მაგრამ რაღაც მიზეზით დატოვა ეგვიპტე და მკვდართა ქვეყანაში გადასახლდა.

- *შენი აზრით, რა მიზანს ისახავდა რწმენა ფარაონის ღვთიური წარმომავლობის შესახებ?*

წყარო ა 1. ფარაონის სამეფო ნიშნები: ა) სარიტუალო საცეხველი და მეცხვარის კომბალი, ბ) პარიკი და ხელოვნური წვერი, გ) ზემო ეგვიპტის, ქვემო ეგვიპტის, გაერთიანებული ეგვიპტის გვირგვინები, დ) მფარველი კობრა, ე) მფარველი შევარდენი, 2. ფარაონი ტუტანხამონი სამეფო ნიშნებით (ტუტანხამონის მეორე სარკოფაგი, ძვ. წ. 1350 წ., ეგვიპტის მუზეუმი, კაირო)

1. ფარაონს მარჯვენა ხელში ეპყრა მორკალური კვერთხი-კომბალი, როგორც ხალხის მფარველობისა და მწყემსობის ნიშანი, ხოლო მარცხენაში – საცეხველი, როგორც დასჯის ნიშანი. იგი შიშველი თავით არავის ეჩვენებოდა – შინაც კი, თავის ოჯახში, პარიკი ეკეთა. პარიკი ზოლიანი ქსოვილისგან მზადდებოდა. ფარაონი მას უკან, კეფაზე, იკრავდა. პარიკი მას ორივე მხარზე ეფინებოდა. ხელოვნური წვერი ფარაონის ღვთაებრივ ბუნებაზე მიანიშნებდა. ასეთი წვერი ქალი-ფარაონების ჩვენამდე შემორჩენილ გამოსახულებებზედაც ჩანს. ორი სამეფოს გაერთიანებამდე ფარაონი იმ მხარის გვირგვინს ატარებდა, რომელსაც განაგებდა: ქვემო ეგვიპტის გვირგვინი წითელი იყო, ხოლო ზემო ეგვიპტისა – თეთრი. გაერთიანებული ეგვიპტის ფარაონს ორივე გვირგვინი ედგა. ფარაონი თავსაბურავებზე მფარველი კობრისა და შევარდნის გამოსახულებებს იმაგრებდა.



2

- *შენი აზრით, რატომ ატარებდა ფარაონი სამეფო ნიშნებად მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის იარაღებს – საცეხველსა და კომბალს?*
- *რვეულში ჩამოწერე ის სამეფო ნიშნები, რომლებსაც ტუტანხამონის დასაკრძალავ ნიღაბზე ხედავ.*

ეგვიპტელთა აზრით, ფარაონის უმთავრესი მოვალეობა იყო, მზრუნველობა და თაყვანისცემა არ მოეკლო ღმერთებისთვის. ფარაონს უნდა აღედგინა დაძველებული ტაძრები და საკურთხევლები, აეშენებინა ახლები, სადაც ეს საჭირო იყო, ეზრუნა ღმერთების ქანდაკებებით ტაძრების მომარაგებაზე, აღემართა სვეტები და ობელისკები.

ფარაონს, როგორც ღმერთის შვილს და მიწაზე ღმერთის ნაცვალს, განუსაზღვრელი ძალაუფლება ჰქონდა, მაგრამ ისიც ემორჩილებოდა კანონებს, რომელთაც ღმერთები უწესებდნენ. ფარაონის ხელისუფლებას ღვთაებრივი კანონი ზღუდავდა. ფარაონი ყოვლისშემძლე იყო, თუმცა უკანონობის ჩადენა არ შეეძლო.

- *გამოთქვი მოსაზრება: როგორი იყო ღმერთების მიერ ფარაონებისთვის დადგენილი კანონები და რას უკრძალავდნენ ისინი ეგვიპტის მმართველს?*

ცნობა 1 **ფარაონის ყოველდღიური ცხოვრება**

ფარაონის არა მხოლოდ საზოგადოებრივი, არამედ პირადი ცხოვრებაც მკაცრად განსაზღვრული იყო. დილით, გაღვიძებისთანავე, ის კითხულობდა ხელქვეითთა მოხსენებებს მომხდარი ამბების შესახებ და ანგარიშებს. პირის ბანის შემდეგ ფარაონი სამეფო სამოსლით იმოსებოდა, სწირავდა მსხვერპლს, მონაწილეობდა ლოცვებში, უსმენდა დიდი ქურუმის შეგონებებს და ჭკუის სასწავლებელ ამბებსა და იგავებს. ამის შემდეგ ის ესწრებოდა მიღებებსა და სასამართლო სხდომებს...

ფარაონი ეგვიპტეს ერთპიროვნულად მართავდა. იგი *აბსოლუტური მონარქი* იყო – ხელთ ეპყრა მთელი ძალაუფლება, საეროც და სასულიეროც; მისი ნების გარეშე არაფერი ხდებოდა. სახელმწიფოს ყველა სფეროს ფარაონი უამრავი მოხელის მეშვეობით მართავდა. ეგვიპტის ტაძრების მთავარ ქურუმებსაც ის ნიშნავდა. ფარაონის "თვალი და ყური" იყო მისი მთავარი მრჩეველი. მას ემორჩილებოდნენ ეგვიპტის მხარეთა მმართველები. ფარაონისთვის ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მწერლების უზარმაზარი არმია მუშაობდა.

ქურუმობა

მართალია, ფარაონი ღმერთის შვილი და მიწაზე მისი ნაცვალი იყო, მაგრამ მას არ შეეძლო აღესრულებინა ცერემონიალები ეგვიპტის ყველა ტაძარში; ამიტომ ნიშნავდა იგი მთავარ ქურუმებს წმინდა რიტუალების ჩასატარებლად.

არსებობდა სკოლები, სადაც ქურუმთა შვილებს ქურუმობისთვის ამზადებდნენ. ისინი სწავლობდნენ წერა-კითხვასა და ყველაფერს, რაც ღმერთებს უკავშირდებოდა. ქურუმები ცდილობდნენ ჩაცმულობით და შესახედაობით დანარჩენი მოსახლეობისგან გამორჩეულები ყოფილიყვნენ; ამიტომ მათ თავი ყოველთვის გადაპარსული ჰქონდათ და, ფარაონებისგან განსხვავებით, წვერ-ულვაშს არ ატარებდნენ.

- *რატომ ცდილობდნენ ქურუმები, ყველასგან განსხვავებულები ყოფილიყვნენ?*

ტაძრების საჭიროებებზე ყოველდღიური ზრუნვა ქურუმების ერთ-ერთი მთავარი მოვალეობა იყო. ისინი წარმართავდნენ ასევე დაკრძალვის რიტუალებს, ხელმძღვანელობდნენ სასულიერო სკოლებს, ზედამხედველობდნენ ტაძრებისთვის მომუშავე ხელოვანთ (მხატვრებს, მოქანდაკეებს, ხუროთმოძღვრებს) და ხელოსნებს.

მწერლები

მწერლობა ეგვიპტეში მეტად საპატიო პროფესია იყო. მის დაუფლებას ხანგრძლივი სწავლა ესაჭიროებოდა. ეგვიპტელები, ისევე, როგორც ბევრი სხვა ძველი ცივილიზაციის ხალხი (შუმერები, ინდოელები, ხეთები, მაიას ტომები, ჩინელები და სხვანი), დამწერლობისთვის იეროგლიფებს ანუ ხატოვან ნიშნებს იყენებდნენ. ამ ნიშნებით აღინიშნებოდა საგნები, ადამიანები, ცხოველები, მოვლენები და სხვა. იეროგლიფური დამწერლობა ყველაზე ხშირად გამოსაყენებელ 700-მდე ნიშანს ითვლიდა, მთლიანად კი მათი რიცხვი 5000-ს აღწევდა. ამდენი იეროგლიფის ზეპირად სწავლა და წერა ადვილი არ იყო.

წყარო ბ ქება მწერალს

გახდი მწერალი, გულში ჩაიბეჭდე ეს. წიგნი მოხატულ აკლდამასა და მყარ კედელს სჯობია; ადამიანი ქრება, მისი სხეული მტვრად იქცევა, ყველა მისი ახლობელი უჩინარდება მიწაზე, მაგრამ ნაწერი მას იმის ბაგეების მეშვეობით რჩება, ვინც მის ამბავს სხვების ბაგეებში გადასცემს. წიგნი აგებულ სახლზე უფრო საჭიროა, დასავლეთის აკლდამებზე უმჯობესია, ბრწყინვალე დარბაზებზე უმჯობესია, ტაძრის ძეგლებზე უმჯობესია...

- *წყარო ბ-ს მიხედვით იმსჯელე, რატომ აფასებდნენ მწერალს ეგვიპტეში.*
- *რით განსხვავდება ეგვიპტელი მწერალი დღევანდელისგან?*

ლექსიკონი

აბსოლუტური მონარქი – მეფე, რომელსაც შეუძლია თავისი ყველა უფლება სრულად განახორციელოს. სახელმწიფო წყობას, რომლის დროსაც მმართველი ასეთი მეფეა, აბსოლუტური მონარქია ეწოდება.

1. რვეულში გადაიწერე სიტყვები: ფარაონი, ქურუმები, გლეხები, ვაჭრები და ხელოსნები, მწერლები, მთავარი მრჩეველი, მხარეთა მმართველები. თითოეული სიტყვა უჯრაში ჩაწერე და უჯრები ერთმანეთთან ისრებით ისე დააკავშირე, რომ ძველი ეგვიპტის საზოგადოების ამსახველი სქემა მიიღო. სქემის აგებისას ყურადღება მიაქციე, ვინ ვისი ხელქვეითია.

2. შემორჩენილია ფარაონ რამსეს III-ის მიმართვა ღმერთებისადმი, ყურადღებით წაიკითხე ნაწყვეტი და მოკლედ ჩამოაყალიბე, რა მიაჩნია ფარაონს თავისი წარმატებული მეფობის უმნიშვნელოვანეს მოვლენებად.

მე თქვენი შვილი ვარ, თქვენი ორივე ხელით შექმნილი. თქვენ მაქციეთ მთელი ქვეყნის მბრძანებლად. და მე ვასრულებ ჩემს ვალს. ჩემი გული შეუსვენებლივ ცდილობს საჭირო და სასარგებლო შესძინოს თქვენს ტაძრებს. ჩემი ბრძანებებით, რომლებიც ჩაწერილია ყოველ უწყებაში, მე ვაძლევ მათ ადამიანებსა და მიწებს, საქონელსა და ხომალდებს. მათი ორჩხომლები დაცურავენ ნილოსზე. მე აღვადგინე და ავაყვავე ტაძრები, რომლებიც დაძველებული იყო წლებისგან. მე დავაწესე თქვენთვის შეწირულებანი იმის გარდა, რაც ადრე იყო დაწესებული... მე აგიშენეთ ციხესიმაგრეები და ქალაქები...

ეგვიპტელთა ომები ძვ. წ. III-II ათასწლეულებში

ამ გაკვეთილზე შეიტყობ იმ ომების შესახებ, რომლებსაც ეგვიპტელები ძვ. წ. III-II ათასწლეულებში აწარმოებდნენ სხვადასხვა ხალხთან; გაარკვევ ამ ომების მთავარ მიზეზებს, შეიარაღების მნიშვნელობას ამ ომების წარმოებისა და საბოლოო შედეგისთვის.

ძველმა ბერძენმა ისტორიკოსმა ჰეროდოტემ ეგვიპტეს "ნილოსის საჩუქარი" უწოდა, რადგან ეს მდინარე მთელ ქვეყანას ასაზრდოებდა. მდინარის პერიოდული ადიდებების შედეგად დატოვებული შლამი და ხელოვნურ წყალსატევებში დაგროვილი წყალი ამ ქვეყნის ძირითადი რესურსი იყო. სამხრეთით, მთის ფერდობებზე, ეგვიპტელები მოიპოვებდნენ სხვადასხვა ჯიშის ქვასაც. მას იყენებდნენ მშენებლობაში, ჭურჭლის, იარაღისა და სამკაულის დასამზადებლად. მაგრამ ეგვიპტეს სრულებით არ ჰქონდა ხეტყე და ლითონი. სამაგიეროდ, ეს ნედლეული უხვად მოიპოვებოდა ეთიოპიასა და სინას ნახევარკუნძულზე.

ჯერ კიდევ "ძველი სამეფოს" პერიოდში (ძვ. წ. 2780-2280 წწ.) ეგვიპტის ფარაონებს მუდმივად უხდებოდათ ბრძოლა დასავლეთით ლიბიელ ტომებთან, აღმოსავლეთით – სირია-პალესტინის მომთაბარეებთან, სამხრეთით – ნუბიელებთან.

- *ქვემოთ ჩამოთვლილია მიზეზები, რომლებიც შეიძლებოდა სხვა ხალხებთან ეგვიპტელთა ომის მიზეზი გამხდარიყო. ჩამოწერე ცხრილის სახით, ამ მიზეზებიდან რომელი განაპირობებდა, შენი აზრით, დაპყრობით ომს და რომელი – თავდაცვითს: ა) ძარცვის მიზნით მომთაბარეთა თავდასხმები ეგვიპტეზე; ბ) იმ ბუნებრივი რესურსების ხელში ჩაგდების სურვილი, რომლებიც ეგვიპტეში არ მოიპოვებოდა; გ) სხვა ხალხების სურვილი, ხელთ ეგდოთ ეგვიპტის ნილოსისპირა ნაყოფიერი მიწები; დ) რომელიმე მმართველის სურვილი, გაეფართოებინა თავისი სამფლობელოს საზღვრები.*

თავდაცვითი ომები

წყარო ა ნაწყვეტი უნას სამარხის წარწერიდან (ძვ. წ. XXIV ს.), რომელიც მოგვითხრობს "ძველი სამეფოს" ერთ-ერთი დიდებულის აღზევების შესახებ ფარაონის კარზე:

მისმა უდიდებულესობამ დაიწყო ომი *ქვიშაზე მცხოვრები ხალხების* წინააღმდეგ და შეაგროვა ჯარი სამხრეთი ეგვიპტიდან ჩრდილოეთამდე, დელტის ორივე მხარეს. მისმა უდიდებულესობამ მე დამაყენა ამ ჯარის სათავეში. მე ყველას დავუსახე საბრძოლო გეგმა, გავუძეხი ჯარს ჩრდილოეთის კუნძულიდან. ეს ჯარი მშვიდობით დაბრუნდა მას შემდეგ, რაც დაარბია ქვიშაზე მცხოვრები ხალხების ქვეყანა, აიღო მათი ციხესიმაგრეები; აჩეხა მათი ვენახები და ლეღვის ხეები, დახოცა მათი ჯარისკაცები; თან ჩამოიყვანა მრავალი ცოცხალი ტყვე. მისმა უდიდებულესობამ ყოველივე ამის გამო უზომოდ შემაქო.
შენიშვნა: ქვიშაზე მცხოვრები ხალხები *– ასე უწოდებდნენ ეგვიპტელები სინას ნახევარკუნძულზე მცხოვრებ ტომებს.*

- *შენი აზრით, რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ეგვიპტისთვის სინას ნახევარკუნძულის დაპყრობას?*
- *შენი აზრით, ეგვიპტელთა ქმედებათაგან ქვიშაზე მცხოვრები ხალხების წინააღმდეგ რომელი ემსახურებოდა სამხედრო წარმატების მიღწევას და რომელი – არა?*

ძვ. წ. XVII საუკუნეში ეგვიპტის ჩრდილო ნაწილში აზიიდან შეჭრილი მებრძოლი ტომები – ჰიქსოსები გაბატონდნენ. ძვ. წ. XVI საუკუნეში ფარაონ იაჰმესის (1570-1546) მეთაურობით ეგვიპტელებმა ჰიქსოსები განდევნეს, თუმცა ამავდროულად მათგან უფრო მოწინავე შეიარაღება შეითვისეს: საბრძოლო ეტლები, სპილენძისბუნიკიანი ისრები და მორკალული მახვილები. ამ პერიოდში შეიქმნა ეგვიპტური სამხედრო ფლოტიც.

წყარო ბ 1. ეგვიპტური სამხედრო ნავი, 2. ეგვიპტური საბრძოლო ეტლი





დაპყრობითი ომები

ეგვიპტის მეზობელი ხალხები ძვ. წ. XV ს-იდან იყენებდნენ ბრინჯაოს იარაღს, რაც მათ დიდ უპირატესობას ანიჭებდა. ეგვიპტეს სპილენძი კი ჰქონდა, მაგრამ ბრინჯაოს შენადნობის მისაღებად კალა აკლდა. ამიტომ ეგვიპტის ფარაონების საბრძოლო მასშტაბებიც გაიზარდა. ისინი იწყებენ ლაშქრობებს სირია-პალესტინაში, სადაც მათ მოინდომეს ლითონის საბადოების ხელში ჩაგდება და სავაჭრო გზების გაკონტროლება. ამ დროიდან იწყება ეგვიპტის "ახალი სამეფოს" ისტორია (ძვ. წ. 1570-1080), რომელიც დაპყრობითი ომებით გამოირჩევა.



წყარო გ ეგვიპტის დაპყრობები "ახალი სამეფოს" ხანაში (ძვ. წ. XVI-XV სს.)

თუტმოს III-ის (1525-1491) დროს ეგვიპტის მოხარკეები გახდნენ: სირია, პალესტინა, ეთიოპია, ლიბია.



წყარო დ "ახალი სამეფოს" დროინდელი მეომრების შეიარაღება: 1. ნუბიელი მშვილდოსანი, 2. ფაროსან-შუბოსანი, 3. სეკირით მებრძოლი, 4. ფარაონის გვარდიელი, 5. მსუბუქად შეიარაღებული მეომარი

ფარაონ რამსეს II-ის დროს, დაახლოებით ძვ. წ. 1283 წელს, სირია-პალესტინის გამო გამწვავდა ურთიერთობა ეგვიპტესა და ხეთების სამეფოს შორის. ამავე წელს მოხდა მათ შორის კადეშის ბრძოლა.

ცნობა 1 ხეთების სამეფო

თანამედროვე თურქეთის აზიურ ნაწილში, რომელსაც მცირე აზიას უწოდებენ, ძვ. წ. II ათასწლეულში არსებობდა ხეთების სამეფო. ეს იყო ძლიერი სახელმწიფო, რომელიც პრეტენზიას აცხადებდა პალესტინის ტერიტორიაზე.

წყარო 2 კადეშის ბრძოლის ქრონიკა მოგვითხრობს ერთი საბრძოლო ეპიზოდის შესახებ ეგვიპტელთა და ხეთების ომიდან:

ეგვიპტელები კარმელის მთის ძირს მიადგნენ. აქედან მეგიდოს ციხისაკენ, სადაც მტერი იდგა, მოკლე გზა ვიწრო ხეობაზე გადიოდა. ჯარისკაცებს თითო-თითოს უნდა გაევლოთ ხეობის ბილიკები. კადეშში დაბანაკებულმა მტერმა რამსესს მაცნე გამოუგზავნა და ბრძოლის დღე დაუნიშნა. რამსესმა სათათბიროდ მრჩევლები მოიწვია. სარდლები შიშობდნენ, რომ სანამ ჯარი ვიწრო ხეობიდან სრულად გააღწევდა, მტერი ხეობიდან გამოსულებს ნაწილ-ნაწილ გაანადგურებდა. მათ ურჩიეს ფარაონს, ჩრდილოეთის შემოვლითი გზით მოულოდნელად დასხმოდა თავს მტერს. რამსესმა რჩევა არ მიიღო, რადგან ასეთი საქციელი ღმერთებისა და წინაპრების უპატივცემულობად მიიჩნია: "განა ჩვენი მტრები არ იტყვიან, რომ მის უდიდებულესობა ფარაონს შეეშინდა?"

ფარაონის მეთაურობით მთელი ჯარი ვიწრო ხეობაში შევიდა. ხეთების მეფე უზარმაზარი არმიით ხეობის გამოსასვლელთან იდგა. მან ხომ მთელი სალარო დააცარიელა, რათა ეგვიპტის ჯარს გამკლავებოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც არ უსარგებლია გარემოებით და ეგვიპტელებს ხეობიდან მშვიდობიანად გამოსვლა აცალა.

წყარო 3
ხეთებისა და ეგვიპტელთა ჯარების შეხვედრა მეგიდოსთან

→ ეგვიპტელები
→ ხეთები

- *როგორ შეაფასებ ფარაონის ქცევას კადეშის ბრძოლის დროს?*
- *რატომ არ გამოიყენა თავისი პოზიციური უპირატესობა ხეთების მეფემ?*
- *წინა ორ კითხვაზე პასუხის შემდეგ რა საერთო თვისებებს გამოყოფდი ფარაონის, ხეთების მეფისა და, ზოგადად, მაშინდელი ომის კულტურის დასახასიათებლად.*

მოწინააღმდეგეთა მთავარი შეტაკება მოხდა კადეშთან. იგი ორივე მხარისთვის უშედეგოდ დამთავრდა – ხეთებმა უკან დაიხიეს, მაგრამ ვერც ფარაონმა აიღო კადეში. ხეთების სამეფოსა და ეგვიპტეს შორის სირია-პალესტინისთვის ომები შემდგომშიც დიდხანს გრძელდებოდა უშედეგოდ. შემდეგ მხარეები დაზავდნენ და ხელშეკრულება დადეს. ძველ მსოფლიოში ეს იყო პირველი სამშვიდობო ხელშეკრულება. იგი ითვალისწინებდა შემდეგ ვალდებულებებს:

1. რამსესის და ხათუსილის სამეფოები ერთმანეთთან დაამყარებდნენ სამუდამო მშვიდობას;
2. სამეფოები ერთმანეთს დაეხმარებოდნენ საგარეო მტრის მოგერიებასა და შინაური არეულობების ჩახშობაში;
3. სამეფოები ერთმანეთის ქვეყნებიდან ლტოლვილებს დააბრუნებდნენ.

ხელშეკრულების დადებიდან კარგა ხნის შემდეგ რამსესი დაქორწინდა ხეთების მეფის ასულზე.



წყარო 8 **რამსეს II-სა და ხეთების მეფე ხათუსილი III-ს შორის დადებული საზავო ხელშეკრულება**

ამ მოლაპარაკების ტექსტი შემონახულია ეგვიპტურ და აქადურ ენებზე.

1. დაახასიათე ეგვიპტელებისა და ხეთების საომარი კულტურა. რა წარმოდგენები ზემოქმედებდა მათ ქცევაზე?

2. ირღვეოდა თუ არა მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება? (რაზე მიანიშნებს ხეთების მეფის ასულზე რამსესის ქორწინების ფაქტი?)

ღმერთები, ტაძრები და პირამიდები

ამ გაკვეთილის დახმარებით გაიგებ, რა წარმოდგენები ჰქონდათ ძველ ეგვიპტელებს ღმერთების შესახებ; რატომ აქცევდნენ ისინი დიდ ყურადღებას გარდაცვლილებს; რატომ იგებოდა ეგვიპტეში ტაძრები და პირამიდები.

ეგვიპტეში უხსოვარი დროიდან მრავალ ღმერთს სცემდნენ თაყვანს. ყოველ ქალაქს თავისი *პანთეონი* და მფარველი ღმერთი ჰყავდა. მეურნეობის თითოეულ დარგს რომელიმე ღმერთი მფარველობდა. ღმერთების უმრავლესობას ადამიანის სხეული და ცხოველის ან ფრინველის სახე ჰქონდა. მათი ქანდაკებები მრავლად იყო ეგვიპტის ტაძრებში, სასახლეებსა და ქუჩებში. თითოეულ ადამიანს ჰყავდა თავისი მფარველი ღმერთი, რომელსაც ის კეთილდღეობას, საკუთარი და ოჯახის წევრების ჯანმრთელობას, სიკეთეს შესთხოვდა.

ტაძრები

ტაძარში შესვლისა და რელიგიური *რიტუალის* შესრულების უფლება მხოლოდ ფარაონსა და ქურუმებს ჰქონდათ. ტაძრის მთავარი ნაწილი იყო მისი საკურთხეველი, სადაც ღმერთის ქანდაკება იდგა. რელიგიური დღესასწაულის დროს მას ნავში ჩადებდნენ, ნავი ნილოსს დაუყვებოდა და ეგვიპტელებს ღმერთის ქანდაკების ხილვა შეეძლოთ. დანარჩენ დღეებში დილით მთავარი ქურუმი გატეხდა ბეჭედს, რომლითაც ტაძრის კარი იყო დაბეჭდილი, აანთებდა ჩირაღდანს, ილოცებდა ღმერთის წინაშე, აკმევდა საკმეველს, განბანდა ღმერთის ქანდაკებას, რომელიც მთლიანად ოქროსი იყო, დაუწყობდა ახალთახალ შესამოსელს და სამკაულებს, შესაწირავ საჭმელს და სასმელს. მგალობლები გალობით ადიდებდნენ ღმერთს. დღის ბოლოს გამოვიდოდა ტაძრიდან, წაშლიდა თავის ნაკვალევს და კვლავ დაბეჭდავდა წმინდა ადგილს.

- *როგორ ფიქრობ, რატომ მეორდებოდა ღვთისმსახურების რიტუალი ყოველდღე?*

მრავალღმერთიანობა და ერთღმერთიანობა

წყარო 1. ამონი, 2. ატონი (ფარაონი ეხნატონი და მისი ოჯახი ლოცვას აღავლენენ ატონისადმი, ბარელიეფი ამარნადან)

ღმერთი ამონი ქალაქ თებეს მთავარი ღვთაება იყო. ამ ქალაქის დაწინაურების შემდეგ, როცა ის ეგვიპტის დედაქალაქი გახდა, ამონი ფარაონების დინასტიის მფარველად იქცა. ბოლოს ამონი მზის ღმერთთან, რასთან, გააიგივეს და ამონ-რა ანუ ამონ-მზე უწოდეს. ამ სახელწოდებით იგი ეგვიპტის ეროვნულ ღმერთად აღიარეს. ასე გრძელდებოდა ძვ. წ. XIV ს-ის შუახანებამდე. ფარაონმა ამენჰოტეპ IV-მ, რომელიც ქვეყანას ძვ. წ. XIV ს-ში მართავდა, ძვ. წ. 1360 წელს უარყო ეგვიპტის მთავარი ღმერთი, ამონ-რა, და ყველა დანარჩენი ღმერთი და ახალი ღმერთის – ატონის – თაყვანისცემა დააწესა. "ატონი" ნიშნავს "მზის დისკოს", რომლის სახითაც ამენჰოტეპ IV-მ მზის თაყვა- ▶

ნისცემა შემოიღო. იგი გადავიდა ქვეყნის ახალ დედაქალაქში, რომელსაც აჰეტატონი უწოდა. ფარაონმა არა მარტო თვითონ გადაიკეთა სახელი "ამენჰოტეპ" ("ამონი კმაყოფილია") "ეხნატონად", რაც "ატონის მოსაწონს" ნიშნავს, არამედ თავის დიდებულებსაც, რომელთა სახელში "ამონი" შედიოდა, შეუცვალა სახელები. ეგვიპტის ფარაონი თავად გახდა ატონის ქურუმი.

- *წერილობით უპასუხე შეკითხვას: რა საყვედური შეეძლო მიეღო ეხნატონს ამონ-რას ქურუმებისგან და როგორ უნდა დაეცვა მათ წინაშე თავისი რწმენა?*
- *იმსჯელეთ კლასში: რამდენად კანონზომიერი იყო ერთღმერთიანობის იდეის გაჩენა მრავალღმერთიანობის წიაღში? რას შეეძლო ებიძგა ადამიანისთვის ერთი ღმერთის რწმენისკენ?*
- *წყარო Ა-სა და გაკვეთილის ტექსტის მიხედვით განსაზღვრე, რა განსხვავება და მსგავსებაა ამონსა და ატონს შორის.*
- *შენი აზრით, რას ნიშნავს მზის სხივებზე ხელის მტევნების გამოსახულება (იხ. წყარო Ა2)?*

ეხნატონის სიკვდილის შემდეგ ეგვიპტეში მრავალღმერთიანობა ისევ აღდგა. ამჯერად ატონის სახელი ამოშალეს წარწერებიდან და ამონის სახელი დააბრუნეს თავის ადგილზე. მოგვიანებით ეგვიპტელებმა ეხნატონი ერთ-ერთ პაპირუსში ღმერთების მოჯანყედ გამოაცხადეს.

- *რა იყო, შენი აზრით, მრავალღმერთიანობის აღდგენის მიზეზი?*

პირამიდები

ძველ ბერძნებს პირამიდები მსოფლიოს შვიდი საოცრებიდან ერთ-ერთ საოცრებად მიაჩნდათ. პირამიდები, ერთის გამოკლებით, ნილოსის დასავლეთ ნაპირზეა აღმართული; ამის მიზეზი ის არის, რომ, ეგვიპტელების შეხედულებით, დასავლეთი მკვდართა ქვეყანა იყო, ხოლო აღმოსავლეთი – ცოცხალთა ქვეყანა. ამიტომაც მიცვალებულებს ისინი ნილოსის დასავლეთ ნაპირზე მარხავდნენ, აღმოსავლეთი ნაპირი კი ცოცხლებისთვის იყო განკუთვნილი.

პირამიდები ფარაონების სამარხებად შენდებოდა. პირამიდის შიგნით იდგა სარკოფაგები, რომლებზედაც გარდაცვლილი ფარაონების სახელები ეწერა. იქვე იყო ფარაონების ნატურალური ზომის ქანდაკებები. მათში მიცვალებული ფარაონების სული იყო დასადგურებული.

- *რატომ მიაჩნდათ ბერძნებს პირამიდები მსოფლიოს ერთ-ერთ საოცრებად?*

ლექსიკონი

რიტუალი – რელიგიურ წარმოდგენებთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებების ერთობლიობა.

პანთეონი (ბერძნ. *პან* – ყველა, *თეოს* – ღმერთი) – აქ: ყველა ღმერთის ერთობლიობა.

მუმიფიცირება – გარდაცვლილის გვამის გახრწნისგან დაცვა დაბალზამებით, მუმიად ქცევა.

"მიცვალებულთა წიგნი" – ამ წიგნში გადმოცემულია ეგვიპტელთა რწმენა-წარმოდგენები საიქიოს შესახებ, ის, თუ რა მოელის ცოდვილსა და მართალს, როგორ ასამართლებენ მათ ღმერთები. "მიცვალებულთა წიგნის" ზოგიერთ ნაწილს სამარხში ატანდნენ გარდაცვლილს.

წყარო Ბ 1. ჯოსერის პირამიდა, 2. გიზის პირამიდები

პირამიდები ორი ფორმისაა: საფეხურებიანი და გლუვი. საფეხურებიანი პირამიდა ეგვიპტის ფარაონთა მე-2 დინასტიის დროს, ძვ. წ. 2623-2611 წლებში აიგო. მას ფარაონ ჯოსერის სახელს უკავშირებენ. იგი არა მხოლოდ ყველაზე ძველია ეგვიპტის დღემდე შემორჩენილ 138 პირამიდას შორის, არამედ ერთ-ერთი უძველესი მონუმენტური ნაგებობაა მსოფლიოში. ყველაზე დიდი პირამიდა კი არის ფარაონ ხეოფსის (ეგვიპტურად – ხუფუ) პირამიდა. ის დაახლოებით ძვ. წ. 2589-2566 წლებშია აგებული კირქვის უზარმაზარი (ორტონანახევრიანი) ბლოკებით, რომელთა რაოდენობა ორ მილიონს აჭარბებს.

ეგვიპტელები და სიკვდილი

ძველ ეგვიპტელებს სწამდათ, რომ მიცვალებული გრძელ გზას გადიოდა, ვიდრე საიქიოში დაიმკვიდრებდა ადგილს. მისი სულის უკვდავებისთვის სხეულის დაცვა იყო საჭირო. ამისთვის გამოიგონეს მათ *მუმიფიცირება*. გარდაცვლილს სამარხში საკვებს, სამოსსა და სხვა ნივთებს ატანდნენ, რომ თავის მეორე ცხოვრებაში მშვიდად ეცხოვრა. მაგრამ საიქიოში მოსახვედრად აუცილებელი იყო ოსირისის სამსჯავროს წინაშე წარდგომა.

წყარო 8 ოსირისის სამსჯავრო (*"მიცვალებულთა წიგნი"*, ძვ. წ. 1400, ბრიტანეთის მუზეუმი, ლონდონი)

გარდაცვლილის სულს სიკვდილისა და მუმიფიცირების ღმერთი ანუბისი მიუძღვებოდა "ორი ჭეშმარიტების დარბაზში", სადაც მსაჯული ღმერთები ამხელდნენ მას სიცოცხლეში ჩადენილი ცოდვების გამო. მიცვალებულის სულს წონიდნენ და ისე განსაზღვრავდნენ, ცოდვილი იყო თუ არა. საწონად ჭეშმარიტების ქალღმერთის, მაატის, ბუმბული გამოიყენებოდა. სასწორის მეორე მხარეზე იდო გული – ეგვიპტელთა წარმოდგენით, ადამიანის სულის სამყოფელი, რომელსაც მუმიფიცირებისას სხეულში ტოვებდნენ. ღვთაება თოტი იწერდა აწონის შედეგს. ცოდვილის სულს ნიანგისთავიანი გველეშაპი შთანთქავდა და ის ვეღარასოდეს ეღირსებოდა საუკუნო ცხოვრებას. უცოდველი კი თოტს ოსირისის წინაშე მიჰყავდა და ის მეორე ცხოვრებას განაგრძობდა.

ერთ-ერთ ძველეგვიპტურ წყაროში ასეთი შეგონებებია მითითებული:

ცოდვილთა მსაჯულნი არ უწევენ შეღავათს ცოდვილებს, როცა თავიანთი მოვალეობის შესრულებას შეუდგებიან. ვაი მას, ვინც ცოდვაში იქნება მხილებული! ნუ გაქვს მრავალი წლის იმედი, რადგან მათთვის შენი ცხოვრების წლები ერთი წამია. დამარხვის შემდეგ ადამიანის ჩადენილი საქმეები, როგორც ქონება, მის გვერდით იქნება დაწყობილი, სულ მუდამ მასთან იქნება. უგუნურია ის ადამიანი, რომელიც ამას არად ჩააგდებს. ხოლო ის, ვისაც ცუდი არაფერი ჩაუდენია, მარადიულ ცხოვრებას ეზიარება და იქნება იქ, როგორც ღმერთი...

იმსჯელეთ კლასში, როგორ უნდა ეცხოვრა ეგვიპტელს, რომ მის სულს მარადიული ცხოვრება დაემსახურებინა.

ხუანხესა და იანძის აუზების ცივილიზაცია

ამ გაკვეთილით გაეცნობი პირველი ჩინელების საქმიანობასა და ყოფას. იგი დაგეხმარება ერთმანეთს შეადარო ერთდროულად არსებული სხვადასხვა სამდინარო ცივილიზაცია: შუამდინარული, ეგვიპტური და ჩინური.

ჩინეთის ტერიტორიაზე უძველესი დროიდან უამრავი სხვადასხვა მოდგმის ხალხი ცხოვრობდა, რომელთა საერთო ძალისხმევითაც იქმნებოდა ჩინური ცივილიზაცია.

ხუანხესა და იანძის აუზები, ხელსაყრელი კლიმატი, ნოყიერი ნიადაგები დასახლებისა და მიწათმოქმედების განვითარებისთვის შესანიშნავ პირობებს ქმნიდა. ძვ. წ. VIII ათასწლეულში ქვეყნის ჩრდილოეთში, ხუანხეს აუზში, ფეტვის მოსავალი მიიღეს, ხოლო ძვ. წ. VI ათასწლეულში სამხრეთში, იანძის აუზში, ბრინჯი მოიყვანეს.

- *ამოარჩიე სწორი პასუხი. უძველეს ჩინეთში სამიწათმოქმედო კულტურების არსებობა მიუთითებს, რომ: ა) იქ მცხოვრები ხალხები მომთაბარეობდნენ, ბ) ისინი ბინადარ ცხოვრებას ეწეოდნენ, გ) მათი მეურნეობა მწარმოებლური იყო, დ) მათი მეურნეობა შემგროვებლური იყო.*

წყარო ა აღდგენილი სახლი ბანპოს მუზეუმის ტერიტორიაზე

ჩინეთის ჩრდილოეთში არქეოლოგებმა ნეოლითის ხანის ნასოფლარი აღმოაჩინეს. ძვ. წ. V ათასწლეულში იქ ადამიანები ოთხკუთხა და მრგვალ სახლებში ცხოვრობდნენ. სახლებში მარცვლეულის შესანახი ოთახები ჰქონდათ. მოშინაურებული ჰყავდათ ღორები და ძაღლები. სოფლის ცენტრში იდგა ექვსი ქურა თიხის ჭურჭლის გამოსაწვავად.

გარეული ცხოველებისგან თავის დასაცავად სოფელს თხრილი ერტყა. სოფლის მცხოვრებნი საჭირბოროტო საკითხების განსახილველად სოფლის ცენტრში მდგარ მოზრდილ სახლში იკრიბებოდნენ და ბჭობდნენ.

- *შეადარე სოფელი ბანპო უკვე ნასწავლი ცივილიზაციების შესაბამისი ეპოქის დასახლებებს. წერილობით მოკლედ მიუთითე მათი საერთო/განმასხვავებელი ნიშნები.*
- *განვითარების რა ეტაპი შეესაბამება ბანპოს მცხოვრებთა საზოგადოებას? ამოარჩიე პასუხი ჩამოთვლილთაგან: ა) ეს იყო სახელმწიფო იმპერატორით სათავეში, ბ) ეს იყო წინარესახელმწიფოებრივი საზოგადოება, გ) ეს იყო პირველყოფილი ადამიანების საზოგადოება. შენი არჩევანი მსჯელობით დაასაბუთე.*

პირველი სოფლების მცხოვრებლები მეზობლებთან ვაჭრობისთვის კერამიკასა და იასპს იყენებდნენ. კერამიკულ ნაწარმს ნეოლითის ხანიდან ამზადებდნენ: სამფეხა ჭურჭელს, კასრებს, სასმისებს.

მიწათმოქმედების გარდა, ჩინეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხები მეცხოველეობას მისდევდნენ. სამკითხაოდ გამოყენებულ კუს ბაკნებსა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ძვლებზე ამოკვეთილი პირველი იეროგლიფური წარწერებით ირკვევა, რომ სადღესასწაულო რელიგიურ რიტუალზე მსხვერპლად სწირავდნენ 10 ხარს, 30 ცხვარს, ზოგჯერ 100 ღორს. ერთ-ერთი წარწერის თანახმად, ერთდროულად 100 ცხვარი და 300 ძროხა შესწირეს.

- *მეცხოველეობის რომელი დარგები იყო განვითარებული ჩინეთში?*

წყარო 8 ბრინჯაოს სარიტუალო სასმისი

სოფლის მეურნეობის პარალელურად ჩინეთში განვითარებული იყო მეტალურგია. ძირითადად ბრინჯაოს ამუშავებდნენ. ბრინჯაოს პირველი ნივთები ძვ. წ. 2500-2000 წლებში დაამზადეს. არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი ბრინჯაოს სასმისები, რომლებსაც სხვადასხვა რელიგიური *რიტუალისთვის* იყენებდნენ, ლითონის დამუშავების მაღალ ტექნიკაზე მიუთითებს.

ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლოს ჩინეთის ტერიტორიაზე პირველი სამეფოები ჩამოყალიბდა.

1. რვეულში ჩამოწერე უკვე ნასწავლი სამდინარო ცივილიზაციები და აღნიშნე, რომელი მარცვლეული კულტურა იყო გავრცელებული თითოეულში.

2. წერილობით შეადარე ერთმანეთს შენ მიერ ნასწავლი სამდინარო ცივილიზაციები. მიუთითე, რა მნიშვნელობა ჰქონდა მდინარესჰმდინარეებს ამ ცივილიზაციების ჩამოყალიბებისთვის. აღნიშნე, რას საქმიანობდნენ ადამიანები, მიახლოებით აღწერე მათი ყოფა. ნამუშევრის შესრულებისას შეგიძლია გამოიყენო ლიტერატურა ან ინტერნეტრესურსები (მაგ., www.ka.wikipedia.org; www.wikipedia.org).

ჩინეთის ბრწყინვალე და დახვეწილი ცივილიზაცია

შენ უკვე გაეცანი ძველი ჩინეთის ისტორიის ზოგიერთ პერიოდს და მნიშვნელოვან მოვლენას. ამ გაკვეთილიდან შეიტყობ ჩინური ცივილიზაციის, ჩინელთა მნიშვნელოვანი გამოგონებების შესახებ, რომლებმაც შექმნეს შეხედულებათა სისტემა სახელმწიფოსა და ადამიანის არსის შესახებ.

ჩინური დამწერლობა

ჩინელებს იეროგლიფური დამწერლობა უხსოვარი დროიდან აქვთ. ჯერ კიდევ ძვ.წ. XV საუკუნეში არსებობდა მისი საკმაოდ განვითარებული სახეობა. თავდაპირველად საწერ მასალად ბამბუკის ფირფიტებს ან ბრინჯაოს ნაწარმს იყენებდნენ. მოგვიანებით, ქაღალდის გამოგონებამდე, წერდნენ აბრეშუმის ნაჭერზე ან თიხის ფირფიტებზე.

იდეოგრამებისგან შედგენილი პირველი ჩინური დამწერლობა ძვ. წ. II ათასწლეულში გამოიგონეს. იდეოგრამებმა ნელ-ნელა სახე იცვალა და იეროგლიფებად იქცა. ყველა ჩინური იეროგლიფი ამ ძირითადი გრაფიკული ელემენტებისგან შედგება. დროთა განმავლობაში ზოგიერთი იეროგლიფი გამარტივდა. დღეს ჩინურ ენაში 50 ათასი იეროგლიფია და მათგან მხოლოდ ოთხიდან შვიდ ათასამდე გამოიყენება.

- *რა დროიდან არსებობს ჩინური დამწერლობა?*
- *რატომ არის ძნელი ჩინური დამწერლობის ათვისება?*

ჩინელებს უყვარდათ თავიანთი დამწერლობა და მოკრძალებით ეკიდებოდნენ მას. ძველ ჩინეთში იეროგლიფებიან ქაღალდს, რაც არ უნდა ყოფილიყო მასზე დაწერილი, არასოდეს გადააგდებდნენ.

ჩინელთა საკაცობრიო მნიშვნელობის გამოგონებები

ჩინეთი მიჩნეულია ოთხი საკაცობრიო გამოგონების ქვეყნად: პირველად აქ დაამზადეს **ქაღალდი** და დაიწყეს **წიგნის ბეჭდვა**. ჩინელებს ეკუთვნით ფეთქებადი წამლის – **დენთის** – გამოგონება, რამაც ამ ქვეყანას დიდი უპირატესობა მოუტანა ომებში და, საერთოდ, შეცვალა მათი წარმოების ტაქტიკა. გარდა ამისა, ჩინეთში დაამზადეს პირველი **კომპასი**.

- *ცხოვრების რომელ სფეროში უნდა გამოეყენებინათ თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი გამოგონება?*

ქაღალდის გამოგონებას მიაწერენ სახელმწიფო მოხელე ცაი ლუნს, რომელმაც იგი ხის ქერქის, უსარგებლო ჩვრებისა და ხმარებიდან გამოსული თევზსაჭერი ბადეებისგან დაამზადა. ქაღალდის ყველაზე ძველი ნიმუში ახ. წ. II ს-ის დასაწყისს ეკუთვნის. III ს-ში კი ქაღალდმა ჩინეთში საბოლოოდ შეცვალა ტრადიციული საწერი მასალა, რომელიც ძვირად ფასობდა.

ცნობა 1 **ქაღალდის დამზადების ეტაპები**

1 – ბამბუკის ტოტებს ჭრიდნენ და მცირე ნაწილებად ამტვრევდნენ.
2 – ბამბუკის დანაწევრებულ ტოტებს წყალში ალბობდნენ, შემდეგ ცეცხლზე ახურებდნენ წებოვანი მასის მიღებამდე.
3 – მიღებულ მასაში დაფას დებდნენ. დაფის ხის ჩარჩოში ჩასმული ტილოს ქსოვილი იყო, რომელსაც წებოვანი მასა ეკვროდა.
4 – დაფებს მზეზე აწყობდნენ და აშრობდნენ. შემდეგ დაფას ფურცელს ააცლიდნენ და დიდი ქვით აპრიალებდნენ.
5 – მიიღებოდა გლუვი და სქელი ფურცლები.

- *შენი აზრით, რატომ არის მიჩნეული ქაღალდის გამოგონება მნიშვნელოვან მოვლენად?*

ცნობა 2 **მსოფლიოში უძველესი ნაბეჭდი წიგნი ძვ. წ. 868 წ.**

წიგნის ბეჭდვა დასაბამს იღებს ძვ.წ. VII-V სს-ში, როდესაც ქვაზე ამოკვეთილი ტექსტები საწერ მასალაზე გადაჰქონდათ. ტანის ეპოქაში ბუდისტურ მონასტრებში ხის დაფაზე სარკისებურად იყო ამოჭრილი ტექსტი, რომელიც ქაღალდზე გადატანისას სწორ გამოსახულებას იძლეოდა. ამ მეთოდით, რომელსაც **ქსილოგრაფია** ეწოდება, ნაწერი მრავალ ათას ეგზემპლარად ვრცელდებოდა. მოძრავი შრიფტით ბეჭდვა ჩინელებმა 1041-1048 წლებში დაიწყეს, როცა მჭედელმა ბი შენმა პირველი ლიტერები დაამზადა. 1340 წელს კი ჩინეთში ორ ფერად დაბეჭდილი პირველი წიგნი გამოვიდა.

მიწათმოქმედებისთვის საჭირო იყო დიდი და რთული ჰიდრონაგებობების აგება, აგრეთვე სამიწათმოქმედო სამუშაოების დაწყება-დასრულების ზუსტი დროის განსაზღვრა. ჩინელებმა შექმნეს კალენდარი, რომელიც 365,25 დღეს მოიცავდა; თვე 29,53 დღისგან შედგებოდა. ჩინელმა ასტრონომებმა მსოფლიოში პირველებმა შეადგინეს ვარსკვლავთა კატალოგი და მასში ჯერ 800-მდე, შემდეგ 2500-მდე მნათობი შეიტანეს. მათვე აღწერეს პირველად ჰალეის კომეტა.

I ს-ში შექმნილ ნაშრომში "მათემატიკა ცხრა თავად" შეტანილია არითმეტიკული, ალგებრული და გეომეტრიული ამოცანები, მოხსენიებულია უარყოფითი რიცხვები და აღწერილია მათზე მოქმედების გზები.

ცნობა 3 **ჩინეთი – ჩაის სამშობლო**

ჩინეთი ჩაის სამშობლოა. IV ს-ში აღმოაჩინეს, რომ საუკეთესო ჩაი ამ მცენარის ქორფა ფოთლებისგან მიიღება. ჩრდილოჩინურ დიალექტზე მცენარეს და სასმელს ეწოდა "ჩა", რაც "ნორჩ ფოთოლს" ნიშნავს. სახმელეთო ანუ "აბრეშუმის" გზით ეს კულტურა საქართველოშიც შემოვიდა. ჩვენ მას "ჩაის" ვუწოდებთ, ჩინეთის სამხრეთ, ზღვისპირა პროვინციებში კი "თი" ჰქვია.

• *ცნობა 3-ზე დაყრდნობით ახსენი, რატომ ეწოდება ჩაის (მცენარესა და სასმელს) ევროპულ ენათა უმრავლესობაში "თი".*

წყარო 4 **კომპასი**

ეს ხელსაწყო კომპასის წინაპარია: როცა მას მიწაზე დებდნენ, კოვზის ტარი სამხრეთს აჩვენებდა. თუმცა ამ კომპასს მისნობისთვის იყენებდნენ და არა სანაოსნოდ. ხელსაწყო ხანის ეპოქას (ძვ. წ. 202–ახ. წ. 220) ეკუთვნის.

1. ტანის ეპოქიდან ჩვენამდე 2200 პოეტის 50 000 ლექსი შემორჩა. ბევრი მათგანი მსოფლიო პოეზიის შედევრია. ერთ-ერთი ცნობილი პოეტია ბო ძიუი (772-846). წაიკითხე მისი "ლოკაუს სადგურის კედელზე ჩემ მიერ დიდი ხნის წინათ მიწერილი ლექსებიდან" ერთ-ერთი და დაახასიათე, როგორი უნდა იყოს სახელმწიფო მოხელე ბო ძიუის მიხედვით (ლექსი თარგმნა თამაზ ჩხენკელმა):

კედელზე მიწერილ ჩემს მდარე ლექსებს
კაცთა მოდგმისთვის არა აქვს ფასი.
ნიშანთა მწკრივი დაფარა მტვერმა
და ჟამთასვლისგან მოედო ხავსი.
მხოლოდ იუანი – ხელმწიფის კაცი,
სტრიქონებში რომ ღრმა განცდებს ეძებს,
არ ინდობს თავის ძვირფას მოსასხამს,
აშორებს მტვერს და კითხულობს ლექსებს.

ლექსიკონი

იდეოგრამა (ბერძ. *იდეა* – აზრი, *გრამა* – ასო, ნაწერი) – პირობითი წერილობითი ნიშანი, რომელიც, ასოსგან განსხვავებით, აღნიშნავს არა ბგერას, არამედ ცნებას.

ლიტერი (ლათ. *ლიტერა* – ასო) – ლითონის პატარა ძელი, რომელზედაც დასმულია ასოს ან სხვა ნიშნის შებრუნებული, ამობურცული გამოსახულება.

ინდოეთის ცივილიზაციის საწყისები და ისტორია

ამ გაკვეთილით ინდის დაბლობზე აღმოცენებულ ერთ-ერთ უძველეს ცივილიზაციას გაეცნობი; გაიგებ, რომელი ხალხები ბინადრობდნენ თანამედროვე ინდოეთის ტერიტორიაზე, როგორ ცხოვრობდნენ და რა საქმიანობას ეწეოდნენ ისინი; გაეცნობი ძველი ინდოეთის ისტორიის მნიშვნელოვან ეპოქებს.

ძვ. წ. III ათასწლეულში ინდის დაბლობსა და პენჯაბში (ხუთმდინარეთი) აშენდა პირველი ქალაქები, შეიქმნა *მონუმენტური* არქიტექტურის ძეგლები, განვითარდა ხელოვნების დარგები, გამოიგონეს დამწერლობა. არქეოლოგებმა სხვადასხვა დროს აღმოაჩინეს ნამარხი ქალაქები, რომლებიც დაახლ. ძვ. წ. XXXIII–XVI საუკუნეებში არსებობდნენ. ეს ქალაქები – მოჰენჯო დარო, ჰარაპა, მერგარი, ლოთალი – ძველი ეგვიპტისა და შუმერ-აქადის თანამედროვენი იყვნენ. როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, მათ ერთმანეთთან ჰქონდათ სავაჭრო ურთიერთობა და ერთმანეთის გავლენას განიცდიდნენ.

მოჰენჯო დაროში აღმოჩენილი დამწერლობა გაშიფრული არ არის, ამიტომ შემორჩენილი ტექსტების მიხედვით ვერ ვიმსჯელებთ ამ ქალაქის და, საერთოდ, უძველესი ინდური ცივილიზაციის შესახებ. არ ვიცით, რა ენაზე ლაპარაკობდა მოსახლეობა. ქალაქების მკვიდრთა ყოფა-ცხოვრებასა და საქმიანობაზე წარმოდგენას მხოლოდ მდუმარე არქეოლოგიური მასალა გვიქმნის.

წყარო ა 1. მოჰენჯო დაროს ნაქალაქარის ხედი ციდან, 2. ერთ-ერთი პირველი ქუჩა მსოფლიოში, 3. საბეჭდავი დამწერლობის ნიმუშით

1. მოჰენჯო დარო მდებარეობს თანამედროვე პაკისტანში, კარაჩიდან 300 კმ-ის დაშორებით. ქალაქი , როგორც ჩანს, წინასწარ შექმნილი გეგმის მიხედვით აიგო. არსებობდა ციტადელი, რომელსაც მოსახლეობა წყალდიდობის დროს თავს აფარებდა. **2.** მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქუჩის სიგანე ზოგან 10 მეტრს აღწევს. აქ აგებული სახლების ნაშთები დღესაც მკვიდრად დგას. **3.** არქეოლოგებმა უძველესი დამწერლობის ნიშნებიან საბეჭდავებს არა მხოლოდ მოჰენჯო დაროში მიაკვლიეს, არამედ შუამდინარეთის ქალაქებშიც.

სავარაუდოდ, ინდოეთის უზარმაზარი ტერიტორიის პირველი მკვიდრნი, რომელთაც ამ მიწაზე პირველი დიდი ცივილიზაცია შექმნეს, დრავიდული მოდგმის ხალხები იყვნენ. მომდევნო პერიოდში ამ ტერიტორიაზე მათ სხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხი – **არიები** შეენაცვლნენ. მათი შექმნილია რელიგიური ჰიმნები – **ვედები**, რომელთა წყალობით ჩვენთვის ცნობილია ამ ხალხის რელიგიური რწმენა-წარმოდგენები, ცხოვრების წესი. ეს არის ვედური ცივილიზაციის ეპოქა, რომელიც ყვაოდა ძვ. წ. II ათასწლეულში. არიები მიწათმოქმედი ხალხი იყო: მიწას გუთანში შებმული ხარებით ხნავდნენ, მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, შაქრის ლერწამი, ბამბა, ხილ-ბოსტნეული; მისდევდნენ მეჯოგე-

ობას. ჰყავდათ ძროხები და ხარები, ცხვრის ფარები, თხის ჯოგები, ცხენები და ძაღლები. საკვებად იყენებდნენ უპირატესად რძეს და რძის პროდუქტებს, პურეულს; იშვიათად ხორცს (მხოლოდ მსხვერპლად შეწირულს), თევზს საკვებად არ იყენებდნენ. ამ ეპოქაში დამწერლობა ჯერ კიდევ არ იყო; ვედები ზეპირად გადაეცემოდა თაობიდან თაობას. ისინი მოგვიანებით ჩაწერეს. არიები თაყვანს სცემდნენ ხარს და მამრობითი სქესის ღვთაებებს.

ნანდასა და მაურიების იმპერიები

ინდოეთის ისტორიაში პირველი იმპერიის დამაარსებლად ნანდას დინასტია ითვლება. ეს იმპერია ძვ. წ. V–IV სს-ში არსებობდა, ნანდას დინასტიის პირველი მეფე მაჰაპადმა მდაბიო წარმოშობის იყო. დიდგვაროვანთა სასტიკმა მოძულემ, მან გაანადგურა მათი საგვარეულოები. ნანდას იმდროინდელ მსოფლიოში ყველაზე მრავალრიცხოვანი არმია ჰყავდა: 200 000 ქვეითი, 20 000 ცხენოსანი, 2000 საომარი ეტლი, 3000 სპილო.

ცნობა 1 ინდური საზოგადოება

ძველი ინდოეთის საზოგადოება ოთხ კლასად იყო დაყოფილი. მათ **ვარნები**, იგივე **კასტები** ეწოდებოდა. ვარნები ერთმანეთისგან მკვეთრად იყო გამიჯნული სხვადასხვა ნიშნით: საქმიანობით, რელიგიურ ცხოვრებაში მონაწილეობით და სხვა. ვარნისადმი კუთვნილება დაბადებით და მემკვიდრეობით იყო განსაზღვრული, ამიტომაც არ ხდებოდა ვარნის და, შესაბამისად, საქმიანობის შეცვლა: ვარნის წევრი ცხოვრების ბოლომდე თავისი ვარნის ტრადიციებისა და წესების ერთგული უნდა ყოფილიყო. არსებობდა ვარნებს შორის ურთიერთობის დადგენილი წესები, რომელთა დარღვევა დაუშვებელი იყო.

სქემა 1 ინდოეთის საზოგადოების კლასები



ბრაჰმანთა ვარნა უმაღლესი იყო: ბრაჰმანები რელიგიურ სამსახურს ეწეოდნენ, მათ იცოდნენ ვედები და მსხვერპლშეწირვის რიტუალების ჩატარების უფლება ჰქონდათ. ბრაჰმანის მოკვლა უდიდეს დანაშაულად მიიჩნეოდა. ***ქშატრიების*** ვარნა იყო მეომართა კლასი, საიდანაც მეფეები გამოდიოდნენ; მათ ხელში იყო რეალური ხელისუფლება; თუ ბრაჰმანები რელიგიურ ცხოვრებას ხელმძღვანელობდნენ, ქშატრიები საერო ცხოვრებას განაგებდნენ. ***ვაიშიები*** თავისუფალი მშრომელები იყვნენ, მისდევდნენ მიწათმოქმედებას, ვაჭრობას, ხელოსნობას. ***შუდრები*** უუფლებონი იყვნენ, ფიზიკურად ყველაზე ძნელ და უსუფთაო საქმეს ასრულებდნენ. ისინი მოკლებული იყვნენ რელიგიურ ცხოვრებას. **მიუკარებელნი** არც ერთ ვარნას არ ეკუთვნოდნენ, არ აღიარებდნენ ინდოელთა ღმერთებს, მათ საკუთარი ღმერთები ჰყავდათ და რიტუალებიც საკუთარი ჰქონდათ. ისინი მონურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ.

ნანდას დინასტია მაურიების დინასტიამ (ძვ. წ. 321-185) შეცვალა, რომლის დამაარსებელი ჩანდრაგუპტა იყო. მის დროს იმპერია კიდევ უფრო გაფართოვდა: მისი გამგებლობის ქვეშ მოექცა ინდოეთის ვრცელ ტერიტორიაზე არსებული დამოუკიდებელი ქვეყნები და მხარეები.

ჩანდრაგუპტას შვილიშვილი აშოკა დიდი (ძვ. წ. 273-232), სამეფოს საზღვრების გაფართოებისა და გაძლიერებისთვის იღვწოდა. აშოკას სამეფო თითქმის მთელ ინდოეთს მოიცავდა, მასში შედიოდა დღევანდელი ავღანეთისა და პაკისტანის ტერიტორიები, ქაშმირისა და ნეპალის ნაწილი.

აშოკამ იმპერიას შემოუერთა უკანასკნელი დამოუკიდებელი ქვეყანა კალინგა, რომელიც ინდოეთის აღმოსავლეთ მხარეს, ბენგალიის ყურის სანაპიროზე მდებარეობდა. ეს იყო ერთ-ერთი უსასტიკესი სისხლიანი ომი, რომელიც კი ინდოეთის ისტორიას ახსოვს.

აშოკას დროს დაიწყო ინდოეთში *ბუდიზმის* გავრცელება, მაგრამ სხვა რელიგიები არ იდევნებოდა. აშოკა აღიარებდა ბუდიზმს, თუმცა სახელმწიფო რელიგიად მაინც არ გამოუცხადებია იგი.

ქვეყანაში აშოკამ რეფორმები ჩაატარა: მან აკრძალა ცხოველების მსხვერპლად შეწირვა, შეადგინა დასაცველ ცხოველთა სია, აკრძალა ნადირობა გართობის მიზნით და ტყეების უმიზნო გადაწვა, გააუქმა იძულებითი სამუშაოები; მთელ იმპერიაში ააგო საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები: უმაღლესი სასწავლებლები, უფასო სასტუმროები და საავადმყოფოები, გაიყვანა სარწყავი არხები, აღადგინა საერთოინდური გზები და სხვა.

- *ხალხური თქმულების თანახმად, კალინგას ბრძოლის შემდეგ აშოკასთან მივიდა ერთი დედაკაცი და უთხრა: შენმა მოქმედებამ წამართვა მამა, ქმარი და შვილები. ახლა რისთვის ვიცოცხლო? ამბობენ, ამ სიტყვებით შეძრულმა მეფემ აღიარა ბუდას რელიგია. დაიფიცა, რომ არასოდეს ხელყოფდა სიცოცხლეს და ყველაზე სამართლიანი მეფე იქნებოდა, რომელიც კი ოდესმე ინდოეთს ჰყოლია. ჩამოთვალე, რა გააკეთა აშოკამ თავისი დანაპირების შესასრულებლად.*

წყარო 3 **აშოკას სვეტი**

აშოკას სვეტზე გამოქანდაკებული ოთხი ლომი ქვეყნის ოთხ მხარეს გამოხატავს და ინდოეთის ეროვნული სიმბოლოა, ხოლო აშოკას ბრწყინვალე მეფობის აღმნიშვნელი ბორბალი ინდოეთის დროშაზეა ასახული.

ცნობა 2 ***მანუს* კანონები**

ძვ. წ. II–ჩვ. წ. II საუკუნეებში *სანსკრიტზე* დაიწერა კანონები, რომელიც მიეწერა ლეგენდარულ პიროვნებას – მანუს. აქედან ვიგებთ, როგორ წარმოიშვა სამყარო, ვარნები, ადამიანთა საზოგადოება; როგორ უნდა იქცეოდეს ადამიანი განსწავლის პერიოდში; როგორ უნდა იქცეოდეს მეოჯახე და მეურნე კაცი; რა რელიგიურ წესებს უნდა იცავდეს ადამიანი; რა ევალება განდეგილს; რა მოვალეობები აქვს მეფეს, როგორ უნდა მართავდეს სამეფოს; რა სასჯელს იმსახურებენ სხვადასხვა დანაშაულისთვის და სხვა.

- *რვეულში გადაიწერე ნაწყვეტები მანუს კანონებიდან. ვარსკვლავების (*) ადგილას ჩასვი შესაბამისი ვარნის სახელწოდება (დავალების შესრულებისას გამოიყენე სქემა 1):*

87. მთელი ამ სამყაროს შესანახად ბაგეთაგან, ხელთაგან, თეძოთაგან და ტერფთაგან შობილთათვის – თითოეულისთვის განსაკუთრებული საქმიანობა დააწესა უნათლესმა; 88. ვედების შესწავლა, მსხვერპლშეწირვა საკუთარი თავისთვის და მსხვერპლშეწირვა სხვებისათვის, გაღება და მიღება მოწყალებისა (*) დაუწესა; 89. ქვეშევრდომთა დაცვა, გაღება მოწყალებისა, მსხვერპლშეწირვა, შესწავლა ვედებისა და ამა სოფლის სიამეთაგან განდიდება (*) დაუწესა; 90. ნახირის მწყემსვა, მოწყალების გაღება, მსხვერპლშეწირვა, ვედების შესწავლა, აღებ-მიცემობა, მევახშეობა და მიწათმოქმედება (*) არის; 91. მხოლოდ ერთი საქმიანობა განუწერა უფალმა (*) – ემსახურონ ამ ვარნებს ერთგულად და მორჩილებით.

- *მანუს კანონების მიხედვით, რა არის სავალდებულო ვარნების დიდი ნაწილისთვის?*
- *რით განსხვავდება ერთმანეთისგან ამა თუ იმ ვარნის წევრის ვალდებულება დანარჩენი ვარნებისადმი?*

ლექსიკონი

ბუდიზმი – რელიგია, რომელიც ძვ.წ. VI საუკუნეში ჩამოყალიბდა ბუდას მოძღვრების საფუძველზე.
სანსკრიტი – ძველი ინდური სამწერლო ენა.
მანუ – კაცთა მოდგმის წინაპარი, რომელმაც ღვთაება ბრაჰმას დახმარებით კიდობანი ააგო და ასე გადაურჩა წარღვნას.
მონუმენტური – ის, რაც შთაბეჭდილებას ახდენს სიდიდით; გრანდიოზული.
კანალიზაცია – მილების, მიწისქვეშა არხებისა და ნაგებობების სისტემა, რომლის საშუალებითაც დასახლებული პუნქტიდან გაედინება სიბინძურე და ჩამდინარე წყლები.
დრავიდები – ინდოეთის სამხრეთში მცხოვრები ხალხების საერთო სახელწოდება.

გუპტას იმპერია

გუპტას დინასტიის წარმომავლობა უცნობია. განსაკუთრებულ ძლიერებას მან მიაღწია მეფე ჩანდრაგუპტა I-ის დროს, რომელიც IV ს-ში მეფობდა. იგი ტახტზე ავიდა მაშინ, როდესაც ინდოეთი მცირე სამეფოებად იყო დაქუცმაცებული.

წყარო 8 გუპტას იმპერია (320-500)

გუპტას დინასტიამ თავდაპირველად განგის ხეობაში მოიკიდა ფეხი. დინასტიური ქორწინებებისა და დაპყრობითი ომების შედეგად მან მთელი ჩრდილოეთი ინდოეთის გაერთიანება მოახერხა.



- *დაასახელე იმპერიის ორი, ძველი და ახალი დედაქალაქი.*
- *ენციკლოპედიების, საყმაწვილო ლიტერატურისა და ინტერნეტის დახმარებით მოიძიე ინფორმაცია რუკაზე დატანილი ბუდისტური და ინდუისტური ძეგლების შესახებ და ერთი კვირის შემდეგ კლასს გააცანი.*

მეფე ჩანდრაგუპტა II-ის (375-415) მეფობა იმპერიის ძლიერების ხანაა. მეფე იმპერიას ახალი დედაქალაქიდან, უჯაინიდან მართავდა. V საუკუნის შუა წლებიდან იმპერიას დაემუქრნენ სტეპებში მობინადრე მომთაბარე ტომები – ჰუნები. V ს-ის ბოლოს, ჰუნების შემოსევების შედეგად, გუპტას იმპერია განადგურდა.

1. რვეულში ააგე ქრონოლოგიური სკალა. მასზე ასახე ინდის დაბლობისა და ვედური ცივილიზაციების, ნანდას, მაურიებისა და გუპტას იმპერიების ეპოქები.

2. შენ მიერ წინა თემებში შესწავლილი მასალიდან დაასახელე ის კანონები, ტექსტები, რომლებიც სხვადასხვა დროს ამა თუ იმ ხალხმა, მეფემ შექმნა საზოგადოების ცხოვრების მოსაწესრიგებლად. ჩამოწერე მათი სია, მიუთითე, ტექსტი რელიგიურ-მორალური შინაარსის არის თუ საკანონმდებლო. შემდეგ შეადგინე შესაბამისი ქრონოლოგიური სკალა.

3. დააკვირდი სქემა 1-ს. რომელი ფერი შეესაბამება თითოეულ ვარნას? როგორ ფიქრობ, რა ნიშნით იყო შერჩეული ეს ფერები? (მაგალითად, წითელი სისხლის, ომის ფერია.)

ძველი ინდოეთის რელიგია

ბუდიზმი

ბუდიზმი გასცდა ინდოეთის საზღვრებს და დღეს აზიის სხვა ქვეყნებშიც აღიარებენ.

ცნობა 1 **ვინ იყო ბუდა?**

ბუდა ("გასხივოსნებული") მიმდევრებმა უწოდეს ძვ. წ. 624–544 წლებში მცხოვრებ ინდოელ უფლისწულს, სიდჰართა გაუტამას, რომელმაც მთელი სიცოცხლე ჭეშმარიტების ძიებაში გაატარა. სიდჰარტამ ბევრი იხეტიალა, მრავალ განდეგილს, ბერსა და მოძღვარს გაესაუბრა, მაგრამ მათმა სიბრძნემ არ დააკმაყოფილა. ბოლოს, იგი ერთი ლეღვის ხის ძირში ფერხმორთმული დაჯდა და ჭეშმარიტების გამოცხადებას დაელოდა. მან მართლაც მიიღო ჭეშმარიტების გამოცხადება, რის შემდეგაც მისი ბუნება გარდაიქმნა – ეს გამოღვიძებას ჰგავდა და ამიტომაც ეწოდა "გასხივოსნებული, გამოღვიძებული". ბუდა სიცოცხლის ბოლომდე დადიოდა ინდოეთის ქალაქებსა და სოფლებში და თავის მოძღვრებას უქადაგებდა ადამიანებს.

რა ჭეშმარიტება აღმოაჩინა გასხივოსნებულმა და გამოღვიძებულმა სიდჰართამ?

წყარო ა **ბუდას მოძღვრების ოთხი ჭეშმარიტება**

ბუდას მოძღვრების – ბუდიზმის საფუძველია ოთხი ჭეშმარიტება:

1 ეს ქვეყანა სავსეა სულიერი და ფიზიკური ტანჯვით: ტანჯვაა დაბადება, სნეულება, სიყვარულიც და საყვარელ არსებასთან განშორებაც ტანჯვაა, ტანჯვაა სიბერე და, საბოლოოდ, სიკვდილი.

2 არსებობს ტანჯვის მიზეზი. ეს არის სიცოცხლის, ყოფნის სურვილი, ლტოლვა ქონებისა და დიდების მოხვეჭისკენ.

3 შესაძლებელია ტანჯვის თავიდან აცილება: ამისათვის ადამიანმა უარი უნდა თქვას ყოველგვარ სურვილზე.

4 არსებობს ტანჯვის თავიდან აცილების გზა, რაც ადამიანებს საბოლოო ხსნას მოუტანს.

ხსნის გზის რვა საფეხურის გავლის შემდეგ მიაღწევს ადამიანი ხსნას, ანუ **ნირვანას**: ეს არის სრული სიმშვიდე – არც სიცოცხლე, არც სიკვდილი.

წყარო ბ **ბუდას მოწოდებები**

- ვაი იმას, ვინც ძალადობას ძალადობით ებრძვის! მტრობა არასოდეს მოსპობილა მტრობით, არამედ სიყვარულით... ამგვარი წესია უკუნისიდან.
- ნუ გვძულს, ვისაც ვეზიზღებით. ჩავიკლათ გულში მტრობის გრძნობა.
- ბრაზი და მრისხანება მოთმინებით დაამარცხე, ბოროტება – სიკეთით.

- *როგორ ფიქრობ, მისაღებია თუ არა ბუდას მოწოდებები ქრისტიანისთვის? პასუხი დაასაბუთე.*

ბუდიზმის თანახმად, ბუდას მიმდევრები, ბუდისტები, მთელი ცხოვრება ნირვანისთვის ემზადებიან, ყველას ევალება ოთხი ჭეშმარიტების წვდომა-გათავისება და მერე რვასაფეხურიანი გზის გავლა.

წყარო 3 **1. დამეკის სტუპა – ბუდას სადიდებლად აგებული ძეგლი სარნატში, 2. თანამედროვე სტუპა ისლამაბადის კაიდ ი აზამის უნივერსიტეტის ეზოში**

სტუპა ბუდისტური რელიგიური ნაგებობაა. მასში ასვენია ბუდას ან რომელიმე წმინდანის სხეულის ნაწილები ან ინახება რელიგიური ტექსტები. ბუდისტები გარშემო უვლიან და ლოცულობენ. სტუპას ნაგებობა ხუთ ძირითად ნაწილად იყოფა: განიერი საფუძველი მიწის სიმბოლოა, ნახევარსფერო – წყლის, მცირე ნაგებობა სფეროს თავზე – ცეცხლის. შენობას აგვირგვინებს ჰაერისა და *ეთერის* გამომხატველი ელემენტები.

- *სტუპას მნიშვნელოვანი ელემენტებიდან გამოყავი ის, რაც ჩანს დამეკის სტუპაზე.*
- *თანამედროვე სტუპას გამოსახულება გადაიტანე პერგამენტის ფურცელზე. შემდეგ თითოეულ ნაწილს გვერდით მიუწერე, რომელ ელემენტს ასახავს.*

ინდუიზმი

ინდუიზმი დაახლოებით 4000 წლის წინ ინდოეთში წარმოიქმნა. მას დღესაც აღიარებენ და იგი მხოლოდ ინდოეთშია გავრცელებული. ამ რელიგიას არ ჰყავს ფუძემდებელი პიროვნება. იგი ეფუძნება რელიგიურ ტექსტებს – ვედებს (წიგნები ღმერთების ცხოვრების, ლოცვებისა და რელიგიური რიტუალების შესახებ) და ვედების განმარტებებს ანუ "უპანიშადებს". ინდუიზმში ათასობით ღმერთია და ყველა მათგანი ერთი ღმერთის – ბრაჰმას – გამოვლინებაა. ბრაჰმა სამყაროს შემქმნელია, ვიშნუ იცავს სამყაროს, ხოლო შივა ანგრევს მას და გარდაქმნის. ინდუიზმის თანახმად, ღმერთები, ბუნება, ადამიანები მუდმივად იცვლებიან, რაც ღვთიური ენერგიის გამოვლინებაა. გარდაცვალების შემდეგ ყოველი არსება ახალი ფორმით აღდგება – ეს არის **რეინკარნაცია**. რეინკარნაციის ფორმას განსაზღვრავს არსების მიერ სიცოცხლეში ჩადენილი ქმედებები. მუდმივ რეინკარნაციას თავი რომ დააღწიოს და სრულ ბედნიერებამდე (ნირვანა) მივიდეს, არსების სული ყოველი ახალი რეინკარნაციისას უკეთესი უნდა გახდეს. მას შემდეგ, რაც ადამიანი დაქორწინდება, შვილებს გააჩენს და გაზრდის, იმუშავებს საზოგადოებისთვის, იგი ჭვრეტისა და თვითჩაღმავებისთვის განმარტოვდება. ერთეულები უარს ამბობენ ყველაფერზე და მოხეტიალე განდეგილები ხდებიან, რომლებიც მოწყალებით ირჩენენ თავს.

- *რატომ არის, ინდუიზმის მიხედვით, აზრი სიტყვაზე უკეთესი? ეთანხმები თუ არა ამ მოსაზრებას? იმსჯელეთ კლასში.*

ლექსიკონი

ეთერი – აქ: წარსულში ასე უწოდებდნენ გაზისებრ ნივთიერებას, რომელიც თითქოს ავსებდა მსოფლიო სივრცეს და რომლის საშუალებითაც ვრცელდებოდა სინათლე. დღეს ეს მოსაზრება უკუგდებულია.

განვლილ გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის გამოყენებით დაწერე მოკლე თხზულება და ერთმანეთს შეადარე შუამდინარული ზიკურათი, ეგვიპტური პირამიდა, ბუდისტური ძეგლი. მიუთითე, რა მიზნით აიგო თითოეული მათგანი, რა მასალას იყენებდნენ მშენებლობისას. ასევე აღნიშნე, რა ტიპის ძეგლები შემორჩა და რა ტიპისა – არა.

იმპერიის დადებითი და უარყოფითი მხარეები

ამ გაკვეთილიდან გაიგებ, რა სიახლეები შემოაქვს ხალხთა ცხოვრებაში იმპერიის შექმნას.

ურის III დინასტია (ძვ. წ. XXII-XXI სს.)

ურნამუმ დააარსა სამეფო დინასტია, რომელიც ურის III დინასტიის სახელით არის ცნობილი, რადგან ახალი იმპერიის სატახტო ქალაქი ური გახდა. ქალაქ-სახელმწიფოები, რომლებმაც სარგონის იმპერიის დამხობის შემდეგ აღიდგინეს დამოუკიდებლობა, ახლა კვლავ იმპერიის ფარგლებში მოექცნენ.

წყარო ა **მთვარის ღმერთი გადასცემს ურნამუს სამეფო ნიშნებს.**

იმპერია უზრუნველყოფს მშვიდობას

ურის III დინასტიის დროს სავსებით შეწყდა შინაომები, ქვეყანა გაიწმინდა ავაზაკებისა და მოჯანყეებისგან, მთელ შუმერში მშვიდობამ დაისადგურა. დამყარდა წესრიგი და სამართლი, გამოიცა კანონები, რომლებიც მთელი იმპერიის ტერიტორიაზე მოქმედებდა.

იმპერია ზრუნავს სწავლა-განათლებაზე

ურის III დინასტიის მეფეებმა აღადგინეს შუმერული ენა სახელმწიფო ენად, ფართო გზა მისცეს მის გამოყენებას იმპერიის მთელ ტერიტორიაზე, არა მხოლოდ შუმერში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, რადგან ურის მეფეები ახლა იმაზე მეტ ტერიტორიას ფლობდნენ, ვიდრე სარგონის შთამომავლები. შუმერულს სწავლობდნენ სკოლებში, რომლებითაც მოფენილი იყო მთელი ქვეყანა: დამწერლობის ცოდნა სასახელო საქმედ ითვლებოდა, რადგან წერა-კითხვის მცოდნე ადამიანი ახლა ყველგან საჭირო იყო. ძალიან ბევრმა დოკუმენტმა მოაღწია ჩვენამდე, რომლებიც აღრიცხავენ სახელმწიფო თუ სატაძრო ქონებას, სასახლისა თუ ტაძრისთვის მომუშავეთა ყოველდღიურ გასამრჯელოს, პირუტყვის (ცხვარ-ძროხის, თხის) რაოდენობას ფარასა თუ ჯოგში და სხვა.

ცნობა 1 **იმპერიის პრინციპი**



როგორ ეყრებოდა საფუძველი პირველ ბიბლიოთეკას?

ურის დინასტიის მეფეებმა მთელ შუმერში, მის დაბა-ქალაქებში, დაგზავნეს წერა-კითხვის მცოდნე ადამიანები, რომელთაც უნდა მოეძიათ მივიწყებული თქმულებები ღმერთებზე და გმირებზე, ძველი ისტორიული ამბები, ხელახლა აღებეჭდათ ისინი ახალ ფირფიტებზე და იმპერიის ცენტრში მოეტანათ. ასე ეყრებოდა საფუძველი პირველ ბიბლიოთეკას.

უზარმაზარი მშენებლობა იმპერიის მმართველთა მოწოდებაა

კიდევ უფრო მეტი სახსარი სჭირდებოდა მშენებლობას, რაც ურის მეფეებს თავიანთ მოწოდებად მიაჩნდათ. ამიტომაც მძიმე გადასახადები დააკისრეს მოსახლეობას. ვისაც გადასახადის გადახდა არ შეეძლო, სამუშაოდ უნდა გამოსულიყო. უზარმაზარი საფეხუროვანი პირამიდების – ზიქურათების მშენებლობას ბევრი მუშახელი სჭირდებოდა. ამ საქმეში მთელი ქვეყნის მოსახლეობა იყო ჩაბმული. ამ იძულებითი შრომის შედეგი იყო ურის ზიქურათი, რომელიც შუამდინარული ცივილიზაციის სიმბოლო გახდა.

თუ ადრე თითოეული ქალაქი მხოლოდ თავის სარწყავ არხებზე ზრუნავდა, ახლა სარწყავმა სისტემამ სახელმწიფო მნიშვნელობა შეიძინა – იგი მეფის საგანგებო მეურვეობის საგანი გახდა. ახლა მეფეა პასუხისმგებელი თითოეულ არხზე. ახალი არხის გაყვანისას მეფე დაჰკრავს მიწას პირველ ბარს. არხები არა მარტო სარწყავი სისტემა იყო, არამედ აგრეთვე – ტრანსპორტირებისა და კავშირ-ურთიერთობის. არხები ვაჭრობის გამოცოცხლებასა და ეკონომიკის ზრდას უწყობდა ხელს.

წყარო ბ ურის ზიქურათი, ძვ. წ. XXII ს.

წყარო გ **ნაწყვეტი ურნამუს მეფედ კურთხევის ტექსტიდან:**

"ვინ გათხრის, ვინ გათხრის? არხებს ვინ გათხრის? ქიშის წმინდა არხს ვინ გათხრის, არხებს ვინ გათხრის?
ურნამუ, კაცი ძლიერი, გათხრის!"

- *გ–დ წყაროების მიხედვით იმსჯელე, რამდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შუმერისთვის წყალს.*
- *იმუშავეთ წყვილებად. ერთ-ერთმა თქვენგანმა დაიცვას დამოუკიდებელი ქალაქ-სახელმწიფოს უფლებები, მეორემ – იმპერიული წყობა.*

წყარო დ *ამ რუკაზე კარგად ჩანს შუმერის სარწყავი არხები, რომლებითაც მდინარეებს ტიგროსსა და ევფრატს შორის მოქცეული ტერიტორია იყო დაქსელილი.*

1. რა არის, შენი აზრით, იმპერიის ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა?

2. გაკვეთილის შინაარსისა და წყაროების საფუძველზე განსაზღვრე, რის შესაძლებლობას იძლევა იმპერია. გადაიწერე და გააგრძელე ჩამონათვალი:
1. ქვეყნის შიგნით მშვიდობის დამყარება;.
2. გამართული საგზაო სისტემა;
3. ...

3. შეაფასე იმპერია შუმერის ერთ-ერთი ქალაქის რიგითი მოქალაქის თვალით.

ხეთების სამეფო და ურარტუ

ამ გაკვეთილით გაეცნობი მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ცივილიზაციის შემქმნელ ხალხს – ხეთებს. ისინი ძვ. წ. II ათასწლეულში ცხოვრობდნენ თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე; შეიტყობ ძვ. წ. IX-VI საუკუნეებში თანამედროვე თურქეთისა და სომხეთის ტერიტორიებზე არსებული ურარტუს სამეფოს შესახებ.

ხეთების ქვეყანა



წყარო ა ხეთების ქვეყანა

ძვ. წ. II ათასწლეულიდან წინა აზიაში დაწინაურდა ქვეყანა, რომელიც ხეთების ქვეყნის სახელით იყო ცნობილი. ხეთების სამეფოს დამაარსებლად მიჩნეულია ლაბარნა, რომელიც ქალაქ ქუსარაში მეფობდა. ხეთების პირველი მეფის საკუთარი სახელი შემდგომ მეფის ტიტულად იქცა. მას ხეთების ყოველი ცოცხალი მონარქი ატარებდა – იგი ლეგენდარული ლაბარნას განხორციელებად ითვლებოდა.

წყარო ბ ხათუსას ლომებიანი ჭიშკრის ნაშთები

როცა ლაბარნა I-ის პატარა ქვეყანა მთელ დასავლეთ აზიაში ძლიერ სახელმწიფოდ, მერე კი იმპერიად იქცა, დედაქალაქი მისმა მემკვიდრე ხათუსილიმ ქუსარადან ძველ ქალაქ ხათუსაში გადაიტანა. აქედანვე მიიღო ქვეყანამ ხათის (ხეთის) სახელწოდება.

ლაბარნას მომდევნო მეფეები განაგრძობდნენ თავიანთი წინამორბედის დაწყებულ საქმეს – ქვეყნების დაპყრობასა და სახელმწიფოს საზღვრების გაფართოებას. ხეთები პირველნი იყვნენ ევროპაში, რომლებმაც რკინის დამუშავების ტექნოლოგია აითვისეს. ისინი ძვ. წ. XIV ს-დან ამზადებდნენ რკინის იარაღებს. ცნობილია ეგვიპტის ფარაონის წერილი (დაახლ. ძვ. წ. 2000 წ.) ხეთების მეფისადმი, რომელშიც ის მას რკინის სატევარს სთხოვს. ასეთი იარაღი ბრინჯაოს ხანაში ძალზე იშვიათი იყო და ძვირფას საჩუქრად ითვლებოდა. ხეთებმა მომთაბარე არიელი ტომებისგან ისწავლეს სამგზავრო და საომარი ეტლების დამზადების ტექნიკა, ბერძნებმა კი ეტლები ხეთებისგან გაიცნეს.

ხეთების მეფე ლაშქრის მხედართმთავარი, უმაღლესი მოსამართლე და მთავარი ქურუმიც იყო. ის განაგებდა უცხო სახელმწიფოებთან ურთიერთობას. მეფე ზაფხულს ლაშქრობაში, სამხედრო ბანაკებში ატარებდა და მხოლოდ ზამთრობით ბრუნდებოდა დედაქალაქში. ამ დროს იგი მთავარი ქურუმის მოვალეობასაც ასრულებდა, მოგზაურობდა ქვეყანაში და სხვადასხვა რელიგიურ ცენტრს მოინახულებდა ხოლმე. მეფეს პირადად უნდა მიეღო მონაწილეობა მთავარ რელიგიურ ცერემონიებში. დედოფალი ხეთების ქვეყანაში დამოუკიდებელი ფიგურა იყო. ის ხშირად ერეოდა სახელმწიფო საქმეებში, ჰქონდა საკუთარი ბეჭედი და მიწერ-მოწერას აწარმოებდა სხვა ქვეყნების მეფეებსა და დედოფლებთან. სწორედ დედოფალი მართავდა ქვეყანას და ქურუმობდა, ვიდრე მეფე ლაშქრობდა.

წყარო გ ეგვიპტისა და ხეთების ქვეყნის სამშვიდობო ხელშეკრულება

ხეთების მეფე ხათუსილისა და ეგვიპტის ფარაონ რამსეს II-ის სამშვიდობო ხელშეკრულება, რომელიც კადეშთან ბრძოლის (ძვ. წ. 1259 წ.) შემდეგ დაიდო, მსოფლიოს ისტორიაში ყველაზე ადრეულ *დიპლომატიურ* დოკუმენტად ითვლება. ხელშეკრულებაში მხარეები ერთმანეთს აღუთქვამენ, რომ მათ შორის ხანგრძლივი მშვიდობა დამყარდება. ამ აღთქმის განსამტკიცებლად ხათუსილიმ რამსესს თავისი ქალიშვილი მიათხოვა. რამდენიმე წლის შემდეგ ფარაონმა ხათუსილის მეორე ასული ხათელუ შეირთო ცოლად. დედაქალაქ ხათუსას სამეფო არქივში აღმოჩნდა ორასზე მეტი წერილი, რომლებიც ხათუსილის ახლო აღმოსავლეთის მეფეებისა და რამსეს II-ისგან ჰქონდა მიღებული.

- *წყარო გ-ს მიხედვით უპასუხე შეკითხვას: ერთმანეთთან შეიარაღებული დაპირისპირების გარდა, როგორ აგვარებდნენ საგარეო ურთიერთობებს წინა აზიის სახელმწიფოები?*

ცნობა 1 ისტორიკოსი გრიგოლ გიორგაძე (1927-2005) ხეთების იმპერიის განადგურების მიზეზის შესახებ წიგნში "ათასი ღვთაების ქვეყანა", 1988:

უშუალოდ მეფესა და დედოფალს დამორჩილებულ ქალაქებსა და ოლქებს გარდა, არსებობდნენ წვრილი ნახევრად დამოუკიდებელი სამთავროები, მსხვილ სახელმწიფო მოხელეთათვის სამართავად გადაცემული რაიონები. ყოველივე ამის გამო, მკაცრად ცენტრალიზებული სამეფო ხეთებს არც ჰქონიათ. სწორედ ამ გარემოებამ უარყოფითი (შეიძლება ითქვას, დამღუპველი) გავლენა იქონია ხეთების სახელმწიფოზე მისი არსებობის ყველაზე კრიტიკულ მომენტში – "ზღვის ხალხების" შემოსევის დროს. მრისხანე მტრის წინააღმდეგ ხეთების სახელმწიფო არ აღმოჩნდა ერთ ძლიერ ძალად შეკრული. იგი ისე სწრაფად დაიშალა, თითქოს არც არსებობდა.

ურარტუ – ღმერთ ხალდის ქვეყანა

წყარო დ ურარტუ ძვ. წ. VIII ს-ში და თანამედროვე სახელმწიფოები

ვანის ტბის მიდამოებში, დღევანდელი თურქეთის და, ნაწილობრივ, სომხეთის ტერიტორიაზე, ძვ. წ. IX ს-ის დასაწყისში წარმოიშვა მეომრული სამეფო **ბიაინი**, ასურული წყაროებით – **ურარტუ** (ეს სახელწოდება დამკვიდრდა სამეცნიერო ლიტერატურაში), რომელმაც შორს გასწია თავისი საზღვრები: ჩრდილოეთით მან სამხრეთი კავკასიის ცალკეული მხარეები შეიერთა; დასავლეთით ურარტუელებმა ევფრატი გადალახეს და სირიის ზოგიერთი რაიონი მოხარკედ გაიხადეს; მათვე ჩაიგდეს ხელში ხმელთაშუა ზღვისკენ გასასვლელი და იმდენად გაძლიერდნენ, რომ ეს პატარა ქვეყანა ასურეთს არათუ იგერიებდა, თავს ესხმოდა კიდეც.



- *შედიოდა თუ არა ურარტუს საზღვრებში დღევანდელი საქართველოს ტერიტორია?*

ურარტული ენა ზოგიერთი ნიშნით მსგავსებას იჩენს ქართულ და კავკასიურ ენებთან.

ურარტუელები პირველ ხანებში ასურულ ენას იყენებდნენ სამეფო წარწერებისთვის, შემდეგ მშობლიურ ენაზე დაიწყეს წერა, დამწერლობა კი ასურული დაიტოვეს. გათხრების შედეგად აღმოჩნდა თიხისა და სხვა მასალის ფირფიტები ასურული და ურარტული წარწერებით, რომელთა უმეტესობა ურარტუს მეფეთა წარმატებულ ლაშქრობებს ეხება, ზოგიერთი კი სამეურნეო ხასიათისაა და არხების გაყვანისა თუ ციხესიმაგრეთა შენების შესახებ მოგვითხრობს. ურარტუს ტერიტორიაზე აღმოჩენილია აგრეთვე იეროგლიფური დამწერლობა, მაგრამ ის გაშიფრული არ არის.

ურარტული ტექსტებიდან ვიცით, რომ ურარტუელებს მოჰყავდათ ხორბალი, ქერი და ფეტვი, აშენებდნენ ვენახებსა და ბაღებს. მათ მოწესრიგებული ჰქონდათ სარწყავი სისტემა – არხებზე ზრუნვა სახელმწიფო მნიშვნელობის საქმე იყო.

წყარო 1 **1. ქალაქ ტუშფას ნანგრევები, 2. მეფე სარდური II-ის "ანალები"**

ურარტუს სამეფოს დედაქალაქი – ტუშფა – თანამედროვე ვანის ტბის მახლობლად მდებარეობდა. აქ იყო კლდეში გამოკვეთილი მეფეთა რეზიდენცია. 1915-1916 წლებში იქ მიმდინარე არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოაჩინეს ფილა ურარტუს მეფე სარდური II-ის მეფობის აღწერით. მას "სარდურის ანალები" უწოდეს.



ურარტუმ ორსაუკუნენახევარზე ცოტა მეტ ხანს იარსება. ამ პერიოდში მას 14 მეფე მართავდა. ასურეთის მეფის, სარგონ II-ის თავდასხმამ ძვ. წ. 714 წელს წელში გატეხა ქვეყანა, თუმცა ურარტუელები მაინც მოესწრნენ თავიანთი დაუძინებელი მტრის, ასურეთის დაცემას. ურარტუს სამეფომ არსებობა ძვ. წ. VI ს-ში შეწყვიტა.

ლექსიკონი

დიპლომატია – საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ინსტრუმენტი, რომელიც უცხო ქვეყნებთან ურთიერთობაში სახელმწიფოს მიზნების შესრულებას ემსახურება.

1. ყურადღებით წაიკითხე ხეთების მეფე თელეფინუს წარწერები. წერილობით ჩამოაყალიბე დასკვნა, როგორ იმართებოდა ხეთების სამეფო და რა იყო მეფის ძირითადი მოვალეობა.

ა) ლაბარნას, დიდი მეფის, დროს მისი შვილები, მისი ძმები, მისი მოყვასები, მისი თვისტომები იყო მისი ლაშქარი; ქვეყანა პატარა იყო. მაგრამ საითაც კი [ლაბარნა] სალაშქროდ წავიდოდა, მტრის ქვეყანას ძლიერი ხელით ამარცხებდა, მტრის ქვეყნებს ანადგურებდა... ხოლო როცა ბრუნდებოდა, მის შვილთაგან თითოეული რომელიმე [დაპყრობილ] ქვეყანაში რჩებოდა – ხუფისნაში ან ლუსნაში – და ისინი ამ ქვეყნებს განაგებდნენ. დიდ-დიდი ქალაქები ასევე მას მორჩილებდნენ.

ბ) დაე, მეფე მხოლოდ პირველი რანგის უფლისწული გახდეს. თუ პირველი რანგის უფლისწული არ არის, მაშინ მეორე რანგის უფლისწული, დაე, მეფე გახდეს. მაგრამ თუ არ არის უფლისწული, არც მამრი ნაშიერი, მაშინ პირველი რანგის ქალიშვილისთვის ზედსიძე მოიყვანონ და ის გამეფდეს.

2. გაეცანი ქვემოთ მოყვანილ ორ წარწერას. ერთია ურარტუს მეფე რუსა I-ის წარწერა, მეორე _ ნაწყვეტი ასურეთის მეფის, სარგონ II-ის წარწერიდან. შენი სიტყვებით გადმოეცი ის ისტორიული მოვლენა, რომელსაც ისინი აღწერენ.

ა) მე, რუსას, ხალდის მონას, ხალხის ერთგულ მწყემსს, რომელსაც ხალდის იმედით და თავისი ლაშქრის ძალით არ ეშინოდა ბრძოლისა, ხალდიმ მომცა ძალა, ძალაუფლება, სიხარული ჩემი ცხოვრების მანძილზე. ბიაინის ვმართავდი, მტრის ქვეყანას ვავიწროებდი. მომცეს მე ღმერთებმა სიხარულის დღეები, ამისრულეს გულის საწადელი... [წარწერა არასრულია, რადგან თიხის ფილის ნაწილი მომტვრეულია.]

ბ) რუსა, ურარტუელი, ასურის, ჩემი უფლის, რისხვას გაექცა და რკინის მახვილით საკუთარი თავი ღორივით დაკლა... ჩემი ორი ცხენით და ერთი მეეტლით ჩემმა ხელმა ურარტუს მეფობა დაიპყრო.

ქანაანის ხალხები

ამ გაკვეთილით გაეცნობი იმ ხალხების ისტორიასა და კულტურას, რომლებიც ძვ. წ. III-I ათასწლეულებში თანამედროვე ისრაელის, სირიისა და ლიბანის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ.

ქანაანი

ქანაანი ძველად ეწოდებოდა ტერიტორიას ხმელთაშუა ზღვასა და მდინარე იორდანეს შორის, ზოგჯერ – იორდანეს აღმოსავლეთით მდებარე რეგიონებსაც. უძველესი დროიდან ქანაანი არსებობდა დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად, როგორც თავისუფალ ქალაქ-სახელმწიფოთა გაერთიანება. ამ ქალაქ-სახელმწიფოთაგან თითოეულს ჰქონდა საკუთარი კულტურა, რელიგია და ლიტერატურა, განსხვავებული ურთიერთობები მათ გარშემო არსებულ აღმოსავლეთისა (შუამდინარეთი) და დასავლეთის სახელმწიფოებთან (ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნები). ქანაანის ხალხები ლაპარაკობდნენ სხვადასხვა სემიტურ ენაზე, რომლებიც ენათა ერთი დიდი ოჯახის განშტოებები იყო.

უგარიტი

ჩრდილოეთ სირიაში, ხმელთაშუა ზღვიდან 1 კმ-ის დაშორებით (თანამედროვე ლატაკიის ახლოს) 1928 წელს შემთხვევით აღმოჩნდა ნამარხი ქალაქ-სახელმწიფო უგარიტი, რომლის ადგილმდებარეობა მეცნიერებისთვის მანამდე უცნობი იყო.

წყარო 1 **მეფის სასახლის ნანგრევები**

ლექსიკონი

ძოწეული – სამეფო ძალაუფლების სიმბოლო, წითელი ფერის გრძელი ხავერდის მოსასხამი, რომელსაც მეფეები იცვამდნენ საზეიმო შემთხვევებში.

გათხრების შედეგად აღმოჩნდა: მეფის სასახლე, რომელიც 90 ოთახს შეიცავდა; დიდებულთა სახლები; ტაძრები; სამეფო და სატაძრო არქივები; ორი კერძო ბიბლიოთეკა, რაც იმ დროისთვის უჩვეულო იყო. მეფის სასახლე, დარბაზების გარდა, იგი აერთიანებდა მრავალ შიდა ეზოს, ბაღებს, აუზებს, განძისა და სამეფო არქივის შესანახ სათავსოებს. იქვე მდებარეობდა სამეფო სამარხი. სხვადასხვა ეზოში განლაგებულ სახელოსნოებში ძვირფას სამკაულებს, საბრძოლო და შრომის იარაღებს, ეტლებს ამზადებდნენ. იქვე იყო ქურა, სადაც ახალდაწერილ ფირფიტებს წვავდნენ. პარალელურ ქუჩებზე მიჯრით აგებული სახლები ქმნიდა კვარტლებს, რომლებსაც ქალაქის მთავარი მაგისტრალები კვეთდა. ეს სახლები ორსართულიანი იყო – ზედა სართულს საცხოვრებლად იყენებდნენ, ქვედაში კი სააბაზანო და საპირფარეშო ჰქონდათ მოწყობილი. ბევრი სახლის შიდა ეზოში ქვით ამოშენებული ჭა იყო. მიცვალებულებს უგარიტელები თავიანთ ეზოებში, საგანგებოდ გამოყოფილ ადგილას მარხავდნენ.

წყარო 3 **“ღმერთების დაბადება”, უგარიტული დამწერლობით შესრულებული ტექსტი, ლუვრის მუზეუმი, საფრანგეთი**

უგარიტის ქალაქ-სახელმწიფო 200-მდე დაბა-სოფელს აერთიანებდა. თავად სამეფო ქალაქ უგარიტს 25 ჰექტარი ეკავა ზღვაში შეჭრილ ხმელეთის მონაკვეთზე. უგარიტს ჰყავდა მეფე, რომელიც წმინდა არსებად მიიჩნეოდა – მეფე ყოველდღიურად უნდა განბანილიყო და მსხვერპლშეწირვით ღმერთებისგან ხალხისთვის წყალობა გამოეთხოვა. მასზე, როგორც სამხედრო წინამძღოლზე, იყო დამოკიდებული საზოგადოებისა და ქვეყნის კეთილდღეობა. მეფე ფიზიკურადაც ძლიერი და ჯანმრთელი უნდა ყოფილიყო, რომ ნებისმიერი დაბრკოლება დაეძლია და გაემარჯვა. მის ბეჭედზე გამოსახული იყო შიშველი მამაკაცი, რომელიც შუბით გმირავს ლომს.

უგარიტში დიდი უფლებები ჰქონდათ ქალაქის უხუცესებსაც – სწორედ “მამათა კრებული” წყვეტდა ქალაქის საჭირბოროტო საკითხებს და სასამართლო საქმეებს, იცავდა ტრადიციებსა და ზნე-ჩვეულებებს. უგარიტს ჰყავდა ასევე გამგებელი (საქინუ), რომელიც წარმოადგენდა იქაური საზოგადოების ინტერესებს უცხო ქვეყნების წინაშე და აწარმოებდა მიმოწერას მათ გამგებლებთან. იგი მეფისგან დამოუკიდებლად მოქმედებდა, თუმცა რჩევისთვის “მამათა კრებულს” მიმართავდა. ყველა საზოგადოებრივი საქმე მოედანზე, ქალაქის კარიბჭესთან ირჩეოდა და წყდებოდა.

- *შენი აზრით, რაზე მიანიშნებს უგარიტის მეფის ბეჭედზე არსებული გამოსახულება?*

ცნობა 1 **უგარიტის ადგილმდებარეობა**

უგარიტი საერთაშორისო ვაჭრობის ცენტრი იყო. იქ იყრიდა თავს საზღვაო გზები, რომლებიც მიემართებოდა ეგვიპტისკენ, მცირე აზიისკენ (ხეთების ქვეყნისკენ) და დასავლეთით – ეგეოსის ზღვის აუზის ქვეყნებისკენ. სახმელეთო გზები უგარიტს ასევე ეგვიპტესა და მცირე აზიასთან, პალესტინასა და შუამდინარეთთან აერთებდა. ამის გამო უგარიტში, ადგილობრივთა გარდა, ხეთები, ხურიტები, ბერძნები, კვიპროსელები და შუამდინარეთიდან მოსული ხალხები ცხოვრობდნენ. უგარიტი ყველა ამ ქვეყნის კულტურის გავლენას განიცდიდა, განსაკუთრებით – ეგვიპტისას და შუამდინარეთისას.

წყარო 3 **1. უგარიტული ანბანი ლათინური ბგერითი შესატყვისობებით, 2. ღმერთი ბაალი ელვით ხელში**

1. უგარიტელმა მწერლებმა ლურსმული ნიშნების საფუძველზე ძვ. წ. დაახლ. XV ს-ში შექმნეს 30 ასო-ნიშანი, რომლებიც, ფინიკიური დამწერლობის მსგავსად, მხოლოდ თანხმოვნებს გადმოსცემდა. მათი რიგიც ფინიკიურის მსგავსია. **2.** ქანაანში ქალაქები ერთსა და იმავე ღმერთებს ეთაყვანებოდნენ. მათ საერთო რელიგია და მითოლოგია ჰქონდათ. ქანაანელთა მთავარი ღმერთი, ელი, უზენაეს ტახტზე დაბრძანებული, თავისი ძის, ბაალის ხელით მართავდა ქვეყანას. ქანაანელების რწმენით, ბაალზეა დამოკიდებული ქვეყნის კეთილდღეობა, ნაყოფიერება, წესრიგი და მშვიდობა. ბაალი ანაყოფიერებს მიწას, აცოცხლებს მას მცენარეულობით, ასაზრდოებს წვიმებით. ბაალის მუდმივი მტრები არიან იამი (ზღვა) და მოთი (სიკვდილი). ▶



ფინიკიელები

წყარო დ **ფინიკიური ქალაქები და ფინიკიელთა სავაჭრო გზები ძვ. წ. XI-VII სს-ში**



რელიგიით, ცხოვრების წესითა და კულტურით ფინიკიელები დიდად არ განსხვავდებოდნენ ქანაანში მცხოვრები სხვა ხალხებისგან, მაგრამ ისინი გამორჩეულნი იყვნენ, როგორც ვაჭრები და გამოცდილი ნაოსნები. მეცნიერთა ნაწილს მიაჩნია, რომ ფინიკიელთა სახელი მომდინარეობს ბერძნული სიტყვისგან "ფოინიოს", რაც "ძოწს" ნიშნავს – ფინიკიელები მოლუსკის განსაკუთრებული სახეობისგან მუქ წითელ საღებავს ამზადებდნენ.

ფინიკიელები უმთავრესად ბერძნებთან ვაჭრობდნენ. მათ ხომალდებით ელადის ნავსადგურებში მიჰყავდათ მონები, მიჰქონდათ სამშენებლო ხეტყე, მინის ჭურჭელი, *ძოწეული* ქსოვილი, რომელსაც ბერძნები დიდად აფასებდნენ და ძირითადად წარჩინებულთა სამოსლისთვის იყენებდნენ. მას "ტვიროსულ ძოწს" უწოდებდნენ. II-I ათასწლეულების მიჯნაზე ფინიკიელმა ვაჭრებმა ახალი ბაზრები დაიპყრეს და თავიანთი საქმიანობის არეალი გააფართოვეს. ფინიკიელებმა კუნძულ თასოსზე რკინის საბადო აღმოაჩინეს და რკინის მოპოვება დაიწყეს, რამაც მათ ხმელთაშუა ზღვის აუზში წამყვანი როლი მოუპოვა.

ცნობა 2 ფინიკიელი ნაოსნები

ფინიკიელები იმდროინდელ მსოფლიოში დახელოვნებული და სახელგანთქმული ზღვაოსნები და გემთმშენებლები იყვნენ. ისინი შესანიშნავად ერკვეოდნენ გეოგრაფიასა და ასტრონომიაში, აწყობდნენ შორეულ ექსპედიციებს. მაგალითად, ცნობილია, რომ ძვ. წ. V ს-ში ფინიკიელთა ექსპედიციამ ჰიმილკონის მეთაურობით ჩრდილოეთის ზღვას მიაღწია და ბრიტანეთის კუნძულებზე კალის საბადოები აღმოაჩინა. ასე გაჭრეს ფინიკიელებმა "კალის გზა". იმავე საუკუნეში, კართაგენის ფლოტის უფროსმა, ჰანონმა კი 60 ხომალდითა და 30 000 ორივე სქესის თანამგზავრით აფრიკის კონტინენტის დასავლეთი სანაპირო გამოიკვლია და იქ ხუთი კოლონია დააარსა. სავარაუდოდ, ამ ექსპედიციამ თანამედროვე გამბიისა და სიერა-ლეონეს ნაპირებამდე ჩააღწია. ძველი ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე მიუთითებს, რომ ფინიკიელებმა აფრიკასაც შემოუარეს და ამ მოგზაურობას სამი წელი მოანდომეს. ფიქრობენ, რომ ისინი ინდოეთის ტერიტორიაზე არსებულ სამეფოებთანაც ვაჭრობდნენ. ზღვაზე ორიენტირებისთვის ფინიკიელები პოლარულ ვარსკვლავს იყენებდნენ; ამიტომ მას დიდი ხნის განმავლობაში "ფინიკიური ვარსკვლავი" ეწოდებოდა.

წყარო 3 1. ფინიკიური ანბანი ლათინური ბგერითი შესატყვისობებით, 2. ბიბლოსის მეფე აჰირამის სარკოფაგი პირველი ფინიკიური წარწერით, ძვ. წ. დაახლ. 1200 წ.

1. ფინიკიელთა დამსახურებაა ფონეტიკური დამწერლობის შექმნა. მართალია, ამ საქმეში პირველობა უგარიტელებს ეკუთვნით, მაგრამ სწორედ ფინიკიური დამწერლობა დაედო საფუძვლად ბერძნულ ანბანს, რომლისგანაც ყველა თანამედროვე ევროპული ანბანი წარმოიშვა. **2.** წარწერა სარკოფაგზე: "სამარხი, რომელიც ეთბაალმა, ბიბლოსის მეფის, აჰირამის, ძემ გაუკეთა აჰირამს, თავის მამას, რომელმაც მოავლინა იგი ამქვეყნად. და თუ რომელიმე მეფე მეფეთა შორის, რომელიმე მმართველი მმართველთა შორის, რომელიმე მხედართმთავარი მხედართმთავართა შორის თავს დაესხმება ბიბლოსს და გახსნის ამ სამარხს, შეიმუსრება მისი ძალაუფლების კვერთხი, გადაყირავდება მისი მეფობის ტახტი და მშვიდობა დატოვებს ბიბლოსს. თავად კი, თუ მან წაშალა ეს წარწერა, დაე..." [დანარჩენი მომტვრეულია].



1

2

1. "აჰა, მეშვიდე დღეს დანიილუ, კაცი რაფაიტელი, მოყმე ხარნამელი, ჯდება კარიბჭესთან, ძლიერ ხესთან მოედანზე; განიკითხავს სამართლიანად ქვრივის საქმეს, არჩევს კანონიერად ობლის სარჩელს". ამოარჩიე სწორი პასუხი: ამ ნაწყვეტში საუბარია ფინიკიელთა: ა) ღმერთზე, ბ) მეფეზე, გ) ქალაქის გამგებელზე.

2. ძველი ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე წერდა: "ფინიკიელები მოვიდნენ ელადაში და დასახლდნენ ამ მიწაზე; თან მოიტანეს ბევრი ცოდნა და ხელოვნება, მათ შორის, დამწერლობა, რომელსაც, როგორც მე ვფიქრობ, ელინები მანამდე არ იცნობდნენ". გაითვალისწინე ეს წყარო, აგრეთვე გაკვეთილის მასალა და წერილობით მოკლედ ჩამოაყალიბე დასკვნა, რა არის ფინიკიელთა წვლილი კაცობრიობის ცივილიზაციაში.

ბიბლიის ხალხი: ებრაელები

ამ გაკვეთილით გაეცნობი ებრაელი ხალხის ისტორიის ზოგიერთ ეპიზოდს; ასევე შეიტყობ, როგორ მოიპოვა და დაკარგა მან დამოუკიდებლობა.

პირველი ებრაელები

პირველი ებრაელებისა და მათი ისტორიის შესახებ ერთადერთი წყაროა ძვ. წ. 1300-200 წლებში შექმნილი წიგნების კრებული – ***ბიბლია***. იგი ებრაელთა რელიგიურ შეხედულებებზედაც მოგვითხრობს. ბიბლიის ნაამბობს მეცნიერები სიფრთხილით იყენებენ და იკვლევენ – ისტორიულ ფაქტებთან ლეგენდები და რელიგიური წარმოდგენებია გადაჯაჭვული.

ბიბლიის მიხედვით, ღმერთმა შუამდინარეთის ქალაქ ურში მცხოვრებ აბრაამს უბრძანა ოჯახთან ერთად წასულიყო ახალ ქვეყანაში – პალესტინაში. თუ აბრაამი და მისი მემკვიდრეები ღმერთს უერთგულებდნენ, ეს ქვეყანა მათი იქნებოდა – ასეთი იყო აბრაამთან დადებული აღთქმა. აბრაამი პალესტინაში დამკვიდრდა. მისი შვილიშვილის, *იაკობის* თორმეტი შვილიდან ერთი, იოსები, ეგვიპტის ფარაონის მინისტრი გახდა. პალესტინაში შიმშილობის დროს იაკობმა ოჯახი ეგვიპტეში მიიწვია. დროთა განმავლობაში ეგვიპტეში მყოფი ებრაელები მონებად იქცნენ. ღმერთი ახლა წარმოშობით ებრაელ, მაგრამ ფარაონის კარზე აღზრდილ მოსეს გამოეცხადა და თავისი ხალხის პალესტინაში ჩაყვანა დაავალა. ებრაელთა ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ სინას მთასთან ღმერთმა მოსეს გადასცა ათი მცნება – ქვის ფიქლებზე ამოტვიფრული წესები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ეცხოვრათ ებრაელებს, რომ ღმერთის ერთგულება შეენარჩუნებინათ.

წყარო ა ათი მცნება (გამოსვლა, თავი 20)

1. მე ვარ უფალი თქვენი ღმერთი... არ გაიჩინო ჩემ გარდა სხვა ღმერთები; 2. არ გაიკეთო კერპები; 3. არ დაიფიცო ტყუილუბრალოდ ღვთის სახელი; 4. გახსოვდეს შაბათი: ექვს დღეს იშრომე, მეშვიდე დღე უფალს მიუძღვენი, რადგან ექვს დღეში შექმნა უფალმა ცა და მიწა, ზღვა და ყველაფერი, რაც მასშია, და მეშვიდე დღეს შეისვენა: ამიტომაც აკურთხა უფალმა შაბათი დღე და წმინდა ჰყო იგი; 5. პატივი ეცი დედას და მამას; 6. არა კლა; 7. არ იმრუშო; 8. არ იქურდო; 9. არ გამოხვიდე ცრუ მოწმედ შენი თვისტომის წინააღმდეგ; 10. სხვისი არაფერი ინდომო, ...არაფერი მისი ქონებიდან.

ებრაელების დამკვიდრება პალესტინაში

ბიბლიის თანახმად, უდაბნოში 40-წლიანი ხეტიალის შემდეგ ებრაელებმა პალესტინას მიაღწიეს. ძველი ებრაული ტომები მის ტერიტორიაზე ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებში გამოჩნდნენ. ისინი ტერიტორიებისთვის ქანაანელებსა და ფილისტიმელებს ებრძოდნენ. პალესტინაში დასახლებული ებრაელების თორმეტმა ტომმა ტერიტორია გადაინაწილა. ბიბლიური გადმოცემით, ებრაელების თორმეტი ტომი იაკობის თორმეტი შვილიდან მომდინარეობს. თავდაპირველად ებრაელთა ამ თავისუფალ კავშირს არჩეული პირები მართავდნენ. ისინი უმაღლესი მსაჯულები იყვნენ და მტრისგან ქვეყნის დაცვა ევალებოდათ.

- *კლასში იმსჯელეთ, ჩამოყალიბების რა სტადიაზე იყო ებრაელი ხალხი: ა) წინარესახელმწიფოებრივ სტადიაზე, ბ) უკვე ჰქონდა ერთიანი, ეროვნული შეგნება, გ) ჩამოყალიბებული იყო, როგორც ერი. პასუხი დაასაბუთე.*
- *შენი სიტყვებით ახსენი ბიბლიაში მითითებული ცნობა ებრაელთა ადრეული ისტორიის შესახებ: "იმხანად ისრაელს მეფე არ ჰყავდა და, ვისაც რა უნდოდა, იმას სჩადიოდა".*

ებრაული სამეფოების გაერთიანება: საულიდან სოლომონამდე

ძვ. წ. XI საუკუნეში პალესტინაში ორი ებრაული გაერთიანება ჩამოყალიბდა: ისრაელის სამეფო, რომელიც, გადმოცემის თანახმად, საულმა (ძვ. წ. 1049-1007) დააარსა, და იუდეის სამეფო. საული ფილისტიმელებთან ბრძოლაში დაიღუპა. ამის შემდეგ იუდეის მეფე დავითმა (იუდეის მეფე 1010-1003 წწ.; იუდეა-ისრაელის მეფე 1003-970 წწ.) დაიმორჩილა ისრაელის სამეფო და ებრაული ტომები გააერთიანა. დავითმა გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქად იერუსალიმი აქცია.

წყარო ბ ებრაელთა გაერთიანებული სამეფო საულისა და დავითის დროს

დავით მეფის წარმატებული საგარეო პოლიტიკის შედეგად ქვეყანაში სიმშვიდე დამყარდა. ბოლო მოეღო შინააშლილობას, რადგან სახელმწიფოს უკვე ერთი ხელისუფალი განაგებდა. დავითმა მოიგერია გარეშე მტრები და დაიცვა საზღვრები, დაიპყრო და ქვეშევრდომად გაიხადა აღმოსავლეთით მოსაზღვრე მცირე სამეფოები.

● *წყარო ბ ახლო აღმოსავლეთის თანამედროვე რუკას შეადარე. რვეულში ამოინერე ამჟამინდელ სახელმწიფოთა სახელწოდებები, რომელთა ტერიტორიებსაც მოიცავდა ებრაელთა გაერთიანებული სამეფო.*

დავითმა თავის მემკვიდრეს, სოლომონს (ძვ. წ. 970-931), ძლიერი და აყვავებული ქვეყანა გადასცა. სოლომონი სახელმწიფოს ბრძნულად განაგებდა. ისრაელში მისი მეფობის დროს შორეული ქვეყნებიდან ჩამოდიოდნენ მეფე-მთავრები და სოლომონის ბრძნულ სიტყვებს ისმენდნენ. მისი სამეფო ჩრდილოეთისა და სამხრეთის სავაჭრო გზებს აკავშირებდა. სოლომონის დროს ხეთეებისა და სირიის მეფეებს ისრაელი ეტლებსა და ცხენებს აწვდიდა.

● *რა ფაქტორები იწვევდა ქვეყნის ჩრდილოეთი და სამხრეთი ნაწილების წინააღმდეგობას? ამოარჩიე სწორი პასუხი: ა) ეკონომიკური, ბ) რელიგიური, გ) პოლიტიკური, დ) კულტურული.*

ებრაელთა დამოუკიდებლობის დასასრული

სოლომონის გარდაცვალების შემდეგ ისრაელის მოსახლეობა აჯანყდა. ამბოხებულებს ეგვიპტე დაეხმარა, რის შედეგადაც ებრაელთა გაერთიანებული სამეფო ორ ნაწილად გაიყო.

წყარო გ ისრაელისა და იუდეის სამეფოები (ძვ. წ. 930-586)

ისრაელის სამეფოში ებრაელთა ათი ტომი ცხოვრობდა, იუდეის სამეფოში კი იუდასა და ბენიამენის ტომები სახლობდნენ. ისრაელისა და იუდეის გაერთიანება მყარი არ ყოფილა. ჩრდილოეთში, ნაყოფიერ მიწებზე მდებარე ისრაელში ვაჭრობა და სოფლის მეურნეობა იყო განვითარებული, სამხრეთში, შედარებით ჩამორჩენილ იუდეაში კი ძირითადად ისევ მესაქონლეობას მისდევდნენ. სოლომონმა ისრაელს მძიმე გადასახადები დააკისრა, რაც მის მცხოვრებთა უკმაყოფილებას იწვევდა, თუმცა მეფის სიძლიერისა და ავტორიტეტის წყალობით მის სიცოცხლეში ქვეყნის ერთიანობას საფრთხე არ დამუქრებია. ▶



ლექსიკონი

ბიბლია – ებრაელთა და ქრისტიანთა საღვთო წიგნი.
იაკობი – ბიბლიის მიხედვით, ებრაელთა მოდგმის ერთ-ერთი მამამთავარი.

● *წყარო 8 შეადარე წყარო 9-ს. რომელი ტერიტორიები დაკარგეს ებრაელებმა ქვეყნის ორ სამეფოდ გაყოფის შემდეგ?*

ებრაული სამეფოები ეგვიპტის, ასურეთისა და ბაბილონის გარემოცვაში იყო. თავის დასაცავად ისინი ხან ასურეთსა და ბაბილონს, ხან კი ეგვიპტეს უჭერდნენ მხარს. როცა ასურეთი დაწინაურდა და გაძლიერდა, მან ისრაელის სამეფო დაიპყრო, მოსახლეობა თავის იმპერიაში გადაასახლა და გაფანტა. ასურელებმა დაპყრობილ ტერიტორიაზე სხვა ხალხი დაასახლეს. ეს ძვ. წ. 722 წელს მოხდა.

ისრაელის სამეფოს განადგურების შემდეგ იუდეის სამეფომ კიდევ ას წელს იარსება. ძვ. წ. 586 წელს ბაბილონის მეფის, ნაბუქოდონოსორ II-ის (ძვ. წ. 605-562) ლაშქარმა იერუსალიმს ალყა შემოარტყა, აიღო, დატყვევებული მეფე და დიდებულები ბაბილონში გადაასახლა, ქალაქი და მისი ტაძარი კი გაანადგურა. უმეფოდ დარჩენილი მოსახლეობა სხვადასხვა ქვეყანაში გაიფანტა. "ქართლის ცხოვრების" მიხედვით, ებრაელთა ნაწილი სწორედ ამ დროს დასახლდა მცხეთასა და მის მიდამოებში. იუდეის სამეფო საბოლოოდ I საუკუნეში, რომაელთა დაპყრობის შედეგად განადგურდა.

სავარჯიშოში მოყვანილი ნაწყვეტი ებრაელი ხალხის მთელ ისტორიას გადმოსცემს. რვეულში ამოიწერე სტრიქონების ნომრები, რომლებშიც საუბარია: ა) აბრაამის მოგზაურობაზე, ბ) ებრაელების ეგვიპტეში ცხოვრებაზე, გ) ებრაელების ეგვიპტიდან გამოსვლაზე, დ) ებრაელების უდაბნოში ხეტიალზე, ე) ებრაელების პალესტინაში დამკვიდრებაზე, ვ) მტრის შემოსევებზე. დავალება ცხრილის სახით წარმოადგინე.

წინასწარმეტყველი ეზრა მიმართავს ებრაელთა ღმერთ იაჰვეს:
1. შენ სწორედ ის უფალი და ღმერთი ხარ, 2. აბრამი რომ ამოარჩიე და გამოიყვანე ქალდეველთა ურიდან 3. და სახელად აბრაამი უწოდე. 4. შენ აღმოაჩინე, რომ მისი გული მტკიცე იყო შენ წინაშე, და ამიტომაც დაუდე აღთქმა... 5. შენ დაინახე ჩვენი მამა-პაპის გაჭირვება ეგვიპტეში 6. და შეისმინე მათი ღაღადი მეწამულ ზღვაზე. 7. შენ მოეცი ნიშნები და სასწაულები ფარაონის... წინააღმდეგ... 8. შენ სინას მთაზე ჩამოხვედი, ზეციდან ელაპარაკე მათ; 9. ასწავლე მათ შენი წმინდა შაბათი; მცნებები, წესი და რჯული დაუწესე... 10. ... შენ უთხარი, იმ ქვეყნის დასამკვიდრებლად წასულიყვნენ, 11. რომლის მიცემაც ფიცით გქონდა აღთქმული მათთვის. 12. ორმოც წელიწადს არჩენდი მათ უდაბნოში 13. და არაფერი არ აკლდათ... 14. ცის ვარსკვლავებივით გაუმრავლე ვაჟები 15. და შეიყვანე იმ ქვეყანაში, 16. რომელზედაც მათ მამა-პაპას უთხარი, 17. რომ მის დასამკვიდრებლად მივიდოდნენ. 18. ჭამეს, დაძღნენ, დასუქდნენ 19. და განცხრომას მიეცნენ, შენი დიდი სიკეთის წყალობით. 20. აჰა, დამონებული ვართ დღეს... (ბიბლია, ნეემია, თავი 9, 7-36)

ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორი და ებრაელთა სამეფო

ამ გაკვეთილიდან გაიგებ, თუ როგორია პატარა სამეფოს ბედი იმპერიის პირისპირ.

ნაბუქოდონოსორი

ძვ. წ. VII-VI სს. მიჯნაზე ბაბილონში მეფობდა ნაბუქოდონოსორი (630-562). მის დროს ბაბილონი დიდი და ვრცელი ქალაქი იყო (1000 ჰექტარზე მეტი სივრცე ეჭირა), ბაბილონის იმპერია კი ხმელთაშუა ზღვიდან სპარსეთამდე იყო გადაჭიმული.

ნაბუქოდონოსორმა ცოლად შეირთო მიდიელი მეფის ასული და, ამრიგად, მიდიის სამეფოზე გარკვეული გავლენა მოიპოვა; დაამარცხა ეგვიპტე, წაართვა მას სირია და ფინიკიის ქალაქები, რომლებიც ეგვიპტის მმართველს ემორჩილებოდნენ, და ბაბილონის იმპერიას შემოუერთა. ამრიგად, იგი წინა აზიის უდიდესი ნაწილის მბრძანებელი გახდა. ამ რეგიონში ერთადერთი – ებრაელთა (ანუ იუდეველთა – ასე ეწოდებოდათ იუდას სამეფოს მცხოვრებთ) სამეფო იყო დარჩენილი, რომელიც არ ემორჩილებოდა მის ძლევამოსილ კვერთხს.



წყარო ა ბაბილონისა და მიდიის იმპერიები

ებრაელთა სამეფო

ძვ. წ. XI ს-ში ხმელთაშუა ზღვასა და მდინარე იორდანეს შორის წარმოიშვა ებრაელთა მცირე სამეფო (სხვაგვარად – იუდას სამეფო ან იუდეა; დღეს ამ ტერიტორიაზე არსებულ სახელმწიფოს ისრაელი ჰქვია). მისი დედაქალაქი იერუსალიმი კედლებით იყო შემოზღუდული, შუაგულში კი მათი სახელოვანი მეფის, სოლომონის აშენებული ბრწყინვალე ტაძარი იდგა. მეფე და ხალხი მას ოცი წელიწადი აშენებდა და იგი ებრაელთა სამეფოს დიდი სიწმინდე და სიამაყე იყო. ეს ყველაფერი ბიბლიაშია მოთხრობილი.



წყარო ბ სოლომონის ტაძრის რეკონსტრუქცია

წყარო 8 ებრაელთა გადასახლება იერუსალიმიდან

ებრაელთა დაპყრობა და ბაბილონის ტყვეობა

ერთხანს ებრაელები ხარკს უხდიდნენ ბაბილონის მეფეს, მაგრამ ბოლოს, ეგვიპტის მხარდაჭერის იმედით, შეუწყვიტეს ხარკი. ნაბუქოდონოსორი ურიცხვი არმიით გაემართა იუდას სამეფოს დასასჯელად და ალყა შემოარტყა იერუსალიმს. ქალაქის მოსახლეობამ ვერ გაუძლო ალყას და დანებდა. ძვ. წ. 586 წელს ნაბუქოდონოსორმა აიღო ქალაქი, დაატყვევა ურჩი მეფე ციდკია, თვალწინ დაუხოცა შვილები, თავად მას კი თვალები დათხრა და ბაბილონში გაგზავნა. გაზიდა ტაძრიდან აურაცხელი განძეულობა, წმინდა ჭურჭელი, და ბაბილონის სამეფო საგანძურში შეიტანა. თავად ქალაქი თავისი კედლებითურთ და ტაძარი კი მიწასთან გაასწორა. 10000 წარჩინებული ებრაელი ბაბილონში გადაასახლა. ასე შეწყვიტა არსებობა ებრაელთა სამეფომ.

რითი ხსნიდნენ ებრაელი წინასწარმეტყველები ებრაელთა ქვეყნის განადგურებას?

ებრაელი წინასწარმეტყველნი მათი ქვეყნის განადგურებას იმით ხსნიდნენ, რომ მთელმა ქვეყანამ – მეფემ და ხალხმა – ზურგი შეაქცია ჭეშმარიტ ღმერთს და ამის გამო ღვთის სასჯელი დაიმსახურა. მათი თქმით, ნაბუქოდონოსორი ღმერთმა გამოუგზავნა მათ როგორც ქვეყნისა და ხალხის დამსჯელი იარაღი.

1. რა აზრისა ხარ ებრაელ წინასწარმეტყველთა თვალსაზრისის შესახებ?

2. რატომ გაუსწორდა ასე სასტიკად ებრაელ ხალხსა და ებრაელთა რელიგიას ნაბუქოდონოსორი?

3. ერთ-ორ აბზაცში ჩამოაყალიბე: როგორი ტიპის იმპერატორია ნაბუქოდონოსორი?

ბიბლია – ძველი აღთქმა

ებრაელებს არ შეუქმნიათ ეგვიპტური პირამიდების მსგავსი ნაგებობანი; არც ტექნიკაში, მატერიალურ თუ ცოდნისა და ხელოვნების დარგებში ჰქონიათ რაიმე მიღწევები – კაცობრიობის წინაშე მათი დამსახურება სულიერი ხასიათისაა: მსოფლიოს ისტორიაში პირველად ებრაელებში წარმოიშვა ერთი ღმერთის შეგნება და თაყვანისცემა (მონოთეიზმი); ებრაელებმა შექმნეს წიგნი – ბიბლია, რომელიც ქრისტიანობის საღვთო წიგნი გახდა. "ბიბლია" ბერძნული სიტყვაა და "წიგნებს" ნიშნავს. ბიბლია მრავალ დიდ და მცირე წიგნს მოიცავს, თუმცა ის ერთიანია. ბიბლია ორი ნაწილისგან – ძველი აღთქმისა და ახალი აღთქმისგან – შედგება. ბიბლია ძველებრაულ ენაზე, იესო ქრისტეს დაბადებამდე სხვადასხვა დროს იწერებოდა.

ცნობა 1 ებრაული ბიბლია

თორა ხუთი წიგნისგან შედგება: "დაბადება" ღმერთის მიერ სამყაროს შექმნას ეხება; "გამოსვლა", "ლევიანნი", "რიცხვნი" და "მეორე რჯული" ებრაელი ხალხის ისტორიას მოგვითხრობს. თორაში განსაზღვრულია ებრაელთა რელიგიის წესები და რიტუალები. ამიტომ მას სხვაგვარად "რჯულსაც" უწოდებენ. **წინასწარმეტყველთა 8 წიგნიდან** იესო ნავეს ძის, სამუელისა და მეფეთა წიგნები ებრაელთა ისტორიის თხრობას განაგრძობს; ისაია, იერემია, ეზეკიელ და სხვა წინასწარმეტყველთა წიგნები იუდაიზმის არსს განმარტავს. **სიბრძნის წიგნებში** (10 წიგნი) გვხვდება პოემები, გალობანი და სხვა შინაარსის ტექსტები.

წყარო 1 მანჩესტერის უნივერსიტეტის ბიბლიათმცოდნეობის პროფესორი ფრედერიკ ფ. ბრიუსი (1910-1990):

ბიბლიის დოკუმენტები 1600 წლის განმავლობაში იქმნებოდა, სხვადასხვა ქვეყანაში იწერებოდა... მათ ავტორებს ერთმანეთისგან ყოფდა არა მარტო ასეული წლები და ათასობით კილომეტრი, არამედ სოციალური წარმომავლობაც. მათ შორის იყვნენ მეფეები, მწყემსები, მეომრები, კანონშემოქმედები, მეთევზეები, სახელმწიფო მოღვაწეები, სასახლის კარის დიდებულები, მღვდლები, წინასწარმეტყველები, *რაბინები* და მკურნალები; თვით ბიბლიის ტექსტი სხვადასხვა ჟანრს მოიცავს...

***შენიშვნა: რაბინი** – ებრაელების სულიერი მოძღვარი.*

ცნობა 2 დავითი და სოლომონი – ბიბლიის ავტორები

დავითმა შეთხზა "ფსალმუნნი" და მასში ღვთისადმი ადამიანის გრძნობები გამოხატა. "ფსალმუნნი" ას ორმოცდაათი ლოცვისგან შედგება; სოლომონმა თავისი სიბრძნე და ღვთისმოსაობა იგავებსა და შეგონებებში გადმოსცა. სამი ათასი იგავიდან და შეგონებიდან ყველა მისი შეთხზული არ არის, მაგრამ სოლომონის, როგორც ბრძენკაცის, ავტორიტეტი იმდენად დიდი იყო, რომ მათი ავტორობა მას მიაწერეს.

ბიბლია რელიგიური წიგნია. მასზეა დაფუძნებული ორი დიდი რელიგია: იუდაიზი და ქრისტიანობა. ებრაელები ბიბლიდან მხოლოდ ძველ აღთქმას აღიარებენ, ქრისტიანები კი ორივეს – ძველ აღთქმასა და ახალ აღთქმას. ებრაელების ისტორიის გარდა, ბიბლიაში ქვეყნიერებისა და კაცობრიობის ისტორიაც არის მოთხრობილი: როგორ შეიქმნა სამყარო, როგორ გაჩნდა პირველი ადამიანი, რა გადახდა თავს მას და მის პირველ შთამომავლებს, როგორ წარმოიშვა კაცობრიობა და როგორი იყო მისი თავდაპირველი თავგადასავალი. ბიბლია უპასუხებს მორწმუნეთა კითხვებს: ვინ არის ადამიანი და რისთვისაა მოწოდებული.

წყარო ბ **1. მკვდარი ზღვის ხელნაწერი, I ს., 2. XI საუკუნის ქართული ბიბლია**

1. 1947 წელს მკვდარი ზღვის ახლოს ბიბლიის ძალიან ძველი ხელნაწერები აღმოაჩინეს. ებრაულ და არამეულ ენებზე ძვ. წ. I და ახ. წ. I საუკუნებში შექმნილი ხელნაწერები შესრულებულია ტყავის გრაგნილებზე, რომელთა უმრავლესობა დაზიანებულია.

ლექსიკონი

მესია (ძველებრაული სიტყვაა და "მირონცხებულს" ნიშნავს) _ იუდეველთა და ქრისტიანთა რელიგიაში ასე ეწოდება "მხსნელს", რომელიც ქვეყანას ბოროტების მოსასპობად უნდა მოევლინოს.ქრისტიანების რწმენით, ღმერთმა კაცობრიობას მესიად სწორედ ქრისტე მოუვლინა.

თავდაპირველად ბიბლია ხელნაწერის სახით არსებობდა და მკაცრად იყო განსაზღვრული მისი ტექსტის გადაწერის წესები. საბეჭდი დაზგის გამოგონების შემდეგ პირველად სწორედ ბიბლია დაიბეჭდა. დღეს ეს წიგნი ყველაზე მეტ ენაზეა ნათარგმნი.

მეცნიერები ბიბლიის ტექსტს წყაროდ იყენებენ, თუმცა მისი სიზუსტის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. არაერთი მკვლევარი ცდილობს მეცნიერულად, სხვა წყაროებისა და არქეოლოგიური გათხრების მეშვეობით დაამტკიცოს ან უარყოს ბიბლიაში მოთხრობილი ისტორიული ამბები.

იუდაიზმი – ებრაელთა რელიგია

ებრაელთა ღმერთია იაჰვე – "ის, ვინც არის". მისი გამოსახულების შექმნა აკრძალულია. ბიბლიის თანახმად, ღმერთი თავის ხალხს მოციქულების დახმარებით მიმართავდა. მოციქულები იყვნენ აბრაამი და მოსე. ებრაელთა სამეფოების განადგურების შემდეგ წინასწარმეტყველები ქადაგებდნენ, რომ ებრაელთა გასათავისუფლებლად ღმერთი ***მესიას*** მოავლენდა.

მორწმუნე ებრაელები კვირის ერთ დღეს, შაბათს, ღმერთს უძღვნიან. მეფეების დროს რელიგიური ცენტრი იყო სოლომონის მიერ იერუსალიმში აგებული ტაძარი. იგი ჯერ ბაბილონელებმა დაანგრიეს, მერე – რომაელებმა. მას შემდეგ ებრაელები ღვთისმსახურებისთვის სინაგოგებში იკრიბებიან და რაბინთა ხელმძღვანელობით ლოცულობენ.

ცნობა 3 **ებრაელთა დღესასწაულები**

ებრაელთა უმნიშვნელოვანესი დღესასწაულებია: ახალი წელი (როშ აშანა), შენდობის დღე (იომ ქიფურ), კარვობა (სუქოთი), ლამპრობა (ხანუკა), პასექი და ორმოცდაათი დღე. ახალ წელს სექტემბერში აღნიშნავენ და ის სამყაროს შექმნას შეახსენებს ადამიანებს; შენდობის დღეს ლოცვებსა და ცოდვების მონანიებას უთმობენ; რთველის შემდეგ ტოტების კარვების აგებით და იქ დროებით გადასახლებით ებრაელები უდაბნოში ხეტიალს იხსენებენ; დეკემბერში ხანუკათი აღინიშნება ებრაელთა გამარჯვება ბერძნებზე ძვ. წ. 164 წელს; მარტში პასექს ანუ ეგვიპტიდან გამოსვლას ზეიმობენ; ორმოცდაათი დღე მოსესთვის რჯულის ფიქლების გადაცემას აღნიშნავს.

წაიკითხე ათი მცნება და დააჯგუფე ისინი შემდეგი რიგით: ა) მცნება, რომელიც მრავალღმერთიანობას კრძალავს, ბ) მცნებები, რომელთა მიზანი ძალადობის აკრძალვაა, გ) მცნება, რომელიც დასვენების დღეს განსაზღვრავს.

იუდაიზმი

ამ გაკვეთილში გაეცნობი ებრაელთა რელიგიას – იუდაიზმს.

“ისმინე, ისრაელ: ერთია უფალი, ღმერთი ჩვენი”. ამ სიტყვებს წარმოთქვამენ ებრაელი მლოცველები ყოველდღიურად – დილაობით და საღამოობით. ამ სიტყვებით არის გამოთქმული ძირითადი რწმენა, რომ ღმერთი ერთია. ძველ დროში ამ რწმენამ გამოარჩია ებრაელები სხვა ხალხებისგან, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ ბუნების მოვლენებს, სნეულებებს, დაბადებასა და სიკვდილს სხვადასხვა ღმერთები განაგებენ.

იმ სახის რელიგიას, რომელიც სამყაროს შემოქმედად ერთ ღმერთს აღიარებს, **მონოთეიზმი** ანუ **ერთღმერთიანობა** ეწოდება. მონოთეიზმი გულისხმობს, რომ მთელი სამყარო მასში არსებული საგნებით, ბუნებრივი მოვლენებითა და ცოცხალი არსებებითურთ ერთი ღმერთის შექმნილია.

წყარო 1 ბიბლიის თანახმად, ებრაელთა *წინასწარმეტყველ* მოსეს ღმერთმა ათი მცნება ჩაგონა ხალხისთვის გადასაცემად. აი, ეს მცნებები:

1. მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი, ჩემ გარდა სხვა ღმერთი არ არსებობს.
2. არ სცე თაყვანი ადამიანის ხელით შექმნილ კერპს.
3. არ დაიფიცო ტყუილ-უბრალოდ ღვთის სახელი.
4. გახსოვდეს შაბათი: ექვსი დღე იშრომე, მეშვიდე დღე უფალს მიუძღვენი.
5. პატივი ეცი დედას და მამას.
6. არ მოკლა კაცი.
7. არ იმრუშო.
8. არ იქურდო.
9. ცრუ მოწმედ ნუ დადგები.
10. სხვისი არაფერი ინდომო.

- *როგორ ფიქრობ, იუდაიზმის მარადიული და მიუწვდომელი ღმერთი გულგრილია ადამიანისადმი?*

წყარო 2 მოსე წინასწარმეტყველი (თანამედროვე ნახატი)

წყარო 3 მორწმუნე ებრაელი დღეს ამგვარად ლოცულობს:

“დაე, იყოს, უფალო, ჩვენი მამა-პაპის ღმერთო, შენი ნება, რათა შეგვიბრალო და მოგვიტევო შეცოდებები, შეგვინდო დანაშაული. უფალო, გვიბოძე წყალობა შენი, რადგან შენი იმედი გვაქვს. პირვანდელ ცოდვებს ნუ გაგვიხსენებ, გაიხსენე შენი ლმობიერება ჩვენი მამა-პაპის მიმართ. ძალზე დავგლახაკდით, დავეცით, შეგვეწიე ჩვენს უძლურებაში. გახსოვდეს, ფერფლი და ნაცარი ვართ შენს წინაშე. გვიხსენი, ღმერთო ჩვენო, გადაგვარჩინე, რადგან ჩვენი მხსნელი ხარ და შენს გარდა არავინ გვეგულება...

წყარო დ ასე ლოცულობდა ებრაელი კაცი სამი ათასი წლის წინათ:

შემიწყალე მე, ღმერთო ჩემო, დიდითა წყალობითა შენითა და მრავლითა მოწყალებითა შენითა, წარხოცე უკეთურება ჩემი. გამბანე მე ჩემი ბრალისგან და ჩემი ცოდვებისგან გამწმინდე მე. რადგან მე ვიცი ჩემი უკეთურება და ჩემი ცოდვა მარადის თვალწინ მიდგას. შენ, მხოლოდ შენ შეგცოდე და ბოროტება ჩავიდინე შენს თვალში, ამიტომ მართალი ხარ შენს განაჩენში და სამართლიანი – შენს სასჯელში...

ბიბლია, ფსალმუნი 50

წყარო ე მლოცველები იერუსალიმის ტაძრის დასავლეთის კედელთან

ეს კედელიღა დარჩა ტაძრისგან, რომელიც დაანგრიეს რომაელებმა ახ. წ. 70 წელს. ამ კედელს გოდების კედელი ეწოდება, რადგან აქ იხსენებენ ტაძრის დანგრევას და გოდებენ ებრაელები.

წყარო ვ იუდაისტურ რელიგიურ წიგნში, თალმუდში მოთხრობილია ამბავი ახალგაზრდა კაცისა, რომელმაც მთელი *რჯულის* შესწავლა ლამის ერთ წუთში მოინდომა:

ერთი ახალგაზრდა კაცი შამაისთან მივიდა და სთხოვა, სანამ ცალ ფეხზე ვიდგები, მთელი რჯული შემასწავლეო. გაბრაზებულმა შამაიმ სახაზავი შემოჰკრა ახალგაზრდას და გარეთ გააგდო. ახალგაზრდა ახლა ჰილელთან მივიდა იმავე თხოვნით. კარგი, დადექი ცალ ფეხზეო, უთხრა ჰილელმა და დაუმატა: ნუ გაუკეთებ სხვას იმას, რაც შენ არ გინდა გაგიკეთონ. ეს არის რჯულის არსი. დანარჩენი, წადი და თავად ისწავლეო.

შენიშვნა:

შამაი და ჰილელი *ძვ. წ. III ს-ის ერთმანეთის მოქიშპე ებრაელი ბრძენები იყვნენ.*

წყარო ზ თბილისის სინაგოგა

წყარო თ თბილისის სინაგოგის შიდა ხედი

წყარო კ *რაბინი* – ებრაელთა რელიგიური წინამძღოლი ან სჯულის მოძღვარი

წყარო ი **ხასიდური შეგონება**

სიკვდილამდე მცირე ხნით ადრე ერთმა უბრალო ებრაელმა, სახელად ზუსიამ, თქვა: თუ უფალი ღმერთი შემეკითხება, რატომ მოსე არ იყავიო, მე ვიცი, რა ვუპასუხო. მაგრამ თუ მკითხა, ზუსია რატომ არ იყავიო, ვერაფერს ვუპასუხებ.

შენიშვნა:

ხასიდები *– იუდაური რელიგიური სექტა, წარმოიშვა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში უკრაინისა და პოლონეთის საზღვარზე.*

● *იმუშავეთ წყვილებში. დაკვირვებით წაიკითხეთ წყარო ი და იმსჯელეთ: რას გეუბნებათ იგი? რა პასუხისმგებლობა აკისრია ადამიანს საკუთარი თავის წინაშე?*

ლექსიკონი

წინასწარმეტყველი – პირი, რომელიც გამოგზავნა ღმერთმა ადამიანთა სწავლებისა და ღვთის სიტყვის საუწყებლად.

რჯული – რელიგიური წესები და კანონები.

ცხებული – იგივე მესია (ბერძნულად – ქრისტე), რომელიც ბოლო დროს უნდა მოავლინოს ღმერთმა ისრაელის ხალხის გადასარჩენად.

სექტა – მცირე ჯგუფი ადამიანებისა, რომლებიც მიეკუთვნებიან კონკრეტულ რელიგიას, მაგრამ აქვთ ისეთი რწმენა-წარმოდგენები ან წესები, რომლებითაც ისინი ემიჯნებიან ამ რელიგიის დანარჩენ წევრებს.

სინაგოგა – ებრაელთა სალოცავი სახლი.

1. როგორ ფიქრობ, შეიცვალა ადამიანის ბუნება ათასწლეულთა მანძილზე? (წყაროები ბ, დ).

2. ვის წინაშეა ადამიანი პასუხისმგებელი?

3. რას მოითხოვს ღმერთი ადამიანისგან? როგორი უნდა იყოს ადამიანი?

ქრისტიანობის წარმოშობა

ამ გაკვეთილში გაეცნობი ქრისტიანულ რელიგიას; შეიტყობ, ვინ იყო და რას ქადაგებდა იესო ქრისტე.

ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე ებრაელთა შორის, იუდაიზმის წიაღიდან წარმოიშვა ახალი მონოთეისტური რელიგია – ქრისტიანობა. ქრისტიანული მოძღვრების თანახმად, მესია, რომელსაც ბიბლია კაცობრიობის მხსნელად სახავდა, იესო ქრისტეს სახით მოევლინა კაცობრიობას: არა მხოლოდ ებრაელებს, არამედ სხვა ხალხებსაც.

იესო ქრისტე ინათლება

ქალწულ მარიამისგან შობილმა იესო ქრისტემ (ე.ი. მესიამ, მხსნელმა), ოცდაათი წლის რომ შესრულდა, დატოვა თავისი ქალაქი ნაზარეთი და მდინარე იორდანეზე მივიდა, სადაც წინასწარმეტყველი იოანე ხალხს მოუწოდებდა ეღიარებინათ თავიანთი ცოდვები, და ნათლავდა მათ. ბევრი ებრაელი სხვადასხვა დაბა-სოფლებიდან მიდიოდა მასთან, ინანიებდა ჩადენილ ცოდვებს და ამის შემდეგ ინათლებოდა იორდანეს წყალში. იესოც მივიდა, რათა მისგან ნათლობა მიეღო. როცა იესო იორდანეს წყლიდან ამოვიდა, მის ზემოთ ცა გაიხსნა, *სულიწმიდა* მტრედის სახით დააჯდა მხარზე, და გაისმა ხმა ზემოდან: ეს არის ძე ჩემი, საყვარელი, რომელიც მოვიწონე მე.

წყარო ა **მარიამ ღვთისმშობელი ყრმით. წილკნის ღვთისმშობლის ხატი, IX ს.**

იესო ძლევს განსაცდელს და ქადაგებას იწყებს

ეს სასწაული (ღვთის ხმა ზეციდან) იმას ნიშნავდა, რომ იესო მზად იყო *საქადაგებლად*, მაგრამ მანამდე უდაბნოში უნდა გასულიყო, რათა მარტოობაში თავი გამოეცადა და სულით გაძლიერებულიყო. ორმოცი დღე იმარხულა იესომ და, ბოლოს, შეუჩნდა მას ეშმაკი და გამოცდა დაუწყო: ჰპირდებოდა ამქვეყნიურ სიმდიდრესა და დიდებას. მაგრამ იესომ დაძლია ეს განსაცდელი, უკუაგდო ეშმაკი და გაემართა გალილეისკენ, სადაც მან მოწაფეები (*მოციქულები*) შეიძინა, და შეუდგა ქადაგებას. მაგრამ ებრაელთა სჯულისკაცებმა – სწავლულმა მწიგნობრებმა ქრისტე მესიად არ მიიჩნიეს და, არ მიიღეს მისი ქადაგებები.

წყარო ბ **ნათლისღება. ანდრეა დელ ვეროკიო, 1474 წ.**

წყარო გ **ქრისტე ქადაგებს ხალხში. რემბრანდტი, XVII ს.**

წყარო დ **ერთმა სწავლულმა *მწიგნობარმა*, რომელიც მიიჩნევდა, რომ იესო თავის ქადაგებებში არღვევდა მამა-პაპის რჯულს, გამოსაცდელად ჰკითხა: რა არის რჯულის ყველაზე დიდი *მცნება*? იესომ უპასუხა:**

შეიყვარე შენი ღმერთი მთელი შენი გულით და მთელი შენი სულით. ეს არის პირველი და ყველაზე დიდი მცნება. მაგრამ მისი მსგავსი სხვა დიდი მცნებაც არის: შეიყვარე შენი ახლობელი (მოყვასი) ისევე, როგორც შენი თავი გიყვარს.

მერე იესომ განაგრძო ქადაგება და თქვა:

შეიყვარეთ თქვენი მტრები და ჰყავით კეთილი მათთვის, ვისაც სძულხართ. ილოცეთ მათთვის, ვინც გავიწროებენ და გდევნიან, და იქნებით ზეციური მამის შვილები. როგორც თქვენ გსურთ, რომ მოგექცნენ, ისე მოექეცით სხვებს.

იესო ხშირად იგავების საშუალებით გადასცემდა თავის მოძღვრებას მოწაფეებსა და ხალხს

წყარო ე **იესოს იგავი ფარისეველსა და *მეზვერეზე***

ორი ადამიანი ლოცულობდა ტაძარში – ფარისეველი და მეზვერე. ფარისეველი ასე ლოცულობდა ღვთის წინაშე: "ღმერთო, მადლობელი ვარ, რომ სხვებს არ ვგავარ – მძარცველებს, მატყუარებსა და გამომძალველებს, თუნდაც ამ მეზვერეს, ეგერ რომ დგას და ლოცულობს". მეზვერე კი მოშორებით იდგა, ცისკენ ახედვას ვერ ბედავდა და ამ სიტყვებს იმეორებდა: "ღმერთო, შემიწყალე მე, ცოდვილი".

სახარება ლუკასაგან, 18:9-14

წყარო ზ **იესო და 12 მოციქული (თანამედროვე ნახატი)**

წყარო ვ **იესოს იგავი ფარისეველსა და მეზვერეზე**

ორი ადამიანი ლოცულობდა ტაძარში – ფარისეველი და მეზვერე. ფარისეველი ასე ლოცულობდა ღვთის წინაშე: "ღმერთო, მადლობელი ვარ, რომ სხვებს არ ვგავარ – მძარცველებს, მატყუარებსა და გამომძალველებს, თუნდაც ამ მეზვერეს, ეგერ რომ დგას და ლოცულობს". მეზვერე კი მოშორებით იდგა, ცისკენ ახედვას ვერ ბედავდა და ამ სიტყვებს იმეორებდა: "ღმერთო, შემიწყალე მე, ცოდვილი".

სახარება ლუკასაგან, 18:9-14

წყარო ზ **იესო ლოცვის შესახებ:**

როცა ლოცვას დააპირებ, შედი შენს ოთახში, ჩაიკეტე კარი და ილოცე დაფარულში მყოფი შენი მამისადმი, და შენი მამა, რომელიც დაფარულში ხედავს, სამაგიეროს მოგიზღავს ცხადში.

სახარება მათესაგან, 5:6

- *რას გვასწავლის იგავი "ფარისევლისა და მეზვერის შესახებ?" შეადარე იგი იესოს მოწოდებას (წყარო 3).*

წყარო თ **უძღები შვილის დაბრუნება. რემბრანდტი, 1662 წ.**

წყარო ი **იესოს იგავი დაკარგულ შვილზე**

მამას ორი შვილი ჰყავდა. უმცროსმა უთხრა მამას: მამავ, მომეცი ჩემი წილი, წავალ სახლიდან და ბედს ვეწევიო. მამამ არ დაუკავა შვილს მისი წილი, მისცა და გაუშვა. შვილი შორეულ ქვეყანაში წავიდა და სულ ქეიფსა და დროსტარებაში გაფლანგა ქონება. როცა გაღარიბდა, მეღორედ დაუდგა ერთ კაცს. გასამრჯელოდ ღორების საჭმელი – რკოც კი არ ემეტებოდათ მისთვის. როცა გონს მოვიდა, იფიქრა: რამდენი მოჯამაგირე ჰყავს მამაჩემს, არავის პური არ აკლია, მე კი ღორების საჭმელი მენატრებაო. წავალ და ვეტყვი: მამავ, მაპატიე. შევცოდე შენს წინაშე და ღვთის წინაშე.

დაბრუნდა შვილი მამასთან. მამამ შორიდან დაინახა შვილი და გამოეგება. შვილი მუხლებში ჩაუვარდა მამას და უთხრა: მამავ, შეგცოდე, არა ვარ ღირსი, რომ შენს შვილად ვიწოდებოდეო. მამამ გულში ჩაიკრა იგი და უბრძანა მსახურებს: "საუკეთესო სამოსლით შემოსეთ და საუკეთესო ფეხსაცმელი ჩააცვით, დაუკალით ნასუქალი ხბო და ვილხინოთ. რადგან ჩემი შვილი მკვდარი იყო და გაცოცხლდა, დაკარგული იყო და ვიპოვე".

სახარება ლუკასაგან, 15:11-32

- *ქრისტეს იგავის მიხედვით, ვის შეადარებდი დაკარგული შვილის მამას?*
- *როგორ უნდა მოიქცეს დამნაშავე შვილი, რომ მამამ კვლავ შვილად მიიღოს?*

წყარო კ **აი კიდევ იესოს იგავი, თავის მოწაფეებს რომ უამბო დაკარგული ცხვრისა და მისი პოვნით გახარებული მწყემსის შესახებ:**

კაცს რომ ასი ცხვარი ჰყავდეს და ერთ მათგანს გზა რომ აებნას მთაში და დაეკარგოს, როგორ გგონიათ, არ მიატოვებს ოთხმოცდაცხრამეტს და იმ გზააბნეულის საძებრად არ წავა? და როცა იპოვის, უფრო მეტად არ გაიხარებს მასზე, ვიდრე ოთხმოცდაცხრამეტზე, რომელთაც გზა არ აბნევიათ? სიხარულით შეისვამს ზურგზე ნაპოვნს, ჩამოივლის მეზობლებს და ეტყვის ყველას: გაიხარეთ ჩემთან ერთად: დაკარგული ცხვარი ვიპოვე.

ასევე მეტი სიხარული იქნება ზეცაში ერთი ცოდვილის გამო, რომელმაც მოინანია, ვიდრე იმ ოთხმოცდაცხრამეტი მართლის გამო, რომელთაც მონანიება არ სჭირდებათ.

სახარება ლუკასაგან, 15:4-7

წყარო ლ **"კეთილი მწყემსი", ქრისტეს უძველესი გამოსახულება, რომის კატაკომბების ნახატი, II ს.**

კატაკომბებში ანუ მიწისქვეშა გამოქვაბულებში რომის ხელისუფლებისგან დევნილი ქრისტიანები აფარებდნენ თავს.

- *რატომ გამოსახავდნენ ქრისტეს მწყემსის სახით? ვისი მწყემსია ქრისტე?*
- *რა არის საერთო Ი–ლ წყაროებში გადმოცემულ ამბებს შორის?*

წყარო მ **წმინდა სამების ხატი, რომელზედაც გამოსახულია მამა ღმერთი, ძე და სულიწმიდა მტრედის სახით. XIV ს. ტრეტიაკოვის გალერეა, მოსკოვი**

ლექსიკონი

სულიწმიდა – ქრისტიანობა ერთ ღმერთში აღიარებს სამ ერთმანეთისგან განუყოფელ პირს – მამას, ძეს (ქრისტეს) და სულიწმიდას (ანუ წმინდა სულს). ამ სამ პირს ერთიანობაში ეწოდება წმინდა სამება (იხ. წყარო მ).

ქადაგება – ტაძარში ან ტაძრის გარეთ წარმოთქმული სიტყვა, რომლითაც ღვთისმსახური მოძღვრავს ხალხს.

მწიგნობარი – ბიბლიისა და სხვა რელიგიური წიგნების მცოდნე.

მცნება – აქ: ღვთის მიერ დაწესებული კანონი.

ფარისეველი –იუდაიზმის ერთ-ერთი მიმართულების წარმომადგენელი.

მეზვერე – გადასახადების ამკრეფი.

სახარება – წიგნი, რომელშიც მოთხრობილია იესო ქრისტეს ცხოვრებისა და მისი მოძღვრების შესახებ.

1. გამოიტანე დასკვნა, როგორი უნდა იყოს ქრისტიანი ამ გაკვეთილის წყაროების მიხედვით?

2. იმსჯელე წერილობით, როგორი უნდა იყოს მოძღვარი?

რისთვის მოავლინა ღმერთმა იესო ქრისტე და რისთვის ეცვა ქრისტე ჯვარს?

ამ გაკვეთილის მიზანია გაგარკვიოს, ქრისტიანული მოძღვრების თანახმად, რა მისიით მოევლინა ქრისტე კაცობრიობას.

იესოს ჯვარცმას უსჯიან

იესო ხშირად ეუბნებოდა მოწაფეებს, რომ მას მოკლავდნენ იერუსალიმში, მაგრამ მესამე დღეს აღდგებოდა. შეახედებდა ტაძარს და ეტყოდა: შეხედეთ ამ ღვთის სახლს, როგორი ნაგებობაა! მე შემიძლია დავანგრიო იგი და სამ დღეში აღვადგინო (სახარება მათესაგან, 26:61). მოწაფეებს არ ესმოდათ მისი, ხოლო ფარისევლები და მწიგნობრები, ტაძრის მსახურები, მღვდელმთავრები ამ სიტყვებში ღვთის გმობას ხედავდნენ და მოსაკლავად დასდევდნენ, მაგრამ ვერ ბედავდნენ მოკვლას, რადგან ხალხის ეშინოდათ. ბოლოს მოიფიქრეს, ცილი დაეწამებინათ მისთვის რომაული ხელისუფლების წინაშე, რომ რომაული სამართლით გასამართლებულიყო. ერთმა მისმა მოწაფემ, იუდამ, გასცა იგი და ხელში ჩაუგდო მის მტრებს. მათ იესო იუდეის გამგებელთან, რომაელ პილატესთან მიიყვანეს განსასჯელად. პილატემ ვერ ჰპოვა მასში ბრალი, მაგრამ მღვდელმთავრებმა უთხრეს, ეს კაცი ხალხს რომაელების წინააღმდეგ ამხედრებს, ებრაელთა მეფედ და ღმერთად აცხადებს თავს, იმპერატორის ხელისუფლებას არაფრად აგდებს. შეეშინდა პილატეს და გამოუტანა სასიკვდილო განაჩენი ჯვარცმით.



წყარო ა ჯვარცმა. ანტონელო და მესინა, 1475 წ.

წყარო ბ **როცა იესო გაამათრახეს და მერე ჯვარს აცვეს, ერთადერთი, რაც თქვა, ეს იყო:**

მამაო, აპატიე ამათ, რადგან არ იციან, რას სჩადიან.

- *როგორ ახასიათებს იესო ქრისტეს ეს სიტყვები?*

იესო პარასკევს აცვეს ჯვარს, შაბათს გადმოხსნეს ჯვრიდან და დაასვენეს ახალ სამარხში, რომელიც მისმა ფარულმა მოწაფემ, მდიდარმა კაცმა იოსებ არიმათიელმა დაუთმო. მესამე დღეს იესო აღდგა და ორმოცი დღის მანძილზე ეცხადებოდა მოწაფეებს.

წყარო გ **ვიდრე ამაღლდებოდა ზეციერ მამასთან, რომელმაც მოავლინა ამ სოფლად, ქრისტემ ანდერძად დაუტოვა მოწაფეებს:**

წადით, მოიარეთ ქვეყნიერება და უქადაგეთ ხალხებს მკვდრეთით აღდგომა, უთხარით, რომ მე ვარ გზა და ჭეშმარიტება, და აღდგომა; რომ ყველა, ვინც მირწმუნებს მე, ვინც აღიარებს და მოინანიებს ცოდვებს, ვინც ნათელიღებს სამების სახელით, გადარჩება.

- *როგორ გესმის ქრისტეს სიტყვები: "მე ვარ გზა"?*

რისთვის მოევლინა იესო ქრისტე კაცობრიობას?

კაცობრიობის წინაპრებმა – ადამმა და ევამ სცოდეს თავიანთი გამჩენის წინაშე, დაარღვიეს აკრძალვა: იგემეს აკრძალული ხის ნაყოფი. პირველმა ცოდვამ, ურჩობამ, მათ დააკარგვინა სამოთხე და უკვდავება, ისინი და მათი შთამომავლები სიკვდილის შვილები გახდნენ. გამრავლდა ადამიანის ცოდვები: ძმამ (კაენმა) მოკლა ძმა (აბელი), დაივიწყეს დამბადებელი ღმერთი და ბუნების მოვლენებს დაუწყეს თაყვანისცემა. ზეციერი მამა გზავნიდა წინასწარმეტყველებს მათ მოსაქცევად ჭეშმარიტ რწმენაზე, მაგრამ ხალხს არ სურდა მათი მოსმენა და ხოცავდა მათ. ბოლოს ღმერთმა თავისი ძე გამოგზავნა, და ისიც მოკლეს. მაგრამ იესოს სიკვდილმა ხსნა მოუტანა ადამიანებს: მან ნებაყოფლობით იტვირთა კაცობრიობის ცოდვები და ცოდვილთა ნაცვლად დაისაჯა: მან კაცობრიობის ცოდვა ჯვარზე მიალურსმა, თავად კი, რადგან ღმერთი იყო, აღდგა და შემდეგ ამაღლდა.

წყარო დ ამაღლება. ჯონ კოპლი, 1775 წ.

ლექსიკონი
სოფელი – აქ: ადამიანებით დასახლებული სამყარო, კაცობრიობა.

წყარო ე **პავლე მოციქული მკვდრეთით აღდგომის შესახებ:**

თუ ქრისტეზე იქადაგება, რომ ის აღდგა მკვდრეთით, როგორღა ამბობს ზოგიერთი თქვენგანი, არ არის მკვდრეთით აღდგომაო? მკვდრეთით აღდგომა თუ არ არის, ქრისტეც არ აღმდგარა. ხოლო თუ ქრისტე არ აღმდგარა, ჩვენი ქადაგებაც ფუჭია და ფუჭია თქვენი რწმენაც.

ეპისტოლე I კორინთელებისადმი, 15:12-14

წყარო ვ **იოანეს სახარებაში ახსნილია, თუ რისთვის მოავლინა ღმერთმა თავისი ძე ამქვეყნად:**

ისე შეიყვარა ღმერთმა ეს *სოფელი*, რომ მისცა მას თავისი მხოლოდშობილი ძე, რათა ყოველი, ვინც მას ირწმუნებს, არ დაიღუპოს, არამედ საუკუნო სიცოცხლე ჰქონდეს. რადგან იმისთვის კი არ მოავლინა ღმერთმა თავისი ძე სოფლად, რომ დასაჯოს სოფელი, არამედ იხსნას ეს სოფელი მისი მეშვეობით.

სახარება იოანესაგან, 3:16-17

წყარო ზ **ათანასე ალექსანდრიელი, IV ს-ის ქრისტიანი მოღვაწე და მწერალი, სიკვდილისა და მისგან გათავისუფლების შესახებ:**

სიკვდილი ღმერთს არ შეუქმნია; იგი ცოდვის შედეგად შემოვიდა სოფელში. ადამიანის ხსნა არა მხოლოდ ცოდვათა მიტევებაშია, არამედ მის გათავისუფლებაში სიკვდილის ბატონობისგან.

1. ე–ზ წყაროების თანახმად, რა არის ადამიანის საბოლოო მიზანი? რა არის აუცილებელი მის მისაღწევად?

2. როგორ იზრუნა ღმერთმა კაცობრიობის ხსნისთვის?

რელიგიები საქართველოში

ამ გაკვეთილში გაეცნობი რელიგიების გავრცელებას საქართველოში.

საქართველოში ოდითგანვე სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის ხალხი სახლობდა. მართლმადიდებელი ქრისტიანების გვერდით საუკუნეების მანძილზე ცხოვრობდნენ და ქართული სახელმწიფოსა და კულტურის განვითარებაში წვლილი შეჰქონდათ იუდაიზმის მიმდევარ ებრაელებს, კათოლიკე ქრისტიანებს, სომხური ქრისტიანული ეკლესიის წევრებსა და სხვა შედარებით მცირერიცხოვან რელიგიურ ჯგუფებს.

ქრისტიანები

მართლმადიდებლობა გავრცელებულია საქართველოს ყველა კუთხეში. IV საუკუნიდან მოყოლებული, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მართლმადიდებელი ქრისტიანია. მათი წარმომადგენლები არიან: ქართველები, ბერძნები, რუსები, უკრაინელები, ოსები, აფხაზების ნაწილი.

წყარო ა **თბილისის სიონი**



წყარო ბ **მარიამ ღვთისმშობლის ამაღლების კათოლიკური ეკლესია თბილისში**

ქართველი კათოლიკეები. ქართველი კათოლიკეები საქართველოში ჩნდებიან XIII საუკუნიდან. მათ შორის ბევრი სახელოვანი რელიგიური მოღვაწე, მეცნიერი, მუსიკოსი, მხატვარი და საზოგადო მოღვაწე იყო (მიხეილ თამარაშვილი, ივანე გვარამაძე, პეტრე უმიკაშვილი, ზაქარია ფალიაშვილი, სიმონ ყაუხჩიშვილი და სხვა). ამჟამად თბილისში ორი მოქმედი კათოლიკური ეკლესიაა.

განსახლების ადგილები: თბილისი, გორი, ბათუმი, ქუთაისი, სამცხის სოფლები: უდე, არალი (ადიგენის რაიონი), ივლიტა (ახალციხის რაიონი).

ქართველი პროტესტანტები. მათ შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი არიან **ბაპტისტები** ანუ სრულად – "სახარებისეულ ქრისტიან ბაპტისტთა ეკლესია", რომელიც თბილისში 1867 წელს დაარსდა, 1919 წელს კი ქართულენოვანი ბაპტისტური ეკლესია ჩამოყალიბდა, რომელმაც გარს შემოიკრიბა რუსული, სომხური, ოსური და ქურთული მოსახლეობის წარმომადგენლები.

განსახლების ადგილები: თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, გორი, გურჯაანი, საჩხერე, კახეთის სოფლები.

სომეხი ქრისტიანები საქართველოში საუკუნეების მანძილზე ცხოვრობდნენ. ისინი ადრევე (V საუკუნეში) გამოეყვნენ მართლმადიდებლობას და საკუთარი ეკლესია შექმნეს.

განსახლების ადგილები: თბილისი, ნინოწმინდის, ახალქალაქისა და ახალციხის რაიონები.

ასურელი ქრისტიანები. ასურელები საქართველოში სპარსეთიდან არიან დევნილები XX საუკუნის დასაწყისში. ეკუთვნიან აღმოსავლური ქრისტიანობის ერთ განშტოებას – ე. წ. იაკობიტურ ეკლესიას.

განსახლების ადგილები: თბილისი, მცხეთის რაიონი (სოფ. ქანდა), გარდაბნის რაიონი.

მუსლიმები

ქართველი მუსლიმები. ქართველებს შორის მუსლიმობა მას შემდეგ გავრცელდა, რაც სამხრეთ საქართველოს მიწები ოსმალეთის იმპერიაში აღმოჩნდა (ეს პროცესი იწყება XV საუკუნიდან). 1870-იან წლებში, რუსეთ-თურქეთის ომში რუსეთის გამარჯვების შემდეგ ისტორიული მიწები დაბრუნდა, მაგრამ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ (1918) ისევ თურქეთს შეუერთდა, გარდა აჭარისა. 1616 წელს ირანის შაჰმა, აბას I-მა კახეთის რამდენიმე სოფელი აყარა და სპარსეთში, ფერეიდნის პროვინციაში გადაასახლა. გადასახლებულნი იძულებული იყვნენ ისლამი მიეღოთ. გასულ საუკუნეში ბევრი ოჯახი დაბრუნდა თავის ისტორიულ სამშობლოში.

განსახლების ადგილები: სამცხე (გაასახლეს 1944 წელს შუა აზიაში), აჭარა, თურქეთში – საქართველოს ისტორიული ტერიტორია (შავშეთი, ტაო) და ანატოლია; ირანი (ფერეიდანი).

თურქული მოდგმის მუსლიმები. სხვადასხვა თურქული მოდგმის ტომები, მათ შორის აზერბაიჯანელები, საქართველოში XI საუკუნიდან სახლდებოდნენ.

განსახლების ადგილები: თბილისი, მარნეულისა და ბოლნისის რაიონები.

ქისტი ეროვნების მუსლიმები. ქისტები XIX საუკუნის შუაწლებიდან დასახლდნენ პანკისის ხეობაში. მათ შორის ქრისტიანებიც არიან.

წყარო გ თბილისის ლუთერანული ეკლესია ტერენტი გრანელის ქუჩაზე (აშენებულია 1998 წ.)

წყარო დ თბილისის სომხური ეკლესია ვახტანგ გორგასლის მოედანთან

წყარო ე მეჩეთი თბილისში გოგირდის აბანოებთან

იუდეველები

ქართველი ებრაელები საქართველოში 26 საუკუნის წინ მოვიდნენ და დღემდე არ დაუკარგავთ თავიანთი რელიგია.

განსახლების ადგილები: საქართველოს ქალაქები (თბილისი, ქუთაისი, გორი, თელავი, ბათუმი, ცხინვალი, ონი, სამტრედია და სხვა) და ლეჩხუმის, სამეგრელოს, იმერეთის დაბა-სოფლები.



წყარო 3 ონის სინაგოგა

წყარო 8 ებრაელი სასულიერო პირები (ქუთაისი, XX ს-ის 60-იანი წლები)

ქურთი იეზიდები

საქართველოში მცხოვრები ქურთი იეზიდები ეთაყვანებიან ერთ ღმერთს, თავს მონოთეისტებად თვლიან; ჰყავთ რელიგიური წინამძღვარი, რომელსაც **შეიხი** ან **ფირი** ეწოდება. მათ მიაჩნიათ, რომ იეზიდური რელიგია იუდაიზმზე, ქრისტიანობაზე და ისლამზე ძველია. იეზიდები საქართველოში მოხვდნენ თურქეთიდან რელიგიური დევნის შედეგად. ცხოვრობენ თბილისში.

წყარო 01 ქურთი გოგონების ცეკვა

წყარო 0 **თბილისის იმ ადგილის გეგმა, სადაც თავმოყრილია სხვადასხვა რელიგიის ტაძრები**

- *იპოვე და ფანქრით დაიტანე უმოკლესი მარშრუტი გუდიაშვილის მოედნიდან სიონის ეკლესიამდე.*

1. გადაიხაზე რვეულში და შეავსე ცხრილი:

რელიგიური ჯგუფი	როდის მოვიდა საქართველოში?	განსახლების ადგილები

2. შეადგინე დროის ღერძზე საქართველოში გავრცელებული რელიგიების ქრონოლოგია (თითოეული რელიგიის გავრცელების პერიოდი აღნიშნე განსხვავებული ფერის ზოლით).

3. გამართეთ დისკუსია: რა დადებითს ხედავთ იმაში, რომ საქართველო სხვადასხვა რელიგიური ჯგუფებით არის დასახლებული? შეუძლიათ თუ არა სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლებს იცხოვრონ და ითანამშრომლონ ერთმანეთის გვერდით ერთ ქვეყანაში, ერთ საზოგადოებაში?

ეგეოსური ცივილიზაცია

ამ გაკვეთილით ეგეოსის ზღვის გარშემო – კუნძულ კრეტასა და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, კერძოდ, მიკენში შექმნილ უძველეს ცივილიზაციას გაეცნობი, რომელიც ეგეოსური ანუ კრეტა-მიკენის ცივილიზაციის სახელით არის ცნობილი. იგი ძველ ბერძნულ ცივილიზაციამდე დიდი ხნით ადრე არსებობდა.

მინოსური ცივილიზაცია

კუნძულ კრეტაზე არქეოლოგებმა მიაკვლიეს უძველესი ცივილიზაციის კვალს, რომელიც უცნობი წარმოშობის ხალხმა ბერძნების მოსვლამდე შექმნა. მის შესახებ უფრო მეტი ცოდნა მას შემდეგ დაგროვდა, რაც კრეტაზე აღმოჩენილი წარწერები გაშიფრეს. ჩვენთვის უცნობია, რას უწოდებდნენ საკუთარ თავს კრეტელები. თავდაპირველი მოსახლეობა კუნძულზე მცირე აზიიდან დაახლოებით IV ათასწლეულში გადავიდა. დროთა განმავლობაში კუნძულელებმა ზღვა დაიპყრეს და კრეტა მსოფლიოში პირველი, ძლიერი საზღვაო სახელმწიფო გახდა. მას მეფე მართავდა. ეგვიპტესთან, კვიპროსსა და აზიის ქვეყნებთან ვაჭრობამ კრეტელებს დიდი გამოცდილება შესძინა, რის შედეგადაც კუნძულზე ორიგინალური ცივილიზაცია ჩამოყალიბდა. პირობითად მას უწოდებენ მინოსურ კულტურას, კრეტის მეფის – მინოსის – სახელის მიხედვით.

ცნობა 1 **მინოსის მითი**

ზევსისა და *ევროპას* შვილმა მინოსმა კრეტა სამართავად ზევსისგან მიიღო. მან დააარსა ქალაქები კნოსოსი, ფესტოსი და კიდონია, რომლებიც შემდგომ კრეტის მინოსური ცივილიზაციის ცენტრები გახდა. მანვე დაუწერა კრეტელებს კანონები, რომლებიც ზევსისგან გამოქვაბულში მიიღო. ამის შემდეგ მინოსი ცხრა წელიწადში ერთხელ სტუმრობდა ზევსს და მისგან შეგონებებს იღებდა. მინოსი აიძულებდა მეფე *ეგევსს*, ყოველწლიურად ეძლია მისთვის შვიდი ვაჟი და შვიდი ასული, რომლებიც მას ლაბირინთში დამწყვდეულ *მინოტავრთან* მიჰყავდა შესაჭმელად. სიკვდილის შემდეგ მინოსი ქვესკნელში მიცვალებულთა მსაჯული გახდა.

შენიშვნები:

ზევსი *– ბერძნულ მითოლოგიაში ღმერთების მეფე, ცის, ჭექა-ქუხილის ღვთაება.*
ევროპა *– ბერძნულ მითოლოგიაში სიდონის მეფე აგენორის ასული.*
ეგევსი *– ბერძნულ მითოლოგიაში ათენის მეფე.*
მინოტავრი *– ხარისთავიანი და ადამიანისტანიანი ურჩხული, რომელიც, ბერძნული მითოლოგიის თანახმად, ადამიანის ხორცით იკვებებოდა.*

- *ცნობა 1-ის მიხედვით, რომელი ქალაქები არსებობდა კრეტაზე?*

წყარო 2 **ქალაქი კნოსოსი: 1. ტაძრის რეკონსტრუქცია, 2. მოხატული სატახტო დარბაზი, 3. თიხის ჭურჭელი**

1-2. ინგლისელმა არქეოლოგმა არტურ ევანზმა 1900 წელს ქალაქ კნოსოსის, ძველი კრეტის ერთ-ერთი კულტურული ცენტრის, გათხრისას აღმოაჩინა დიდებული, სართულებიანი ნაგებობები, მათ შორის სასახლის კომპლექსი, რომელსაც პირობითად მინოსის სასახლე უწოდა. რამდენიმე ჰექტარზე გაშენებული სასახლის კედლები მოხატულია როგორც რელიგიური, ისე საყოფაცხოვრებო შინაარსის ფრესკებით. **3.** იქვე აღმოჩნდა მოხატული კერამიკული ჭურჭელი, სპილოს ძვლისა და ლითონის ნაკეთობები.

რა დანიშნულება ჰქონდა მინოსის სასახლეს და ვის ეკუთვნოდა, მეცნიერები დღემდე იკვლევენ. მათ ნაწილს მიაჩნია, რომ ეს სასახლე იყო ტაძარი, სადაც ქურუმები რელიგიურ რიტუალებს ატარებდნენ, და ის საცხოვრებლად არასოდეს გამოუყენებიათ. როგორც არქეოლოგებმა შენიშნეს, კნოსოსი რამდენჯერმე დაინგრა. მეცნიერთა ნაწილის აზრით, ამის მიზეზი მიწისძვრა და შემოსევები იყო. იგი ხელახლა შენდებოდა. ქალაქი საბოლოოდ მიკენელ ბერძენთა შემოსევამ გაანადგურა.

სავაჭრო ურთიერთობის გარდა, კრეტას ეგიპტესთან პოლიტიკური ურთიერთობაც ჰქონდა. წყაროების მიხედვით, ისინი მოკავშირე სახელმწიფოები იყვნენ. ეგვიპტის გავლენა ჩანს მინოსური კულტურის არქიტექტურაშიც და დაკრძალვის წესშიც. კრეტელები, ეგვიპტელთა მსგავსად, მიცვალებულის მუმიფიცირებას ახდენდნენ, თუმცა განსხვავებული მეთოდით.

წყარო Ბ 1. დედაღვთაება ან ქურუმი, 2. "მინოსური ცირკი", კნოსოსის სასახლის ფრესკა

კრეტელები მიწათმოქმედები იყვნენ. მათი რელიგია ნაყოფიერებას უკავშირდებოდა. ისინი თაყვანს სცემდნენ დედაღვთაების კულტს, რომელიც ღმერთების დედად მიაჩნდათ. კრეტელები ცხოველის – ხარის – მსხვერპლშეწირვის რიტუალს ატარებდნენ. მინოსელებში ხარის კულტი იყო გავრცელებული, ამიტომ მათ მხატვრობასა და ჭანდაკებებში ხშირია ხარის გამოსახულება.

- *რა არის გამოსახული წყარო Ბ2-ზე? რატომ უწოდეს ამ ფრესკას პირობითად "ცირკი"?*

დამუშავების ფორმითა და სტილით გამორჩეულია მინოსური კულტურის კერამიკული ჭურჭელი, რომელიც მრავლად გამოვლინდა არქეოლოგიური გათხრების დროს. კრეტე

ლები საბრძოლო იარაღად ორპირიან ცულს – ლაბრისს – იყენებდნენ. კრეტის არქეოლოგიური გათხრების შედეგად თავდაცვითი ნაგებობები არ არის აღმოჩენილი. გარდა იმისა, რომ კუნძულს ბუნებრივი დაცვა ჰქონდა, მას ხმელეთზედაც აუცილებლად ექნებოდა თავდაცვის სისტემა, რომელსაც, სავარაუდოდ, ჩვენამდე არ მოუღწევია.

კრეტაზე მინოსური კულტურის განადგურების შემდეგ ცივილიზაციის ცენტრმა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, მიკენში გადაინაცვლა.

მიკენი

ძვ. წ. II ათასწლეულში მიკენი ბრინჯაოს ხანის ძველი ბერძნული ცივილიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი იყო. ბერძნული ისტორიის პერიოდს დაახლოებით 1600 წლიდან 1100 წლამდე მიკენური პერიოდი ეწოდება.

- *რომელ საუკუნეებს მოიცავს მიკენური პერიოდი?*

დაახლოებით ძვ. წ. 2000 წელს მიკენში *ინდოევროპულ* ენაზე მოლაპარაკე ხალხი დასახლდა. ისინი ძირითადად მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას მისდევდნენ: მოშენებული ჰყავდათ მსხვილფეხა საქონელი, ცხვარი, თხა, ღორი... ამზადებდნენ ყველსა და რძის სხვა პროდუქტებს; აშენებდნენ ვენახებს, წურავდნენ ღვინოს, მოჰყავდათ მარცვლეული, ძირითადად – ხორბალი და ქერი, ასევე ზეთისხილი, ლეღვი და, როგორც წარწერებიდან ირკვევა, სხვადასხვა სურნელოვანი მცენარე, რომელთაც კერძების შესაკაზმავად იყენებდნენ. მიკენელებმა შემოქმედების ყველა დარგში დიდ წარმატებას მიაღწიეს.

- *ამოარჩიე სწორი პასუხი: მიკენის მოსახლეობა ეწეოდა: ა) მომთაბარეობას, ბ) ბინადარ ცხოვრებას.*

წყარო 8 მიკენური კულტურის გავრცელების არეალი

მიკენის გავლენა გავრცელდა საბერძნეთის ტერიტორიაზე, კრეტაზე, კვიპროსსა და საბერძნეთის არქიპელაგის იმ კუნძულებზე, რომელთა *კოლონიზაციაც* მიკენელებმა მოახდინეს. მათი შემოქმედების კვალი აღმოჩენილია ეგვიპტესა და სირიაში.

- *შეადარე წყარო 8 თანამედროვე მსოფლიო რუკას და დაადგინე, რომელ დღევანდელ სახელმწიფოებს მოიცავდა მიკენური კულტურის გავრცელების არეალი.*

წერილობითი წყაროების არარსებობის გამო მიკენის დროინდელი საბერძნეთის რეალური ისტორიის შესახებ თითქმის არაფერია ცნობილი.

მიკენზე დიდი გავლენა ჰქონდა კრეტას. მიუხედავად იმისა, რომ მიკენის მოსახლეობის ენა საფუძვლიანად განსხვავდებოდა კრეტელთა ენისგან, მიკენელებმა მათგან ისესხეს დამწერლობა და თავიანთი ენის თავისებურებებს მიუსადაგეს. ამ ორი ხალხის კულტურა ძალზე ახლოს არის ერთმანეთთან.

ძვ. წ. დაახლოებით 1200 წლის შემდეგ მიკენის ძალაუფლება თანდათან დასუსტდა. არქეოლოგიური გათხრების მონაცემები მოწმობს, რომ საბერძნეთის სამხრეთ ნაწილში ხანძარმა სასახლეები გაანადგურა; მიკენის სასახლეებიც ცეცხლმა მოიცვა.

ამ კატასტროფას ჩრდილოეთიდან ბერძენთა ტომის, დორიელების შემოსევას უკავშირებენ. მიკენის მოსახლეობა მცირე აზიაში და სხვა ტერიტორიებზე გაიფანტა და იქ კოლონიები დააარსა.

წყარო Დ 1. ქალაქ მიკენის "ლომის ჭიშკარი", ძვ. წ. XIII ს., 2. მიკენური ხმლები და თასები, 3. ოქროს ფინჯანი, ათენის არქეოლოგიური მუზეუმი, საბერძნეთი

• *წყარო Დ-ზე დაყრდნობით იმსჯელე, ხელოსნობის რომელი დარგები იყო განვითარებული მიკენში.*

ცნობა 2 ხაზოვანი დამწერლობა

კრეტასა და მიკენში აღმოჩნდა ორი სახის დამწერლობა, რომელთაც მოხაზულობის მიხედვით A ხაზოვანი და B ხაზოვანი უწოდეს. B ხაზოვანი დამწერლობა გაშიფრულია – მისი ენა ბერძნული აღმოჩნდა. A ხაზოვანი დამწერლობის გაშიფვრა კი ვერ მოხერხდა. მისი ენა დღემდე დაუდგენელია, თუმცა ამ წარწერებში არის ბერძნული საკუთარი სახელები.

ლექსიკონი

ინდოევროპელები – ხალხები, რომლებიც რომელიმე ინდოევროპულ ენაზე (ინდურზე, ირანულზე, ბერძნულზე...) მეტყველებდნენ.

კოლონიზაცია – თავისუფალი მიწების დასახლება და ათვისება საკუთარ ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ.

რვეულში დახაზე ორსვეტიანი ცხრილი. ერთ სვეტში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ჩაწერე უკვე ნასწავლი ცივილიზაციებისა და კულტურების არსებობის პერიოდები, მეორეში კი – მათი გავრცელების არეალები.

ელინური მითები და ჰომეროსის პოემები

ამ გაკვეთილით გაეცნობი ბერძენი ხალხის მიერ ზეპირად შექმნილ მითებს; ასევე გაიგებ, ვინ იყო ჰომეროსი და რა დაწერა მან.

ბერძნული მითები

"მითი" ბერძნულად "ამბავს", "მონათხრობს" ნიშნავს. ბერძნები მითს ისეთ ამბავს უწოდებდნენ, რომელშიც ღმერთების საქმიანობის შესახებ იყო საუბარი. როგორ შექმნეს ღმერთებმა სამყარო? როგორ წარმოიშვა ესა თუ ის საგანი ან მოვლენა? ვინ შექმნა ადამიანი და რისთვის? ყველაფერი ეს მითის თემაა. მაგრამ მითებში ღმერთებთან ერთად ნახევარღმერთები და ღმერთების რჩეული ადამიანებიც (ბერძნულ მითებში მათ გმირები ეწოდებათ) მონაწილეობენ. მითები მოგვითხრობს ასევე ღმერთებისა და გმირების საქმიანობაზე, მათ ურთიერთობაზე, ხშირად – მათ შორის არსებულ წინააღმდეგობებსა და მტრობაზედაც კი. ბერძნული მითები რელიგიას შეერწყა. ისინი თაობიდან თაობას ზეპირად გადაეცემოდა. მოგვიანებით ძველმა ბერძენმა და რომაელმა მწერლებმა მითები ჩაიწერეს და მათში მოთხრობილი ამბები თავიანთი ნაშრომების მთავარ სიუჟეტებად გამოიყენეს.

მითებიდან ვიგებთ, რომ ძველი ბერძნული პანთეონი ღმერთების ორი თაობისგან შედგებოდა. პირველი თაობა ზევსს და მის და-ძმებს მოიცავდა, ხოლო მეორე თაობას ზევსის შვილები შეადგენდნენ. მითების თანახმად, მათი ნაწილი ოლიმპის მთაზე ბინადრობს.

ცნობა 1 **ძველი ბერძნული პანთეონი**

ღმერთების პირველი თაობა	
ზევსი – მთავარი ღვთაება. ზეცისა და ჭექა-ქუხილის მბრძანებელი **დემეტრა** – ნაყოფიერების ქალღმერთი **ჰერა** – ზევსის მეუღლე. ზეცის ქალღმერთი	**ჰადესი** – მიწისქვეშეთის (გარდაცვლილთა საუფლოს) მბრძანებელი **პოსეიდონი** – წყლის ღმერთი **ჰესტია** – ოჯახისა და კერიის ქალღმერთი
ღმერთების მეორე თაობა	
აფროდიტე – სიყვარულის ქალღმერთი **აპოლონი** – მუსიკის ღმერთი, მუზების წინამძღოლი **არესი** – ომის ღმერთი **არტემისი** – ნადირობისა და ბუნების ქალღმერთი **ათენა** – სიბრძნის ქალღმერთი **დიონისე** – ღვინის ღმერთი	**ჰებე** – ოლიმპოს ღმერთების მერიქიფე, სიყმაწვილის ქალღმერთი **ჰეფესტო** – მჭედლების ღმერთი **ჰერმესი** – ზეციური შიკრიკი, მოგზაურებისა და ვაჭრების მფარველი ღმერთი **პერსეფონე** – გაზაფხულისა და სიკვდილის ქალღმერთი

დასახელებული მთავარი ღმერთების გარდა, სხვა რანგის ღმერთების, ნახევარღმერთებისა და გმირების საქმიანობა და ჩადენილი გმირობები, ძველი ბერძნების რწმენით, მათ ყოველდღიურ ცხოვრებას განსაზღვრავდა. ოლიმპიელი ღმერთები ადამიანების ცხოვრებაში აქტიურად ერეოდნენ; მათ უბრალო მოკვდავთა მსგავსად უყვარდებოდათ, უხაროდათ, შურდათ; მათსავით იტანჯებოდნენ, ბრაზობდნენ და ა. შ. ღმერთების ასეთი საქციელი არაერთ ძველბერძნულ მითშია გადმოცემული.

მეცნიერები საბერძნეთის ისტორიისა და ბერძენი ხალხის რწმენა-წარმოდგენების შესწავლისას მითებსაც იყენებენ. ზღაპრული საბურვლით შემოსილ ლეგენდებში რეალური ამბები და ცოდნაა დალექილი.

ჰომეროსი

პირველი ბერძენი პოეტის, ჰომეროსის ზუსტი ვინაობა გაურკვეველია. მეცნიერთა ვარაუდით, მას ძვ. წ. VIII საუკუნეში უნდა ეცხოვრა. გადმოცემით, ჰომეროსი ბრმა იყო.

ჰომეროსის სახელს უკავშირდება ორი დიდი პოემა – "ილიადა" და "ოდისეა". ეს ეპოსები არა მხოლოდ ბერძნული ლიტერატურის პირველი წერილობითი ძეგლებია, არამედ ევროპული ლიტერატურის დასაბამიც. არსებობს აზრი, რომ ჰომეროსმა ეს პოემები მანამდე ზეპირად არსებული ცალკეული სიმღერების საფუძველზე შეთხზა და ისინი მხოლოდ მოგვიანებით, ძვ. წ. VI საუკუნეში, ჩაწერეს, რადგან ჰომეროსის დროს დამწერლობა ჯერ კიდევ არ არსებობდა.

სავარაუდოდ, პირველად ჰომეროსმა "ილიადა" შეთხზა. იგი 24 თავისგან (ან სიმღერისგან) შედგება და 15 700 სტრიქონს შეიცავს. "ილიადა" მოგვითხრობს ქალაქ ილიონიდან (აქედან მომდინარეობს პოემის სახელიც), იმავე *ტროადან*, მშვენიერი ელენეს გამოსახსნელად ბერძენი ტომების გაერთიანებულ ლაშქრობაზე. ომი ათ წელს გრძელდებოდა, მაგრამ პოემაში მხოლოდ მეათე წელს მომხდარი ბრძოლები და ამბებია მოთხრობილი.

წყარო ა **ჰომეროსის ბიუსტი, ბრიტანეთის მუზეუმი**



წყარო ბ **ტროას ომის მიზეზი ჰომეროსის "ილიადას" მიხედვით**

თესალიის მეფე პელევსისა და ზღვის ქალღმერთ თეტისის ქორწილზე ყველა ღმერთი და ქალღმერთი იყო მიწვეული, გარდა განხეთქილების ღვთაება ერისისა. შეურაცხყოფილმა ერისმა სუფრაზე ჩამოაგდო ოქროს ვაშლი, რომელზედაც ეწერა: "უმშვენიერესს". ამ ვაშლის გამო დიდებულ ქალღმერთებს – ჰერას, ათენასა და აფროდიტეს – შორის ცილობა ატყდა. დავის გადასაწყვეტად მათ ზევსს მიმართეს. ზევსმა არჩევნის გაკეთება პარისს, ტროას მეფე პრიამოსის ძეს დააკისრა. პარისი მოიხიბლა ქალღმერთების ბრწყინვალებით და სამივეს მოუსმინა. ჰერამ ვაშლის მიკუთვნების სანაცვლოდ მას მთელი აზიის მეფობა აღუთქვა, ათენამ – ბრძოლაში ძლევამოსილება, აფროდიტემ კი – მოკვდავთა შორის უმშვენიერესი ელენეს ქმრობა. პარისმა ოქროს ვაშლი აფროდიტეს არგუნა და ქალღმერთი მისი მფარველი გახდა, ხოლო ჰერა და ათენა მისი მოძულენი შეიქნენ.

მშვენიერი ელენე სპარტის მეფე მენელაოსის ცოლი იყო. აფროდიტეს ხელშეწყობით სპარტაში სტუმრად ჩასულმა პარისმა ელენე მოიტაცა და ტროაში წაიყვანა.

მენელაოსს ბერძენი ტომები გამოესარჩლნენ და ტროასკენ სალაშქროდ გაემართნენ. ამ ომში ბერძნებმა გაიმარჯვეს და მშვენიერი ელენე მენელაოსს დაუბრუნეს.

- *როგორ ფიქრობ, ვის მხარეს დაიჭერდა ამ ომში აფროდიტე? ჰერა და ათენა?*
- *კლასში იმსჯელეთ, წყარო ბ-ში მოთხრობილ ამბავში რა შეიძლება იყოს სინამდვილე და რა – გამონაგონი.*
- *ჰომეროსის პოემის ამ ამბის მიხედვით არსებობს გამონათქვამი "განხეთქილების ვაშლი". შენი აზრით, რას ნიშნავს ეს გამოთქმა და რა შემთხვევაში იყენებენ მას?*

დიდი ხნის განმავლობაში ტროა ზღაპრული მხარე ეგონათ, "ილიადაში" მოთხრობილი ამბები კი – მხოლოდ მითი. მოხალისე არქეოლოგ ჰაინრიხ შლიმანს (1822-1890) იმდენად სჯეროდა ტროას არსებობა, რომ საკუთარი ხარჯით (იგი მდიდარი ვაჭარი იყო) გათხარა ტერიტორია, სადაც ტროა ეგულებოდა, და მართლაც იპოვა უზარმაზარი გალავნის მქონე ქალაქის ნაშთები. ტროას აღმოჩენიდან საუკუნეზე მეტი გავიდა, თუმცა 1870 წელს დაწყებული გათხრები დღემდე გრძელდება.

დღეს აღარავის ეპარება ეჭვი, რომ "ილიადას" ამბები ისტორიულ სინამდვილეს ეფუძნება, თუმცა ტროას ბევრი გმირი შესაძლოა არა რეალური, არამედ მითური პერსონაჟი იყოს.

მკვლევართა აზრით, ჰომეროსის მეორე პოემა – "ოდისეა" – "ილიადას" შემდეგ არის შეთხზული. თუმცა ზოგი იმასაც ფიქრობს, რომ იგი სულაც არ ეკუთვნის ჰომეროსს, რადგან ძალიან განსხვავდება "ილიადასგან". "ომი და მშვიდობა" – ზოგჯერ ასე უწოდებენ ამ ორ ეპოსს. თუმცა ასეთი დახასიათება მთლად ზუსტი არ არის. მართალია, "ოდისეაში" არ ომობენ, მაგრამ მკითხველი მასში მშვიდობას ნაკლებად ნახავს – იგი ხიფათით არის სავსე. ამასთანავე, თუმცა "ილიადაში" სისხლისმღვრელი ომია აღწერილი, ბრძოლებს ბევრი მშვიდობიანი ამბავიც ენაცვლება. "ილიადა" ისე მთავრდება, რომ მკითხველმა არ იცის, რა ბედი ეწია ტროას – ქალაქ ილიონის კედლები ჯერ კიდევ დგას. ილიონის ხანძრის შესახებ იგი "ოდისეადან" იგებს.

წყარო 8 **"ოდისეა" ასე იწყება:**

"იმ კაცზე მიამბე, მუზავ, მრავალნაცადზე, რომელმაც ბევრი იხეტიალა
მას შემდეგ, რაც ტროას ღვთიური ციხესიმაგრე დაანგრია..."

"ოდისეა" 24 თავისა და 12 110 სტრიქონისგან შედგება. როგორც პოემის სახელწოდება მოწმობს, მისი მთავარი გმირი ოდისევსია.

"ოდისეას" მიხედვით, ოდისევსი იყო ერთი პატარა კუნძულის, ითაკას მეფე, რომელიც თავის მცირერიცხოვან რაზმთან ერთად ტროაში საბრძოლველად წავიდა. ბევრი ბერძენი გმირი დაბრუნდა სამშობლოში ილიონის დანგრევის შემდეგ; მხოლოდ ოდისევსს გაუხანგრძლივდა უკანა გზაზე ხეტიალი – ზღვათა ღმერთი პოსეიდონი, რომელსაც მან შვილი პოლიფემე დაუბრმავა, უგზო-უკვლოდ ატარებდა ზღვაზე. თუმცა ფათერაკებით აღსავსე მთელი ეს გზა ტროადან ითაკამდე მხოლოდ სატანჯველი არ ყოფილა: ოდისევსმა არაერთი კუნძული ნახა და ბევრი ხალხი გაიცნო. უამრავი განსაცდელის გამოვლით მან დიდი გამოცდილება შეიძინა, რითაც ზედწოდება "მრავალნაცადი" დაიმსახურა.

- *გამოთქვი მოსაზრება: რა მნიშვნელობა ჰქონდა მითებს ძველ საბერძნეთში?*

ლექსიკონი

ლაპიდარული – აქ: ქვაზე ამოკვეთილი.

ტროა – ანუ ილიონი, ქალაქი მცირე აზიაში, დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე.

კლასში ჯგუფებად გაიყავით; ინტერნეტის, საბავშვო ენციკლოპედიის, დამატებითი ლიტერატურის დახმარებით მოიძიეთ ერთ-ერთი ბერძნული მითი და ერთი კვირის შემდეგ კლასში განიხილეთ, რა რეალური ისტორიული მოვლენაა ასახული ან რა სასწავლო-შემეცნებითი აზრია თქვენ მიერ შერჩეულ მითში.

გავგამელას ბრძოლა (331 წ.)

ბერძენ-სპარსელთა საომარი დაპირისპირება ძველი მსოფლიოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე და მასშტაბური მოვლენაა. უკვე გაქვს გარკვეული წარმოდგენა ამ ხალხების ისტორიის, საზოგადოებრივი წყობისა და კულტურის თავისებურებების შესახებ. დღეს გაეცნობი მათ საბრძოლო ხელოვნებას ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ბრძოლის მაგალითზე, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის გაფართოებაში თითქმის მთელი აზიის მასშტაბით.

ძვ. წ. IV საუკუნეში ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოები ზღვაზე ბატონობისთვის ერთმანეთს ხშირად ეომებოდნენ. ამ ომების დროს სხვადასხვა შემადგენლობის კავშირები იქმნებოდა, მაგრამ მალევე იშლებოდა. გამუდმებული მეტოქეობა ქალაქ-სახელმწიფოებს ასუსტებდა. ძვ. წ. 359 წელს მაკედონიის მეფე გახდა ფილიპე, ალექსანდრე მაკედონელის მამა. მოხერხებულმა და ჭკვიანმა ფილიპემ ისარგებლა პოლისების ქიშპობით და ერთმანეთის მიყოლებით ზოგი პოლისი მშვიდობიანი გზით, ზოგიც ძალით დაიმორჩილა. ათენის იმჟამინდელმა მმართველმა დემოსთენემ ფილიპეს წინააღმდეგ რამდენიმე ქალაქი გააერთიანა, მათ შორის იყო თებეც, ფილიპეს ძველი მოკავშირე. ძვ. წ. 338 წელს ქერონეასთან მაკედონიის ჯარებსა და მოკავშირეებს შორის გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა. ფილიპეს კარგად გაწვრთნილმა ჯარმა და ძლიერმა კავალერიამ სასტიკად დაამარცხა მოწინააღმდეგენი. გამარჯვებულმა ფილიპემ თებეზე დაუნდობლად იძია შური, ხოლო ათენი იძულებით ზავზე დაითანხმა. ბერძნული პოლისების დამოუკიდებლობას, ფაქტობრივად, ბოლო მოეღო, რასაც ბერძნები თავისუფლების დაკარგვად აღიქვამდნენ. ძვ. წ. 337 წელს ფილიპეს ინიციატივით კორინთოში ჩატარდა ბერძნული პოლისების წარმომადგენელთა ყრილობა, რომელზედაც დააფუძნეს "კორინთოს კავშირი". ამ კავშირის მიზანი იყო საერთო ძალით ბერძნული სახელმწიფოების მშვიდობის დაცვა. მისი წინამძღოლობა დაევალა ფილიპე მაკედონელს. ფილიპეს უეცარი გარდაცვალების შემდეგ კავშირმა მხედართმთავრობა ფილიპეს ვაჟს, ალექსანდრე მაკედონელს გადასცა.

ალექსანდრე მაკედონელის დაპყრობითი ლაშქრობები აზიაში

ძვ. წ. 334 წელს ალექსანდრე მაკედონელმა (356-323) გადალახა ჰელესპონტის სრუტე და მაკედონიისა და მოკავშირეების ჯარებით სპარსეთის სამფლობელოებში შეიჭრა. პირველი ორი წლის განმავლობაში მან დაიპყრო მცირე აზია, სირია, პალესტინა, ეგვიპტე. შემდეგ შუამდინარეთში გადავიდა. გადამწყვეტი ბრძოლა მაკედონელთა და სპარსელთა შორის მოხდა ძვ. წ. 331 წელს, გავგამელასთან.

ცნობა 1 ალექსანდრე მაკედონელის არმია გავგამელას ბრძოლის წინ

ალექსანდრე მაკედონელის არმიაში სხვადასხვა ბერძნული ტომის შენაერთი შედიოდა. ეს იყო საუკეთესოდ გაწვრთნილი, დისციპლინირებული და გამარჯვების რწმენით აღსავსე მეომართა ერთობა. არმიის მთავარი დამრტყმელი ძალა იყო მძიმედ აღჭურვილ მხედართა კორპუსი. იგი შედგებოდა უმეტესად ჰეტაირების ანუ "თანამზრახველებისგან". მათ რიგებს ავსებდნენ მაკედონელი წარჩინებულების წარმომადგენლები. მხედრობა იყოფოდა 16 შენაერთად (თითოში 200 ცხენოსანი); არმიის მეორე დანაყოფს შეადგენდნენ ე. წ. წინამსრბოლელები. ესენი მსუბუქად შეიარაღებული ცხენოსნები იყვნენ. მათ ევალებოდათ: 1. დაზვერვა და 2. დამარცხებული მოწინააღმდეგის დევნა.

საბრძოლო წყობისას ფალანგის ფრთებზე მძიმედ შეიარაღებული მხედრობა იდგა. ამათგან მარჯვენას ყოველთვის ალექსანდრე წინამძღოლობდა. ქვეითებიც აღჭურვილობის მიხედვით იყოფოდნენ მძიმე, საშუალო და მსუბუქ ნაწილებად.

- *გამოთქვი შენი მოსაზრება, რატომ იდგა ფალანგის ფრთებზე მძიმედ შეიარაღებული მხედრობა?*

წყარო ა **მაკედონელთა აღჭურვილობა**

ცნობა 2 **აქემენიანთა სპარსეთის არმია გავგამელას ბრძოლის წინ**

სპარსელთა არმია შედგებოდა 3 ნაწილისაგან: 1. სამეფო გვარდია (ათიათასკაციანი მუდმივი ჯარი) – ე. წ. "უკვდავნი"; 2. ცხენოსანი ჯარი; 3. სატრაპიებიდან (დაპყრობილი ოლქებიდან) გამოყვანილ მეომართა შენაერთები. საჯარისო ნაწილები იყოფოდა ათასეულებად, ასეულებად და ათეულებად.

სპარსელთა ჯარის მთავარი იარაღი იყო მშვილდ-ისარი. ამიტომ საბრძოლო წყობა სიღრმეში არ აღემატებოდა 4 მწკრივს. ბრძოლას სპარსელები იწყებდნენ ისართა სეტყვით მოწინააღმდეგის მიმართულებით. როგორც კი მტრის რიგებს გაარღვევდნენ, შეტევაზე გადადიოდნენ. მსუბუქად შეიარაღებული სპარსელები შეუდარებელი იყვნენ ხელჩართულ ბრძოლაში.

● *ახსენი, რატომ ეწყობოდნენ სპარსელთა მშვილდოსნები მხოლოდ ოთხ მწკრივად?*

წყარო ბ **1. სპარსელთა სამეფო გვარდია, ე. წ. "უკვდავნი";**
2. სპარსელთა საბრძოლო ეტლი

1



2

"უკვდავნი"

ცნობა 3 **მაკედონელთა და სპარსელთა ლაშქრების შემადგენლობა გავგამელას ბრძოლის წინ**

ლაშქარი	ქვეითი	ცხენოსანი	საბრძოლო ეტლი	საბრძოლო სპილო
მაკედონელები	40 ათასი	7 ათასი	0	0
სპარსელები	60-დან 80 ათასამდე	12-15 ათასი	100	15

წყარო გ **რომაელი ავტორი რუფუსი (ახ. წ. I ს.) "ალექსანდრეს ისტორიაში" აღწერს სპარსელთა ლაშქარს:**

დარიოსის არმიაში აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ერთად შეყრილი ნაირ-ნაირი ტომის მებრძოლები ირეოდნენ. თვალს ჭრიდა მათი მდიდრული სამოსი, ოქროსა და იარაღის ელვარება. ასეთი სიმრავლე ჯარისა მხოლოდ იმ ხალხებს აშინებდა, რომლებიც *სპარსელებს ჰგავდნენ*. მაკედონელების წყობას კი აშკარა უპირატესობა ჰქონდა – რჩეულ მეომართა მტკიცედ შეკრული რიგები საიმედოდ იყო დაცული ფარებითა და შუბებით.

შენიშვნა: "სპარსელებს ჰგავდნენ" *– ავტორს მხედველობაში ჰყავს სპარსელთა მიერ დაპყრობილი აზიის ხალხები, რომლებიც სპარსული კულტურის გავლენას განიცდიდნენ.*

წყარო დ **მაკედონელთა საბრძოლო წყობა**



- *აღწერე წყარო დ-ზე გამოსახული არმიის წყობა.*

ლექსიკონი

რეზერვი – სამომავლოდ გაკეთებული მარაგი; აქ: დამატებითი სამხედრო ძალა, რომელიც არ არის ძირითადი ჯარის ნაწილი და შექმნილია საჭიროებისამებრ გამოსაყენებლად.

წყარო ე **სპარსელთა წყობა და ბრძოლის მიმდინარეობა (პლუტარქეს მიხედვით):**

დარიოსმა ცენტრის წინა ხაზზე საბრძოლო ეტლები და სპილოები ჩაამწკრივა, მარჯვენა და მარცხენა ფრთებზე ცხენოსანთა ჯარები განალაგა. ბრძოლის დაწყებისთანავე სპარსელებმა დიდი ზიანი მიაყენეს მაკედონელთა მარცხენა ფრთას. ალექსანდრემ ამას ყურადღება არ მიაქცია და მარჯვენა ფრთიდან მძიმე მხედრობით გმირულად შეუტია სპარსელთა ცენტრს.

- *რა კავშირი აქვს ერთმანეთთან სპარსელთა საბრძოლო იარაღსა და საბრძოლო წყობას?*
- *სწორად მოიქცა თუ არა ალექსანდრე, როცა მარცხენა ფრთას არ მიეშველა? პასუხი დაასაბუთე.*

წყარო ვ **პლუტარქე ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრების აღწერისას მოგვითხრობს გავგამელას ბრძოლის შესახებ:**

გავგამელასთან ბრძოლის წინა ღამეს მაკედონელები მოწინააღმდეგის ჩირაღდნებით განათებულ ბანაკს ზვერავდნენ შორიდან. სპარსელთა მხრიდან, ვით უსაზღვრო ზღვიდან, დრტვინვა და გუგუნი ისმოდა. ალექსანდრეს უხუცესი მეგობრები განაცვიფრა მტრის სიმრავლემ. მათ თქვეს, რომ ძალზე ძნელი იქნებოდა აშკარა თავდასხმით ესოდენ მრავალრიცხოვანი მტრის დამარცხება. მივიდნენ ალექსანდრესთან და ურჩიეს, ღამით დასხმოდნენ მტერს. ალექსანდრემ ღირსსახსოვარი პასუხი გასცა: "მე გამარჯვებას არ ვიპარავ".

* * *

... მტრის წინააღმდეგ შეტევაზე გადასულ ცხენოსნებს სირბილით მიჰყვა ზღვის ტალღებივით მღელვარე მაკედონური ფალანგა. მაგრამ სანამ მეწინავე რაზმები ხელჩართულ ბრძოლაში ჩაებმებოდნენ, ბარბაროსები უკუიქცნენ. მაკედონელები გააფთრებით დაედევნენ მათ. მტრის დამარცხებულ მხედრობას ალექსანდრე სულ უფრო და უფრო ავიწროებდა და შუაგულისკენ ერეკებოდა, სადაც დარიოსი იყო. მთელი ეს შემაძრწუნებელი ამბავი დარიოსის თვალწინ ხდებოდა. დარიოსმა მიატოვა ეტლი, გადაჯდა ცხენზე და გაქცევით უშველა თავს. ამგვარად დასრულდა ეს ბრძოლა და სპარსელთა მბრძანებლობა შეიმუსრა. ალექსანდრე აზიის მეფედ აღიარეს.

წყარო 8 **გავგამელას ბრძოლის სქემა**



ალექსანდრემ ჯარი ორ ხაზად დააწყო. შუაში ჰოპლიტთა ფალანგები მოაქცია. მარჯვენა ფლანგზე ცხენოსანთა მძიმედ შეიარაღებული ჯგუფი დააყენა, მარცხენაზე – მსუბუქი და საშუალო მხედრობა. ფალანგების უკან საშუალო ქვეითთა სარეზერვო ჯგუფები დააყენა; მათ ევალებოდათ ზურგის გამაგრება მოწინააღმდეგის ცხენოსანი ჯარის თავდასხმის შემთხვევაში. წინა ხაზზე მსუბუქი ქვეითები განალაგა.

- *ცნობა 3-ისა და 8 წყაროს მიხედვით წერილობით იმსჯელე ალექსანდრე მაკედონელის საბრძოლო ნაწილების შეთანხმებულ მოქმედებაზე.*
- *შენი აზრით, რა ფაქტორი/ფაქტორები განაპირობებდა ალექსანდრე მაკედონელის არმიის უძლეველობას?*
- *შეაფასე ალექსანდრე მაკედონელის ადამიანური ღირსებები წყარო 3-ს პირველ აბზაცში აღნიშნული მისი პასუხის მიხედვით.*
- *რომელმა სამხედრო შენაერთმა შეასრულა გადამწყვეტი როლი ამ ბრძოლაში? პასუხი დაასაბუთე.*
- *წერილობით იმსჯელე სპარსელთა და მაკედონელთა ჯარების ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ.*

იმსჯელე წერილობით: რა დადებითი გამოცდილება მოუტანა ალექსანდრეს ლაშქრობებმა საბერძნეთს? აზიას? იმსჯელე ურთიერთგავლენაზე: კულტურათა დაახლოება, ახალი სავაჭრო გზები, სამყაროს შესახებ ცოდნის გაფართოება და სხვ.

ძველი ბერძნული დამწერლობა, მეცნიერება და ხელოვნება

შენ უკვე მიიღე გარკვეული ცნობები ძველი ბერძნული კულტურის მნიშვნელოვანი ელემენტების – რელიგიის, მითოლოგიის, მწერლობისა და თეარის შესახებ. ამ გაკვეთილით შეიტყობ ძველი ბერძნული ცივილიზაციის სხვა მონაპოვართა – დამწერლობის, მეცნიერებისა და ხელოვნების შესახებ.

ბერძნული ანბანური დამწერლობა

არქაულ პერიოდში შეიქმნა მსოფლიოში პირველი სრულყოფილი ანბანური დამწერლობა. ბერძნებმა ანბანი ფინიკიელებისგან გადაიღეს. ფინიკიელებს მხოლოდ თანხმოვნები ჰქონდათ, ბერძნებმა მათ ხმოვანი ასოები დაუმატეს. შეიძლება ითქვას, რომ ანბანის გაჩენით დაიწყო კრეტა-მიკენის ხანის შემდგომი ბერძნული ცივილიზაცია. ეს ანბანი მთელი ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში გავრცელდა. მას იყენებდნენ არა მხოლოდ ბერძნები, არამედ სხვა ხალხებიც. შემდგომ იგი ლათინებმაც გადაიღეს, მათგან კი ევროპის ხალხებმა აითვისეს.

წყარო 1 ბერძნული წარწერა, ძვ. წ. II საუკუნე

ბერძნული დამწერლობა დიდად არ განსხვავდება ფინიკიურისგან, რომლისგანაც ის გადაიღეს.

ლექსიკონი

ფილოსოფია (ბერძ. *ფილოსოფია* ანუ *სიბრძნის სიყვარული*) – მეცნიერება ადამიანის, საზოგადოების, აზროვნების განვითარების ზოგადი კანონების შესახებ.

- *ჩამოთვალე შენთვის ცნობილი ანბანური და იეროგლიფური დამწერლობები და უპასუხე შეკითხვას: რა განსხვავებაა ანბანურ და იეროგლიფურ დამწერლობებს შორის?*

მეცნიერება

ბერძნებს აინტერესებდათ სამყაროს შემეცნება. ისინი ცდილობდნენ გაერკვიათ, როგორ წარმოიშვა მსოფლიო წესრიგი ქაოსიდან; აკვირდებოდნენ პლანეტებსა და მზეს, სწავლობდნენ მათ მოძრაობას. ასტრონომიის პირველი გაკვეთილები ბერძნებმა ბაბილონელებისგან მიიღეს და შემდეგ განავითარეს.

თავდაპირველად ბერძნები ყველა მოვლენას ღმერთების ჩარევით ხსნიდნენ, მაგრამ უკვე ძვ. წ. VI ს-იდან მეცნიერები უფრო გონივრულ ახსნას ეძებენ. მათ "ფილოსოფოსებს" უწოდებდნენ. ზოგიერთი ფილოსოფოსი მეცნიერიც იყო: თალეს მილეტელს მზის დაბნელების ზუსტი დროის გამოთვლა შეეძლო; ჰიპოკრატე თანამედროვე მედიცინის ფუძემდებელია. სოკრატე, პლატონი და არისტოტელე იდეალური პოლიტიკური სისტემისა და ადამიანის გონივრული ქცევის განსაზღვრას ცდილობდნენ. ძვ. წ. V ს-ში

ჰეროდოტემ და თუკიდიდემ მოვლენათა კვლევის ისტორიული მეთოდი შექმნეს. ჰეროდოტემ დიდი სიზუსტით აღწერა ბერძენ-სპარსელთა ომები, ხოლო თუკიდიდე პელოპონესის ომის მიზეზების ახსნისას თანამედროვეთა და თვითმხილველთა მონათხრობს ეყრდნობა და სრულებით გამორიცხავს მოვლენებში ღმერთების მონაწილეობას. ძვ. წ. დაახლ. 400 წელს პითაგორა სამოსელმა (ძვ. წ. 570 – დაახლ. 500) მათემატიკისა და გეომეტრიის კანონები დაადგინა. პითაგორას თეორემა დღესაც ცნობილია.

- *მიჩნეულია, რომ სოკრატეს ეკუთვნის სიტყვები: "მე მხოლოდ ის ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი". ბერძენი ფილოსოფოსის როგორი დამოკიდებულება ჩანს ცოდნისა და სამყაროსადმი ამ გამონათქვამში?*

არქიტექტურა

თუ კრეტა-მიკენის ხანა დიდი და ვრცელი სასახლეებით იყო განთქმული, ბერძნული ცივილიზაციის კლასიკური პერიოდი ტაძრების მრავალფეროვნებითა და სიუხვით ხასიათდება.

ძველ ბერძენთა ყოველდღიურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში რელიგიას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა; ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ იმ პერიოდის არქიტექტურული ნაგებობები ძირითადად ტაძრების სახითაა წარმოდგენილი. მათ არა მარტო რელიგიური, არამედ პოლიტიკური დანიშნულებაც ჰქონდა. ეს ტაძრები ხშირად შენდებოდა განსაკუთრებული მოვლენების აღსანიშნავად ან ომში შემწეობისთვის ქალაქის მფარველი ღვთაების სამადლობლად.

წყარო ბ 1. ჰეფესტოს ტაძრის სვეტის ფრაგმენტი, ათენი, 2. ერექთეიონის ტაძრის სვეტის დეტალი, აკროპოლისი, ათენი, 3. ზევსის ტაძრის (ოლიმპია) *კაპიტელი*

ბერძენმა ხუროთმოძღვრებმა სვეტების სამი არქიტექტურული სტილი, ე. წ. ორდერი, განავითარეს, ესენია: დორიული, იონიური და კორინთული. თითოეულ მათგანს თავისი პროპორციები და დეტალები აქვს.

✓ დორიული სტილი მარტივი და სადაა. მას ცენტრალურ საბერძნეთში და კოლონიებში (იტალიასა და სიცილიაში) იყენებდნენ;

✓ იონიური სტილი დახვეწილი და მოხდენილია. მის *კაპიტელს* ვერძის დახვეული რქების სახე აქვს. ეს სტილი საბერძნეთის სამხრეთით და კუნძულებზე იყო გავრცელებული:

✓ კორინთულ ორდერს ყვავილოვანი ჩუქურთმები ამშვენებს. ამ სტილს თავად ბერძნები იშვიათად იყენებდნენ. მას უფრო რომაულ ტაძრებში ვხვდებით.





- *რომელი არქიტექტურული სტილით არის ნაგები პართენონის, ერექთეიონის, ჰეფესტოსა და ზევსის ტაძრები?*

მოხატული კერამიკა და ქანდაკება

წყარო გ **1. ბერძნული *ამფორა*, ძვ. წ. 725-700, ლუვრის მუზეუმი, საფრანგეთი, 2. ღვინის ჭურჭელი ჰერაკლესა და ათენას გამოსახულებებით, ძვ. წ. 540**

კერამიკას ძველი ბერძნები არა მხოლოდ ყოველდღიურ ცხოვრებაში იყენებდნენ, არამედ დიდი რაოდენობით გაჰქონდათ სხვა ქვეყნებშიც. ჭურჭელს ადრეულ ეპოქებში გეომეტრიული ფიგურებით ამკობდნენ, შემდეგ მითოლოგიური (ან ზოგჯერ ყოფითი) სცენებით მოხატული შავფიგურიანი (წითელ ფონზე) და წითელფიგურიანი (შავ ფონზე) ჭურჭლის წარმოება დაიწყეს.



წყარო დ **1. ძვ. წ. V საუკუნის ძველი ბერძნული ქანდაკებები პართენონიდან, ბრიტანეთის მუზეუმი, ლონდონი, 2. სიყვარულისა და სილამაზის ქალღმერთი – აფროდიტე**

ბერძენი მოქანდაკეები განსაკუთრებით დახელოვნდნენ ადამიანის იდეალური სხეულის გამოსახვაში. ქანდაკების ხელოვნება რელიგიის სამსახურში იდგა. საბერძნეთის ქალაქები ღმერთებისა და გმირების – ნახევარღმერთების – ქანდაკებებით იყო მოფენილი.

ლექსიკონი

კაპიტელი – აქ: სვეტისთავი.
ამფორა – თიხის დიდი ჭურჭელი, რომელსაც ვიწრო ყელი და ორი ყური აქვს, ღვინის, ზეთის და სხვა სითხის შესანახად; გავრცელებული იყო საბერძნეთსა და რომში.

1. რვეულში ერთ-ორ აბზაცად ჩამოაყალიბე, როგორ იყო განვითარებული მეცნიერება და ფილოსოფიური აზროვნება ძველ საბერძნეთში.

2. არქიტექტურული თვალსაზრისით შეადარე პართენონისა და ერექთეიონის საკულტო ნაგებობები შუმერულ ზიკურათს და ინდურ სტუპას. შემჩნეული განსხვავებები რვეულში ჩამოწერე.

ეტრუსკები

ამ გაკვეთილით იმ ხალხის ისტორიას, ყოფას, რელიგიასა და კულტურას გაეცნობი, რომელიც რომის აღზევებამდე რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, ძვ. წ. VIII-I საუკუნეებში აპენინის ნახევარკუნძულზე ბატონობდა. მათ ეტრუსკებს ვუწოდებთ.

ვინ იყვნენ ეტრუსკები?

ეტრუსკები მდინარეების – არნოსა და ტიბრის – აუზში სახლობდნენ. ისინი საკუთარ თავს რასენებს, შემოკლებით რასნებს უწოდებდნენ. "ეტრუსკები" ("ტუსკები") ამ ხალხის რომაული სახელია, ხოლო მის სამოსახლო ტერიტორიას ეტრურია ჰქვია (იტალიაში დღემდე არსებობს ამ სახელწოდების მხარე). ეტრუსკების სახელი შემორჩენილია იტალიის ერთ-ერთი მხარის – ტოსკანის (სახელობ. – ტოსკანა) სახელწოდებაში.

ეტრუსკების ისტორია

ეტრუსკების ისტორიაში ბევრი რამ ბურუსით არის მოცული. მათი დამწერლობა გაშიფრულია, მაგრამ ტექსტების ფრაგმენტულობის გამო აზრის ამოკითხვა ვერ ხერხდება. თითქმის ყველაფერი, რაც ეტრუსკების შესახებ არის ცნობილი, რომაელი ისტორიკოსების ნაამბობია.



წყარო 1 ეტრუსკული დამწერლობის ნიმუში

ეტრუსკები ბერძნულ ანბანს იყენებდნენ. მათვე გაავრცელეს ეს ანბანი ლათინებს შორის.

ეტრურია 12 დამოუკიდებელი ქალაქ-სახელმწიფოს კავშირი იყო. თავდაპირველად ქალაქს სათავეში მეფე ედგა, მაგრამ დროთა განმავლობაში მისი ძალაუფლება დასუსტდა და ხელისუფლება არისტოკრატიის ხელში გადავიდა; მეფის ფუნქციები ორ მაღალი თანამდებობის პირს – უმაღლეს მაგისტრსა და ქურუმს შორის განაწილდა.

თითოეული ქალაქი თავის დამოუკიდებელ პოლიტიკას აწარმოებდა როგორც მონათესავე ხალხით დასახლებულ ქალაქ-სახელმწიფოსთან, ისე უცხო სამყაროსთან. არცთუ იშვიათად მათ ერთმანეთთან ბრძოლაც უხდებოდათ.

პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და განცალკევების მიუხედავად, ქალაქები თავიანთ ეროვნულ ერთიანობას რელიგიურ დღესასწაულებზე ავლენდნენ. ეტრუსკული მოდგმის თორმეტი ტომი პერიოდულად ღვთაება ველტუნას ტაძარში რელიგიური ცერემონიალის ჩასატარებლად იკრიბებოდა. იქვე განიხილებოდა ყველა საჭირბოროტო საკითხი, რომლებიც ქალაქების ერთმანეთთან ურთიერთობას ეხებოდა.

ეტრუსკული ქალაქები კეთილმოწყობილი იყო; ზოგიერთ მათგანში კანალიზაციის ნაშთები აღმოჩნდა.

უსაფრთხოების მიზნით ეტრუსკულ ქალაქებს ხშირად მიუწვდომელ მაღლობებზე აშენებდნენ. ზემოთ ცხოვრობდნენ, ქვემოთ კი სამარხები (ნეკროპოლი – "მკვდართა ქალაქი") ჰქონდათ. ქალაქს ძლიერი კედელი ერტყა. ზოგჯერ ეტრუსკები მდინარის დელტაზე სახლდებოდნენ, რათა წყლის მეშვეობით საიმედოდ ყოფილიყვნენ დაცული თავდასხმებისგან. ქალაქის შუაგულში აღმართული ტაძარი რელიგიურ-ადმინისტრაციული ცენტრი იყო.

ეტრუსკულმა ქალაქ-სახელმწიფოებმა ძლიერების მწვერვალს ძვ. წ. VII-V საუკუნეებში მიაღწიეს. იმ დროისთვის მათ მცხოვრებთა რიცხვი 2 მილიონი იყო. ისინი რომს შიშის ზარს სცემდნენ. რომაელები ეტრურიის ზღვაზე ნაოსნობას ერიდებოდნენ.

ძველი წელთაღრიცხვის მიწურულს ეტრუსკებმა რომის მოქალაქეობა მიიღეს, რაც მათი რომაელებთან *ასიმილაციის* შედეგი იყო. თუმცა ახ. წ. II ს-მდე ქალაქებში ჯერ კიდევ გაისმოდა ეტრუსკულ ენაზე საუბარი.



წყარო 3 ეტრუსკული ქალაქები

რომაელი მემატიანე ტიტუს ლივიუსი (ძვ. წ. 59–ახ. წ. 17) აღნიშნავდა: "ეტრუსკების იმპერია რომის იმპერიამდე მოიცავდა მნიშვნელოვან სივრცეს ხმელეთსა და ზღვაზე. სახელწოდებები მოწმობს, რომ ისინი ბატონობდნენ ზემო და ქვემო ზღვებზე, რომლებიც გარს უვლიან იტალიას, როგორც კუნძულს. ერთ-ერთ მათგანს იტალიელი ხალხები ტუსკურს უწოდებენ, სხვანი – ადრიატიკულს, რაც ეტრუსკული კოლონია ადრიიდან მომდინარეობს, ბერძნები კი – ტირენულს და ადრიატიკულს. ეტრუსკები ორივე ზღვისკენ გავრცელდნენ და თორმეტ ქალაქად დასახლდნენ".

• *დააკვირდი რუკას. დაასახელე ტიტუს ლივიუსის მიერ "ზემო" და "ქვემო" ზღვებად წოდებული ერთეულების თანამედროვე სახელწოდებები. გამოიყენე ატლასი და იტალიის რუკაზე იპოვე ძველი ეტრუსკული ქალაქების შესაბამისი თანამედროვე ქალაქები. ძველი და ახალი სახელწოდებები რვეულში ჩამოწერე.*

ყოფა, კულტურა და რელიგია

ერთიანი სახელმწიფოს უქონლობის მიუხედავად, ეტრუსკებისთვის სამშობლოს ცნება უცხო არ ყოფილა: თითოეული ეტრუსკის სამშობლო იყო მისი ქალაქი, რომლის დასაცავად ის სიცოცხლეს არ იშურებდა. ამ ხალხის რწმენით, ქალაქი ღმერთის მიერ იყო დაარსებული; ამდენად, მისთვის თავგანწირვა ღმერთის სამსახურად მიიჩნეოდა. რომაელების წარმოდგენით, ეტრუსკები ყველაზე ღვთისმოსავი ხალხი იყო დედამიწის ზურგზე.

ეტრუსკები ცნობილი იყვნენ მკითხაობით. ისინი სხვადასხვა საგნისა თუ მოვლენის მეშვეობით მისნობდნენ: სამსხვერპლო ცხოველის ღვიძლით, ფრინველთა ფრენის მიხედვით და სხვ. ეს ხელოვნება მათგან მეზობელ ხალხებშიც გავრცელდა.

ეტრუსკების ცხოვრებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა მსხვერპლშეწირვას ჰქონდა. გაღმერთებული იყო ქალაქის კედელი და კარიბჭე, ასევე კერძო პირის სახლის კარი. ეწყობოდა საერთო-საქალაქო წვეულებები, სადაც მოქალაქენი და ქალაქის მფარველი ღვთაებები თითქოს ერთად ისხდნენ სუფრასთან.

ღვთაებათა შორის მთავარი იყო დედაღვთაება, რომელიც ქალაქს, სამშობლოს განასახიერებდა. მას "მშობლიური მიწა" ეწოდებოდა და, როგორც ქვეყნის დიასახლისს, შეწირული მსხვერპლის უპირატესი წილი ეკუთვნოდა. რაკი ეტრუსკები ტაძრების მშენებლობისთვის ხის მასალას იყენებდნენ, არც ერთი მათგანი არ შემორჩენილა; ამიტომ ეტრუსკული არქიტექტურაც ნაკლებად არის ცნობილი.

• *შენი აზრით, რატომ მიმართავდნენ ადამიანები ღმერთისთვის მსხვერპლის შეწირვის რიტუალს?*

წყარო 83 1-2. ფრესკები "ლეოპარდების აკლდამიდან", ტარკვინია, მონტეროძის ნეკროპოლისი, ძვ. წ. V ს., 3. ოქროს საყურე, ძვ. წ. VI–V სს., 4. ეტრუსკული შავი კერამიკა (ძვ. წ. VII ს-ის I ნახევარი–V ს.)

1. ეტრუსკული ხელოვნების ძეგლებიდან ჩანს, რომ ბერძენი დიასახლისისგან განსხვავებით, ეტრუსკი დიასახლისი მონაწილეობდა სადღესასწაულო სუფრაში. აქედან ასკვნიან, რომ ეტრუსკი ქალი პატივისცემით იყო გარემოსილი. **2.** ეტრუსკებს ფერადი ქსოვილებისგან შექმნილი სამოსი ეცვათ. უცხოელები აღნიშნავდნენ მათ განსაკუთრებულ სიყვარულს მუსიკისადმი. ეტრუსკები ყოველდღიურ, მოსაწყენ საქმიანობასაც კი მუსიკით იხალისებდნენ. **3.** ეტრუსკების სიმდიდრე ლითონების დამუშავებასა და მისი ნაკეთობებით ვაჭრობას ემყარებოდა. ძველ ბერძნებს ისინი ბრინჯაოს საუკეთესო ოსტატებად მიაჩნდათ. ეტრუსკები ძვირფას ლითონებსაც ამუშავებდნენ. **4.** ეტრუსკები არა მხოლოდ ლითონებით ვაჭრობდნენ, არამედ საუკეთესო ხარისხის ღვინითაც იწონებდნენ თავს. ძვ. წ. VII საუკუნიდან მოყოლებული, მათ გასაყიდად გაჰქონდათ საკუთარი თიხის ნაწარმი, რომელიც შავი ფერისაა და "ბუკეროს" სახელით არის ცნობილი. ამგვარი ჭურჭელი არქეოლოგებმა მრავლად აღმოაჩინეს საფრანგეთში, ესპანეთში, ჩრდილოეთ აფრიკასა და საბერძნეთში სხვადასხვა დროს ჩატარებული გათხრების დროს.

- *მასწავლებლის დახმარებით, მეწყვილესთან ერთად დაადგინე წყარო 82-ის ფრესკაზე გამოსახული მუსიკალური ინსტრუმენტების სახელწოდებები.*
- *როგორც წყარო 83-ზე ხედავ, ოქროს საყურე მცირე ზომის ბურთულებითაა შემკული. ქართული ოქრომჭედლობის შესახებ გასულ წელს შესწავლილი მასალიდან გაიხსენე, რა ეწოდება სამკაულის ამგვარად შემკობის ხერხს და ქართული ოქრომჭედლობის რომელ ნიმუშებზეა ის შემონახული.*

წყარო დ **1. ეტრუსკული წრიული აკლდამის შესასვლელი, ბანდიტაჩიას ნეკროპოლისი, 2. ცოლ-ქმრის სარკოფაგის სახურავი, ლუვრი**

თუ დამწერლობის ძეგლები ძალზე მწირ ცნობებს გვაწვდის ეტრუსკების ისტორიის, მათი ყოფითი და საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ, ხელოვნების ძეგლები ბევრ მნიშვნელოვან რამეს მოგვითხრობენ. ფრესკებმა და ქანდაკებებმა ეტრუსკთა რეალური პორტრეტები დაგვიტოვა. მათი უმრავლესობა აკლდამებში შემორჩა. ესენია გარდაცვლილთა სახეები. დიდი რაოდენობით არის შემონახული სარკოფაგები, რომელთა სახურავებზე მათში დაკრძალულ პირთა გამოსახულებებია აღბეჭდილი.

• *როგორ ფიქრობ, რატომ გამოსახავდნენ ეტრუსკები გარდაცვლილის გამოსახულებებს სარკოფაგის სახურავზე?*

ეტრუსკების სამედიცინო ცოდნა ლათინთა აღტაცებას იწვევდა. ეტრუსკმა ექიმებმა კარგად იცოდნენ ადამიანის ანატომია. რომაელების თვალში ისინი საიმედო მკურნალები იყვნენ; განთქმული იყო მათი წამლებიც. ეტრუსკებისთვის სტომატოლოგიური ცოდნაც არ ყოფილა უცხო: სამარხებში ოქროს ხელოვნური კბილებიც (პროთეზები) არის ნაპოვნი. ეტრუსკები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ დაავადებათა თავიდან ასაცილებლად ჰიგიენის დაცვას, კვებას, ფიზიკურ ვარჯიშებს. მუდმივად იღვწოდნენ ქალაქების მახლობლად ჭაობების ამოსაშრობად და სასმელი წყლის სისუფთავის დასაცავად. სამკურნალოდ თერმულ წყლებსაც იყენებდნენ. ეტრუსკმა ქირურგებმა იცოდნენ თავის ქალაზე ოპერაციების ჩატარება. ნაპოვნია ადამიანის სხვადასხვა ორგანოს გამომსახველი ფიგურები. სამარხებში აღმოჩენილ ბევრ ჩონჩხს ეტყობა ძვლების მოტეხილობისა და მათი შემდგომი შეხორცების კვალი.

ცნობა 1 **ეტრუსკული წამლები**

სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ ეტრუსკები შემდეგ სამკურნალო საშუალებებს იყენებდნენ: აკანთოს ფოთლებს – სისხლდენის შესაჩერებლად; ფიჭვის წვენსა და სათოვლიას – ჭრილობების შესახორცებლად და ტკივილის დასაამებლად; ვალერიანს – საძილედ; აბუსალათინს – ორგანიზმის გასაწმენდად; გვირილას – დასამშვიდებლად; ნიორსა და ხახვს – ნაწლავური ინფექციების საწინააღმდეგოდ.

• *ყურადღებით წაიკითხე ჩამონათვალი და დაასახელე ის სამკურნალო საშუალებები, რომლებიც დღესაც გამოიყენება.*

წერილობით შეადარე ეტრუსკების პოლიტიკური ცხოვრება, ყოფის, კულტურისა და რელიგიის ელემენტები მანამდე შესწავლილი ძველი ხალხების ცხოვრების შესაბამის სფეროებს. ყურადღება მიაქციე სახელმწიფოს მოწყობის ფორმას, სამხედრო საქმისადმი დამოკიდებულებას, ვაჭრობას, ღმერთების ადგილს ყოველდღიურობაში, ქალისადმი მოპყრობას, ყოფაცხოვრებას.

ლექსიკონი

ასიმილაცია – აქ: ერთი ეთნოსის (ერის) შერევა მეორე ეთნოსთან. მისი კულტურისა და ტრადიციების მიღება, შეთვისება; საკუთარის დაკარგვა ან დავიწყება.

რომის დაარსება: ლეგენდები და სინამდვილე

აპენინის ნახევარკუნძულის ხალხთა ისტორიას ეტრუსკების შემდეგ იქ დაარსებული ქალაქ რომის, შემდეგ კი რომის იმპერიის მრავალსაუკუნოვანი და მრავალფეროვანი ეპოქა აგრძელებს. ამ გაკვეთილით ქალაქ რომის დაარსების შესახებ ჩვენამდე მოღწეულ ლეგენდებსა და რეალურ ფაქტებს გაეცნობი.

ლეგენდები რომის დაარსების შესახებ

ქალაქ რომის დაარსების თარიღად ძვ. წ. 753 წლის 21 აპრილია მიჩნეული.

როგორ დაარსდა რომი? ამის შესახებ ძველი მემატიანეები სხვადასხვაგვარ ცნობას გვაწვდიან. ისინი არ აღწერენ საკუთარი თვალით ნანახ ამბავს; მათი მონათხრობი მხოლოდ მითებსა და ლეგენდებზეა დაფუძნებული. რომაელებს მიაჩნდათ, რომ ტროას გმირის, ენეასის შთამომავლები იყვნენ. ტროას დაცემის შემდეგ ენეასმა თავს გაქცევით უშველა და ბოლოს იმ ტერიტორიაზე დასახლდა, სადაც მოგვიანებით რომი დაარსდა.

წყარო ა **რომის დაარსების ლეგენდა, რომელსაც მოგვითხრობს ძველი რომაელი ისტორიკოსი ტიტუს ლივიუსი (ძვ. წ. 59–ახ. წ. 17):**

იქ, სადაც დღეს დიდი ქალაქი რომია გაშენებული, იყო ერთი სამეფო. მოხდა ისე, რომ ტახტის კანონიერი მემკვიდრე მოკლა მისმა უმცროსმა ძმამ, მოკლული ძმის ქალიშვილი კი სამუდამოდ ტაძრის მსახურად აქცია. გარკვეული ხნის შემდეგ ქალს მარსისგან (მარსი არის ომის რომაული ღმერთი) ტყუპი ვაჟი ეყოლა – რომულუსი და რემუსი. მეფემ ვაჟების მდინარე ტიბრში დახრჩობა ბრძანა. ტიბრი მაშინ ადიდებული იყო, ამიტომ მის კალაპოტს ვერ მიუახლოვდნენ და ბავშვები წყლით დაფარულ ნაპირზე დატოვეს. შემდეგ, როცა მდინარის წყალმა დაიხია, ბავშვები ნაპირზე აღმოჩნდნენ. ისინი მგელმა იპოვა და გამოზარდა. როცა ბიჭები გაიზარდნენ, იმ ადგილას, სადაც ისინი მგელმა იპოვა, ქალაქის აშენება გადაწყვიტეს. უთანხმოების ნიადაგზე რომულუსმა მოკლა რემუსი, თავად გამეფდა ამ ქალაქში, რომელსაც მისი სახელი – რომი დაერქვა.

- *რას გეუბნება ლეგენდა რომის დაარსების შესახებ? შეეცადე ამოიცნო მისი აზრი (დანიშნულება).*

- *ახსენი, რას აღნიშნავს ეს ქანდაკება და რატომ დგას იგი სწორედ ამ ადგილას?*

წყარო ბ **ძუ მგლის ქანდაკება კაპიტოლიუმის ბორცვზე**

კაპიტოლიუმზე იყო აკროპოლისი – ძველი რომის რელიგიური და პოლიტიკური ცენტრი.

ტრადიციის თანახმად, რომულუსმა პალატინის ბორცვს, სადაც ქალაქი დააარსა, თხრილი შემოავლო. ეს იყო რომის თავდაპირველი საზღვარი.

ქალაქი დაარსდა, მაგრამ მას მოსახლეობა ესაჭიროებოდა. ამ მიზნით რომულუსმა ფართოდ გაუხსნა კარი დევნილებს, გამოქცეულ მონებს, დამნაშავეებს, რომლებიც მართლმსაჯულებას გაექცნენ, – მათ ისეთივე უფლებები მიანიჭა, როგორიც იქაურ მცხოვრებთ ჰქონდათ. გარშემო მობინადრეებს რომის მოსახლეობა ათვალწუნებული ჰყავდათ და მასთან ნათესაურ ურთიერთობას გაურბოდნენ, რადგან მაწანწალების ბრბოდ მიაჩნდათ. არავის სურდა მათთვის თავიანთი ქალების მითხოვება.

რომულუსმა ასეთ ხერხს მიმართა: გამართა დიდი დღესასწაული თამაშობებითა და ასპარეზობებით და მეზობლად მცხოვრები ხალხებიც მიიწვია, მათ შო

რის რომის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მცხოვრები, საბინელები. როცა სტუმრები დღესასწაულში იყვნენ ჩაბმული, დათქმულ ნიშანზე რომაელები თავს დაესხნენ უიარაღო საბინელებს და დახოცეს, მათი ქალები კი ცოლად მოიყვანეს.

რომულუსმა რომის მოსახლეობაში წინაპრებით წარჩინებულნი, სიქველითა და სიმამაცით ცნობილნი გამოარჩია – მათ **პატრიციები** ეწოდათ. მათი მოვალეობა იყო სახელმწიფო საქმეებისა და რელიგიური რიტუალების წარმართვა, კანონმდებლობის შემუშავება და კონტროლი. თავად პატრიციებიდან რომულუსმა 100 უხუცესი გამოყო და მათ კრებულს **სენატი** უწოდა. სენატორთაგან ერთი მან სახელმწიფოს მმართველად დანიშნა. ვინც თავისი წარმოშობა არ იცოდა, **პლებეები** იყვნენ. მათი საქმიანობა მიწათმოქმედება, მეჯოგეობა და ხელოსნობა იყო. რომულუსმა პლებეების პატრონობა პატრიციებს მიანდო, რომ ისინი და მათი შრომა მტრისგან დაეცვათ. მათ ერთმანეთთან მშვიდობიანი ურთიერთობა უნდა ჰქონოდათ.

- *რვეულში ააგე სქემა, რომელზედაც ასახული იქნება რომულუსის მიერ ჩამოყალიბებული საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის ურთიერთდამოკიდებულება.*

წყარო გ **რომულუსის გაუჩინარება**

ბერძენი ისტორიკოსის, პლუტარქეს (დაახლ. 46/50–125/127), ცნობით, რომულუსმა თავის დაარსებულ ქალაქში 37 წელი იმეფა. ერთხელ, როცა იგი, როგორც პირველი ქურუმი, მსხვერპლს სწირავდა სენატისა და მოქალაქეთა თანდასწრებით, უეცრად ჰაერი შეიძრა, მიწაზე ღრუბელი დაეშვა და ქარბორბალა დატრიალდა. შეშინებული ხალხი სხვადასხვა მხარეს გაიქცა. მოგვიანებით ღრუბელი გაიფანტა, მაგრამ რომულუსი აღარსად ჩანდა. იგი ვერც მკვდარი ნახეს და ვერც ცოცხალი.

- *როგორ ფიქრობ, რატომ შეიქმნა ლეგენდა რომულუსის გაუჩინარების შესახებ?*

არქეოლოგია რომის დაარსების შესახებ

იტალიის ყველაზე წყალუხვი მდინარის, ტიბრის ქვემოწელზე, შესართავიდან 25 კმ-ის დაშორებით, შვიდი ბორცვი მდებარეობს. ძვ. წ. IX ს-ში იქ ლათინები დასახლდნენ. ნაოსნობისთვის მდინარისა და ზღვის სიახლოვე იყო ხელსაყრელი, ხოლო ბორცვებს მტრის შემოსევის დროს აფარებდნენ თავს. ადრეული რომი ბორცვებზე გაშენებული პატარა სოფლებისგან შედგებოდა. ეს სოფლები ძვ. წ. VIII ს-ში გაერთიანდა და ქალაქი რომი წარმოიქმნა. კაპიტოლიუმის ბორცვზე თავდაცვისთვის აუცილებელი ციხესიმაგრე აიგო, ხოლო ქალაქის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ადგილი ფორუმის მოედანი იყო.

წყარო დ **1. რომის შვიდი ბორცვი,**
2. საცხოვრებელი ქოხების კვალი,
3. სერვიუსის გალავნის ნაწილი დღეს
4. ფორუმის მოედანი დღეს

1. ძვ. წ. VI ს-ში რომში ეტრუსკული წარმომავლობის მეფეები ბატონობდნენ. ერთ-ერთი მათგანის, სერვიუს ტულიუსის (ძვ. წ. 578–534/533) სახელი ეწოდა ძვ. წ. IV ს-ში ქალაქის მტრისგან დასაცავად აგებულ გალავანს.
2. პალატინის ბორცვზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად ძვ. წ. VIII ს-ის ქოხების კვალი აღმოჩინეს.
3. სერვიუსის გალავნის სიგანე 3.6 მ იყო, პერიმეტრი 11 კმ-ს უდრიდა. გალავანს 12 კარიბჭე ჰქონდა. გალავანი ▶

ტუფის ქვებითაა აგებული. თავდაცვის გასაძლიერებლად ქალაქს თხრილიც ჰქონდა შემოვლებული. გალავნის ყველაზე სუსტი ადგილი ჩრდილოეთის მხარე იყო. აქ დამცველებისთვის აგებული იყო მიწაყრილი, რაც ზრდიდა გალავნის სიგანეს. მიწაყრილზე, თაღის ქვეშ იდგა საბრძოლო მანქანები – კატაპულტები. **4.** ფორუმის ადგილას თავდაპირველად ჭაობი იყო. ქალაქის პირველმა მცხოვრებლებმა აქ წყალსადინარი გაიყვანეს, რამაც ჭაობის დაშრობას შეუწყო ხელი. ასე წარმოიქმნა ვაკე ადგილი, რომელიც მალე ტაძრებით, სავაჭრო დუქნებითა და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებით გაივსო. ფოტოზე ჩანს რომის ფორუმზე გამავალი "წმინდა გზა" (via sacra), რომელიც ფორუმის გავლით კაპიტოლიუმის ბორცვზე მდებარე იუპიტერის ტაძრისკენ მიდიოდა. ფორუმზე იკრიბებოდა სენატი; იქვე იყო ტაძრები, სახელმწიფოებრივი დანიშნულების შენობები და სხვა ნაგებობები. ფორუმი გაანადგურა 64, 191 და 283 წლების ხანძრებმა. VII საუკუნიდან აქ ყველაფერი მიტოვებული იყო. შუა საუკუნეებში შენობათა სვეტები და ნაშთები მიწაში ჩამარხეს, ფორუმი კი საძოვრად აქციეს. მეტ-ნაკლებად უკეთ შემორჩენილი შენობები ეკლესიებად გადააკეთეს.

2

3

4

- *რით იყო მიმზიდველი რომის მდებარეობა?*
- *რამდენ ბორცვს მოიცავდა ქალაქის გალავანი?*

ლექსიკონი

პატრიციები – ისინი, ვინც თავიანთი წინაპრები იცი-ან, სიტყვასიტყვით – "მამის მცოდნენი".

სენატი (ლათ. *სენატუს* – უხუცესთა კრებული) – უმაღლესი ხელისუფლების სახელმწიფო ორგანო ძველ რომში.

პლებეი – დაბალი წრის წარმომადგენელი, პირადად თავისუფალი ადამიანი ძველ რომში.

1. რომაელი ისტორიკოსი ტაციტუსი (55-116) თავის "რომის ისტორიაში" ქალაქის შესახებ წერდა: "ეს ადგილი ღმერთებსა და ადამიანებს შემთხვევით არ აურჩევიათ: ბორცვები ჯანსაღი ჰავით; მდინარე, რომლითაც ქვეყნის შიგა ნაწილებიდან სხვადასხვა საქონელი ჩამოაქვთ; ზღვის სიახლოვე; ცენტრალური მდებარეობა მთელ იტალიაში". ამ ციტატის საფუძველზე რვეულში ჩაწერე, როგორ ცხოვრობდნენ და რა საქმიანობას მისდევდნენ უძველესი რომის მცხოვრებნი.

2. შეადარე ერთმანეთს რომის დაარსების შესახებ ლეგენდები და არქეოლოგიური გათხრების მონაპოვარი. კლასში იმსჯელე, ადასტურებს თუ არა მეცნიერება ლეგენდებს.

რომის არმია

ამ გაკვეთილიდან შეიტყობ, როგორ იყო მოწყობილი ჯარი და რა როლს ასრულებდა იგი რომის იმპერიის ცხოვრებაში.

რომის იმპერია სამხედრო ძალაზე იყო დამყარებული. საუკუნეების განმავლობაში რომს მსოფლიოში უძლიერესი არმია ჰყავდა. როგორ შეიქმნა იგი?

ჯარი თავდაპირველად იყო გაწვევითი, ჯარში მხოლოდ რომის მოქალაქეები მსახურობდნენ, მაგრამ ვინაიდან ომი რომის სახელმწიფოში ძალიან ხანგრძლივად მიმდინარეობდა, საჭირო გახდა მუდმივი *პროფესიული* არმიის ჩამოყალიბება. ძვ. წ. 107 წ. რომაელი პოლიტიკოსისა და მხედართმთავრის, მარიუსის რეფორმის შედეგად ჯარი გახდა პროფესიული, მასში უკვე არა მარტო მოქალაქეები, არამედ პროვინციების (იმპერიის მიერ დაპყრობილი და შემოერთებული ტერიტორიების) მცხოვრებლებიც მსახურობდნენ, როგორც დაქირავებული ჯარისკაცები.

რომაელ ჯარისკაცს ჯარში 25 წელი მაინც უნდა ემსახურა. ამ ხნის განმავლობაში მას არ ჰქონდა ცოლის მოყვანის უფლება. ვაჟკაცობითა და ჭკუით გამორჩეულ ჯარისკაცებს ცენტურიონებად (ცენტურიის უფროსებად) ნიშნავდნენ.

რომის არმია დიდი საჯარისო დანაყოფებისგან, ლეგიონებისგან შედგებოდა, რომლებიც, თავის მხრივ, უფრო მცირე დანაყოფებისგან შედგებოდა. სულ 30-მდე ლეგიონი იყო.

სქემა 1 **რომაული ლეგიონი**

წყარო 1 **რომაელი მეომრები**

რომაელი ჯარისკაცი – ლეგიონერი

ცენტურიონი – ცენტურიის უფროსი, რომელსაც ვაჟკაცობითა და ჭკუით გამორჩეული ჯარისკაცებიდან ნიშნავდნენ.

ლექსიკონი

პროფესიონალი – ადამიანი, რომელმაც შეისწავლა რაიმე საქმე ან ხელობა და რომელიც ამ საქმის შესრულებისათვის იღებს გასამრჯელოს.

პროფესიული ჯარი – ისეთი ადამიანებისგან შემდგარი ჯარი, რომელთა ერთადერთი საქმიანობა (პროფესია) საბრძოლო წვრთნა და ომში მონაწილეობაა.

დინარი – ფულის ერთეული ძველ რომში.



◀ წყარო ბ **რომაელი ლეგიონერის ძირითადი აღჭურვილობა:**

1. მოკლე დასარტყმელი ხმალი, 2. გრძელი შუბი ანუ პილუმი, 3. რკინის აბჯარი, დამაგრებული რკინისავე სარტყლებით, 4. ლითონის ჩაჩქანი, 5. ხელში ჯარისკაცს ეჭირა დიდი სწორკუთხა ფარი, რომელიც მის სხეულს თითქმის მთლიანად ფარავდა. ცენტურიონს თითქმის ისეთივე აღჭურვილობა ჰქონდა, როგორც ლეგიონერს. მას ხელში ეკავა ხის ჯოხი, რომლითაც ის წესრიგს ამყარებდა თავის ქვედანაყოფში (იხ. წყარო ა).



წყარო გ **შტანდარტები**

რომაელთა ჯარს ძალიან ლამაზ შესახედაობას აძლევდა შტანდარტი – ლითონის ტარზე დამაგრებული საჯარისო ნაწილის სიმბოლო. ყოველ ცენტურიას, კოჰორტასა და ლეგიონს თავისი სიმბოლო ჰქონდა. ყველაზე გავრცელებული სიმბოლო იყო არწივი.

ლეგიონერის ხელფასი არასდროს იყო ძალიან მაღალი (112,5 *დინარი* წელიწადში). იულიუს კეისარმა ეს თანხა ორჯერ გაზარდა. საჭმლისა და აღჭურვილობის ფული ამ თანხიდან იქვითებოდა. ცენტურიონს გაცილებით უფრო მაღალი ანაზღაურება ჰქონდა (3750-დან 15000 დინარამდე).

რომაელ ჯარისკაცებს ისე წვრთნიდნენ, რომ მათ, აბჯარასხმულებს, დღეში 30 კმ-ზე მეტის გავლა შეძლებოდათ. ლეგიონერს თავად უნდა ეტარებინა შუბი და ცოტაოდენი საგზალი.

ჯარისკაცებს ასწავლიდნენ ერთობლივ ბრძოლას. ბრძოლაში ისინი მჭიდროდ ჩამწკრივებულნი, წინ აფარებული ფარებით მიდიოდნენ. თუ მტერი ისრებს დაუშენდა, ჯარისკაცები ზევით ასწევდნენ და ერთიმეორესთან მიჯრით მიაწყობდნენ ფარებს, რომლებიც სახურავივით მთლიანად ფარავდა მთელ მწყობრს. ამ ხერხს ტესტუდო ერქვა, რაც ნიშნავს კუს.

ძვ. წ. I ს-ში იმპერატორმა ავგუსტუსმა ჩამოაყალიბა კიდევ ერთი ახალი ტიპის საჯარისო დანაყოფი, პრეტორიანული გვარდია, რომლის ძირითადი მოვალეობა იმპერატორის დაცვა იყო.

წყარო დ **ბარაკები**

ომიდან დაბრუნებული რომაელი ჯარისკაცები ცხოვრობდნენ საგანგებოდ აგებულ ბარაკებში.

1. როგორ შეიცვალა რომაული ჯარი მარიუსის რეფორმის შემდეგ? (შეარჩიე სწორი პასუხი.) ა) იმპერიაში მცხოვრებ ყველა მამაკაცს შეეძლო ჯარში სამსახური; ბ) ჯარისკაცებს ერქვათ ცენტურიონები; გ) ჯარისკაცებმა დაიწყეს აბჯრის ტარება.

2. რამდენ ხანს უნდა ემსახურა ჯარისკაცს სამხედრო სამსახურში? ა) 15 წელი, ბ) 25 წელი, გ) 35 წელი.

3. რატომ უწოდებდნენ მებრძოლ რომაელთა რაზმს "კუს"? ა) ისინი კუსავით ნელა მიდიოდნენ; ბ) მათ კუსავით ჰქონდათ თავები დახრილი; გ) მათ გარშემო შემოწყობილი ფარები კუს ბაკანს ჰგავდა.

4. რაზე მიანიშნებს ავგუსტუსის მიერ პრეტორიანული გვარდიის ჩამოყალიბება?

5. ახსენი, რაზე იყო დაფუძნებული რომაული ჯარის სიძლიერე?

რომისა და კართაგენის დაპირისპირება

ამ გაკვეთილის მიზანია გაგაცნოს ძველი მსოფლიოს ორი უდიდესი იმპერიის – რომისა და კართაგენის დაპირისპირება, რომელიც პუნიკური ომების სახელით არის ცნობილი.

ძვ. წ. IV-III სს-ში რომის რესპუბლიკამ აპენინის ნახევარკუნძულზე მცხოვრები სხვადასხვა ტომი დაიმორჩილა და მათთან *კონფედერაციული* კავშირი დაამყარა. ამ კავშირმა რომის რესპუბლიკის სამხედრო ძლიერება განამტკიცა. ამ პერიოდში რომს ძლევამოსილებითა და სიმდიდრით აღემატებოდა აფრიკის ჩრდილო სანაპიროზე მდებარე კართაგენი, რომელიც ხმელთაშუა ზღვაზე სრულად ბატონობდა. იგი ფლობდა ჩრდილო აფრიკის სანაპირო ზოლს, ესპანეთის ნაწილს, სარდინიას, კორსიკას, სიცილიის დასავლეთ ნაწილს. სიცილიაზე ამ დროს ბერძნული (აღმოსავლეთ მხარეს) და ფინიკიური (დასავლეთ მხარეს) ქალაქები იყო დაარსებული. ფინიკიელებიც და ბერძნებიც საზღვაო ვაჭრობაში იყვნენ ჩართული და ერთმანეთს მეტოქეობას უწევდნენ. მას შემდეგ, რაც რომმა აპენინის ნახევარკუნძული მთლიანად დაიმორჩილა, სიცილიის დაპყრობაც განიზრახა.

ამგვარად, ძვ. წ. III საუკუნის პირველ ნახევარში რომისა და კართაგენის ინტერესები ერთმანეთს სწორედ სიცილიის გამო დაუპირისპირდა, რამაც მხარეები ხანგრძლივ, სისხლისმღვრელ ომებამდე მიიყვანა. ფინიკიელებს რომაელები პუნიელებს უწოდებდნენ, ამიტომაც რომსა და კართაგენს შორის ომები პუნიკური ომების სახელით არის ცნობილი.

წყარო 5 **პუნიკური ომების საბრძოლო მოქმედებათა რუკა**



▶ • *როგორ ფიქრობ, მეტოქე სახელმწიფოთაგან რომელს უფრო მეტად დაეხმარებოდა სიცილიის ბუნებრივი მდებარეობა? პასუხის გასაცემად დააკვირდი წყარო Ა-ს რუკას და გააანალიზე სიცილიის მდებარეობა.*

რა გახდა პირველი პუნიკური ომის დაწყების საბაბი?

ძვ. წ. 264 წელს სიცილიის ბერძნული ქალაქის, მესინას მკვიდრთ აუჯანყდნენ დაქირავებული იტალიელები (მამერტინელები). მესინას დახმარება იკისრა მეორე ბერძნულმა ქალაქმა სირაკუზამ. მამერტინელებმა დახმარება სთხოვეს რომს, სირაკუზელებმა – კართაგენს. ასე აღმოჩნდა ორივე მხარე ჩათრეული საომარ კონფლიქტში. რომაელებმა გადასხეს ჯარი მესინაში. აქ მათ დაამარცხეს აჯანყებულთა დასახმარებლად მოსული კართაგენის ქვეითი ჯარი, დაიმორჩილეს სირაკუზის მმართველი და შემდგომ უკვე მოინდომეს კართაგენის განდევნა სიცილიიდან. ამისთვის კი საჭირო იყო სამხედრო ფლოტი. ბერძენი ოსტატების დახმარებით რომაელებმა დაიწყეს ფლოტის მშენებლობა. ძვ. წ. 260-241 წლებში რომსა და კართაგენს შორის საზღვაო ბრძოლები ცვალებადი წარმატებებით მიმდინარეობდა. საბოლოოდ, ძვ. წ. 241 წელს რომაელებმა გაიმარჯვეს. ამ ხნის განმავლობაში რომმა 500 ხომალდი და უამრავი მეომარი დაკარგა. დიდი ზარალი განიცადა კართაგენმაც. ზავის შედეგად რომმა მიიღო სიცილია, ხოლო ძვ. წ. 238 წელს – სარდინია და კორსიკა. კართაგენს დაეკისრა *კონტრიბუცია* 3200 *ტალანტის* ოდენობით.

• *წერილობით ისაუბრე ზარალისა და სარგებლობის შესახებ, რომლებიც მხარეებმა ნახეს პირველი პუნიკური ომის შედეგად. გამოიყენე სიტყვები და გამოთქმები: "სამხედრო ფლოტი", "ადამიანური დანაკარგი", "ტერიტორია", "ზღვაზე ბატონობა", "ფული".*

მეორე პუნიკური ომი

კართაგენი არ აპირებდა მარცხთან შეგუებას. ზღვაზე დაკარგული კუნძულების სანაცვლოდ კართაგენმა ახალი ესპანური ოლქები დაიპყრო. ძვ. წ. 226/225 წლებში რომმა და კართაგენმა პირენეს ნახევარკუნძულზე თავიანთი გავლენის სფეროების გამყოფ ზოლად მდ. ებრო გამოაცხადეს. ეს შეთანხმება რომაელებმა დაარღვიეს, როცა კართაგენის ზონაში მდებარე ქ. საგუნტუმი რომის მფარველობაში მოაქციეს. ეს გახდა რომსა და კართაგენს შორის ახალი ომის საბაბი. ძვ. წ. 219 წელს 25 წლის კართაგენელმა სარდალმა ჰანიბალმა აიღო საგუნტუმი. საპასუხოდ რომმა კართაგენს ომი გამოუცხადა. ასე დაიწყო მეორე პუნიკური ომი. ჰანიბალმა გადაწყვიტა მტრის ტერიტორიაზე ეომა. ძვ. წ. 218 წელს მან 40-ათასიანი ჯარით გადალახა ალპები და ჩრდილო იტალიაში შევიდა. რომის მოძულე გალური ტომები, რომლებიც ჰანიბალს განმათავისუფლებლად მიიჩნევდნენ, მის მებრძოლთა რიგებს ავსებდნენ.

ძვ. წ. 217 წ. ჰანიბალმა რომის კონსულები ზედიზედ დაამარცხა და რომისაკენ დაიძრა. "ჰანიბალი მოდის!" – ისმოდა იმ დღეებში ქუჩებში შეშფოთებულ მოქალაქეთა ძახილი. გაზრდილი საფრთხის გამო რომაელებმა დიქტატორად ფრთხილი და წინდახედული ფაბიუს მაქსიმუსი აირჩიეს.

წყარო Ბ **კორნელიუს ნეპო (94-24 წწ.) მოგვითხრობს ჰანიბალის მიერ რომის დანდობისა და მისი სამხედრო ხელოვნების შესახებ:**

ჰანიბალმა ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დაიკავა რომის შემოგარენის ბორცვები და რამდენიმე დღით აქ დაიბანაკა. შემდეგ აყარა ბანაკი და კაპუისაკენ გაბრუნდა. ფაბიუს მაქსიმუსმა მას ერთ ვიწრო ხეობაში გზა ჩაუკეტა. ჰანიბალმა მოახერხა თვით გამოცდილი და მოხერხებული მაქსიმუსის მოტყუება: ხარების რქებზე მიამაგრებინა ფიჩხის კონები, ღამით ფიჩხს ცეცხლი მოუკიდა და ასეთი უჩვეულო ჯოგი პირდაპირ მტერზე მიუშვა. ცეცხლმოკიდებული და გაშმაგებული ცხოველების ხილვისას რომაელები ისეთმა ძრწოლამ აიტანა, რომ ბანაკიდან ნაბიჯის გადმოდგმა ვერ გაბედეს. შემდგომ ჰანიბალმა რომაელები ყველა ბრძოლაში დაამარცხა. იტალიაში ყოფნის დროს არავის შეეძლო მისთვის წინააღმდეგობის გაწევა, ხოლო კანასთან ბრძოლის შემდეგ ვერავინ ბედავდა მის წინააღმდეგ ღია მინდორში ბანაკის მოწყობას.

წყარო გ **ჰანიბალი (ძვ. წ. 247-183 წწ.)**

თვით რომაელი მწერლები და ისტორიკოსები ვერ მალავენ თავიანთ აღტაცებას ჰანიბალის მხედართმთავრული ნიჭითა და პიროვნული თვისებებით. მაგალითად, ისტორიკოს ტიტუს ლივიუსის მიხედვით, ჰანიბალი16 წელს იბრძოდა იტალიაში რომის წინააღმდეგ ისე, რომ არასოდეს მიუტოვებია ბრძოლის ველი. იგი ერთნაირად იტანდა შიმშილს, სიცივესა და სიცხეს. სამხედრო მოსასხამში გახვეული, მიწაზე მეომრებს შორის იძინებდა. ბრძოლისას ბევრად უსწრებდა ქვეითებსაც და ცხენოსნებსაც, პირველი იწყებდა ბრძოლას და უკანასკნელი ტოვებდა ბრძოლის ველს.

ბრძოლა კანასთან

ძვ. წ. 216 წელს პატარა ქალაქ კანასთან რომის *კონსულმა* ვარონმა ჰანიბალს გადამწყვეტი ბრძოლა გაუმართა. რომაელთაგან 86000 (80000 ქვეითი, 6000 ცხენოსანი) მეომარი იბრძოდა, კართაგენელთაგან – 50000 (40000 ქვეითი, 10000 ცხენოსანი).

წყარო დ **ტიტუს ლივიუსი (რომის ისტორია, XXII) აღწერს კანასთან ძვ. წ. 216 წელს მომხდარ ბრძოლას:**

მრავალი მცდელობის შემდეგ რომაელებმა თავიანთი მჭიდრო წყობით გაარღვიეს მოწინააღმდეგის მხარეს მეწინავე, მაგრამ მეჩხერი ფალანგა. როცა ძლეული მტერი გარბოდა, რომაელები უკან მისდევდნენ. ისინი ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე შეიჭრნენ კართაგენელთა შუაგულში. ასე რომ, ფრონტის ხაზი ჯერ გასწორდა, შემდეგ შიგნით რკალისებურად მოიხარა. ამ დროს უკან მდგომმა აფრიკელებმა გვერდებიდან წრე შეკრეს და რომაელები შუაში მოიმწყვდიეს.

წყარო ე **კანასთან მომხდარი ბრძოლის სქემა**



• *კართაგენელთა საბრძოლო წყობის მიხედვით გამოიცანი ჰანიბალის ტაქტიკური ჩანაფიქრი.*

კანასთან ბრძოლა კართაგენელთა გამარჯვებით დასრულდა. რომაელთა არმია განადგურდა – 48000 რომაელი ბრძოლის ველზე დაეცა. 10000 ტყვედ ჩავარდა. კართაგენელებმა დაკარგეს 6000 მებრძოლი.

• *ბ–დ წყაროების მიხედვით წერილობით დაახასიათე ჰანიბალი როგორც მხედართმთავარი. გამოიყენე სიტყვები: მოთმინება, ამტანობა, საზრიანობა, გამომგონებლობა, მოულოდნელობა.*

კანასთან მოპოვებული გამარჯვების შემდეგ ჰანიბალის მხარეზე გადავიდა რომის იტალიელ მოკავშირეთა დიდი ნაწილი. ჰანიბალის არმიაში იბრძოდნენ რომაელთა მოძულე *კელტები* და *გალები*. რომი ზედიზედ აგებდა ბრძოლებს.

წყარო 3 ტიტუს ლივიუსი მოგვითხრობს, როგორ არიდებდა ჰანიბალი თავს რომის იერიშს:

ბრძოლის დამთავრების შემდეგ სარდლები შემოეხვივნენ ჰანიბალს და გამარჯვება მიულოცეს. ცხენოსანი ჯარის უფროსმა მაგარბალმა ჰანიბალს უთხრა: "ამ ბრძოლის საუკეთესო შედეგი ის იქნება, რომ 5 დღის შემდეგ *კაპიტოლიუმში* შეხვიდე გამარჯვებული. მე წავალ წინ ჩემი მხედრობით და სანამ მტერი ჩვენს განზრახვას შეიტყობს, უკვე რომში ვიქნები". ჰანიბალმა შეაქო მაგარბალი და უთხრა, რომ ასეთი გადაწყვეტილების მიღებას დრო სჭირდებოდა. მაშინ მაგარბალმა წარმოთქვა: "შენ, ჰანიბალო, იცი, როგორ გაიმარჯვო, მაგრამ არ იცი გამარჯვების გამოყენება".

***შენიშვნა: კაპიტოლიუმი** – რომის სენატის შენობა.*



წყარო 6 სციპიონი (ძვ. წ. 235-183)

სციპიონების ცნობილი გვარის წარმომადგენელი. ძვ. წ. 211 წელს პროკონსული გახდა. მან გააძევა კართაგენელები ესპანეთიდან (205 წ.); 205 წელს კონსული გახდა. სციპიონი გადავიდა აფრიკაში და 202 წელს ზამასთან ბრძოლაში დაამარცხა ჰანიბალი. ამ ბრძოლით დასრულდა მეორე პუნიკური ომი.

გარდატეხა რომის სასარგებლოდ დაიწყო მხოლოდ ძვ. წ. 210 წლიდან, მას შემდეგ, რაც რომაელთა მთავარსარდლად დაინიშნა პუბლიუს კორნელიუს სციპიონი. სციპიონმა ჯერ ესპანეთში მიაყენა დარტყმა კართაგენელებს, შემდეგ ჩრდილო იტალიაში, სულ ბოლოს კი საბრძოლო მოქმედებები აფრიკაში გადაიტანა. ძვ. წ. 202 წელს სციპიონი და ჰანიბალი შეხვდნენ ზამასთან. ამ ბრძოლისას *ნუმიდიელთა* მხედრობამ უღალატა ჰანიბალს და რომაელთა მხარეზე გადავიდა. ჰანიბალი დამარცხდა. ასე დამთავრდა მეორე პუნიკური ომი. კართაგენმა დაკარგა სამფლობელოები ესპანეთში, დაედო კონტრიბუცია 10000 ტალანტის ოდენობით, აეკრძალა სამხედრო ფლოტისა და საბრძოლო სპილოების ყოლა.

• *იმსჯელე წყარო 3-ში მოხსენიებული ჰანიბალის გადაწყვეტილების შესახებ – არ აეღო რომი. გამოთქვი ვარაუდები, როგორ განვითარდებოდა მოვლენები საწინააღმდეგო შემთხვევაში.*

ცნობა 1 ჰანიბალის გარდაცვალება

დამარცხების შემდეგ ჰანიბალი კართაგენის მმართველობას ჩაუდგა სათავეში. მან თავი გამოიჩინა, როგორც ენერგიულმა სამოქალაქო მმართველმა. რომის ექსპანსიის შესაჩერებლად ჰანიბალმა მცირე აზიაში სირიის მეფესთან გააბა ფარული მოლაპარაკება. ჰანიბალის გეგმები რომაელებმა შეიტყვეს და კართაგენის სენატს მისი გადაცემა მოსთხოვეს. ჰანიბალი სირიაში გაიქცა. იქიდან სირიელებთან ერთად კიდევ შეებრძოლა რომაელებს (მაგნეზიასთან), მაგრამ მარცხი იწვნია. ჯერ სომხეთში, შემდეგ *ბითვინიაში* ჰანიბალი კვლავ ცდილობს რომის წინააღმდეგ მოკავშირეების პოვნას. ბითვინიის მეფემ ჰანიბალს უღალატა და რომაელებისათვის მისი გადაცემა დააპირა. ჰანიბალმა დაასწრო და საწამლავი დალია, რომელსაც ბეჭდის ბუდით მუდამ თან ატარებდა. ამ დროს იგი 65 წლისა იყო.

მეორე და მესამე პუნიკურ ომებს შორის პერიოდში რომმა დაიმორჩილა ბალკანეთი. მესამე პუნიკური ომის შემდეგ კი რომი სრულად გაბატონდა ხმელთაშუა ზღვაზე და გზა გაეხსნა მცირე აზიის სახელმწიფოებისკენ.

მესამე პუნიკური ომი

მეორე პუნიკურ ომში დამარცხების შემდეგ კართაგენი ძლიერ დასუსტდა, მაგრამ რომს ჰანიბალის აჩრდილი მოსვენებას არ აძლევდა. სენატორი კატონ უფროსი სენატის ყოველ სხდომაზე ერთსა და იმავეს იმეორებდა: "კართაგენი უნდა დაინგრეს!". 149 წელს რომაელებმა კართაგენს ალყა შემოარტყეს. ამჯერად რომაელებს სარდლობდა სციპიონ აფრიკელი უმცროსი, შთამომავალი სახელოვანი პუბლიუს კორნელიუს სციპიონისა. ჯარის გარეშე დარჩენილი კართაგენის მოსახლეობა 3 წლის განმავლობაში მამაცურად იცავდა თავს, ამაგრებდა თითოეულ სახლს. ალყა 3 წელს გრძელდებოდა. ბოლოს რომაელებმა აიღეს კართაგენი, ჯერ დაანგრიეს, შემდეგ გადახნეს. კართაგენის სამფლობელოები რომის ხელში გადავიდა.

ლექსიკონი

კონფედერაცია – აქ: დამოუკიდებელ სახელმწიფოთა სამხედრო-პოლიტიკური კავშირი.

კონტრიბუცია – ფულადი გადასახადი, რომელსაც ომში გამარჯვებული მხარე აკისრებს დამარცხებულს.

ტალანტი (ბერძნ. – წონა, სასწორი) – აქ: ფულის ყველაზე მსხვილი ერთეული ძველად.

კონსული – ძველ რომში: უმაღლესი თანამდებობა. ერთი წლით ირჩეოდა ორი კონსული. მათ უფლება ჰქონდათ შეეკრიბათ ჯარი – 2 ლეგიონი. კონსულს ეცვა თეთრი ტოგა ფართო, მეწამული არშიით. ახლდა 12 ლიქტორი – დაცვა.

აღალი – ურმების, საზიდრების და მისთ. ქარავანი.

კელტები – ევროპის ძველი ხალხი, ძვ. წ. I ათასწლეულის ბოლოს ცხოვრობდნენ დასავლეთი ევროპის თანამედროვე ქვეყნების, მათ შორის დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე.

გალები – იგივე კელტური ტომები, ცხოვრობდნენ ალპების ჩრდილო-დასავლეთით, თანამედროვე საფრანგეთის ტერიტორიაზე. მათ საცხოვრებელ ადგილს რომაელებმა გალია უწოდეს.

ნუმიდიელები – ჩრდილო აფრიკაში, თანამედროვე ალჟირის ტერიტორიაზე მცხოვრები აფრიკული ტომი.

ბითვინია – ბერძნული ტომების განსახლების ადგილი ჩრდილო-დასავლეთ მცირე აზიაში, თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე.

1. წერილობით დაასაბუთე, რა სარგებელი ნახა რომმა კართაგენის დამარცხებით. ჩამოთვალე პოლიტიკური და ეკონომიკური შედეგები.

2. წყარო Ა-ს მიხედვით წერილობით აღწერე, როგორ და რა თანმიმდევრობით შეიცვალა პუნიკური ომების დასასრულს ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნების პოლიტიკურ ძალთა შეფარდება.

რომის იმპერატორები: ტრაიანე და მარკუს ავრელიუსი

ამ გაკვეთილით გაიცნობ რომის სახელმწიფოს იმ მმართველებს, რომელთაც სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით. ისინი ერთმანეთისგან განსხვავებული პიროვნებები იყვნენ.

იმპერატორი მარკუს ულპიუს ტრაიანე (ახ. წ. 98-117)

ტრაიანე პირველი იმპერატორი გახლდათ, რომელიც რომის გარეთ, პროვინციაში დაიბადა. მისი ოჯახი იმ ჯარისკაცთა შთამომავალი იყო, რომლებიც ძვ. წ. III ს-ში ესპანეთში დამკვიდრდნენ. ტრაიანე ხელისუფლებაში მოვიდა იმპერატორ ნერვას (96-98) შემდეგ, რომელსაც იგი ნაშვილები ჰყავდა.

ცნობა 1 მემკვიდრეობის წესი რომის იმპერიაში

რომში იმპერატორთა მონაცვლეობის დროს მემკვიდრეობითი უფლებები მკაცრად განსაზღვრული არ იყო. იმპერატორის ტახტი შეიძლებოდა გადასულიყო ძმაზე, გერზე, სასახლის სხვა წევრზედაც კი, თუ ის იმპერატორის კეთილგანწყობით სარგებლობდა. ტახტის მემკვიდრე სენატს უნდა დაემტკიცებინა.

- *შენი აზრით, შეუწყობდა თუ არა ხელს ცნობა 2-ში აღწერილი მემკვიდრეობის წესი ქვეყანაში მშვიდობის დამყარებას? პასუხი დაასაბუთე.*

ტრაიანე უმეტეს დროს ლაშქრობებში ატარებდა. მისი დაპყრობების შედეგად რომის იმპერიის საზღვრები არნახულად გაფართოვდა. იმპერიამ თავისი არსებობის განმავლობაში ყველაზე დიდი ტერიტორია სწორედ ტრაიანეს იმპერატორობის დროს მოიცვა.

წყარო 3 რომის იმპერია ძვ. წ. 44 წელს, იულიუს კეისრის გარდაცვალების დროისთვის, და ახ. წ. 116 წელს, ტრაიანეს მმართველობის დროს

რომის იმპერიიის ტერიტორია ორ კატეგორიად იყოფოდა: სენატის პროვინციებად და საიმპერატორო პროვინციებად. პირველი კატეგორიის პროვინციების მმართველებს სენატი ნიშნავდა, ხოლო მეორისას – იმპერატორი. სენატის განკარგულებაში მყოფი ტერიტორიები სტრატეგიული თვალსაზრისით ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო, შესაბამისად, ასეთ პროვინციებში ჯარიც ცოტა იდგა; საიმპერატორო პროვინციებში კი ჯარის ძირითადი ნაწილი იყო თავმოყრილი.



- *როგორ ფიქრობ, ვის სასარგებლოდ წარიმართებოდა ხელისუფლებისთვის ბრძოლა: იმპერატორის თუ სენატის? პასუხი დაასაბუთე.*
- *დააკვირდი რუკას და რვეულში ჩამოწერე ის თანამედროვე ქვეყნები, რომლებიც 116 წელს ტრაიანეს დროინდელი რომის იმპერიის ფარგლებში მდებარეობდა.*

წყარო 3 ტრაიანეს გამონათქვამები:

"მე მსურს ვიყო ისეთი იმპერატორი, როგორსაც თავად ვისურვებდი, ქვეშევრდომი რომ ვყოფილიყავი". პრეფექტ საბურანუსისთვის ძალაუფლების სიმბოლოს – სატევრის – გადაცემისას იმპერატორმა მას უთხრა: "გაძლევ ამ იარაღს ჩემს დასაცავად, თუ სამართლიანად ვიმოქმედებ, თუ არადა – ჩემ წინააღმდეგ გამოიყენე".

წყარო 3 მარკუს ულპიუს ტრაიანე, მიუნხენის *გლიპტოთეკა*, გერმანია

ტრაიანე ჯანმრთელობითა და გასაოცარი ფიზიკური ძალით გამოირჩეოდა. იგი ლაშქრობისას ჯარს პირადად მიუძღოდა. მისი მმართველობა ხალხს აცვიფრებდა. ტრაიანე არც ერთ იმპერატორს არ ჰგავდა – ის რომის ქუჩებში ფეხით, დაცვის გარეშე დადიოდა, მისი წინამორბედები კი ტახტრევნით დაჰყავდათ; ყოველ მოქალაქეს შეეძლო მასთან მისვლა და გამოლაპარაკება. ტრაიანეს სასახლის კარი ყოველთვის ღია იყო. მის უსაფრთხოებასა და სიმშვიდეს ხალხის სიყვარული იცავდა და არა გვარდიის ჯარისკაცები.

ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ტრაიანე სასტიკად გაუსწორდა დამსმენებს, რომლებსაც გაწამებული ჰყავდათ რომის მოსახლეობა. დასმენის საფუძველზე აღძრული ყველა საქმის განხილვა შეწყვიტეს, დამსმენები კი გემზე დასხეს და შუა ზღვაში გადაყარეს. იმპერატორი ზრუნავდა ქვეშევრდომთა კეთილდღეობაზე. მისი ინიციატივით სახელმწიფომ ობოლი ბავშვებისა და ღარიბი მშობლების შვილების აღზრდა იტვირთა.

ტრაიანეს გარდაცვალების შემდეგ ყოველ ახალ იმპერატორს სენატში შემდეგი სიტყვებით ესალმებოდნენ: "დაე, იყოს იგი *ავგუსტუსზე* იღბლიანი და ტრაიანეზე უკეთესი".

იმპერატორი მარკუს ავრელიუს ანტონინუსი (ახ. წ. 161-180)

მარკუს ავრელიუსმა ძალაუფლება მემკვიდრეობით მიიღო იმპერატორ ანტონინუს პიუსისგან (138-161). მის ხელში იყო იმპერია, რომლის საზღვრები ბრიტანეთიდან ჩრდილოეთ აფრიკამდე, პირენეს ნახევარკუნძულიდან ტიგრისა და ევფრატის სათავეებამდე აღწევდა. იმ ეპოქაში რომს საგარეო საფრთხე აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან ემუქრებოდა. იმპერატორმა მრავალ ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა. უმეტეს დროს ის ლაშქრობებში ატარებდა. მარკუს ავრელიუსი რომის იმპერიის საზღვრებს ჩრდილოეთით გერმანელი ტომებისა და სარმატებისგან, აღმოსავლეთით კი პართიელებისგან იცავდა.

იმპერატორი ხელს უწყობდა სხვადასხვა ფილოსოფიურ მიმდინარეობას, ისეთებსაც, რომელთა შეურიგებელი მოწინააღმდეგე თავად იყო. ათენში მან ოთხი ფილოსოფიური კათედრა დააარსა და მიიწვია პროფესორები, რომელთაც ხელფასს სახელმწიფო ხაზინიდან უხდიდა. ადამიანებს იგი აფასებდა არა წარმოშობითა და დიდგვაროვნებით, არამედ ნიჭითა და ინტელექტით და სწორედ ამ ნიშნით აწინაურებდა. მარკუს ავრელიუსი საოცარი ჰუმანურობით გამოირჩეოდა.

წყარო დ **მარკუს ავრელიუს ანტონინუსი, მიუნხენის გლიპტოთეკა, გერმანია**

მარკუს ავრელიუსი ისტორიაში ცნობილია არა როგორც მეომარი იმპერატორი, მხედართმთავარი და პოლიტიკური მოღვაწე, არამედ როგორც ფილოსოფოსი და მოაზროვნე. იგი იყო ბერძნული და ლათინური ლიტერატურისა და ფილოსოფიის საუკეთესო მცოდნე. ამ ცოდნას იმპერატორი ჯერ კიდევ ადრეული ასაკიდან ეუფლებოდა. მისი მასწავლებელი იყო ფილოსოფოსი აპოლონიუს ქალკედონელი.

- *შენი აზრით, რას მოიტანდა განსხვავებული, ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო ფილოსოფიური შეხედულებების მქონე მოაზროვნეთა თანაბარი ხელშეწყობა?*

ცნობა 2 **კასიუსის აჯანყება იმპერატორის წინააღმდეგ**

მარკუს ავრელიუსს ეგვიპტეში ავიდიუს კასიუსი აუჯანყდა და აღმოსავლეთში თავი იმპერატორად გამოაცხადა. იგი ჯარისკაცებმა მალევე მოკლეს. როცა იმპერატორმა აჯანყების შესახებ გაიგო, არც კი აღშფოთებულა. კასიუსის შვილებისა და ნათესავების წინააღმდეგ მას სასტიკი ზომები არ მიუღია. როცა სენატმა შეთქმულის ქონების *კონფისკაცია* გამოაცხადა, მარკუს ავრელიუსმა არ ისურვა ჩამორთმეული ქონება იმპერატორის ხაზინაში შესულიყო, და სენატს სთხოვა, ის სახელმწიფო ხაზინაში ჩაერიცხათ. რაც შეეხება შეთქმულს, ყველა ხვდებოდა, რომ იმპერატორი მას შეიწყალებდა, მასზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული.

ლაშქრობების დროს მარკუს ავრელიუსი პოულობდა დროს, რომ თავისი ნააზრევი, ფიქრები, შთაბეჭდილებები ბერძნულ ენაზე ჩაეწერა. მისი სიკვდილის შემდეგ ნახეს ჩანაწერების 12 წიგნი, რომელთაც სათაურად ჰქონდა: "საკუთარი თავის მიმართ". ავრელიუსის ნაწერები თარგმნილია მრავალ ენაზე, მათ შორის, ქართულად – "ფიქრების" სახელწოდებით.

წყარო ე **ნაწყვეტი ავრელიუსის "ფიქრებიდან":**

მე ჩემი სამშობლო მაქვს და ჩემი ქალაქი; როგორც ანტონინუსს – რომი, როგორც ადამიანს – სამყარო. და არ არსებობს ჩემთვის, ამ ორი ქალაქის მოქალაქისთვის, სხვა სიკეთე, გარდა იმისა, რასაც ორივე ამ ქალაქისთვის სარგებლობა მოაქვს.

- *შენი აზრით, რამდენად ფართო იყო მარკუს ავრელიუსის თვალთახედვა და მისწრაფებები?*

ლექსიკონი

გლიპტოთეკა – ანტიკური ქანდაკებების, ქვის, მინერალების, ძვირფასი ქვებით შექმნილი დეკორატიული ხელოვნების ნიმუშების საცავი. აქ: იმ შენობის სახელწოდება, სადაც ძველი ბერძნული და ძველი რომაული ქანდაკებები ინახება.
კონფისკაცია – აქ: ქონების ჩამორთმევა სახელმწიფოს სასარგებლოდ.

გამოიყენე გაკვეთილებში ნასწავლი მასალა და წერილობით შეადარე ერთმანეთს პოლიტიკური მოღვაწეები: იულიუს კეისარი, ტრაიანე და მარკუს ავრელიუსი.

რომის იმპერატორები: კალიგულა და ნერონი

ამ გაკვეთილით იმ იმპერატორებს გაეცნობი, რომელთაც რომის ისტორიაში უარყოფითი მმართველის სახელი დატოვეს. ისინი იულიუს-კლავდიუსების დინასტიას ეკუთვნოდნენ.

კალიგულა (37-41)

წყარო ა **კალიგულა, კარლსბერგის ახალი გლიპტოთეკა, დანია**

კალიგულას სრული სახელი იყო გაიუს იულიუს ცეზარი. ბავშვობა მან სამხედრო ბანაკებში გაატარა. იგი მხედართმთავარ მამას, გმირ გერმანიკუსს, ლაშქრობებში თან ახლდა. პატარა გაიუსი ჯარისკაცის ფორმაში იყო გამოწყობილი. ჯარისკაცები მას მოფერებით "კალიგულას" ეძახდნენ, რაც ლათინურად "პატარა სანდალს" ნიშნავს. გაიუსს ეს მეტსახელი არ მოსწონდა; მიუხედავად ამისა, ის სიკვდილამდე შერჩა.

კალიგულას მამა ადრე დაეღუპა და მისი აღზრდა ბიძამ (მამის მხრიდან), იმპერატორმა ტიბერიუსმა (14-37) იკისრა. მან იშვილა იგი, რაც იმას ნიშნავდა, რომ ტიბერიუსის სიკვდილის შემდეგ იმპერატორი კალიგულა გახდებოდა. ტიბერიუსი სასტიკი მმართველი იყო. მის დროს სასახლეში ეჭვმიტანილებს არაადამიანურად აწამებდნენ და სჯიდნენ. ამ ყველაფერს ახალგაზრდა კალიგულა ხედავდა, თუმცა თავდაპირველად მსგავსი ქმედებების მიმართ, იმპერატორ ტიბერიუსის შიშით, არც მოწონება და არც უკმაყოფილება არ გამოუხატავს. ტიბერიუსს სიცოცხლე მისმა კარისკაცმა მოუსწრაფა – საწოლში ბალიშით გაგუდა. იმპერატორის მკვლელობაში კალიგულას ხელიც ერია. ტიბერიუსის გარდაცვალების შემდეგ იმპერატორად ოცდახუთი წლის კალიგულა გამოაცხადეს.

ახალარჩეულ იმპერატორს რომის სენატი და ხალხი დიდი იმედებით შეხვდა. ყველამ შეიყვარა იგი, რადგან მასში უდროოდ დაღუპული კეთილშობილი მამის ჭეშმარიტ მემკვიდრეს ხედავდნენ; ჯარისკაცებს კი, რომელთა შორისაც ის გაიზარდა, თავისიანად მიაჩნდათ.

წყარო ბ **38 წელს მოჭრილი რომაული მონეტა კალიგულას და მისი სამი დის გამოსახულებით**

რომაულ მონეტაზე დატანილი იყო ძალაუფლების ნიშნები: დაფნის გვირგვინი, რომელსაც გამარჯვებულ მხედართმთავარს ანუ იმპერატორს ჯილდოდ გადასცემდნენ; ტიტულები: AVG – ავგუსტუსი, GERMANICUS – გერმანული ტომების დამმარცხებელი, P(ontifex) M(aximus) – დიდი პონტიფექსი ანუ ქურუმთა უმაღლესი კოლეგიის წევრი, TRI(bunicia) P(otestate) – ტრიბუნის ძალაუფლების მქონე, C(onsul) და ის რიცხვი, რამდენჯერაც არჩეული იყო კონსულად, P(ater) P(atriae) – სამშობლოს მამა.

● *დააკვირდი მონეტას და დაასახელე: ა) იმპერატორის ძალაუფლების აღმნიშვნელი სიმბოლოები, ბ) კალიგულას დების სახელები (გაითვალისწინე, რომ ლათინური ასო "V" იკითხება როგორც "უ", ხოლო ასო "S", როცა ის ხმოვანებს შორისაა, იკითხება როგორც "ზ").*

პირველ ხანებში ახალგაზრდა იმპერატორი თითქოს ამართლებდა რომის სენატისა და ხალხის იმედებს: მან გაატარა ლიბერალური რეფორმები, გამოაცხადა *ამნისტია*, აკრძალა დასმენები, საგრძნობლად შეამცირა გადასახადები. კალიგულამ ნათესავები შემოიკრიბა და მათთან ერთად შეუდგა სახელმწიფოს მართვას. მან თანამდებობის პირებს თავისუფალი სასამართლოს მოწყობის უფლება მისცა და სახალხო კრების აღდგენაც სცადა.

● *რატომ დაიწყო თავისი მმართველობა კალიგულამ იმპერიისა და ხალხისთვის სასიკეთო ღონისძიებების გატარებით?*

დროთა განმავლობაში კალიგულამ სისასტიკე გამოამჟღავნა. იგი არა კეთილშობილი მამის, არამედ მამობილის გზას გაჰყვა. ახალგაზრდა იმპერატორმა სისასტიკესა და უსამართლობაში თავის აღმზრდელ ტიბერიუსსაც კი გადააჭარბა.

კალიგულას ამპარტავნებასა და სიხარბეს საზღვარი არ ჰქონდა: იგი შეძლებულ დიდებულებს სთხოვდა, რომ თავიანთ ანდერძებში შეეტანათ მისი, როგორც თანამემკვიდრის, სახელი, შემდეგ მათ დამნაშავეებად აცხადებდა და სიკვდილით სჯიდა, ქონებას კი თავად ეპატრონებოდა. იმპერატორი მოითხოვდა, მისთვის ღმერთების საკადრისი პატივი მიეგოთ. იგი საჯაროდ, ხალხის წინაშე გამოდიოდა ღმერთებისა და ნახევარღმერთების შესამოსლითა და შემკულობით: ზოგჯერ აპოლონი იყო, ზოგჯერ – ვენერა, ზოგჯერ კი – ჰერკულესი. რომში მის სახელზე ორი ტაძარი ააგეს. მან ღმერთების ქანდაკებათა თავები მოახსნევინა და საკუთარით შეაცვლევინა, ასეთი ქანდაკებები კი სხვადასხვა ტაძარში დაადგმევინა.

● *შენი აზრით, რატომ ცდილობდა კალიგულა ღმერთად და ნახევარღმერთად წარმოეჩინა თავი? რა მიზანი ჰქონდა მას?*

წყარო გ **რომაელი ისტორიკოსი სვეტონიუსი კალიგულას შესახებ:**

კალიგულა არ მალავდა თავის წუხილს იმის გამო, რომ მის დროს არ ხდებოდა საყოველთაო უბედურებები, როგორც სხვა იმპერატორთა მმართველობის ხანაში; ვერ აეტანა, რომ მისი მმართველობა საყოველთაო კეთილდღეობის გამო დავიწყებას მიეცემოდა. იგი მუდამ შიმშილზე, შავ ჭირზე, ხანძარზე ან მიწისძვრაზე ოცნებობდა.

● *მასწავლებლის დახმარებით კლასში იმსჯელეთ, რისი შედეგი შეიძლებოდა ყოფილიყო კალიგულას დადებითი მმართველიდან უარყოფითად ქცევის მიზეზი.*

იმპერატორის სისასტიკე იქამდე მიდიოდა, რომ იგი მამებს აიძულებდა, მათი შვილების სიკვდილით დასჯისთვის ეყურებინათ. კალიგულამ თავისი ნათესავებიც არ დაინდო და მათი ნაწილი სიცოცხლეს გამოასალმა. გარდა ამისა, ის პირად ცხოვრებაშიც თავაშვებულად იქცეოდა, რაც წარჩინებული რომაელების დიდ უკმაყოფილებას იწვევდა.

წყარო დ **ებრაელი ისტორიკოსი იოსებ ფლავიუსი (37-100) კალიგულას შესახებ:**

კალიგულამ მონებს უფლება მისცა ნებისმიერი ბრალდება წაეყენებინათ თავიანთი პატრონებისთვის... საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ვიღაც მონამ, პოლიდევკმა, იმპერატორის ბიძა კლავდიოსი დაადანაშაულა. კალიგულას არ შერცხვა ნათესავის სასამართლოს დასწრებოდა: იგი შემთხვევას ეძებდა, რომ როგორმე გზიდან ჩამოეშორებინა კლავდიოსი, მაგრამ ვერ მოახერხა, რადგან მთელი სახელმწიფო ცილისწამებითა და შუღლით აავსო. რაკი მან მონები პატრონების წინააღმდეგ აამხედრა, ახლა მასაც ადანაშაულებდნენ და შეთქმულებებს უწყობდნენ. ერთნი შურისძიებით იყვნენ ავსილნი, მეორენი კი ამბობდნენ, რომ ასეთი იმპერატორი მანამ უნდა მოეცილებინათ, სანამ ყველას უბედურებას არ დაატეხდა.

- *შენი აზრით, რა შედეგს მოუტანდა მონათმფლობელურ რომში მონისთვის ასეთი უფლებების მინიჭება საზოგადოებას? პასუხი დაასაბუთე.*

კალიგულა იმპერიას 4 წლის განმავლობაში მართავდა. იგი შეთქმულებმა მოკლეს. მათ სათავეში *პრეტორიანელთა* ტრიბუნი იდგა. მან პირველმა ჩასცა იმპერატორს კისერში ხანჯალი, დანარჩენებმა კი ოცდაათი დარტყმა მიაყენეს. მისი სიკვდილის ამბავი სწრაფად გავრცელდა, მაგრამ ხალხს არ სჯეროდა – ფრთხილობდნენ, ვაითუ კალიგულამ თავად დაყარა ხმა თავის სიკვდილზე, რომ გაეგო, რას ფიქრობდა მასზე ხალხიო.

- *იმსჯელე, კალიგულას მმართველობის დროს იქნებოდა თუ არა ცხოვრება მშვიდი და უსაფრთხო იმპერიის მოქალაქეებისთვის.*

რომის ყველაზე სისხლიანი იმპერატორი – ნერონი (54-68)

წყარო 2 იმპერატორი ნერო ლუციუს კლავდიუს დრუზუს გერმანიკუს ცეზარი (54-68)

როცა ახალშობილ ნერონზე ასტროლოგმა იწინასწარმეტყველა, დედას მოკლავს და იმპერატორი გახდებაო, დედამისს, აგრიპინას (16-59) უთქვამს: "დაე, მომკლას, ოღონდ იმპერატორი გახდეს".

წყარო 3 რომაელი ისტორიკოსი სვეტონიუსი ნერონის შესახებ

ბავშვობაში თითქმის ყველა კეთილშობილური მეცნიერებები შეისწავლა; მხოლოდ ფილოსოფიის სწავლას უშლიდა დედა – მომავალი მმართველისთვის დაბრკოლება იქნებაო. ამიტომ პოეზიას დაეწაფა და თავისუფლად, გაუჭირვებლად შეეძლო ლექსების წერა. არ არის მართალი, თითქოს სხვის ნაწერებს თავისად ასაღებდა: მე ხელში მჭერია დაფები და რვეულები მისი ხელით ნაწერი ლექსებით. არ ეტყობოდა, რომ ისინი სხვა წიგნიდან ყოფილიყო გადაწერილი ან კარნახით ჩაწერილი; იმდენჯერ იყო გადასწორებული, იმდენი ჩამატებები ჰქონდა, რომ ჩანდა, შეთხზვისთანავე იწერებოდა. არანაკლები გულმოდგინებით მისდევდა ფერწერასა და ქანდაკებას.

- *როგორ ახასიათებს სვეტონიუსი ნერონს?*
- *შენი აზრით, რატომ მიაჩნდა ნერონის დედას ფილოსოფიის შესწავლა ქვეყნის მმართველისთვის დაბრკოლებად?*
- *აგრიპინას რა თვისებებზე მიუთითებს მისი ეს ნათქვამი? ეთანხმები თუ არა მის განწყობასა და შეხედულებებს?*

ნერონს მამა ადრე დაეღუპა; თერთმეტი წლისა ნათესავმა, იმპერატორმა კლავდიუსმა (41-54) იშვილა. ნერონის დედა აგრიპინა იმპერატორ კალიგულას და იყო. ის მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ცოლად კლავდიუსს გაჰყვა.

კლავდიუსის სიკვდილის შემდეგ ჯარმა და სენატმა იმპერატორად სწორედ ნერონი გამოაცხადეს და იმპერატორის ტიტულებით შეამკეს. მან მხოლოდ ერთ მათგანზე, "მამულის მამობაზე" თქვა უარი – ახალგაზრდობის გამო.

პირველ ხანებში ნერონი, კალიგულას მსგავსად, ხალხის გულის მოგებას ცდილობდა: შეამცირა გადასახადები, დამსმენებს ოთხჯერ შეუმცირა გასამრჯელო, უპოვარ

ხალხსა და გაღარიბებულ დიდებულებს სახელმწიფო ხაზინიდან წლიური სარჩო დაუნიშნა. როცა სენატი მას მადლობას უხდიდა, ამბობდა, ჯერ უნდა დავიმსახუროო. როცა რომელიმე ბოროტი დამნაშავის დასასჯელად ბრძანების ხელმოწერას სთხოვდნენ, ამოიოხრებდა, ნეტავ წერა არ მცოდნოდაო.

ნერონმა თავისი ხასიათის უარყოფითი მხარეები თანდათან გამოავლინა. მემატიანეები მის სისასტიკეზე, სიხარბეზე, შურიანობაზე, თავაშვებულობასა და გარყვნილებაზე წერენ.

პირველ ყოვლისა, იგი გარდაცვლილი იმპერატორის, თავისი მამობილის – კლავდიუსის წინააღმდეგ ამხედრდა. მართალია, თავად მისი მკვლელობის მოთავე არ ყოფილა, მაგრამ იცოდა ამის შესახებ და არ გაამხილა. კლავდიუსის გარდაცვალების შემდეგ ნერონი ყველანაირად ცდილობდა მის დამცირებას – ბევრი მისი გადაწყვეტილება, იმ საბაბით, რომ "ჭკუასუსტის" გამოტანილი იყო, გააუქმა; მისი ნეშტის დაწვის ადგილსაც კი არ მიაგო იმპერატორის საკადრისი პატივი და წნელის უბრალო ღობე შემოავლო.

იმპერატორმა თავისი სხვა ცოლებიც გამოასალმა სიცოცხლეს – მხოლოდ იმიტომ, რომ ბუზღუნითა და საყვედურებით თავი მოაბეზრეს. ნერონმა რამდენჯერმე დედის მოკვლაც სცადა – იმის გამო, რომ რჩევებს აძლევდა და ამხელდა. ამ უშედეგო ცდების შემდეგ აგრიპინა მახვილით მოკლეს.

ნერონმა შურისა და შიშის გამო მოაკვლევინა კლავდიუსის შვილი, თავისი ნახევარძმა ბრიტანიკუსი; სრულიად უმიზეზოდ გამოასალმა სიცოცხლეს მოსიყვარულე მოხუცი დეიდა; არც ერთი ნათესავი არ დაინდო და ბევრ მათგანს სხვადასხვა ცილისწამების ნიადაგზე თავი მოაკვლევინა.

- *გამოთქვი მოსაზრება: რა იყო ნერონის სისასტიკის მიზეზი?*

წყარო 8 ნერონის ჩირაღდნები, პოლონელი მხატვრის, ჰენრიხ სემირადსკის (1843-1902) ნახატი

ტილოზე ასახულია ნერონის მიერ ქრისტიანების დასჯა. რომაელი ისტორიკოსის, ტაციტუსის (55-116) გადმოცემით, იმპერატორმა ისინი რომის დაწვაში დაადანაშაულა. უეცრად გაჩენილმა ხანძარმა, რომელიც შვიდ დღეს მძვინვარებდა, ნახევარი რომი გადაწვა, რასაც უზარმაზარი მსხვერპლი მოჰყვა. თავად ნერონი მაღალი კოშკიდან ადევნებდა თვალს ხანძარს და, მისი თქმით, უმშვენიერესი ცეცხლის ენების ყურებით ტკბებოდა. ამბობდნენ, ხანძარი მან თავადვე გააჩინა ძველი რომის სიძულვილითო. იმასაც ამბობდნენ, იმპერატორი ასე იმიტომ მოიქცა, რომ მერე ქრისტიანებისთვის დაებრალებინა და სასტიკად გასწორებოდაო. ნერონის დროს დაიწყო რომის იმპერიაში ქრისტიანთა დევნა, რომელმაც სამი საუკუნე გასტანა.

- *შენი აზრით, შეეძლო ნერონს ქალაქში ხანძრის განზრახ გაჩენა? პასუხი დაასაბუთე.*

ნერონმა ხანძრის შემდგომი რომის განახლება გადაწყვიტა. მშენებლობაზე სახელმწიფო სახსრებს არ იშურებდა, ოღონდ მასშტაბებით წინამორბედი იმპერატორებისთვის გადაეჭარბებინა. ბოლოს ხაზინა დაცარიელდა და თითქმის გაღატაკდა, მაგრამ მაინც არ დაუცხრა გრანდიოზული მშენებლობის სურვილი, ჯარისკაცებსაც კი გასამრჯელოს უგვიანებდა ან საერთოდ არ აძლევდა, მიცემულ ჯილდოებს კი ართმევდა.

ლექსიკონი

ამნისტია – დაპატიმრებული დამნაშავის გათავისუფლება ან სასჯელის ვადის შემცირება / სიმძიმის შემსუბუქება.

პრეტორიანელები – იმპერატორის პირადი დაცვა.

ცნობა 1 **"ოქროს სახლი"**

ნერონმა მდიდრული სასახლის, ე. წ. ოქროს სახლის მშენებლობა წამოიწყო, რამაც სენატი აღაშფოთა. სადარბაზო შესასვლელი იმ სიმაღლის იყო, რომ იქ იმპერატორის ოცდაათმეტრიანი ქანდაკება იდგა, და ისეთი ფართო, რომ მასში ზღვასავით ტბორი თავსდებოდა. ოთახები ძვირფასი ქვებითა და ოქროთი იყო გაწყობილი. აბანოებში, რომლებიც სასახლეში მრავლად იყო, მარილიანი და გოგირდის წყლები მოედინებოდა. როცა სასახლის მშენებლობა დასრულდა, ნერონმა თქვა, ახლა კი ადამიანურად ვიცხოვრებო.

სისხლიან და სასტიკ იმპერატორს თოთხმეტი წლის განმავლობაში იტანდა რომი. ბოლოს სენატის, ხალხისა და ჯარისკაცების მოთმინების ფიალა აივსო. ესპანეთში ლეგიონერები აჯანყდნენ და იმპერატორად გალბა (68-69) გამოაცხადეს. ამას მოჰყვა რომის ლაშქრის აჯანყება, რომელიც მთელ ქალაქს მოედო. ნერონის ბრძანებას აღარავინ ემორჩილებოდა.

მან უკანასკნელი ღამე რომში სასოწარკვეთილმა გაატარა. ყველასგან მიტოვებული ნატრობდა, ჯარისკაცს ან გლადიატორს ხმლით მოეკლა – "ნუთუ არც მტერი, არც მოყვარე არ მყავსო?" სცადა ტიბრში გადავარდნილიყო, მაგრამ ნებისყოფა არ ეყო. ბოლოს ნახა თავისი მონაყოფილი, რომელმაც ურჩია, ქალაქგარეთ აგარაკზე წასულიყო. იქ რომ მივიდა, მსახურებს უბრძანა, მისთვის საფლავი გაეთხარათ. შიკრიკი მივიდა და ამცნო, სენატმა იმპერატორი ხალხის მტრად გამოაცხადა და საჯაროდ დასჯას უპირებსო. ნერონმა თავის მოკვლა გადაწყვიტა, მაგრამ კვლავ ვერ ბედავდა, თუმცა იცოდა, რომ მისი წუთები დათვლილი იყო. ოთახებში დაბორიალობდა და თან ამბობდა: "როგორი მსახიობი ვიღუპები!" მალე მოესმა მოახლოებული ცხენების ხმა. ახლა უკვე გაბედა და ყელი გამოიღადრა. როცა მხედრები აგარაკზე მივიდნენ, იმპერატორი სისხლში ცურავდა, თუმცა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ერთ-ერთმა მათგანმა სცადა, სისხლდენა შეეჩერებინა, მაგრამ ამაოდ. "აი, ერთგულება!" – ეს იყო ნერონის უკანასკნელი სიტყვები.

1. რვეულში ამოიწერე გაკვეთილებზე განხილული იმპერატორების სახელები მათი მმართველობის წლებით. წლებს შესაბამისი საუკუნე მიუწერე. განსაზღვრე ის ისტორიული პერიოდი (ანტიკური ხანა, შუა საუკუნეები, ახალი ეპოქა, უახლესი დრო) და წელთაღრიცხვის სისტემა (ძველი, ახალი), რომელშიც ეს იმპერატორები მოღვაწეობდნენ. დავალება ცხრილის სახით წარმოადგინე.

2. გაკვეთილზე დაყრდნობით ერთმანეთს შეადარე ორი იმპერატორი: კალიგულა და ნერონი; გამოყავი მათი საერთო და განმასხვავებელი ნიშნები. დაწერე მცირე თემა. დავალების შესრულებისას დამატებითი ინფორმაცია ინტერნეტის (ka.wikipedia.org) დახმარებით მოიძიე.

ბიბლია – ახალი აღთქმა

ქრისტეს შობის შემდეგ, პირველი საუკუნის შუა წლებიდან დაიწყო და თითქმის ერთ საუკუნეს გაგრძელდა ახალი აღთქმის შექმნა. პირველ ხანებში იესოზე მოგონებებს მასთან დაახლოებული პირები სხვებს ზეპირად მოუთხრობდნენ, მაგრამ დროთა განმავლობაში მორწმუნეთა და ეკლესიათა რაოდენობამ იმატა, ქრისტეს უშუალოდ მომსწრეთა და მნახველთა რიცხვმა კი – იკლო. საჭირო გახდა მათ მიერ მოყოლილი ამბების ჩაწერა. ასე ჩაეყარა საფუძველი ახალი აღთქმის წიგნებს. ახალი აღთქმა პირველად ბერძნულ ენაზე დაიწერა. მასში იესო ქრისტეს ცხოვრებისა და ქრისტიანული მოძღვრების შესახებაა მოთხრობილი.

ახალი აღთქმა ბიბლიის შემადგენელი ნაწილია. მასში 27 "საღვთო წიგნია" გაერთიანებული. ესენია: 4 სახარება ანუ ოთხთავი (მათეს, მარკოზის, ლუკასი და იოანესი), "საქმე მოციქულთა", 7 "კათოლიკე ეპისტოლე", პავლე მოციქულის 14 ეპისტოლე, "გამოცხადება იოანესი" (იგივე "აპოკალიფსი").

წყარო ა **ლუკას სახარება, თავი I**

1. რაკი მრავალმა მიჰყო ხელი იმ ამბების დალაგებით გადმოცემას, რომლებიც ჩვენში მოხდა,
2. როგორც გადმოგვცეს მათ, ვინც იმთავითვე თვითმხილველნი იყვნენ და სიტყვის მსახურნი,
3. მეც მართებულად მივიჩნიე, ყველაფრის თავიდანვე გამოწვლილვით განხილვის შემდეგ, თანმიმდევრულად აღმეწერა ისინი შენთვის, ღირსეულო თეოფილე,
4. რათა შეიცნო იმ მოძღვრების უმცდარობა, რაც გისწავლია.

- *როგორ განმარტავს ოთხთავის ერთ-ერთი ავტორი, ლუკა, სახარების შექმნის მიზეზს?*

ახალი აღთქმა ლათინურ ენაზე IV ს-ში ბერმა იერონიმემ გადაიტანა. მის საფუძველზე შესრულდა თარგმანები სხვა ევროპულ ენებზე.

ქართულად სახარების ტექსტები V ს-დან არსებობს.

წყარო ბ **1. ადიშის ოთხთავი (897 წ.), 2. პარხლის ოთხთავი (X ს.)**

ინტერნეტის, წიგნების დახმარებით მოიძიე ცნობილ მხატვართა ტილოები ქრისტეს ცხოვრების შესახებ. აირჩიე ერთი მათგანი და მომდევნო გაკვეთილზე კლასს წარუდგინე.

ბიზანტიის იმპერატორის კურთხევა

ბიზანტიის იმპერატორის კურთხევის წესმა საუკუნეების განმავლობაში გარკვეული ცვლილებები განიცადა. თავდაპირველად იმპერატორის არჩევისთვის უპირატესობა ენიჭებოდათ კონსტანტინოპოლის მცხოვრებთ – ხალხს, იმპერიის სენატს და ჯარს. ჯარის მიერ არჩეული მომავალი იმპერატორი ფარზე შედგებოდა; ფარს ჯარისკაცები ასწევდნენ, ჯარის მეთაური კი მომავალ იმპერატორს დიადემას დაადგამდა. ამის შემდეგ იმპერატორს შეძახილებით ხალხი ესალმებოდა. ეს ცერემონია უპირატესად ქალაქის იპოდრომზე იმართებოდა. არჩეული იმპერატორი სასახლეში მიდიოდა, სადაც მას ასევე შეძახილებით სენატი ეგებებოდა. ამგვარად, მმართველი სენატის, ჯარისა და ხალხის მიერ არჩეულად მიიჩნეოდა.

წყარო ა 1. ბიბლიური დავითის მეფედ არჩევა ფარზე, "პარიზის ფსალმუნნი", X ს., 2. მანუელ II პალეოლოგოსი და მისი ოჯახი, XV ს-ის მინიატიურა

1. ღვთის მიერ მეფედ არჩეული დავითი ბიზანტიის იმპერატორების საყვარელი გამოსახულება იყო და მას ხშირად იყენებდნენ ხელნაწერების დასურათებისთვის. **2.** იმპერატორს გვირგვინს ქრისტე ადგამს, ხოლო გამოსახულებას ასეთი წარწერა ახლავს: "მანუელი, ქრისტე ღმერთის წყალობით რომაელთა ერთგული იმპერატორი და *ავტოკრატორი*, პალეოლოგოსი, ავგუსტუსი სამუდამოდ".

- *შენი აზრით, რატომ აირჩიეს ბიბლიური დავითი მისაბაძ მეფედ ბიზანტიის იმპერატორებმა?*
- *XV ს-ის მინიატიურის წარწერის მიხედვით, რით განსხვავდებოდა ბიზანტიის იმპერატორი რომის იმპერატორისგან?*

V საუკუნის შუა წლებიდან იმპერატორად კურთხევის ცერემონიას საეკლესიო კურთხევა დაემატა: ანასტასიოს I თავდაპირველად იმპერატორად ფარზე გამოაცხადეს. ფარიდან ჩამოსვლის შემდეგ იგი საიმპერატორო სამოსლით შეიმოსა. ბოლოს იპოდრომზე კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ლოცვის წაკითხვის შემდეგ მას სამეფო მოსასხამი მოაცვა და გვირგვინი დაადგა.

VII საუკუნიდან იმპერატორად კურთხევის ცერემონიაში რამდენიმე ცვლილება შევიდა: მომავალი იმპერატორი აია სოფიის ტაძარში მიდიოდა, შესაბამისი სამოსით იმოსებოდა, სანთლებს ანთებდა, ლოცულობდა და პატრიარქთან ერთად *ამბიონზე* ადიოდა. პატრიარქი ლოცვას კითხულობდა. მომავალ იმპერატორს საიმპერატორო სა

მოსელს ჩააცმევდნენ, დიადემას კი პატრიარქი ადგამდა. ამის შემდეგ საიმპერატორო ტახტზე დაბრძანებული ახალი მმართველი უმაღლეს მოხელეებს, სენატის წევრებსა და სამხედრო პირებს იღებდა. ისინი მის წინაშე ემხობოდნენ და მუხლებზე ემთხვეოდნენ, მილოცვების წარმოთქმის შემდეგ კი დარბაზიდან გადიოდნენ. იმპერატორად კურთხევის ცერემონიაში ხალხი აღარ მონაწილეობდა.

ჯვაროსნების გავლენით XIII საუკუნიდან იმპერატორად კურთხევის ცერემონიას მირონცხება დაემატა. ამ რიტუალს ღვთისმსახურების დროს თავად პატრიარქი ასრულებდა: იგი მომავალი იმპერატორის შუბლზე *მირონით* ჯვრის ფორმას გამოსახავდა და წარმოთქვამდა "ღირს არს!".

წყარო ბ 1. ბასილი II საიმპერატორო სამოსელში, XI ს-ის ხელნაწერის მინიატიურა, 2. ნომისმა

1. იმპერატორის ძალაუფლების ყველაზე თვალსაჩინო ნიშანი იყო მეწამული დიადემა, სამოსელი და წაღები: ვიდრე იმპერატორი მათ ატარებდა, იმპერიასაც ის მართავდა, რადგან მიიჩნეოდა, რომ მიწაზე მათი ტარება მხოლოდ ღმერთის ნაცვალს შეუძლია. **2.** ნომისმა, ბიზანტიის იმპერიაში მოჭრილი ფულის ერთეული, იმპერატორის ძალაუფლების მეორე უმნიშვნელოვანესი ნიშანი იყო. მონეტის მიწაზე დაგდება ან ფეხით გათელვა იმპერატორის შეურაცხყოფად მიიჩნეოდა.

ლექსიკონი

ავტოკრატორი – ქვეყნის შეუზღუდავი, ერთპიროვნული მმართველი.

ამბიონი – ამაღლებული ადგილი ეკლესიის საკურთხევლის წინ, სადაც ლოცვებს წარმოთქვამენ.

მირონი – საგანგებოდ დამზადებული (მოხარშული) ზეთი, რომელსაც ეკლესიაში სხვადასხვა რიტუალის (მაგალითად, ნათლობის) დროს იყენებენ.

წერილობით უპასუხე კითხვებს:

1) რაზე მიუთითებს იმპერატორად კურთხევის ცერემონიაში საეკლესიო კურთხევის ელემენტების შეტანა? 2) რა მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებას, რომ ადამიანს იმპერატორად ჯერ ფარზე აცხადებდნენ, შემდეგ კი გვირგვინს პატრიარქი ადგამდა? 3) შენი აზრით, რაზე მიუთითებს იმპერატორად კურთხევის ცერემონიაში სენატის, ჯარისა და ხალხის როლის დაქვეითება და რამდენად შეიძლებოდა ამგვარად არჩეული იმპერატორი მათ მიერ არჩეულადაც მიჩნეულიყო?

იერუსალიმი – სამი რელიგიის წმინდა ქალაქი

ამ გაკვეთილიდან შეიტყობ, როგორ იქცა იერუსალიმი ებრაელების, ქრისტიანებისა და მუსლიმების წმინდა ქალაქად, გაიგებ სოლომონის ტაძრის ხანგრძლივ ისტორიას და გაეცნობი იერუსალიმში არსებული სამი რელიგიის წმინდა ადგილებს.

იერუსალიმი მსოფლიოში ერთადერთი ქალაქია, სადაც სამი დიდი რელიგიის გზები ერთდება. იქ ჩასული ადამიანი ადვილად შეამჩნევს თანამედროვე ქალაქის შუაგულში მოქცეულ, გალავანშემოვლებულ სივრცეს – ეს არის ძველი იერუსალიმი, ადგილი, სადაც ებრაელების, ქრისტიანებისა და მუსლიმების მთავარი სალოცავებია თავმოყრილი.

იერუსალიმი და ებრაული ტრადიცია

ძველი იერუსალიმის შუაგულში მდებარეობს ბორცვი, რომელსაც **მორიას მთა** ეწოდება. სწორედ აქედან დაიწყო იუდეველთა ძველი სამეფოს ისტორია. ძვ. წ. X საუკუნეში ამ მთაზე ააშენა მეფე სოლომონმა ძველი სამყაროს საოცრება – იერუსალიმის ტაძარი, სადაც ებრაელი ხალხის მთავარი სიწმინდე – **რჯულის კიდობანი** ინახებოდა.

ამ ტაძრის თავგადასავალი ებრაელთა თავდადებული რწმენისა და სიძნელეებით აღსავსე ისტორიის განუყოფელი ნაწილია. ტაძრის მიხედვითაც გამოყოფენ ებრაელები თავიანთი ძველი ისტორიის პერიოდებს.

ძვ. წ. VI საუკუნის დამდეგს, როდესაც ბაბილონის მეფე **ნაბუქოდონოსორმა** (ძვ. წ. 605-562) იერუსალიმი მიწასთან გაასწორა, ტაძარი დაანგრია და ებრაელები ტყვედ წაასხა, დასრულდა **პირველი ტაძრის პერიოდი**. ამ ამბიდან 70 წლის შემდეგ ებრაელები თავიანთ მიწა-წყალზე დაბრუნდნენ და ტაძარი ხელმეორედ ააშენეს. მომდევნო 6 საუკუნე ებრაელთა ისტორიაში **მეორე ტაძრის პერიოდი** იყო. ამ ხნის განმავლობაში ებრაელებმა ათასი გასაჭირი გადაიტანეს, მაგრამ თავდადებით იცავდნენ ტაძარს, რომელიც მათთვის რელიგიური ერთობისა და ეროვნული სიამაყის სიმბოლოდ იქცა. ახ. წ. 70 წელს რომაელებმა ხანგრძლივი ალყის შემდეგ იერუსალიმი აიღეს და ტაძარი ცეცხლს მისცეს. მაშინ ტაძრის მრავალი დამცველი ცეცხლში შეცვივდა და მასთან

ერთად ჩაიფერფლა. ასე დასრულდა მეორე ტაძრის პერიოდი. მას შემდეგ 20 საუკუნე გავიდა. მორწმუნე ებრაელებს სწამთ, რომ მოვა დრო და გამოჩნდება მხსნელი (ებრაულად "მაშიახ", იგივე "მესია"), რომელიც კვლავ ააშენებს ტაძარს. ახლა კი ძველი ტაძრიდან გადარჩენილია მხოლოდ დასავლეთი კედლის ნაწილი, რომელსაც ებრაელები გლოვის ნიშნად "გოდების კედელს" უწოდებენ. მასთან მუდმივად იკრიბება უამრავი მორწმუნე, რომლებიც ლოცვით შესთხოვენ უფალს თავიანთ სათხოვარს.

● *შენი აზრით, რატომ არის ასეთი მნიშვნელოვანი ებრაელებისთვის სოლომონის ტაძრის მესამედ აგება და რატომ მიაჩნიათ მათ, რომ ეს მხოლოდ მესიას, მხსნელს შეუძლია?*

წყარო ა 1. გოდების კედლის ხედი, 2. რომაელი ჯარისკაცები ძარცვავენ სოლომონის ტაძარს, ბარელიეფი ტიტუსის თაღზე

• *დააკვირდი წყარო Ა1-ს. რომელი ორი რელიგიის სიწმინდეები გადაიკვეთა ამ ადგილას?*

სამშობლოს მოწყვეტილმა ებრაელებმა საუკუნეთა განმავლობაში შეინარჩუნეს იერუსალიმთან სულიერი კავშირი. სადაც არ უნდა ცხოვრობდეს მორწმუნე ებრაელი, ყოველდღიური ლოცვისას უსათუოდ იერუსალიმისკენ იბრუნებს პირს.

• *კლასში იმსჯელე, რატომ იყო ებრაელთათვის სოლომონის ტაძარი მნიშვნელოვანი. აღწერე იგი.*

მოიძიე ინფორმაცია იმპერატორ ტიტუსისა და იუდეის ომის შესახებ. მოპოვებული ინფორმაცია ერთი კვირის შემდეგ კლასს გააცანი.

იერუსალიმი და ქრისტიანული ტრადიცია

ქრისტიანთათვის წმინდაა ქრისტეს მიწიერ ცხოვრებასთან დაკავშირებული ყველა ადგილი იერუსალიმში და მის გარეთ, პალესტინის სხვადასხვა მხარეს. მათ შორის უძვირფასესი მაინც იერუსალიმის სამი ადგილია: ა) **გოლგოთა**, სადაც უფალი ჯვარს ეცვა; ბ) **ქრისტეს აკლდამა**, რომელშიც ის მკვდრეთით აღდგა; გ) **ზეთისხილის/ელეონის მთა**, საიდანაც იესო ზეცად ამაღლდა. მათი მიახლოებითი მდებარეობა იერუსალიმის დანგრევის შემდეგ 4 საუკუნის განმავლობაში მხოლოდ იქ დარჩენილ, მცირე რაოდენობის ქრისტიან მორწმუნეთა ხსოვნაში ცოცხლობდა. 326 წელს იმპერატორ კონსტანტინე I დიდის დედის, ელენე დედოფლის ხელმძღვანელობით იერუსალიმში "არქეოლოგიური გათხრები" ჩატარდა. ამ დროს მიაკვლიეს კლდეში ნაკვეთ ქრისტეს აკლდამას და მაცხოვრის ჯვარს (**ჯვარი პატიოსანი / ძელი ჭეშმარიტი**). კონსტანტინე დიდის განკარგულებით, 326-335 წლებში ამ ადგილას ეკლესია აშენდა. იქვე, ეკლესიის სიახლოვეს, წამომართული იყო გოლგოთა – პატარა, კლდოვანი გორაკი, ქრისტეს ჯვარცმის ადგილი. მის წვერზე, ღია ცის ქვეშ, აღმართეს ძელი ჭეშმარიტი. ამ ადგილებში სულ მალე მთელი საქრისტიანოდან დაიწყეს ჩამოსვლა მომლოცველებმა. VII საუკუნეში გოლგოთა ნახევრად ღია ნიშით უფლის საფლავის ეკლესიის სახურავის ქვეშ მოაქციეს.

წყარო ბ **1. ქრისტეს საფლავი, 2. იესოს ჯვარცმის ადგილი**

• *შენი აზრით, რატომ არის მნიშვნელოვანი მორწმუნისათვის წმინდა ადგილების მონახულება?*

ცნობა 1 **ძელი ჭეშმარიტი და ჰერაკლე კეისარი**

VII საუკუნის დასაწყისში ირანის შაჰმა, ხოსრო II ფარვიზმა (590-628) ბიზანტიის წინააღმდეგ დიდი ომი წამოიწყო. 614 წელს მან იერუსალიმი აიღო, ქრისტიანები გაჟლიტა და ძელი ჭეშმარიტი გაიტაცა. ამ ამბავს მთელი იმდროინდელი ქრისტიანული სამყარო გლოვობდა. ცხრა წლის შემდეგ ომი განახლდა. ბიზანტიის იმპერატორმა ჰერაკლემ სამი ძლევამოსილი ლაშქრობა მოაწყო, 629 წელს საბოლოოდ გატეხა ირანის წინააღმდეგობა, ძელი ჭეშმარიტი დაიბრუნა და თავისი ხელით ჩააბრძანა იერუსალიმში.

იერუსალიმი და მუსლიმები

წყარო გ 1. "კლდის გუმბათი", 2. მეჩეთი ალ-აქსა

638 წელს არაბებმა მშვიდობიანად დაიკავეს იერუსალიმი (მათთან სამშვიდობო ხელშეკრულება დადო იერუსალიმის პატრიარქმა სოფრონმა). ისინი ისეთივე პატივისცემით ეკიდებოდნენ ებრაელთა და ქრისტიანთა სიწმინდეებს, როგორითაც ადგილობრივი მკვიდრნი. ხალიფა უმარ I-მა და მისმა თანამებრძოლებმა მორიას მთაზე ერთად გაწმინდეს სოლომონის ტაძრის ნანგრევები და გამოაჩინეს კლდისპირი – ადგილი, რომელიც უკვე მუსლიმთა სიწმინდედ იქცა. მუსლიმური გადმოცემით, სწორედ აქ გადმოაფრინა ანგელოზმა მოციქული მუჰამედი მექიდან იერუსალიმში და ციდან ჩამოშვებული კიბით აამაღლა ზეცად. ნახევარი საუკუნის შემდეგ ხალიფა მარვანმა ააგო დიდებული, მოოქრულგუმბათიანი მეჩეთი **"კლდის გუმბათი"** (არაბულად "ას-სახრა"). მის სიახლოვეს VIII საუკუნის დასაწყისში აღმართეს ასევე ულამაზესი, მოვერცხლილგუმბათიანი მეჩეთი **ალ-აქსა** ("უშორესი მეჩეთი"). პირველი მუსლიმები, ებრაელთა მსგავსად, იერუსალიმისკენ პირშექცევით აღავლენდნენ თავიანთ ლოცვებს. იერუსალიმი მათთვის მესამე სიწმინდედ იქცა **მექისა** და **მედინის** შემდეგ.

- *ჩამოწერე ის ფაქტები, რომელთა საფუძველზედაც იქცა იერუსალიმი სამი რელიგიის წმინდა ადგილების ქალაქად.*



წყარო დ **იერუსალიმი – სამყაროს ჭიპი**

ძველი აღთქმის დროინდელ ებრაელთა წარმოდგენით, იერუსალიმი იყო სამყაროს ჭიპი, ცენტრი, რომლის გარეთაც ცხოვრობდნენ ურწმუნონი, ანუ წარმართები. ასეთივე ცენტრად მიაჩნდათ ეს ქალაქი შუა საუკუნეების ქრისტიანულ სამყაროში.

- *რატომ აღმოჩნდა იერუსალიმი ქრისტიანებისთვისაც "სამყაროს ჭიპი"? ამოარჩიე სწორი პასუხი: ა) ეს წარმოდგენა მათ ძველი აღთქმის წიგნებთან ერთად შეითვისეს, ბ) იერუსალიმში იყო ქრისტიანობის უდიდესი სიწმინდეები, გ) ორივე მიზეზი თანაბარი მნიშვნელობის იყო.*
- *წყარო დ-ს მიხედვით იმსჯელე, რა უფრო მეტად ზემოქმედებდა ძველ სამყაროში გეოგრაფიულ წარმოდგენებზე – რელიგიური რწმენა თუ მოგზაურთა დაკვირვებები.*

1. გასულ წლებში შესწავლილი მასალიდან დაასახელე ის ქართველი მოღვაწეები, რომელთა სახელებიც იერუსალიმს უკავშირდება.

2. დაწერე თხზულება "იერუსალიმი და ისტორიული სამართლიანობა". გამოხატე შენი აზრი, რამდენად სწორი და გონივრული იქნება, რომელიმე რელიგიის წარმომადგენლებს სხვებზე მეტი უფლებები ჰქონდეთ იერუსალიმზე.

სწავლა-განათლება

ამ გაკვეთილზე შეიტყობ, განვითარების რა ძირითადი ეტაპები განვლო სწავლა-განათლებამ უძველესი დროიდან დღემდე, როგორ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან წარჩინებულთა და დაბალი ფენების, აგრეთვე გოგონებისა და ბიჭების განათლება სხვადასხვა ეპოქასა და საზოგადოებაში.

ყოველი საზოგადოება თავისი ამოცანების, რელიგიისა და განვითარების დონის შესაბამისად ქმნიდა აღზრდა-განათლების სისტემას. უძველეს საზოგადოებებში ცოდნის დანიშნულება იყო ტრადიციული ცხოვრების წესის გაგრძელება, მაგრამ სახელმწიფოთა წარმოქმნამ ყველგან თან მოიტანა ახალი წესრიგი, რომლის სიმტკიცისთვის აუცილებელი გახდა ახალი ცოდნა და ასეთი ცოდნით აღჭურვილი მმართველი ფენა. ამ მიზანს ემსახურებოდა ისეთი მძლავრი საკომუნიკაციო საშუალება, როგორიცაა დამწერლობა.

სწავლა-განათლება შუმერსა და ძველ ეგვიპტეში

უძველესი დამწერლობების შესწავლა ნიშანთა სიმრავლისა და გამოსახულებათა სირთულის გამო ხანგრძლივ და ბეჯით შრომას მოითხოვდა. ეს პროცესი კი თავისთავად გულისხმობს მასწავლებლისა და მოსწავლის, ანუ სკოლის არსებობას.

წყარო ა **მწერალი ამენოფისი. ძველეგვიპტური ქანდაკება**

შუმერისა და ძველი ეგვიპტის სკოლებში ამზადებდნენ მწერლებს, რომელთაც სამეფო კარზე და ტაძრებში მაღალი თანამდებობები უნდა დაეკავებინათ. მათ სამეურნეო, საკულტო, ფინანსური, ადმინისტრაციული და სხვა ტიპის დოკუმენტების შედგენა უნდა შესძლებოდათ. ამ პროფესიას ეუფლებოდნენ წარჩინებული ოჯახებისა და მდიდარი მოქალაქეების შვილები.

წყარო ბ **ეგვიპტელების დამოკიდებულებაზე მწერლის პროფესიისადმი მეტყველებს ნაწყვეტი ეგვიპტური პაპირუსიდან:**

არ არსებობს სხვა თანამდებობა, გარდა მწერლისა, რომელიც ადამიანს ბატონად აქცევს.

- *შენი აზრით, რატომ მიაჩნდათ ძველ ეგვიპტეში მწერლის თანამდებობა პრივილეგიად?*

გარდა მწერლის პროფესიისა, ეგვიპტელ წარჩინებულთა შვილები ეუფლებოდნენ ღვთისმეტყველებას, მედიცინას, გრამატიკას, ბოტანიკას, ზოოლოგიას, მინერალოგიას, მათემატიკას, ასტრონომიას.

სწავლის პროცესი ამ ქვეყნებში იწყებოდა ადრეული – 5-6 წლის ასაკიდან. თავდაპირველად მოსწავლე სწავლობდა სწორად წერასა და კითხვას, რისთვისაც ასეულობით იეროგლიფის მოხაზულობა უნდა დაემახსოვრებინა. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დაუფლებოდა საქმიანი ქაღალდების შედგენას.

წყარო გ **მოსწავლეს მასწავლებლისთვის ყურის გდება და მისი უსიტყვო მორჩილება ევალებოდა. მიღებული იყო ურჩი მოსწავლის გაჯოხვა. მოსწავლისადმი მასწავლებლის მკაცრ დამოკიდებულებას ასახავს ნაწყვეტი ეგვიპტური პაპირუსიდან:**

ბავშვს ყურები ზურგზე ასხია, ხშირად უნდა ურტყა, რათა მოსმენა ისწავლოს.

წყარო დ ნაწყვეტი შუმერული თიხის ფირფიტის ტექსტიდან, რომელიც გვაუწყებს, თუ რატომ საყვედურობს მამა ზარმაც შვილს:

მე შენ არ გაიძულებდი გეზიდა ლერწამი, რომელსაც შენი ტოლები ეზიდებიან. მე არასოდეს მითქვამს შენთვის: "გაჰყევი ჩემს ქარავანს!". არასოდეს გამიგზავნიხარ მინდორში სახნავ-სათესად, სხვები, შენოდენები კი მუშაობენ, მშობლებს ეხმარებიან. მათ გაამრავლეს თავიანთი მამების მოსავალი, შენ კი ჯიუტობ და არ შრომობ. მთელ ქვეყანაზე რაც კი ხელობაა, რაც კი *ენქის* შეუქმნია, არაფერია მწერლის ხელობაზე უფრო ძნელი. ასე დააწესა ადამიანთა ბედი ენლილმა: დაე, განაგრძოსო შვილმა მამის საქმე!
***შენიშვნა: ენქი** – ხელოვნებისა და ხელოსნობის ღმერთი შუმერში.*

• *რა პროფესიის ჩანს მამა? რა საქმიანობას ეწევიან შუმერში სხვა ბავშვები? რატომ სურს მამას, რომ შვილმა მწერლობა შეისწავლოს?*

სწავლა-აღზრდა ათენში

მოსწავლის წიგნში უკვე გაეცანი ბავშვთა აღზრდის წესებს ძველ სპარტაში და იმ გარემოებებს, რომლებმაც წარმოშვა აღზრდის ასეთი მკაცრი სისტემა. ახლა კი შეიტყობ იმას, თუ როგორ ზრდიდნენ ბავშვებს ათენში.

ძვ. წ. V საუკუნისთვის ათენში საბოლოოდ ჩამოყალიბდა დემოკრატიული წყობილება. ათენის თავისუფალ მოქალაქეებს სჯეროდათ, რომ ისინი ნამდვილად მონაწილეობდნენ საკუთარი პოლისის მართვაში და მისი სიძლიერე და კეთილდღეობა მთლიანად მათზე იყო დამოკიდებული. ამიტომ ათენელები თავს მოვალედ მიიჩნევდნენ, საკუთარი შესაძლებლობები პოლისის აყვავება-განვითარებისთვის გამოეყენებინათ. ასეთი ამოცანის შესრულება კი ფიზიკურად და სულიერად სრულყოფილ ადამიანებს შეეძლოთ.

ათენში სამი სახის სკოლა იყო: გრამატიკის, კითარისა და პალესტრის.

გრამატიკის სკოლებში ბავშვები სწავლობდნენ წერას, კითხვასა და ანგარიშს. V საუკუნეში თავისუფალ ათენელთა შორის არავინ ყოფილა წერა-კითხვის უცოდინარი.

ათენის ყველა ღირსეული მოქალაქე უკრავდა კითარას. მისი აკომპანიმენტის თანხლებით ისინი ღმერთებისადმი მიძღვნილ ჰიმნებს მღეროდნენ. მუსიკალური ცოდნა რელიგიურ დღესასწაულებში მონაწილეობისთვის იყო აუცილებელი. ამიტომ ატარებდნენ მშობლები შვილებს კითარის სკოლებში, სადაც ბავშვები ეუფლებოდნენ კითარის დაკვრის ხელოვნებას, რიტუალურ სიმღერებსა და ცეკვებს.



წყარო ე წერის გაკვეთილი. მასწავლებელი წერს საწერ დაფაზე ან ამოწმებს მის წინ მდგომი მოწაფის ნაწერს. ლარნაკის მოხატულობა, ძვ. წ. V ს.

წყარო ვ მუსიკის გაკვეთილი. ლარნაკის მოხატულობა, ძვ. წ. V ს.

შუაში გამოსახულია მჯდომარე მასწავლებელი გაშლილი გრაგნილით. მის წინ მდგომი მოსწავლე უყურებს გრაგნილზე დაწერილ ტექსტს და მღერის. მარცხნივ გამოსახულია ყმაწვილი, რომელიც კითარას უკრავს.

• *შენი აზრით, არის თუ არა არეკლილი ძველი ბერძნული საზოგადოების შეხედულება მამაკაცებისა და ქალების უფლებრივ განსხვავებაზე ე და ვ წყაროებზე წარმოდგენილ ლარნაკის მოხატულობებში?*

ათენის სახელმწიფო ზრუნავდა თავის მოქალაქეებზე, მაგრამ, რადგან პოლისის მმართველობა ათენში მამაკაცების მოვალეობად იყო მიჩნეული, ამიტომ გონებრივი წრთვნაც და ფიზიკური ვარჯიშიც მხოლოდ ვაჟების საქმედ ითვლებოდა. საზოგადოებრივი ფუნქციების ამგვარი გადანაწილება სწავლა-განათლების გარეშე დარჩენილი ქალებისთვისაც ტრადიციულ ნორმად იყო ქცეული.

ათენელი მამაკაცები უნდა ყოფილიყვნენ ჯანსაღნი, ძლიერნი, საბრძოლო ხელოვნებაში გაწაფულნი. ამიტომ ვაჟებს ადრევე აჩვევდნენ ბადროს ტყორცნას, შუბის ხმარებას, ცურვას, ცხენოსნობას. ასეთ წრთვნას ათენელი ბავშვები გადიოდნენ სპეციალურ სპორტულ დარბაზებში – **პალესტრებში.** სპორტული აღზრდისთვის ათენში აშენებდნენ აგრეთვე **გიმნასიონებს**, სადაც 12 წლის ასაკიდან წრთვნიდნენ მოზარდებს. ასეთ შენობებში ცალ-ცალკე იყო გამოყოფილი დარბაზები სპორტული შეჯიბრებებისთვის, აბანოები ცხელი და ცივი წყლით და ე. წ. დასასვენებელი ოთახები, სადაც უსმენდნენ ფილოსოფოსებსა და მჭევრმეტყველებს. გიმნასიონებში ფილოსოფიური სკოლები ყალიბდებოდა. მაგ., ძვ. წ. IV საუკუნეში დიდმა ბერძენმა ფილოსოფოსმა პლატონმა გიმნასიონში დააარსა აკადემია, სადაც თავის მოწაფეებთან ერთად ფილოსოფიურ საუბრებს მართავდა. დასასვენებელი ოთახები ბერძენ ოსტატთა საუკეთესო ნამუშევრებით – მოზაიკური იატაკებითა და მარმარილოს ქანდაკებებით იყო დამშვენებული. აქ მყოფი მოზარდი ფილოსოფოსთა სიბრძნესთან ერთად ნატიფ ხელოვნებასაც ეზიარებოდა.

საბერძნეთის დანარჩენი პოლისები ათენში მიღებულ სწავლა-აღზრდის სისტემას მისდევდნენ.

- *შეადარე ერთმანეთს ათენისა და სპარტის სწავლა-აღზრდის წესები. ახსენი, რა იყო მათ შორის განსხვავების მიზეზი.*

ცნობა 1 საიდან მომდინარეობს სიტყვა "სკოლა"?

სიტყვა "სკოლა" წარმოიშვა ძველი ბერძნული ზმნისგან "სხოლაძეინ" – მოცალეობა (თავისუფალი დროის ქონა).

- *რას გეუბნება ცნობა 1-ში მოცემული ინფორმაცია სწავლა-განათლების ფართო ფენებისთვის ხელმისაწვდომობაზე ძველ სამყაროში? იგი: ა) ხელმისაწვდომი იყო ყველა მსურველისთვის, ბ) ხელმისაწვდომი იყო წარჩინებულთა შვილებისთვის ან თავისუფალი მოქალაქეებისთვის. არჩევანი დაასაბუთე.*

წყარო ზ ფილოსოფოს პლატონის თვალსაზრისი სწავლების წესის შესახებ:

ჩემო მეგობარო, ბავშვებს ძალდატანების გზით კი ნუ ასწავლი, არამედ – თამაშის მეშვეობით. ეს ასევე საშუალებას მოგცემს, თითოეული მათგანის ბუნებრივი უნარები გამოავლინო.

პლატონი, "სახელმწიფო"

- *ბ და ზ წყაროებში მოცემული თვალსაზრისებიდან რომელი უფრო მისაღებად მიგაჩნია? რატომ?*

სწავლა-აღზრდა შუა საუკუნეებში

ქრისტიანულ ქვეყნებში სწავლა-აღზრდა ადრეული შუა საუკუნეებიდან ეკლესიის ხელში მოექცა (ისლამის მიმდევარ ქვეყნებში – ისლამური სამღვდელოების ხელში). თუ ანტიკურ საბერძნეთში სწავლის მიზანი იყო სრულყოფილი ადამიანის აღზრდა, შუა საუკუნეებში ეს მიზანი მიუღებელი აღმოჩნდა. ქრისტიანული მსოფლმხედველობის თანახმად, ადამიანი არის არასრულყოფილი არსება, რომელსაც სულიერი სრულყოფისკენ სვლა შეუძლია ღმერთის შეცნობის გზით. აქედან გამომდინარე, მას მუდმივად უნდა ეკითხა წმინდა წერილი, ეფიქრა მასზე, როგორც ღვთის სიტყვაზე, მასში მოეძია პასუხები ყველა კითხვაზე. ამისათვის კი ადამიანს მთელი ცხოვრება ესაჭიროებოდა. ამიტომაც მორწმუნე ქრისტიანის ცხოვრება – ეს იყო ცხოვრება მარადი მოსწავლისა.

ქრისტიანულ სკოლებს, უპირველეს ყოვლისა, სამღვდელოება უნდა მოემზადებინათ. ამავე დროს, ანტიკური ეპოქიდან მათ უნდა შეენარჩუნებინათ პრაქტიკული ცხოვრებისთვის აუცილებელი მეცნიერული ცოდნა და პედაგოგიური გამოცდილება.

ცნობა 2 **“შვიდი თავისუფალი ხელოვნების” პროგრამა შუა საუკუნეების ქრისტიანულ განათლებაში**

შუა საუკუნეების სკოლებში V საუკუნიდან ისწავლებოდა პროგრამა “შვიდი თავისუფალი ხელოვნება”. იგი მოიცავდა შვიდ საგანს: გრამატიკას, რიტორიკას, ლოგიკას, არითმეტიკას, გეომეტრიას, ასტრონომიას, მუსიკას. VI საუკუნეში ეს საგნები ორ ჯგუფად – ტრივიუმად და კვადრივიუმად დაყვეს (სამეული და ოთხეული), რამაც საფუძველი ჩაუყარა ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო საგნების ერთმანეთისგან გამოყოფას. ადრეულ შუა საუკუნეებში გაბატონებული იყო ტრივიუმის სწავლება, XIII საუკუნიდან კი ფართოდ ისწავლებოდა კვადრივიუმი.

ქრისტიანულ შუა საუკუნეებში სკოლები არსებობდა სამეფო კარზე, წარჩინებულთა სასახლეებში, მონასტრებთან და ეკლესიებთან. ამ სკოლებში სწავლობდნენ ლათინურ წერა-კითხვას, ანგარიშს, საეკლესიო გალობასა და ტრივიუმის საგნებს; განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეები – ღვთისმეტყველებასაც. მოსწავლეები წერდნენ თხზულებებს ლექსად და პროზად. ყოველ მონასტერში, გარდა სკოლებისა, იყო გადამწერთა სახელოსნოები, ე. წ. **სკრიპტორიუმები.** აქ ხდებოდა ხელნაწერთა გადაწერა და გამრავლება.

ასეთივე სკოლები იყო გამართული საქართველოს სამეფო კარზე, არისტოკრატულ ოჯახებსა და ეკლესია-მონასტრებში. უცხო ენებიდან შუა საუკუნეების საქართველოში ასწავლიდნენ ბერძნულსა და არაბულს, მოგვიანებით – სპარსულსა და თურქულს.

წყარო 01 **1. გადამწერი ბერი შუა საუკუნეების საწერ მაგიდასთან, 2. შუა საუკუნეების ტიპური საწერი მაგიდა და სკამი ბალიშით (ბელგია)**

• *ძველბერძნული და ქრისტიანული სწავლა-განათლების სისტემების დასახასიათებლად შეიძლება გამოვიყენოთ ორი პრინციპი: ა) ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია, ბ) ტანჯულ სხეულში ამაღლებული სულია. განსაზღვრე, რომელი თვალსაზრისი რომელ განათლების სისტემას ახასიათებს. რა აქვს საერთო და განსხვავებული ძველბერძნულ და ქრისტიანულ აღზრდის სისტემებს? რატომ ამოვარდა საეკლესიო სწავლა-განათლების სისტემიდან მოსწავლის ფიზიკური წვრთნა?*

სარაინდო აღზრდა

შუა საუკუნეებში საგანგებო წესები იყო შემუშავებული რაინდების აღსაზრდელად. ფეოდალთა ვაჟები ეუფლებოდნენ “შვიდ სარაინდო სიქველეს”. ესენი იყო: 1. მხედრობა, 2. ცურვა, 3. შუბის ხმარება, 4. ფარიკაობა, 5. ნადირობა, 6. ჭადრაკის თამაში, 7. ლექსების თხზვა და მუსიკალური ინსტრუმენტების დაკვრა. ამ ჩვევების მისაღებად მცირე ფეოდალები თავიანთ ვაჟებს მიაბარებდნენ ხოლმე დიდი ფეოდალის – პატრონის კარზე. აქ ისინი 7-დან 14 წლამდე მსახურობდნენ პაჟებად, შემდეგ საჭურველთმტვირთველებად. 21 წლის ახალგაზრდას რაინდად აკურთხებდნენ.

• *საზოგადოების რომელი ფენისთვისაა განკუთვნილი სარაინდო აღზრდის წესები? ა) გლეხებისთვის, ბ) მღვდლებისთვის, ბ) ფეოდალებისთვის. არჩევანი დაასაბუთე.*

ქალთა განათლება

ძველ დროში განათლება მამაკაცის პრივილეგია იყო. ქალის განათლება დამოკიდებული იყო იმ ფუნქციებზე, რომლებსაც მას ოჯახი და საზოგადოება აკისრებდა. მაგალითად, ძველ ეგვიპტეში ქალი და მამაკაცი ოჯახში თანაბარუფლებიანნი იყვნენ, ამიტომ ქალებს ისევე ზრდიდნენ, როგორც ვაჟებს. ძველ ეგვიპტეში, განსხვავებით ანტიკური საბერძნეთისგან, მამაკაცებსა და ქალებს შორის უფლებრივი განსხვავება თითქმის არ არსებობდა და ამიტომ არც განათლების სისტემა ასხვავებდა მათ. ქალებს შეეძლოთ საჯარო სამსახურში კარიერული წინსვლა, შეეძლოთ გამხდარიყვნენ სეფექალები სასახლის კარზე, ან ტაძრის ქურუმები, ყოფილიყვნენ ექიმები, აგრონომები, ფეიქრები, ასტრონომები. ღარიბ ქალებს შეეძლოთ ემუშავათ ძიძებად წარჩინებულთა ოჯახებში. ქალი დებდა საქმიან გარიგებებს, განკარგავდა საკუთარ ქონებას, შეეძლო სასამართლოში მოწმედ გამოსულიყო. ამრიგად, ეგვიპტის საზოგადოებაში ქალს საკმაოდ მაღალი სოციალური სტატუსი ჰქონდა, რაც, ცხადია, უშუალოდ ეფუძნებოდა მის სასკოლო განათლებას.

ძველი მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში ქალის განათლება მხოლოდ იმ ცოდნით შემოიფარგლებოდა, რომელიც აუცილებელი იყო შვილების აღსაზრდელად და საოჯახო საქმეების გასაძღოლად. ათენში, სადაც განათლების სისტემა მიზნად ისახავდა ჯანსაღი და თავისუფლებისმოყვარე მამაკაცების აღზრდას, ქალს თანმხლების გარეშე სახლიდან გასვლაც კი არ შეეძლო. იგი საოჯახო საქმეებს მეთვალყურეობდა, რთავდა, ქსოვდა და შვილებს ზრდიდა.

შუა საუკუნეებში აღზრდა-განათლებას იღებდნენ მხოლოდ მაღალი ფეოდალური წრის ქალები. დიდგვაროვანი ოჯახები იწვევდნენ ბერებს, რომლებიც ქალებს ასწავლიდნენ საღვთო წერილს, საეკლესიო გალობას. მოგვიანებით ქალთა განათლების საქმემ ოჯახიდან დედათა მონასტრებში გადაინაცვლა, სადაც მათ რელიგიურად ზრდიდნენ, უნერგავდნენ ქრისტიანულ ზნეობას, ასწავლიდნენ ლათინურს, ბიბლიას, სწორ მეტყველებას, კარგ ქცევას. ფეოდალური წრის ქალები უფრო წიგნიერნი იყვნენ, ვიდრე ვაჟები.

● *რა ზეგავლენის მოხდენა შეეძლო კათოლიკურ ეკლესიას ქალების აღზრდის კონტროლით ფეოდალურ საზოგადოებაზე? ევროპის პოლიტიკურ მოღვაწეებზე?*

XIV საუკუნიდან (რენესანსის ეპოქა) იტალიის თავისუფალ ქალაქებში წარჩინებული და შეძლებული ოჯახები ქალებს ასწავლიდნენ ლიტერატურას, მუსიკას, ხელოვნებას, მხატვრობას, უცხოურ ენებს, ხელსაქმეს. გარდა ამისა, ზოგიერთ ქალაქში გაჩნდა პროფესიული სასწავლებლები დაბალი წრის ქალებისთვის, მაგ., ფლორენციაში ქსოვის შემსწავლელი სკოლები გაიხსნა. ასეთ სკოლაში მომზადებული ქალი სახელოსნოში თავისი ოჯახის წევრი მამაკაცების გვერდით შრომობდა.

XVII საუკუნიდან ევროპაში ჩნდება დახურული პანსიონები არისტოკრატ ქალთათვის. აქ ასწავლიდნენ უცხო ენებს, ლიტერატურას, ხელოვნებას, მუსიკას, ხატვას, ნატიფ მანერებს, ხელსაქმეს, მედიცინას. ამ სკოლებში ზრდიდნენ მმართველი ელიტის წარმომადგენელთა მომავალ ცოლებს.

წყარო 1 რაინდი, რომელიც წიგნს სთავაზობს თავის ქალიშვილებს. ალბრეხტ დიურერი, 1493 წ.

● *დაასახელე ორი სხვადასხვა ფუნქცია, რომელიც შეიძინა ქალთა განათლებამ რენესანსის ეპოქაში. რას ემსახურებოდა თითოეული მათგანი?*

მნიშვნელოვანი ცვლილებები ახალ დროში

XIX საუკუნის დამდეგიდან ჯერ ინგლისში, შემდეგ გერმანიასა და საფრანგეთში იწყება სასკოლო საქმის აღორძინება – სკოლებს ხსნიან ღარიბთათვის, მათ შორის ქალებისთვის. აქ ამზადებდნენ სოფლის გოგონებს მომსახურების სფეროსა და საწარმოებში დასასაქმებლად. ასწავლიდნენ წერა-კითხვასა და ანგარიშს, აჩვევდნენ მანქანური დანადგარების მოხმარებას.

● *შენი აზრით, რამდენად თავისუფალი იყო ქალი XIX საუკუნის ევროპაში საიმისოდ, რომ თავად აერჩია პროფესია?*

XX საუკუნის დასაწყისში პირველად ამერიკაში დაიწყო ქალებისა და ვაჟების ერთობლივი სწავლება.

● *დაწერე მცირე თხზულება: "რა შესძინა XX საუკუნის საზოგადოებას ქალებისა და მამაკაცების განათლების გათანაბრებამ?" გამოიყენე განვლილი მასალაც.*

რა არის ვაჭრობა და რითი ვაჭრობდნენ ძველად?

ამ გაკვეთილიდან შეიტყობ, რა არის ვაჭრობა, რითი ვაჭრობდნენ ძველად, რა მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ამ საქმიანობას მეწარმეობის განვითარებისთვის.

ვაჭრობას უძველეს დროში უმეტესწილად გაცვლის სახე ჰქონდა: ადამიანები სასურველი საქონლის შეძენის მიზნით ერთმანეთს საქონელსვე სთავაზობდნენ, ანუ ნატურით ვაჭრობდნენ, რაც ახლაც ბევრგან ხდება. საქონლის ამგვარ გაცვლას დღეს *ბარტერს* უწოდებენ.

წყარო 1 **შუმერული თიხის ფირფიტა სავაჭრო ნივთების ჩამონათვლის გამოსახულებით, ძვ. წ. 3200-3000 წწ.**

ცნობა 1 **სანელებლების ფასები ინდოეთსა და ინგლისში XVII ს-ში**

XVII ს-ში 1 გირვანქა (დაახლოებით 400 გრამი) პილპილი ინდოეთში 1 პენსი ღირდა, ინგლისში კი – 20 პენსი; შესაბამისი ფასები იყო: მუსკატზე (ჯაზვზე) – 3 და 78 პენსი, ხოლო მიხაკზე – 9 და 72 პენსი.

• *ჩამოწერე, სავარაუდოდ რა ნივთების (საგნების, პროდუქტების) შეძენა დასჭირდებოდა შუმერის მოსახლეობას.*

ლექსიკონი

ვაჭრობა ანუ კომერცია – საქონლის ან მომსახურების ყიდვა-გაყიდვა ან გაცვლა ადამიანებს თუ ქვეყნებს შორის.
ბარტერი (ინგლ.) – განსაზღვრული რაოდენობის საქონლის გაცვლა სხვა, შესაბამისი ღირებულების ანუ *ეკვივალენტის* საქონელზე.
ეკვივალენტი (ლათ. – თანაბარძალიანი) – ტოლფასი, ერთმნიშვნელოვანი რაოდენობა ან ხარისხი.
გირვანქა – ძველი წონის ერთეული (1 გირვანქა – დაახლ. 400 გ).

წყარო 3 **ვაჭრობა – მეწარმეობის განვითარების საფუძველი**

სამეწარმეო საქმიანობას საფუძველი ჩაუყარეს ვაჭრებმა, რომლებიც ფულს აბანდებდნენ მარცვლეულით, სანელებლებითა და სხვა საქონლით ვაჭრობაში და სავაჭრო გემების მშენებლობაში.

დაახლ. XVI ს-ის პერიოდის ამსახველი თანამედროვე ნახატი.

ადამიანებით ვაჭრობა

გარდა იმისა, რომ ვაჭრობამ მეწარმეობის განვითარებას ჩაუყარა საფუძველი, არსებობდა მისი უარყოფითი ფორმებიც. მაგ., უძველესი დროიდან გავრცელდა ადამიანებით, კერძოდ – მონებით ვაჭრობა. არაბები განსაკუთრებით აფასებდნენ თურქ, კავკასიელ და სლავ მონებს, ხოლო ევროპელები – აფრიკელ შავკანიანებს. შუა საუკუნეებში საქართველოდან მოტაცებული ტყვეები სარფიანად იყიდებოდა ოსმალეთის ბაზარზე.

წყარო 3 **მონების სავაჭრო დუქანი არაბულ ბაზარზე. XIII ს-ის მინიატურა**

ამ "ცოცხალ საქონელზე" მოთხოვნა განსაკუთრებით გაიზარდა XVI-XVIII სს-ში, კოლონიური დაპყრობების ეპოქაში, როცა ევროპელებმა (თავდაპირველად პორტუგალიელებმა და ინგლისელებმა) ამერიკისა და აფრიკის ათვისება დაიწყეს.

• *შენი აზრით, რატომ იყო სარფიანი მონებით ვაჭრობა კოლონიური დაპყრობების ეპოქაში?*

ლექსიკონი

ფაქტორია (ლათ.) – 1. ევროპელი ვაჭრების დაარსებული სავაჭრო კანტორა (სამეურნეო-საფინანსოდაწესებულება) და დასახლება კოლონიურ ქვეყანაში, 2. დამზადების პუნქტი შორეულ სარეწ რაიონებში (მაგ., ბეწვეულის ფაქტორია ციმბირისა და კანადის ტაიგაში).

წყარო Დ **ადამიანებით ვაჭრობის ძირითადი ნაკადები XVI-XVIII სს-ში**



• *Დ წყაროს მიხედვით დაადგინე ქვეყნები და რეგიონები, რომლებშიც მიემართებოდა მონათა ნაკადები.*

ცნობა 2 **პორტუგალიელთა პირველი *ფაქტორიები* "ოქროს ნაპირზე"**

დასავლეთი აფრიკის ზღვისპირა ტერიტორიაზე, რომელიც "ოქროს ნაპირის" სახელით იყო ცნობილი, პორტუგალიელებმა 1482 წელს ააშენეს გამაგრებული ფაქტორიები და დაიწყეს ოქროსა და მონების გაზიდვა. XIX საუკუნიდან 1957 წლამდე იგი დიდი ბრიტანეთის კოლონია იყო, დღეს კი დამოუკიდებელი ქვეყანაა და განა ეწოდება.

• *დანართი №1-ის დახმარებით გაარკვიე, რომელი თანამედროვე დამოუკიდებელი ქვეყნების ტერიტორიებიდან ხდებოდა ძირითადად მონების გაყვანა XVI-XVIII სს-ში?*

ცნობა 3 **"მონების ნაპირი"**

მდინარეების ნიგერისა და ვოლტას შესართავებს შორის მოქცეულ გვინეის ყურის სანაპიროს ნაწილს "მონების ნაპირი" ეწოდებოდა. "ოქროს ნაპირის" მსგავსად, იგი შავკანიანი ადამიანებით ვაჭრობის ერთ-ერთი მთავარი რაიონი იყო აფრიკაში. მხოლოდ ერთი წლის (1787) განმავლობაში მისი ფაქტორიებიდან ამერიკაში 100 ათასზე მეტი მონა შეიყვანეს. აღსანიშნავია, რომ კოლუმბის მიერ 1494 წელს აღმოჩენილ კუნძულ იამაიკაზე, სადაც ჯერ ესპანელები, შემდეგ კი დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე (1962) ბრიტანელები ბატონობდნენ, 1775 წელს ცხოვრობდა 210 ათასი ადამიანი, რომელთაგან 192 ათასი შავკანიანი მონა იყო.

ცნობა 4 **ადამიანებით ვაჭრობა დღეს**

ადამიანებით ვაჭრობას კრძალავს თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. მიუხედავად ამისა, ადამიანებით ვაჭრობა დღესაც არსებობს – სახეცვლილი და ფარული ფორმებით. ერთ-ერთი ფორმაა ტრეფიკინგი.

წერილობით დაახასიათე და ერთმანეთს შეადარე ძველი რომისა და ამერიკის მონობა: 1) მონად გადაქცევის მეთოდები (გზები), 2) პატრონისა და მონის ურთიერთობა, 3) მონების შრომის სფეროები, 4) ვინ და როგორ მდიდრდებოდა მონებით.

ფული

ამ გაკვეთილზე გაეცნობი ფულს, როგორც აღებ-მიცემობის ანუ სავაჭრო ურთიერთობების განხორციელების მთავარ საშუალებას, მისი განვითარების მოკლე ისტორიასა და გეოგრაფიას.

ბარტერიდან ლითონის ფულამდე

წყარო ა **ძველი ბერძნული ჭურჭელი, რომელზედაც ვაჭრობის სცენაა გამოსახული, ძვ. წ. VI ს.**

თანდათანობით ადამიანებმა გადახდის საშუალებად რომელიმე საგნის ან ცხოველის გამოყენება დაიწყეს: ზვიგენის კბილების, ნიჟარების, ყავის მარცვლის, ძროხის, ცხვრის, ძვირფასი ქვებისა და სხვ. მაგალითად, ბერძნულ ჭურჭელზე ასახულ სცენაზე ვაჭრობისას თანაზომად ერთეულად იყენებენ სამკურნალო მცენარე სილფიონს.

- *წერილობით აღწერე ის უხერხულობა და სირთულეები, რაც შეეძლო გამოეწვია ვაჭრობისას საგნებისა თუ ცხოველების გადახდის საშუალებად გამოყენებას.*

როგორც წინა გაკვეთილიდან შეიტყვე, ვაჭრობის თავდაპირველი სახე ბარტერი, ანუ გაცვლა-გამოცვლა, იყო. ეს ხშირად უხერხულობას ქმნიდა: ჯერ ერთი, რთული იყო საქონლის ზუსტი ღირებულების დადგენა; ასევე, ვინ იცის, როდის დასჭირდებოდა, მაგალითისთვის, მეპურეს ფეხსაცმელი, ხოლო მეწაღეს პური, რომ ერთმანეთში ეს საქონელი გაეცვალათ და ამ გზით მიღებული სარგებლით სრულად დაკმაყოფილებულიყვნენ. ამიტომაც აღნიშნავდა ძველი ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელე (ძვ. წ. 384-322), რომ "საჭიროა, ყველაფერი გაიზომოს ერთი რამის მეშვეობით". საბოლოოდ ადამიანებმა გამოსავალი იმაში იპოვეს, რომ საქონლის შეძენის საშუალებად ბუნებაში შედარებით იშვიათი და მყარი ფასეულობის მქონე ლითონები – ოქრო და ვერცხლი გამოიყენეს. ხოლო მას შემდეგ, რაც გაცვლა ადგილობრივი ბაზრის საზღვრებს გასცდა და მის საყოველთაო ეკვივალენტად ოქრო და ვერცხლი იქცა, ეს ლითონები განსაკუთრებულ საქონლად ანუ ფულად გარდაიქმნა.

წყარო ბ **მონეტები: 1. ვერცხლის *მონეტა*. ათენი. ძვ. წ. 440 წ., 2. კოლხური თეთრი, რომელიც გავრცელებული იყო დასავლეთი საქართველოს ტერიტორიაზე ძვ.წ. VI-III სს-ში**

- *შენი აზრით, რა უპირატესობები აქვს მონეტას გაცვლის სხვა საშუალებებთან (საგნებთან და ცხოველებთან) შედარებით? ჩამოწერე ჩამონათვალის სახით.*

ცნობა 1 **როდის და სად მოჭრეს პირველი მონეტები და რა პერიოდში იჭრებოდა ლითონის ფული საქართველოში?**

მონეტები პირველად მოიჭრა ლიდიის სამეფოსა (მცირე აზიის ნახევარკუნძულზე) და კუნძულ ეგინაზე ძვ. წ. VII ს-ში, ხოლო საქართველოში მონეტებს ძვ. წ. VI ს-დან 1834 წლამდე ჭრიდნენ.

ქაღალდის ფული

ლითონის ფული მძიმეა და მისი დიდი რაოდენობით ტარება მოუხერხებელია. ამიტომაც XVII ს-დან ადამიანებმა თავისი ოქროს შენახვა ბანკებში დაიწყეს და სანაცვლოდ ქაღალდის ნიშნებს იღებდნენ. ასე გაჩნდა ქაღალდის ფული, რომელიც მიმოქცევაში ოქროსა და ვერცხლს ცვლის. მას უშვებს სახელმწიფო, რომელიც თავად ადგენს ფულის ნიშნების ღირებულებას. ქაღალდის ფული ფართოდ გავრცელდა მსოფლიოში და სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სახელი აქვს, მაგ., უკრაინაში გრივნა ჰქვია, აზერბაიჯანში – მანათი, რუსეთში – რუბლი, სომხეთში – დრამი, ინგლისში – ფუნტი (ქართულად ინგლისური ფულის ერთეულს გირვანქა-სტერლინგს უწოდებენ) და ა. შ.

წყარო გ **ქაღალდის ფულის ნიშნები: 1. ლარი, 2. აშშ დოლარი, 3. ევრო**

ცნობა 2 **რას ნიშნავს ფულის გადაცვლა?**

ფულის გადაცვლა (კონვერტირება) შესაძლებელია ბანკებსა და ვალუტის გადასაცვლელ პუნქტებში, რომლებშიც დადგენილია სავალუტო კურსი. იგი არის იმ თანაფარდობის მაჩვენებელი, რომლის მიხედვითაც ხდება ერთი ვალუტის მეორეზე გადაცვლა.



- *გაარკვიე ლარის კურსი აშშ დოლარის ან ევროს მიმართ და განსაზღვრე შენი რამდენიმე ნივთის ფასი უცხოურ ვალუტაში.*

წყარო დ **ევრო ევროკავშირის ქვეყნებში**

ევრო ევროკავშირის მიერ შემოღებული ერთიანი ვალუტაა. იგი მიმოქცევაში 2002 წლის1 იანვრიდან შევიდა და ევროკავშირის ქვეყანათა უმეტესობაში ეროვნული ვალუტა შეცვალა.

- *დ წყაროს მიხედვით ჩამოწერე ქვეყნები, რომლებშიც ევრომ ეროვნული ვალუტა შეცვალა. წერილობით გამოთქვი შენი მოსაზრება, რა უპირატესობა შეიძლება ჰქონდეს ევროს შემოღებას ეროვნული ვალუტის გამოყენებასთან შედარებით.*

ცნობა 2 საიდან მომდინარეობს დოლარის სახელწოდება?

ბოჰემიაში (ჩეხეთის ძველი სახელწოდება) მდებარე მადნეულით მდიდარ მთებში, ვერცხლის საბადოების დამუშავების შედეგად, ქ. იახიმოვის (გერმანულად იოახიმსტალის) მახლობლად 1518 წლიდან დაიწყეს მონეტების – იოახიმსტალერების ანუ ბოჰემური ტალერების (28 გ) მოჭრა. ჰოლანდიაში მათ დაალდერებს უწოდებდნენ, სკანდინავიაში – დალერებს, ინგლისში – დოლარებს. აქედან წარმოიშვა ამერიკული *ვალუტის* სახელწოდება.

• *XX საუკუნეში ქაღალდის ფულის გაბატონებამ მონეტებს დანიშნულება შეუცვალა. წერილობით უპასუხე:რა გამოყენება აქვს დღეს მონეტებს და რა სარგებელი აქვს მათ ამგვარ გამოყენებას?*

წყარო 3 საკრედიტო ბარათები

საკრედიტო ბარათი არის პლასტიკური ფირფიტა, რომლის მაგნიტურ ლენტზე შეყვანილია მფლობელის მონაცემები. იგი ბანკის მიერ გამოშვებულ სახელობით ფულად დოკუმენტს წარმოადგენს. საკრედიტო ბარათი არა მარტო ზღუდავს ქაღალდის ნიშნების (ბანკნოტების) ანუ ნაღდი ფულის მიმოქცევას მოსახლეობაში, არამედ სხვა დადებითი მხარეებიც აქვს. მაგალითად, უსაფრთხო მოგზაურობა, ქურდობისა და დაყაჩაღებისაგან დაცულობა, ფულის აღებისა და მაღაზიაში განაღდების გამარტივებული ოპერაციები და სხვ. ამ მიზნებს ემსახურება ბევრგან და მათ შორის საქართველოში ქუჩებში დამონტაჟებული სპეციალური აპარატები – ბანკომატები.

ლექსიკონი

მონეტა – ლითონისგან მოჭრილი ფული, რომელსაც განსაზღვრული ფორმა, წონა, სინჯი (მის შემადგენლობაში კეთილშობილი ლითონის ნაწილი) და ღირებულება გააჩნია. ეს სიტყვა ქალღმერთ იუნონას ერთ-ერთი ეპითეტია და დამრიგებელს ნიშნავს. სახელი მომდინარეობს კაპიტოლიუმის ბორცვზე (ქ. რომი) მდებარე იუნონა-მონეტას ტაძარში მოთავსებული ზარაფხანიდან, რომელშიც ლითონის ფული იჭრებოდა.

ვალუტა (იტალ. – ფასი, ღირებულება) – აქ: ქვეყნის ფულადი ერთეული და მისი ტიპი – ოქროს, ვერცხლის, ქაღალდის.

ფული ეკონომიკაში რამდენიმე ფუნქციას ასრულებს. კერძოდ, იგი არის:
- გაცვლის საშუალება,
- ღირებულების საზომი,
- სიმდიდრის შენახვის ან დაგროვების საშუალება,
- გადახდის საშუალება.

წერილობით მოიტანე თითოეულის ამსახველი მაგალითი ამ გაკვეთილის მასალასა და შენს (შენი ოჯახის) პირად ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით.

დამწერლობის წარმოშობა და მისი უძველესი სახეები

ამ გაკვეთილიდან შეიტყობ ინფორმაციის გადაცემის უძველესი სახეობის – დამწერლობის წარმოშობისა და მისი განვითარების ეტაპების შესახებ, გაეცნობი დამწერლობის სახეებს.

წარმოიდგინე, როგორი იქნებოდა საზოგადოება, უძველეს დროშივე რომ არ მიეგნო ინფორმაციის შენახვისა და გავრცელების ისეთი საშუალებისთვის, როგორიცაა დამწერლობა. დამწერლობის გაჩენამ შესაძლებელი გახადა დაგროვილიყო ადამიანთა ძალისხმევით მიგნებული ახალი ცოდნა და იგი თაობიდან თაობას გადასცემოდა.

უძველესი წერილობითი ძეგლები – წარწერები ტაძრებისა და აკლდამების კედლებზე, ასევე თიხაზე, ტყავზე, *პაპირუსზე*, ქაღალდზე, ხეზე, ლითონსა და სხვა მასალაზე შესრულებული ტექსტები – კაცობრიობის მეხსიერებაა. მათ გარეშე კაცობრიობის წარსულის შესახებ ძალიან ცოტა რამ გვეცოდინებოდა.

ჯერ კიდევ ქვის ხანის ადამიანები კონკრეტული საგნის სქემატური გამოსახულებით (ნახატით, შესაძლოა – სკულპტურითაც) ერთმანეთს გარკვეულ შეტყობინებებს უგზავნიდნენ.

წყარო ა ინდიელთა ქვის კაცუნები, რომლებიც თანატომელებს, სავარაუდოდ, ამას ატყობინებდნენ: "მე მშვიდობით გავიარე ეს ადგილი, შენც გაივლი".

წყარო ბ ალტაის მხარეში მცხოვრები ტომების კლდის მხატვრობის ნიმუშები, რომლებიც რაღაც შეტყობინებებს იძლევა ან რაღაც ამბავს (სავარაუდოდ – ალტაურ მითს) "ჰყვება"

1. ხარი ებრძვის სამ გველს.
2. ხარი, ადამიანი, ვარსკვლავი

მაგრამ ამგვარი გამოსახულებებიდან დამწერლობამდე ადამიანს ჯერ კიდევ გრძელი გზა ჰქონდა გასავლელი.

სად და როგორ წარმოიშვა უძველესი დამწერლობები?

უძველესი დამწერლობები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად გაჩნდა ძველი მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას. ეს მოვლენა უსათუოდ დააჩქარა სახელმწიფოთა წარმოქმნამ. თავის მხრივ, დამწერლობამ ზეგავლენა მოახდინა ადამიანზე – ხელი შეუწყო მის გონებრივ განვითარებას. შემთხვევითი როდია, რომ ძველ ქვეყნებში მწერლობა ყველაზე რთულ და საპატიო პროფესიად ითვლებოდა.

- *ახსენი, რატომ უნდა შეეწყო ხელი დამწერლობის განვითარებისთვის სახელმწიფოთა წარმოქმნას?*

წყარო გ **დამწერლობათა წარმოქმნის კერები**

IV-III ათასწლეულის მიჯნა	III-II ათასწლეული	II-I ათასწლეული	I ათასწლეული
შუმერი	ეგვიპტე	კუნძული კრეტა	ცენტრალური ამერიკა
	ინდოეთი	ჩინეთი	

ლურსმული დამწერლობა

პირველი "თიხის წიგნები" შუმერებმა შექმნეს. ლერწმის ღეროთი სველ თიხაზე გამოყვანილი შუმერული ნიშნები საოცრად წააგავს ლურსმნებს, ამიტომ მეცნიერებმა ამ დამწერლობას **ლურსმული** უწოდეს.

წყარო დ **შუმერული დამწერლობის განვითარების ტაბულა**



თავი

ფეხი

ხელი

ხე

პური

წყალი

- *რა გამოსახულებათა საფუძველზე განვითარდა შუმერული დამწერლობის ნიშნები?*

ლურსმული ნიშნების ერთი და იგივე კომბინაცია შუმერულ დამწერლობაში გამოხატავდა სიტყვასაც, მარცვალსაც და ხმოვანსაც.

ან = ცა, ღმერთი, გადმოსცემს "ან" მარცვალს

შე = ხორბალი აღნიშნავს "შე" მარცვალს

ა = წყალი, აღნიშნავს "ა" ხმოვანს

- *რა ზეგავლენა მოახდინა შუმერულმა ენამ მარცვლოვანი ნიშნების წარმოქმნაზე?*

იეროგლიფური დამწერლობა

ძველეგვიპტური *იეროგლიფური დამწერლობა* კონკრეტულ საგანთა სქემატური გამოსახულებებიდან განვითარდა. ამ გამოსახულებებს მიენიჭათ მოცემულ საგნებთან დაკავშირებული მნიშვნელობებიც:



იეროგლიფურის გვერდით ეგვიპტურ დამწერლობაშივე ჩაისახა *ფონოგრამებიც*. გარკვეულ გამოსახულებათა კომბინაცია გამოხატავდა ორ, სამ და ზოგჯერ ერთ ბგერასაც, მაგ.:



ლექსიკონი

პაპირუსი – მცენარე (ქართულად – ჭილი), იზრდება ნილოსის დელტაში. მისი ღეროებისგან ამზადებდნენ ქაღალდისმაგვარ საწერ მასალას.

იეროგლიფი (ბერძნ. *ჰიეროს* – წმინდა, *გლიფო* – ამოვკვეთ, ამოვჭრი (ქვაზე, ხეზე და ა. შ.)) – იეროგლიფური დამწერლობის ნიშნის სახელწოდება.

იეროგლიფური დამწერლობა – დამწერლობა, რომელშიც ცალკეულ სიტყვას შეესაბამება გარკვეულ ნიშანთა კომბინაცია, მაგ.: ძველეგვიპტური, ჩინური.

ფონოგრამა (ბერძნ. ფონე – ხმა, ბგერა, გრამმა – ნაწერი) – ბგერის შესატყვისი გრაფიკული ნიშანი.

წყარო 1 ეგვიპტური დამწერლობის განვითარების ტაბულა



• *ამოარჩიე სწორი პასუხი. ეგვიპტური ენის ცოდნა აუცილებელია: ა) იეროგლიფური დამწერლობით გადმოცემული აზრის გასაგებად, ბ) ფონოგრამებით გადმოცემული აზრის გასაგებად.*



• *ტაბულაზე გამოსახულია ეგვიპტური ფონოგრამები. შეეცადე მათი საშუალებით დაწერო საკუთარი ან რომელიმე სხვა სახელი.*

ფონეტიკური დამწერლობა. ანბანის წარმოშობა

ამ გაკვეთილში გაეცნობი რევოლუციურ ნახტომს დამწერლობის განვითარებაში – მისი ახალი სახეობის, ანბანური დამწერლობის წარმოშობას, რომელმაც ნიადაგი შეუმზადა დღეს მსოფლიოს უდიდეს ნაწილში გავრცელებული ანბანური დამწერლობების, მათ შორის ქართული ანბანის გაჩენასა და განვითარებას.

ლურსმული დამწერლობის განვითარება

შუმერებისგან ლურსმული დამწერლობა ძველი აღმოსავლეთის სხვა ხალხებმა – ბაბილონელებმა, ასურებმა, სპარსელებმა, ფინიკიელებმა და სხვებმა გადაიღეს. მათ თანდათანობით სრულყვეს იგი: გამოსახულებები მიუსადაგეს საკუთარი ენების მარცვლებსა და ცალკეულ ბგერებს. მაგალითად, ძველ სპარსულ დამწერლობაში ლურსმულ ნიშანთა ერთი და იგივე კომბინაცია მარცვალსაც აღნიშნავდა და ცალკეულ ბგერასაც. თანდათანობით სადამწერლობო ნიშანთა რაოდენობა შემცირდა. თუ შუმერების ლურსმული 1000-მდე ნიშანს ითვლიდა, ძველ სპარსულში უკვე დაახლოებით 40 ნიშანი გამოიყენებოდა.

წყარო ა **ძველი სპარსული დამწერლობის ნიშნები**



შენიშვნა: *ძველი სპარსულის ზოგიერთ თანხმოვან ბგერას ქართულში ზუსტი შესატყვისი არა აქვს, ამიტომ ნიშნების ქართული წაკითხვა შესაძლოა რიგ შემთხვევაში მიახლოებითი იყოს.*

ანბანური დამწერლობა

ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებში მცირე აზიის ქალაქ უგარიტში იქმნება დამწერლობა, რომელშიც თითოეული ნიშანი მხოლოდ ცალკეულ ბგერას შეესატყვისება, ოღონდ აღინიშნება მხოლოდ თანხმოვნები.

წყარო ბ **ფინიკიური დამწერლობის ნიმუში: ქვაზე ამოკვეთილი წარწერა**

ფინიკიურ დამწერლობაში 22 ასო-ნიშანია (იხ. წყარო დ). ყველა თანხმოვანს აღნიშნავს. რაც შეეხება ხმოვნებს, ენის მცოდნე ადამიანი კითხვისას თვითონ ამატებდა იმ ხმოვნებს, რომელიც მთელი სიტყვის სწორად წასაკითხად იყო საჭირო.

ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულიდან ხმელთაშუა ზღვის აუზის მრავალ ადგილას (თანამედროვე ლიბანი, სირია, კვიპროსი, სიცილია, სარდინია, მცირე აზია, სამხრეთი ესპანეთი, ჩრდილო აფრიკა) ფინიკიელ ვაჭართა ახალშენები ჩნდება. მათ ყველგან შეჰქონდათ თავიანთი ენა და დამწერლობა.

ფინიკიურიდან წარმოიქმნა ძველი მსოფლიოს ყველა ანბანური დამწერლობა.

• *დააკვირდი წყარო Ბ-ს და განსაზღვრე, რითი განსხვავდება ეტრუსკული და ლათინური დამწერლობები ფინიკიურისგან? რა მნიშვნელოვანი სიახლეა მათში?*

წყარო Ბ ამ ორ ტაბულაზე ასახულია, როგორ წარმოიშვა სამ ანბანურ დამწერლობაში – ბერძნულში, ეტრუსკულსა და ლათინურში ორი კონკრეტული ასო-ნიშანი. მათგან პირველი (A) ხმოვანია, მეორე (B) – თანხმოვანი.

უგარიტული	ფინიკიური	ბერძნული	ეტრუსკული	ლათინური
"ალეფ" – ხარი **(თანხმოვანი)**	"ალეფ"– ხარი **(თანხმოვანი)**	"ალფა" **(ხმოვანი)**	"ალფა" **(ხმოვანი)**	"ა" **(ხმოვანი)**

უგარიტული	ფინიკიური	ბერძნული	ეტრუსკული	ლათინური
"ბეთ" – სახლი	"ბეთ" – სახლი	"ბეტა"	"ბეტა"	"ბ"

• *ბერძნულად და ამ ენის მიბაძვით ზოგიერთ სხვა ენაშიც დამწერლობას ალფაბეტი ეწოდება. დაუკვირდი, რა მიმართებაა ბერძნულ ტერმინ "ალფაბეტსა" და ქართულ "ანბანს" შორის?*

ცნობა 1 ცვლილებები ასო-ნიშანთა რაოდენობაში დამწერლობის განვითარების ეტაპების მიხედვით

დამწერლობა	შუმერული	ძველი სპარსული	ფინიკიური
ასო-ნიშანთა რაოდენობა	დაახლ. 1000	დაახლ. 40	32

• *როგორ ფიქრობ, ფინიკიური დამწერლობის რა თვისებამ შეუწყო ხელი მის ფართოდ გავრცელებას? შენი ვარაუდი დაასაბუთე წერილობით ერთ-ორ აბზაცში.*

ქართული დამწერლობა

ქართული დამწერლობის უადრესი ნიმუშები ახ. წ. V საუკუნიდან არის მოღწეული, თუმცა, უძველესი გადმოცემის თანახმად, ქართული დამწერლობა შექმნა მეფე ფარნავაზმა ძვ. წ. IV ს-ის დასასრულს. ვინაიდან იმ პერიოდის რაიმე წერილობითი ძეგლი ქართულ ენაზე დღეისთვის ნაპოვნი არ არის, ჩვენ არ ვიცით, რამდენად ზუსტია ეს ცნობა და რა ტიპის დამწერლობაზეა საუბარი.



წყარო დ დავით ეპისკოპოსის მემორიალური წარწერა (ბოლნისის სიონი, აღმოსავლეთის ფასადი, 478-493 წწ.)

წყარო 3 ფინიკიური, ბერძნული და ქართული ასომთავრული ანბანების შეპირისპირებითი ტაბულა

ფინიკიური	ფონეტიკური მნიშვნელობა	რიცხვითი მნიშვნელობა
	ʼ	1
	b	2
	g	3
	d	4
	h	5
	w	6
	z	7
	ḥ	8
	ṭ	9
	j	10
	*k*ʰ	20
	l	30
	m	40
	n	50
	s	60
	ʿ	70
	*p*ʰ	80
	s	90
	q	100
	r	200
	š	300
	*t*ʰ	400
	w	

ბერძნული	ფონეტიკური მნიშვნელობა	რიცხვითი მნიშვნელობა
Α	*a*	1
Β	*b*	2
Γ	*g*	3
Δ	*d*	4
Ε	*e*	5
Ϛ		6
Ζ	*z*	7
Η	*ē*	8
Θ	*th*	9
Ι	*i*	10
Κ	*k*	20
Λ	*l*	30
Μ	*m*	40
Ν	*n*	50
Ξ	*ks*	60
Ο	*o*	70
Π	*p*	80
Ϡ Ϡ		
Ϟ		90
Ρ	*r*	100
Σ	*s*	200
Τ	*t*	300
Υ	*u*	400
Φ	*ph*	500
Χ	*kh*	600
Ψ	*ps*	700
Ω	*o*	800
Ϡ Ϡ		900

ქართული ასომთავრული	თანამედროვე ქართული	რიცხვითი მნიშვნელობა
Ⴀ	ა	1
Ⴁ	ბ	2
Ⴂ	გ	3
Ⴃ	დ	4
Ⴄ	ე	5
Ⴅ	ვ	6
Ⴆ	ზ	7
Ⴇ	ჱ	8
Ⴈ	თ	9
Ⴉ	ი	10
Ⴊ	კ	20
Ⴋ	ლ	30
Ⴌ	მ	40
Ⴍ	ნ	50
Ⴎ	ჲ	60
Ⴏ	ო	70
Ⴐ	პ	80
Ⴑ	ჟ	90
Ⴒ	რ	100
Ⴓ	ს	200
Ⴔ	ტ	300
Ⴕ	ჳ	400
Ⴖ	უ	
Ⴗ	ფ	500
Ⴘ	ქ	600
Ⴙ	ღ	700
Ⴚ	ყ	800
Ⴛ	შ	900

ქართული ანბანის დანარჩენი ასოები, რომელთაც შესატყვისები არ გააჩნიათ ფინიკიურსა და ბერძნულ ანბანებში

ქართული ასომთავრული	თანამედროვე ქართული	რიცხვითი მნიშვნელობა
Ⴜ	ჩ	1000
Ⴝ	ც	2000
Ⴞ	ძ	3000
Ⴟ	წ	4000
Ⴠ	ჭ	5000
Ⴡ	ხ	6000
Ⴢ	ჴ	7000
Ⴣ	ჯ	8000
Ⴤ	ჰ	9000

- *დამწერლობის რომელ სახეობას განეკუთვნება ქართული დამწერლობა? პასუხი დაასაბუთე.*
- *წყარო 3-ს მიხედვით შეადარე ქართულ ბგერათა გამოსახვის პრინციპი ფინიკიურსა და ბერძნულს (დააკვირდი ასოების მოხაზულობას, თანმიმდევრობას, ფონეტიკურსა და რიცხვით მნიშვნელობებს). შენი აზრით, რომელთან უფრო ახლოს დგას ქართული დამწერლობა? შენი აღმოჩენები და მათი დასაბუთება ასახე წერილობით.*

რისთვის იყენებდნენ დამწერლობას უძველეს ქვეყნებში?

ამ გაკვეთილზე გაეცნობი ძველი მსოფლიოს დამწერლობის რამდენიმე ნიმუშს, რათა წარმოდგენა შეგექმნას, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების რომელ სფეროებში გამოიყენებოდა დამწერლობა ძველ დროში.

წყარო ა ნაწყვეტი დაახლ. 2050 წ. შუმერულ (ურ-ნამუს) კანონთა კრებულიდან, რომელიც 300 წლით უსწრებს ხამურაბის კანონთა კრებულს:

თუ კაცმა კაცს იარაღით მოაჭრა ფეხი, 10 შეკელი ვერცხლი უნდა გადაიხადოს.

წყარო ბ პალერმოს ქვა

ამ ქვის წარწერა ამოკვეთილია ძვ. წ. XXV საუკუნეში, ეგვიპტის ძველი სამეფოს V დინასტიის დროს, მასში თავმოყრილია ცნობები დაახლოებით 6-7 საუკუნის განმავლობაში მომხდარი ამბების შესახებ. აი ამ წარწერის ერთი ნაწყვეტი, რომელშიც ფარაონ სნეფრუს გამეფების შემდეგ მომხდარი ამბებია აღწერილი:

*ფარაონ სნეფრუს გამეფებიდან პირველ წელს – ქვემო ეგვიპტის ხელმწიფის ორი შვილის დაბადება; მეორე წელს – 100 წყრთის სიგრძის გემისა და 60 თექვსმეტნიჩბიანი სამეფო **ბარჟის** აგება; ზანგების ქვეყნის დარბევა, 7000 ტყვის – ქალისა და კაცის, 200 ათასი მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის ჩამოყვანა; ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლის აშენება, სახელად "სნეფრუს სახლები"; კედრის ხით დატვირთული 40 გემის ჩამოყვანა.*

- *შენი აზრით, რისთვის აღინუსხება ასეთი ხასიათის ცნობები ქვაზე? ვისთვის შეიძლება იყოს განკუთვნილი ისინი და რა მიზანს ისახავს?*

წყარო გ ასე გამოიყურება ეგვიპტის ახალი სამეფოს XVIII დინასტიის დროს შედგენილი "მიცვალებულთა წიგნის" ერთ-ერთი გვერდი, შესრულებული პაპირუსზე. მასში შეტანილი იყო რელიგიური ფორმულები, რომლებიც წარმოითქმოდა მიცვალებულის დაკრძალვის დროს მისთვის იმქვეყნიურ სამყაროში შესვლის გასაადვილებლად. ▶



წყარო დ ხამურაბის განკარგულება თავისი მოხელისადმი:

სინიდიმანს უთხარი, ასე ამბობს ხამურაბი, გადაეცი ხალხს, ვისაც დამანუს არხის ნაპირას აქვს ყანები, რათა მათ ამოწმინდონ დამანუს არხი. ამ თვის განმავლობაში მათ უნდა დაამთავრონ დამანუს არხის ამოწმენდა.

- *როგორ განმარტავდი ამ წარწერის დანიშნულებას? ამოარჩიე პასუხი ქვემოთ ჩამოთვლილთაგან და შენი არჩევანი დაასაბუთე.*
ა) რელიგიური; ბ) საკანონმდებლო; გ) ადმინისტრაციული.

წყარო 2 სპარსთა მეფის, დარიოს I-ის (521-486) ლურსმული წარწერა ამოკვეთილია ძველ საქარავნო გზაზე აღმართულ ბეჰისტუნის კლდეზე. აი ამ წარწერის ფრაგმენტი:

ამბობს მეფე დარაიავაჰუ: სამეფო, ჩვენი გვარისგან მიტაცებული, მე დავიბრუნე და აღვადგინე ძველებური სახით. კვლავ აღვაშენე წმინდა სალოცავები, მივუძღვენი ხალხს მისი ქონება: საძოვრები, საქონლის ჯოგები, ხვასტაგი, სახლ-კარი და საცხოვრებელი, რაც წაურთმევია გაუტამა *მოგვს*. აჰურამაზდას ნებით აღვასრულე ეს საქმენი: ვიბრძოლე მანამ, სანამ ჩვენი გვარი არ აღვადგინე.

შენიშვნა: დარაიავაჰუ *– დარიოსის სახელი საკუთრივ სპარსულ ენაზე. დარიოსი ამ სახელის ბერძნული ვარიანტია.*

- *შენი აზრით, რისი თქმა სურს საქარავნო გზაზე მოთავსებული ამ წარწერით დარიოს I-ს? ამოარჩიე შენი პასუხი ქვემოთ ჩამოთვლილთაგან და დაასაბუთე შენი მოსაზრება:*
ა) დარიოსს სურს თქვას, რომ ის გმირია და რომ ყოველი გამვლელი ვალდებულია მუხლი მოიყაროს მისი გმირობის წინაშე; ბ) დარიოსს სურს თქვას, რომ მან კანონიერად დაიბრუნა სამეფო ძალაუფლება, ხოლო ხალხს კანონიერად დაუბრუნდა თავისი მიტაცებული ქონება და რომ ეს ღვთის ნებით მოხდა; გ) დარიოსს სურს თქვას, რომ ღმერთ აჰურამაზდას ნებით, მან ხალხს ქონება დაურიგა, საქვეყნო საქმე გააკეთა და მადლიერი ხალხის დახმარებით შეძლო მისი ძალაუფლების მიმტაცებელი გაუტამა მოგვის დამარცხება.

წყარო 3 ჰეროდოტე "ისტორიაში" მოგვითხრობს ბერძენ-სპარსელთა ომების დროს ბერძენთა ერთ-ერთი სარდლის, თემისტოკლეს მიერ გაკეთებულ წარწერებზე. ამ წარწერებით მან მიმართა საბერძნეთის მცირეაზიულ ნაწილში, იონიაში მცხოვრებ ბერძნებს, რომლებიც სპარსელთა მხარეს იბრძოდნენ:

თემისტოკლემ გამოარჩია ის ხომალდები, რომლებიც საუკეთესოდ ცურავდნენ. ამ ხომალდებით მოიარა სასმელი წყლების ირგვლივ მდებარე ადგილები და ამოკვეთა ქვებზე წარწერები, რომლებიც მეორე დღეს წაიკითხეს იონიელმა ბერძნებმა:

> "იონიელო ვაჟკაცებო, სამართლიანად არ იქცევით, როდესაც მამების წინააღმდეგ ლაშქრობთ და ელადას იმონებთ. უმჯობესია ჩვენს მხარეზე გადმოხვიდეთ, ხოლო თუ ეს არ შეგიძლიათ, გზიდან მაინც გაგვეცალეთ".

- *რა დანიშნულებისაა ეს წარწერა? გამოთქვი და დაასაბუთე შენი მოსაზრება.*

ლექსიკონი

ბარჟა – სატვირთო გემი (კარჭაპი), რომელიც ბუქსირით მოძრაობს.
მოგვი – ძველ სპარსელთა ღვთისმსახური.

1. მოყვანილი ტექსტები დააჯგუფე ცხრილში მათი დანიშნულების მიხედვით. დასაჯგუფებლად ნაწილობრივ გამოიყენე ქვემოთ მოცემული გამოთქმები, საჭიროებისამებრ, დაამატე დანიშნულების შენეული განმარტება:

მნიშვნელოვან საქმეთა აღნუსხვა; კანონმდებლობა; პატრიოტული მოწოდება; რელიგიური ცოდნის შენახვა; საგმირო საქმეთა უკვდავყოფა...

2. დაწერე მოკლე თხზულება: "დამწერლობა – კავშირი დროსა და სივრცეში". თხზულება გაშალე ორი მიმართულებით: ა) რა სარგებლობა შეეძლო მოეტანა ერთ რომელიმე ადგილას წარმოქმნილ დამწერლობას მეზობელი რეგიონებისთვის; ბ) რა სახის ცოდნა გადადიოდა თაობიდან თაობაში დამწერლობის გამოგონებამდე.

რეკომენდებული ლიტერატურა

1. მიქელაძე თ., ქსენოფონტეს „ანაბასისი“, თბ., 1981.
2. ყაუხჩიშვილი თ., სტრაბონის „გეოგრაფია“, თბ., 1957.
3. ქავთარაძე გ., ანატოლიაში ქართველურ ტომთა განსახლების საკითხისთვის, თბ., 1985.
4. ქართლის ცხოვრება, ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955.
5. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ნაწ. I, იხ.: ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, ტ. I, თბ., 1979.
6. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ნაწ. III, იხ.: ივ. ჯავახიშვილი თხზულებანი 12 ტომად, ტომი II, თბ., 1983.
7. ყაუხჩიშვილი თ., ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1960.
8. აბესაძე ც., ბახტაძე რ., დვალი თ., ჯაფარიძე ო., „სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიისთვის საქართველოში“, თბ., 1958.
9. ბერძენიშვილი ნ., „ქვის ხანის ახალი ძეგლი წყალწითელას ხეობაში“, თბ., 1964.
10. გრიგოლია გ., „ქვემო ქართლის პალეოლითი“, თბ., 1963.
11. კუფტინი ბ., „ქართული კულტურის უძველესი კერა თრიალეთში“, თბ., 1945.
12. მელიქიშვილი გ., „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისთვის“, თბ., 1965.
13. კერამი კ., „ღმერთები, აკლდამები და მეცნიერები“, თბ., 1972.
14. კრამერი ს.ნ., „ისტორია იწყება შუმერიდან“, თბ., 1988.
15. შარაშენიძე ჯ., „შუმერები და მათი კულტურა“, თბ., 1983.
16. ნიორაძე გ., „ქვის ხანის ადამიანი საკაჟიას გამოქვაბულში“, თბ., 1953.
17. საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959.
18. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970.
19. ქორიძე დ., „კოლხური კულტურის ისტორიისთვის“, თბ., 1965.
20. ჩუბინიშვილი ტ., „მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთის უძველესი კულტურა“, თბ., 1965.
21. ჯაფარიძე ო., „ლითონების წარმოების ადრეული საფეხური საქართველოში“, თბ., 1955.
22. ჯაფარიძე ო., „ქართული ტომების ისტორიისთვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე“, თბ., 1961.
23. მოქცევაი ქართლისაი. იხ.: „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“, წ. I (V-X სს), ი. აბულაძის ხელმძღვანელობით და რედაქციით, თბ., 1964.
24. ყაუხჩიშვილი თ., „აპიანე, მითრიდატეს ომების ისტორია“, თბ., 1959.
25. „წმინდა ნინოს ცხოვრება“ (არსენ ბერისეული რედაქცია), ტფ., 1902.
26. გიორგაძე გ., „ათასი ღვთაების ქვეყანა (ხეთები და ხეთური ცივილიზაცია)“, თბ., 1988.
27. გიორგაძე გ., „უძველესი ახლოაღმოსავლური ეთნოსები და ქართველთა წარმომავლობა“, თბ., 2002.
28. გიორგაძე გ., „ხეთოლოგიური და ქართველოლოგიური ძიებანი“, თბ., 1999.
29. გიორგაძე გ., „ხეთური და ასურული ლურსმული ტექსტების ქასქების (ქაშქების) და აბშლაგების ეთნიკური წარმომავლობისთვის“ (იქვე ტექსტის რუსული და გერმანული ვარიანტები), ახალციხე, 2000.
30. მელიქიშვილი გ., „საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხებისთვის“, თბ., 1965.
31. მელიქიშვილი გ., „ძიებანი საქართველოს, კავკასიის და ახლო აღმოსავლეთის ძველი ისტორიის დარგში“, თბ., 1999.
32. მელიქიშვილი გ., ურარტუ, თბ., 1951.
33. მელიქიშვილი გ., „ქართველები და მათი წარმომავლობის საკითხი“, იხ. წიგნში: „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, რვა ტომად, ტ. I, თბ., 1970.
34. ყაუხჩიშვილი თ., „საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები“, თბ., 197.
35. წერეთელი მ., „ხეთის ქვეყანა, მისი ხალხები, ენები, ისტორია და კულტურა, კონსტანტინოპოლი“, 1924.
36. ხაზარაძე ნ., „აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნიკური და პოლიტიკური გაერთიანებები ძვ.წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში“, თბ., 1978.
37. ჯავახიშვილი ივ., ჯანაშია ს., ბერძენიშვილი ნ. „საქართველოს ისტორია“, ს. ჯანაშიას რედაქციით, თბ., 1943.
38. „აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა“, ა. ურუშაძის გამოცემა, თბ., 1948.

39. კაპანაძე დ., „ქართული ნუმიზმატიკა“, თბ., 1950.
40. ლომოური ნ., „კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია“, თბ., 1962.
41. ლორთქიფანიძე ო., „ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი“, თბ., 1966.
42. დუნდუა თ., „ეთნოკულტურული რევოლუცია და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით (ძვ. წ. VI ს. – 1453 წ.)“, თბ., 1997.
43. დუნდუა თ., კ„ოლხეთი, იბერია და პონტოს სამეფო ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით“, თბ., 1993.
44. ინაძე მ., „ძველი კოლხეთის საზოგადოება“, თბ., 1994.
45. ლორთქიფანიძე ო., „ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი“, თბ., 1966.
46. გორდეზიანი რ., ბერძნული „ცივილიზაცია, ნაკვ. 1 გმირთა ეპოქიდან არქაიკამდე“, თბ., 1988.
47. ქავთარია გ., „ძველი საბერძნეთი“, თბ., 2005.
48. წერეთელი ალ., „ძველი რომის ისტორია“, თბ., 1992.
49. აფაქიძე ა., „ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში“, თბ., 1963.
50. აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ა., ლომთათიძე გ. „მცხეთა“, ტ. I, თბ., 1955
51. ლორთქიფანიძე ო., „ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო“, თბ., 1968.
52. წერეთელი გ., „არმაზის ბილინგვა“, თბ., 1949.
53. წერეთელი გ., „ვესპასიანეს ხანის ბერძნული წარწერა“, თბ., 1958.
54. აბულაძე ი., „ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები“, თბ., 1955.
55. აფაქიძე ა., „მცხეთა – ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი“, თბ., 1959.
56. აფაქიძე ა., „ქალაქები და საქალაქო ცხოვრება“, ტ. I თბ., 1963.
57. ნუცუბიძე შ., „ქართული ფილოსოფიის ისტორია“, ტ. I თბ 1970.
58. გოილაძე ვ., „ქართული ეკლესიის სათავეებთან“, თბ., 1991.
59. მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე. „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“, ტ. I, თბ., 1996.
60. ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, იხ.: „ქართლის ცხოვრება“, ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955.
61. პროკოპი კესარიელი, ომი სპარსელებთან, იხ.: „გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ“, ტ. III, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1936.
62. ლორთქიფანიძე მ., „ქართლი V საუკინის II ნახევარში“, თბ., 1979.
63. სტეფანე ჯ., „ეგრისის (ლაზეთის) მეფე გუბაზ II-ის ბიოგრაფიის ზოგიერთი საკითხი“, თბ., 1999.
64. ყაუხჩიშვილი ს., „ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან“, ტ. I, თბ., 1948.
65. ბოგვერაძე ა., „ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში“, თბ., 1973.

ამ სახელმძღვანელოს გაყიდვის ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში,
გთხოვთ, დაგვიკავშრდეთ ცხელ ხაზზე: (+995 32) 2 200 220

www.logospress.ge

9 789941 418990

დაფინანსებულია „მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში.